

# ადვინისტრაციული

## აქტი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

**აქტის ბათილად ცნობა**  
**ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის**  
**წინაპირობები**

**ბანჩინება**

№ბს-1105-1074(2კ-10)

1 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ**  
**საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**მ. ვაჩაძე,**  
**პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 1 ნოემბერს თ. ს-შვილმა სარჩელი ალძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ქ. თბილისის მერიის მიმართ, მესამე პირის – ლ. ვ-შვილის მონაწილეობით და მოითხოვა თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძველით:

**საქმის გარემოებები:**

1978-1997 წლების მდგომარეობით ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე სახლთმფლობელობა ირიცხებოდა თ. ს-შვილის სახელზე, რომლის საერთო სასარგებლო ფართი იყო 121,28 კვ.მ, მათ შორის, საცხოვრებელი ფართი – 72,68 კვ.მ, ასევე უკანონო ნაგებობა – საერთო სასარგებლო ფართი – 82,88 კვ.მ, მათ შორის, საცხოვრებელი ფართი – 60,25 კვ.მ. მესამე პირის – ლ. ვ-შვილის მეუღლის თხოვნით, მოსარჩელემ დროებით საცხოვრებლად დაუთმო მის მიერ აშენებული ერთი ნაგებობა. მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ მის სახელზე რიცხული სახლთმფლობელობის ნაწილი, რომელსაც მინიჭებული აქვს მისამართი – ქ. თბილისი, ... ქ. №2ა, თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილების საფუძველზე, საჯარო რეესტრში აღირიცხა ლ. ვ-შვილის სახელზე, რითაც შეილახა მოსარჩელის კანონიერი ინტერესი.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველი მითითებული არ არის.

თ. ს-შვილის სარჩელი არ ცნო მესამე პირის – ლ. ვ-შვილის წარმომადგენელმა და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

მესამე პირის წარმომადგენელმა ხანდაზმულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა, რამდენადაც 1997 წლის შემდეგ 2006 წლამდე თ. ს-შვილს პრეტენზია არ განუცხადებია სადავო ქონებასთან დაკავშირებით, ლ. ვ-შვილის ოჯახის მიერ განხორციელდა სადავო მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის პრაქტიკულად ახლით ჩანაცვლება და მხარეები წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ მეზობელ მიწის ნაკვეთებზე.

მესამე პირის წარმომადგენელმა მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლით განსაზღვრული შემთხვევა, რის გამოც დაუშვებელია სადავო აქტის ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილების 25-ე პუნქტის ბათილად ცნობა შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, 2033 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების მფლობელი, ანუ მესაკუთრე იყო თ. ს-შვილი, ხოლო ლ. ვ-შვილი – არაპირდაპირი მფლობელი, რომელსაც ეს უფლება მინიჭებული ჰქონდა თ. ს-შვილისაგან. შესაბამისად, ქ. თბილისის მერიამ უკანონოდ გადასცა არაპირდაპირ მფლობელს 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ლიტ „ა“ და ლიტ „ი“ სახლთმფლობელობის ნაწილი, რითაც ზიანი მიადგა მოსარჩელის კანონიერ ინტერესს.

სადავო დადგენილების გამოცემისას დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის მოშადებისა და გამოცემის წესი, ქ. თბილისის მერია ვალდებული იყო მოსარჩელისათვის ეცნობებინა ლ. ვ-შვილის მიერ შეტანილი განცხადების თაობაზე და ჩაეხიზნა იგი ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ, ამასთან, უნდა გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით თ. ს-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით დადგინილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილების 25-ე პუნქტის საფუძველზე ლ. ვ-შვილს დაუმავრდა თ. ს-შვილის სახელზე რიცხული ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე 2033 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 400 კვ.მ ნაკვეთი ... ქუჩის მხრიდან და დაუკანონდა ტექ.ბიუროს მონაცემებით ლიტ „ა“ და ლიტ „ბ“ სახლთმფლობელობის ნაწილი. საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული საკადასტრო რუკის თანახმად, ქონების საერთო ფართობი

533 კვ.მ, ხოლო ქონების მოსარგებლედ მითითებულია ლ. ვ-შვილი. ტექ.ბიუროს არქივიდან მოპოვებული მიწის ნაკვეთისა და მასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობების საინვენტარიზაციო გეგმის თანახმად, ლ. ვ-შვილი ფლობდა მიწის ნაკვეთს უფლების დამადასტურებელი საბუთით, კერძოდ, ასეთად მითითებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილება და თანდართული პროექტები. ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1997 წლის 17 დეკემბერს გაიცა ლ. ვ-შვილის მიწის ნაკვეთის გეგმა. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ლ. ვ-შვილის საკუთრებას წარმოადგენს ქ. თბილისში, ... ქ. №2ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები, ხოლო უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილება, ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1997 წლის 17 დეკემბერს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლით და განმარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებით კანონმდებელმა მისი ძალაში შესვლამდე მიღებული და გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის საკითხი სხვაგვარად განსაზღვრა და მისი ბათილად ცნობის წინაპირობები შეკვეცა. აღნიშნული განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღებამდე არ არსებობდა ერთიანი ნორმა, რომელიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესსა და პირობებს შეეხებოდა, რის გამოც შეუძლებელი იყო 2000 წლის 1 იანვრის შემდეგ და მანამდე მიღებულ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებზე ერთიანი მოთხოვნები გავრცელებულიყო. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლი ეხება ისეთი შინაარსის აქტებს, რომლითაც პირს რაიმე უფლება ან სარგებელი მიენიჭა და რომლის საფუძველზეც უფლებამოსპოვებულმა პირმა მიიღო კიდევ იგი. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული დადგენილების საფუძველზე მესამე პირს გადაეცა მიწის ნაკვეთი, რომლის საკუთრების უფლებით აღრიცხვა მან საჯარო რეესტრში მოახდინა – რეალიზაცია გაუკეთა მისთვის აქტით მინიჭებულ უფლებას.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 და 218.3 მუხლებით განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ს-შვილმა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასა-

მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლით, რამდენადაც აქტის კანონიერება დაკავშირებულია მის შინაარსთან, აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება უნდა შესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს მოქმედ სამართლებრივ აქტებთან. კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე კი, იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოს არსს და ქვეყნის ძირითად კანონს – კონსტიტუციას. სადავო აქტით კი მოხდა საკუთრების ხელყოფა, რის შესახებაც თავიდანვე ცნობილი იყო როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, ასევე მესამე პირისათვის. ამდენად, აპელანტმა მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს ცალსახად არ უნდა გადაეწყვიტა დავა, შესაბამისად, აპელანტმა მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რის გამოც შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

თ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი არ ცნო მოწინააღმდეგე მხარემ – ქ. თბილისის მერიამ და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

მოწინააღმდეგე მხარემ ხანდაზმულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა. საქმის მასალებით არ დგინდება როდის წარმოეშვა მას უფლება მოეთხოვა გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობა, მაგრამ შეუძლებელია მას არ სცოდნოდა აღნიშნული აქტის შესახებ, მით უფრო 2006 წლამდე. ამასთან, აპელანტი ვერ ადასტურებს, რა პირდაპირი და უშუალო ზიანი მიადგა მას, ვინაიდან არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ მოსარჩელეს საკუთრებაში ჰქონდა აღრიცხული სადავო მიწის ნაკვეთი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინებით თ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ს-შვილმა, რომელმაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინების გაუქმება.

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის განჩინებით თ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მაისის განჩინებით თ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნანილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ სადავო აქტის ბათილად ცნობის შესაძლებლობას გამორიცხავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლის დანაწესი და განმარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის მოქმედი რედაქცია აღარ შეიცავს სასამართლოს მიერ მითითებულ საგამონაკლისო შემთხვევებს, ვინაიდან აღნიშნული ნორმა არ ითვალისწინებს კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლი უთითებს ამავე კოდექსის მე-60 მუხლის „ბ“ პუნქტზე, როგორც აქტის ბათილობის გამომრიცხავ გარემოებას, მაშინ როდესაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის „ბ“ პუნქტი ეხება აქტის არა ბათილად ცნობას, არამედ არარად გამოცხადების საფუძველს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით არ არსებობდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის გამოყენების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მითითებული ნორმა არ ვრცელდება ისეთი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ, რომლებიც ზღუდავენ მე-სამე პირების უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, ანუ როდესაც სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა შეუძლებელია მოცემული აღმჭურველი აქტის გაუქმების გარეშე, რასაც მოცემულ შემთხვევაში აქვს ადგილი. სადავო დადგენილება მოსარჩელისათვის არის შემზღუდავი, ამკრძალავი, ვინაიდან ხსენებული აქტით თ. ს-შვილს ჩამოერთვა უფლება მიწის ნაკვეთსა და სახლთმფლობელობაზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო აღმჭურველი აქტის ბათილად გამოცხადების თაობაზე სარჩელის განხილვისას უნდა გაირკვეს აქტის მართლზომიერება, ასევე მისი გამოცემისას კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა, კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის არსებობის შემთხვევაში დარღვევის ხარისხი, და ინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპის, აქტის ბათილად ცნობით ადრესატისადმი მიყენებული ზიანისა და ამ აქტის ბათილად გამოცხადებით მიყენებული ზიანის სიმძიმე, რაც სასამარ-

თლოს არ გამოუკვლევია.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 385.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 385.2, 377-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ ვინაიდან საქალაქო სასამართლოს არ დაუდგენია სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობა და არ უმსჯელობია რამდენად არსებობდა სადავო დადგენილების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, საქმე ექვემდებარებოდა საქალაქო სასამართლოს მიერ ხელახლა განხილვას.

სააპელაციო სასამართლომ განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ და ლ. ვ-შივლიმა.

ქ. თბილისის მერიამ მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მაისის განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

კასატორის მოსაზრებით, არ არსებობდა არც ერთი საფუძველი, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმე ხელახლა განსახილველად დაებრუნებინა საქალაქო სასამართლოსათვის, რამდენადაც მოცემულ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები დადგინდა როგორც საქალაქო, ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ, საქმეში წარმოდგენილი იყო ყველა მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა გადაწყვეტილების მიღება.

ამდენად, კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო თავად განეხილა და გადაეწყვიტა სადავო საკითხი, მას უნდა გამოეყენებინა კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და თავად ემსჯელა სადავო აქტის კანონიერებასა და ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებით.

სადავო აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1513-ე, 1514-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ სადავო აქტი გამოცემული იყო კანონის შესაბამისად და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველები. ამასთან, იმ დროისათვის მოქმედი „საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის – ქ. თბილისის მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 19 დეკემბრის №9 ბრძანებულების მე-7 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისში რადიკალური ეკონომიკური რეფორმების მიზანმიმართულად და დაჩქარებულად ჩაბარების მიზნით ქ. თბილისის მერს მიეცა უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განეხორციელებინა მინის ფონდისა და მუნიციპალური ქონების მართვა, ეწარმოებინა საქალაქო მინების სახელმწიფო კადასტრი, გადაეწყვიტა იურიდიული პირებისა და მოქალაქეების მინათსარგებლობის საკითხები. ამავებრძანებულების მე-5 პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის მერიის აღმასრულებ-

ბელი ორგანოების ფუნქციები დაეკისრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტს, რომელიც ჩაითვალა ყოფილი მერიის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამონაცვლედ. აღნიშნული ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის – ქ. თბილისის მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილებათა შესახებ დებულების მე-3 პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის კაბინეტი არის აღმასრულებელი ორგანოს კოლეგიური ორგანო, რომელსაც ქმნის ქ. თბილისის მერი. მუნიციპალიტეტის კაბინეტს ხელმძღვანელობს ქ. თბილისის ვიცე-მერი მუნიციპალიტეტის პრემიერი, რომელსაც სახელმწიფო მეთაურთან და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით ნიშნავს ქ. თბილისის მერი. ამავე მუხლით განისაზღვრა მუნიციპალიტეტის კაბინეტის უფლებამოსილების ფარგლები, რომლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტი უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის სადავო მინის ნაკვეთის დამაგრების თაობაზე, რადგან აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა უშუალოდ მის კომპეტენციაში შედიოდა.

ლ. ვ-შვილმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მაისის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოსათვის შემდეგი მოტივით:

კასატორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დაუშვებელი იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლის გამოყენება, ასევე არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მითითებული ნორმა არ გამოიყენება იმ აღმჭურველი აქტების მიმართ, რომლებიც ზღუდავენ სხვა პირთა უფლებებს. კასატორის მითითებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლი ვრცელდება დაუკონკრეტებლად და განუსაზღვრელად ნებისმიერი აღმჭურველი აქტის მიმართ, მით უფრო, რომ ნებმისმიერი აღმჭურველი აქტი მოდის წინააღმდეგობაში სხვა პირის უფლებასთან ან ინტერესთან. ამგვარი განმარტების პირობებში ვერასდროს იქნებოდა გამოყენებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლი, რადგან აქტის გასაჩივრება დასაშვებია მხოლოდ პირდაპირი და უშუალო ზიანის არსებობის პირობით.

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 21 დეკემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის (პროცესუალური კასაცია), ხოლო ლ. ვ-შვილის საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად (აბსოლუტური და პროცესუალური კასაცია).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრების მოტივების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქ. თბილისის მერიისა და ლ. ვ-შვილის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივრის მოტივი – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის გავრცელების სამართლებრივი შესაძლებლობის დაშვება სადავო ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სამართლის ამ ნორმის სწორ გაცემა-გამოყენებასთან დაკავშირებით განსხვავებული სამართლებრივი შეფასება და დასკვნები აქვს ჩამოყალიბებული საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს, წინამდებარე საქმე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საკასაციო სასამართლომ უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება თუ რამდენად კანონიერად და ადეკვატურად მიუსადაგა სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული ნორმის განმარტებისას ჩამოყალიბებული სამართლებრივი დასკვნები განსახილველი დავის გარემოებებს, რამაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით შექმნა აბსოლუტური კასაციის წინამძღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული, შესაბამისად, მოცემულ საქმეს მიაჩნა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება პრაქტიკულად აგებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის განჩინების /რომლითაც საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს/ ძირითადი დასკვნების ციტირებაზე, კერძოდ, აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის გავრცელების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შესაბამისად, განჩინების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის – ქ. თბი-

ლისის მერიის კასაციის მოტივს, რომ სააპელაციო სასამართლოს სსსკ-ის 385.2 მუხლის შესაბამისად, შესაძლებლობა ჰქონდა თავად გადაეწყვიტა დავა და ხელახლა განსახილველად არ დაებრუნებინა საქმე საქალაქო სასამართლოსათვის, რამდენადაც საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას სსსკ-ის 385.1 მუხლით განსაზღვრულ საპროცესო დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, რაც უპირობოდ შექმნიდა საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განხილვის პროცესულურ წინაპირობას.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას და მითითებას სსსკ-ის 377-ე მუხლზე, რამდენადაც საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი იყო საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, ამასთან, სააპელაციო სასამართლოს არ მითითებია რომელი გარემოებების დადგენა იყო აუცილებელი დავის გადაწყვეტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილების კანონიერების შემოწმებისათვის, მით უფრო, რომ პროცესის ეკონომიურობის პრინციპის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს თავად შეეძლო ესარგებლა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებით და შეეგროვებინა ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები და მათი შეფასების, ურთიერთშეჯერების შედეგად ემსჯელა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე და თავად დაედგინა საქმეზე გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 412.2 მუხლის დარღვევით არ იმსჯელა საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის განჩინებაში ასახულ მთელ რიგ მითითებებზე, ამასთან, საკასაციო სასამართლოს დასკვნებისა და სამართლებრივი შეფასებების არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით, უნდა განიმარტოს და განისაზღვროს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლის ფუნქცია, რაც ხელს შეუწყობს მის სწორად და ლოგიკურად გამოყენებასა და სადავო სამართალურთიერთობასთან მისადაგებას.

აღნიშნული ნორმის მიხედვით, არ შეიძლება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალდაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული

შემთხვევებისა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული ნორმის ძირითადი მიზანი და ფუნქცია მდგომარეობს იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შედეგების დაცვასა და კანონიერი სამართლებრივი აქტის სტატუსის შენარჩუნებაში, რომლებიც შეესაბამებოდა მათი გამოცემის დროს მოქმედ სამართლებრივ აქტებს, ანუ იმ პერიოდისათვის მოქმედი სამართლებრივი წესრიგის შესაბამისად იქნა გამოცემული, მაგრამ წინააღმდეგობაში მოვიდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედების შედეგად აქტის მიღების, მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი მაღალი სამართლებრივი სტანდარტის მოთხოვნებთან. ანუ სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, კანონმდებელმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მითითებული ნორმის მეშვეობით დაადგინა დამცავი მექანიზმი მის ამოქმედებამდე გამოცემული აქტებისა და მათი სამართლებრივი შედეგების სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლით დადგენილი ერთგვარი იურიდიული იმუნიტეტი გამოყენებულ უნდა იქნეს არა კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ყველა აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის, არამედ იმ შემთხვევებისათვის, როდესაც 2000 წლის 1 იანვრამდე გამოცემული აქტი შეესაბამება გამოცემის მომენტისათვის არსებულ ნორმატიულ მოთხოვნებს, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით განსაზღვრულ როგორც მატერიალურ, ისე ფორმალურ (პროცედურულ) მაღალ სტანდარტებს და სწორედ, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებლის – სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პრინციპის შენარჩუნების მიზნით აღნიშნულ ნორმას აქვს ერთგვარი შემაკავებელი დატვირთვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი გარკვეულწილად უფრთხილდება აღმჭურველი აქტის ადრესატის უფლებრივ მდგომარეობას და პრიორიტეტს ანიჭებს მისი სამართლებრივი ინტერესების დაცვას, რამდენადაც ამგვარი აქტის საფუძველზე განხორციელებული იურიდიული მნიშვნელობის ქმედების ფაქტის არსებობის ხაზგასმა, გულისხმობს სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის – კანონიერი ნდობის უფლების პატივისცემას, ამდენად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის კანონიერების შემოწმებისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების მოქმედების პერიოდში (2000 წლის 1 იან-

ვრიდან) დაუშვებელია ამ კოდექსით გარანტირებული პირის კანონიერი ნდობის უფლების შელახვა სხვათა სამართლებრივი ინტერესებისა და უფლებების დაცვის სანაცვლოდ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც უპირობოდ ყველა სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერად მიჩნევის წინაპირობა, რომელიც მომზადდა და გამოიცა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე – 2000 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით მიეთითა საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის განჩინებაში, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ძალაში შესვლამდე გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის წინაპირობების შეკვეცა არ გამოორიცხავდა სასამართლოს მხრიდან სადავო აქტის მისი გამოცემის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობაზე მსჯელობის შესაძლებლობას.

საქალაქო სასამართლომ უპირობოდ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლი და უარი უთხრა მოსარჩელეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის დადგენილების ბათილად ცნობაზე, ხოლო სააპელაციო სასამართლომ უპირობოდ უარი თქვა აღნიშნული ნორმის გამოყენებაზე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს სადავო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილების 25-ე პუნქტი, რომლის თანახმად მესამე პირს – ლ. ვ. შვილს დაუმაგრდა თ. ს. შვილის სახელზე რიცხული 2033 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან დაახლოებით 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი და დაუკანონდა ტექ.ბიუროს მონაცემებით ლიტ „ა“ და ლიტ „ი“ სახლთმფლობელობის ნაწილი გამოცემული იყო თუ არა იმჟამად მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ, სადავო აქტით შეილახა თუ არა 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მოსარჩელის საკუთრების უფლება, რომელიც ასევე აღიარებული იყო „საკუთრების უფლების შესახებ“ საქართველოს 1993 წლის 15 ივლისის კანონით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და იმსჯელოს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო თუ არა იმ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც შექმნიდა შემდეგი სამართლებრივი დასკვნის შესაძლებლობას: 1. დასაშვებია თუ არა საერთოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლის გამოყენება და ასეთის შემთხვევაში, 2. ნორმის ადეკვატურ გამოყენებას სსსკ-ის 393-ე მუხლის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს ასევე მიეთითა საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის განჩინებაში, რომ სადავო აქტის კანონიერების შემოწმებისას სადავო საკითხი უნდა გადაწყდეს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით ადრესატისადმი მიყენებული ზიანისა და ამ აქტის ბათილად გამოუცხადებლობით მიყენებული ზიანის შეფასებით თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს მესამე პირის კასაციის მოტივს და მიაჩნია, რომ წინააღმდეგობრივია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის მოქმედი რედაქცია აღარ შეიცავს საგამონაკლისო შემთხვევებს, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს კოდექსში შეტანილ ცვლილებებს. აღნიშნულის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლის გამოყენების საფუძველი, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლის როგორც თავდაპირველი, ასევე ამჟამად მოქმედი რედაქცია დაუშვებლად მიიჩნევს მის გამოყენებას იმ აქტების მიმართ, რომლის შესრულება გამოიწვევს დანაშაულს; ეს პირდაპირ არის მითითებული კანონში ან მის საფუძველზე გამოცემული ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში; კანონმდებლობის შესაბამისად ეს პირდაპირ არის მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში; დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალდაკარგულად გამოცხადების საფუძველი. კოდექსში 2005 წლის 24 ივნისს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, რომლის თანახმად, ზემოთ მითითებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველები განისაზღვრა როგორც აქტის არარად აღიარებისა და ძალადაკარგულად გამოცხადების წინაპირობებად, ხოლო 218.2 მუხლის რედაქციაში ადეკვატური ცვლილების შეუტანლობა განხილულ უნდა იქნეს კანონმდებლობის ტექნიკური ხასიათის ხარვეზად და არ უნდა განიმარტოს, როგორც კანონმდებლის მხრიდან საგამონაკლისო შემთხვევებზე უარის თქმად. შესაბამისად, შეუძლებელია ნორმა იმგვარად გავიგოთ, რომ იგი არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით განსაზღვრულ არარა აქტების ან მე-60<sup>1</sup> და 61-ე მუხლებით დადგენილი აქტების მიმართ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, კასატორების მიერ წამოყენებული საკასაციო პრეტენზიები შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების

კანონშეუსაბამობის თაობაზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო და მატერიალური ნორმების დარღვევის თაობაზე, რის გამოც სსსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმე ექვემდებარება სააპელაციო სასამართლოს მიერ ხელახლა განხილვას, რა დროსაც სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე და მათი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად დაადგინოს ობიექტური და კანონიერი გადანწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ქ. თბილისის მერიისა და ლ. ვ-შვილის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადანწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის  
წინაპირობები**

**ბანდინება**

№ბს-1441-1404(კ-10)

31 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-  
რივი აქტების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2004 წლის 3 ივნისს ლ. ც-ქემ სარჩელი აღძრა ქ. თბილისის დიდუ-  
ბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში ქ. თბილისის მერიის დი-  
დუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიმართ, მესამე პირის – ლ.  
თ-ის მონაწილეობით და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის საქალაქო  
მმართველობის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 1999 წლის 29 იან-  
ვრის №2.11.7 გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მთავარი არქიტექტო-  
რის №612 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის არქიტექტურულ-სამ-  
შენებლო კონტროლის ინსპექციის მიერ 1999 წლის 31 დეკემბერს  
გაცემული №402 მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობა ასევე  
უკანონო ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა შემდეგი  
საფუძვლით:

**საქმის გარემოებები:**

ქ. თბილისის მერიის საქალაქო მმართველობის ჩუღურეთის რაი-  
ონის გამგეობის 1999 წლის 29 იანვრის 2.11.7 გადაწყვეტილებით ნე-  
ბა მისცეს ვ. შ-სა და დ. ვ-ს თავიანთ ბინაზე დამხმარე სათავსოს  
მიშენების. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მოსარჩელისათ-  
ვის ცნობილი გახდა 2004 წლის 17 მაისს.

**სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:**

მოსარჩელის მოსაზრებით, სადავო გადაწყვეტილება გამოტანი-  
ლია კანონის უხეში დარღვევით, რითაც მოსარჩელეს შეეზღუდა სა-  
ერთო საკუთრების ქონებით სარგებლობის უფლება. ნებართვის გა-  
ცემა მოხდა ბინის მესაკუთრეთა ნებართვის გარეშე.

ლ. თ-ს არ გააჩნდა რაიმე დოკუმენტი აღნიშნული ფართის სამო-  
ქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალურ სა-  
კუთრებად მიჩნევის შესახებ.

მოსარჩელემ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95.2, 113-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო ადმინისტრაციული წარმოების დანებების შესახებ ეცნობებინა მოსარჩელისათვის, რამდენადაც აქტივთ გაუარესდა მისი უფლებები, ასევე დაირღვა სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნა, რამდენადაც შეუძლებელი გახდა ეზოში ავტომანქანით შესვლა, დაიჩრდილა ეზო და სახლის ფანჯრები.

ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად დაეყრდნო მეზობელთა თანხმობას ვ. შ-სათვის მეორე სართულზე სათავსოს მიშენების შესახებ, რამდენადაც გამგეობამ დამხმარე სათავსოს მიშენების უფლება ვ. შ-სთან ერთად მისცა დ. ვ-ს. ამასთან, გადაწყვეტილების საფუძველზე მესამე პირმა ააშენა გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით დიდი სათავსო.

დიდუბე-ჩულურეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 26 იანვრის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური და ქ. თბილისის არქმშენინსპექცია.

დიდუბე-ჩულურეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. ც-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ც-ძემ და მოითხოვა რაიონული სასამართლოს 2005 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 მარტის განჩინებით ქ. თბილისის არქმშენინსპექცია შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 13 მარტის განჩინებით ლ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩულურეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 მარტის საოქმო განჩინებით მესამე პირი ლ. თ-ი საქმეში ჩაება მოპასუხედ, ხოლო მესამე პირის – ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის საპროცესო უფლებამონაცვლედ ჩაება სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მერიასთან ერთად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. ც-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძველობის გამო, რაც საქალაქო სასა-

მართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის საქალაქო მმართველობის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 1999 წლის 29 იანვრის №2.11.7 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ... ქ. №58/10-ში მცხოვრებ ე. შ-სა და დ. ვ-ს ნება დაერთოთ მათ კუთვნილ ბინაზე განხორციელებინათ დამხმარე სათავსოების მიშენება პროექტის შედგენით და არქიტექტურის დეპარტამენტთან შეთანხმებით. ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის №612 ბრძანებით შეთანხმდა ე. შ-სა და დ. ვ-ს საცხოვრებელ სახლზე დამხმარე სათავსოების მიშენების პროექტი. ქ. თბილისის მერიის არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციის 1999 წლის 31 დეკემბრის №402 ბრძანების შესაბამისად სადავო ობიექტზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. ლ. ც-მემ თავად განაცხადა თანხმობა მშენებლობის განხორციელებაზე. მშენებლობა წარიმართა პროექტის მცირე დარღვევით, რაც დგინდება თბილისის არქმშენინსპექციის 2003 წლის 11 ოქტომბრის ც-8 ცნობით. აღნიშნული დარღვევა დღეის მდგომარეობით აღარ არსებობს, რამდენადაც ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 31 იანვრის №ლეგ-67 ბრძანებით ლეგალიზებულად ჩაითვალა განხორციელებული მშენებლობა. საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის 2004 წლის 26 აგვისტოს დასკვნით დასტურდება, რომ ახლადმიშენებული სათავსო და კიბე მოწყობილია მოსარჩელის ბინისაგან დამოუკიდებლად და არავითარ შეხებაში არ არის მასთან, ამასთან, ტექნიკური ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ არის დარღვეული.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, გამგეობის სადავო გადაწყვეტილება მიღებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ძალაში შესვლამდე, რომლის საფუძველზეც განხორციელდა იურიდიული მნიშვნელობის ქმედება, რის გამოც მის მიმართ უნდა გავრცელდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლის მოქმედება. ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1999 წლის 18 ოქტომბრის №612 ბრძანება და ქ. თბილისის მერიის არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციის 1999 წლის 31 დეკემბრის №402 მშენებლობის ნებართვა მიღებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, რომელთა მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველებს.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, კონკრეტულ შემთხვევაში გადაამწყვეტია არა აქტის კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, არამედ იმ მხარის დამოკიდებულება მისდამი, ვის სასარგებლოდაც გამოიცა აქტი. თუ მხარეს ამგვარი აქტისადმი გააჩნია კანონიერი ნდობა, დაუშვებელია მისი ბათილად ცნობა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სადავო აქტები წარმოადგენენ აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რამდენადაც მათ საფუძველზე შ-მ და ვ-მა განახორციელეს მშენებლობა. ამ შემთხვევაში მათი კანონიერი ნდობა აღნიშნული აქტებისადმი სამართლებრივად საფუძვლიანია, რისი საპირისპიროს დამტკიცება ვერ შეძლო მოსარჩელემ. ან ასევე ვერ დაასაბუთა რა არსებითი ზიანი მიადგა მშენებლობის განხორციელებით მის კანონიერ ინტერესებს ან რა უფლებები დაირღვა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ აქტების ბათილად ცნობის თაობაზე მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის პირობებში არ არსებობდა ასევე ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ მოთხოვნის დაუკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ც-ძემ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაუკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

აპელანტმა არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ ლ. ც-ძემ თანხმობა განაცხადა მშენებლობის განხორციელებაზე. მტკიცებულებით, რომელსაც დაეყრდნო სასამართლო, დასტურდება, რომ ლ. ც-ძემ თანხმობა განაცხადა მხოლოდ ვ. შ-ას მიერ მეორე სართულზე სათავსოს მიშენებაზე და არა სამსართულიანი მიშენების განხორციელებაზე. ასევე არ გაიზიარა აპელანტმა ფაქტობრივი გარემოება, რომ მშენებლობა წარმოებულია პროექტის მცირე დარღვევით, რამდენადაც 2003 წლის 11 ოქტომბრის ცნობა კიბის უჯრედის მოწყობის პროექტის მცირე დარღვევაზე უთითებს და არა მიშენების პროექტზე. აპელანტის მოსაზრებით, ტექნიკური ნორმების დარღვევა ან დაცვა გავლენას არ ახდენს ადმინისტრაციული აქტების კანონიერებაზე, რაც წარმოადგენს დავის საგანს. აპელანტმა ასევე არ გაიზიარა სასამართლოს მითითება, რომ ლეგალიზაციის ბრძანება სადავოდ არ გამხდარა.

აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსსკ-ის 102-ე მუხლი, რამდენადაც აქტების კანონიერების შემოწმებისას მტკიცების ტვირთი ეკისრება აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლებმაც ვერ დაადასტურეს სადავო აქტების კანონიერება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 თებერვლის განჩინებით ლ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაუკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის

2009 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნები, რომ სადავო აქტები წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომელთა შესაბამისად განხორციელდა იურიდიული მნიშვნელობის ქმედება.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ... ქ. №58/10-ში მდებარე შენობა ერთი მხრიდან იყო ორსართულიანი, ხოლო მეორე მხრიდან – სამსართულიანი, ანუ ერთი არასრული სართული იყო. მიშენების განხორციელების მხარეს შენობა იყო სამსართულიანი. გასაჩივრებული აქტებით ნებართვა გაცა ეზოს მხრიდან მე-2 და მე-3 სართულებზე განთავსებულ მიშენებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო მიშენება განთავსებულია ლ. ც-ძის სახლისაგან დამოუკიდებლად და არავითარ შეხებაში არ არის მის ბინასთან. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ასევე დადასტურებულად მიიჩნია, რომ ლ. ც-ძემ თანხმობა განაცხადა ქ. თბილისში, ... ქ. №58/10-ში ვ. შ-ას მიერ მეორე სართულზე მიშენების განხორციელებაზე. სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელის ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მას ხიმინჯები, რაზეც ფაქტობრივად ეყრდნობოდა თავის დროზე ეზოს მხრიდან მეორე სართულზე განთავსებული მიშენება, ხელს არ უშლიდა. ამასთან, ეზოს მხრიდან პირველ სართულზე განხორციელებული მიშენება არ არის განხორციელებული სადავო აქტებით, რის გამოც არ წარმოადგენს დავის საგანს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 31 იანვრის №ლეგ-67 ბრძანებით ლეგალიზებულად ჩაითვალა ქ. თბილისში, ... ქ. №58/10-ში პროექტის დარღვევით განხორციელებული მიშენება, რომელიც ძალაში იყო საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში საქმის განხილვისას.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლით, მე-60 პრიმა მუხლის მე-4 ნაწილით და მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო სადავო აქტების ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ც-ძემ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 თებერვლის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, არასწორად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი, ანუ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, რის გამოც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება გამოიტანა.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული აქტების შეფასებისას მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტები სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს არ არღვევდა, მათ შორის ლ. ც-ძის კანონიერი უფლება და ინტერესი არ დარღვეულა არსებითად, რის გამოც არ არსებობდა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. კასატორის მოსაზრებით, ასეთ პირობებში სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა სარჩელის დასაშვებობაზე და არა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად უნდა გამოეყენებინა არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილი, არამედ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე, 26<sup>2</sup>.5-ე მუხლების თანახმად უნდა მიეღო გადაწყვეტილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ხოლო თუ ასეთი საპროცესო აქტი არ გამოიტანა სააპელაციო სასამართლომ, მაშინ იგი ვალდებული იყო გამოეყენებინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 ნაწილები, გამოეკვლია გასაჩივრებული აქტების კანონიერება სრულად და 1999 წლის 31 დეკემბრის №402 ბრძანება, რომლითაც მოხდა მშენებლობის ნებართვის გაცემა ბათილად ეცნო, ხოლო თუ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით დადგენილი ბათილად ცნობის საფუძველები არ იარსებებდა, დასაბუთებული უარი უნდა ეთქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა (კანონის დარღვევით) ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული (ძალაში შესვლამდე გამოცემული) 1999 წლის 29 იანვრის №2.11.7 გადაწყვეტილების კანონიერება, კერძოდ, გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (რომელიც საერთოდ კავშირში არ არის მოცემულ დავასთან) და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები და მიუთითა, რომ ადგილი არ აქვს ამ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს ქ. თბილისის მერიის მმართველობის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 1999 წლის 29 იანვრის №2.11.7 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, ვინაიდან სასამართლო განხილვისას წარვადგინეთ სარჩე-

ლი, რომლითაც პირველ ინსტანციაში დაწყებული გვქონდა დავა 2008 წლის 31 იანვრის №ლევ-67 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რითაც ცვალსახად დასტურდებოდა ის გარემოება, რომ დაინტერესებულმა მხარემ – ლ. თ-მა არ შეასრულა აპელაციაში გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით (თუმცა უკანონო აქტებით) დადგენილი ვალდებულება. აქვე მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ დავაზე 14.05.2010 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 31 იანვრის №ლევ-67 ბრძანება, რაც ასევე ცვალსახად ადასტურებს, რომ კასატორს ლ. ც-ძეს, მის კანონიერ უფლებას და ინტერესს პირდაპირი და უშუალო ზიანი ადგება საკასაციო სასამართლოში ამჟამად გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით და ამ აქტებით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად აგებული შენობა-ნაგებობით.

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 22 თებერვლის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი ლ. ც-ძის საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შენაბამისად (პროცესუალური კასაცია).

მხარეებს წერილობითი შესაგებელი არ წარმოუდგენიათ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების შესწავლა-გაანალიზებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქ. ქუთაისის მერიისა და რ. კ-შვილის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, განჩინება სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, სააპელაციო სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და არ მოუხდენია მათი სათანადო სამართლებრივი შეფასება, საკასაციო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე, რაც სსსკ-ის 393-ე 394-ე მუხლების შესაბა-

მისად, მისი გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს კასატორის საკასაციო პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო საქმეში წარმოდგენილ, სამოქალაქო საქმეზე ჩატარებულ 2004 წლის 21 ოქტომბრის ექსპერტიზის დასკვნას, რომლითაც დადგინდა, რომ ლ. თ-ის მიერ სამხარეულოს, სააბაზანო-ტუალეტისა და ასასვლელი კიბის მოწყობით ლ. ც-ძის კუთვნილი ბინისათვის ტექნიკური ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ დარღვეულა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს თავისი დასკვნა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას არ უნდა დაემყარებინა აღნიშნულ დასკვნაზე, რამდენადაც ლ. ც-ძის სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენდა არა მისი კუთვნილი ბინის მიმართ მოპასუხის მიერ განხორციელებული მიშენებით ტექნიკური ნორმების დარღვევა, არამედ მოსარჩელის, როგორც ბინის მესაკუთრისათვის საერთო საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობის უფლების დარღვევა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს დავის გადანაცვებისას ამ კუთხით უნდა ემსჯელა სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობაზე. გარდა აღნიშნულისა, იმ პირობებში, თუ სააპელაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევდა, რომ მოპასუხის მიერ სადავო აქტების საფუძველზე განხორციელებული მიშენებით ზიანი არ მიდგომია მოსარჩელის უფლებას, მას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 26<sup>2</sup> მუხლების შესაბამისად, უნდა ემსჯელა სარჩელის დასაშვებობაზე და არა მის საფუძვლიანობაზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის საკასაციო პრეტენზიას აღნიშნულთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ ურთიერთინააღმდეგობრივია სააპელაციო სასამართლოს დასკვნები.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმებისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლი და აღნიშნულის შესაბამისად, სადავო აქტების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების გარეშე უარი უთხრა მოსარჩელეს მათ ბათილად ცნობაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავის სწორად გადანაცვების მიზნით, უნდა განიმარტოს და განისაზღვროს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლის ფუნქცია, რაც ხელს შეუწყობს მის სწორად და ლოგიკურად გამოყენებასა და სადავო სამართალურთიერთობასთან მისადაგებას.

აღნიშნული ნორმის მიხედვით, არ შეიძლება ზოგადი ადმინის-

ტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული ნორმის ძირითადი მიზანი და ფუნქცია მდგომარეობს იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შედეგების დაცვა-სა და კანონიერი სამართლებრივი აქტის სტატუსის შენარჩუნებაში, რომლებიც შეესაბამებოდა მათი გამოცემის დროს მოქმედ სამართლებრივ აქტებს, ანუ იმ პერიოდისათვის მოქმედი სამართლებრივი ნებსრიგის შესაბამისად იქნა გამოცემული, მაგრამ წინააღმდეგობაში მოვიდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედების შედეგად აქტის მიღების, მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი მაღალი სამართლებრივი სტანდარტის მოთხოვნებთან. ანუ სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, კანონმდებელმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მითითებული ნორმის მეშვეობით დაადგინა დამცავი მექანიზმი მის ამოქმედებამდე გამოცემული აქტებისა და მათი სამართლებრივი შედეგების სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლით დადგენილი ერთგვარი იურიდიული იმუნიტეტი გამოყენებულ უნდა იქნეს არა კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ყველა აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის, არამედ იმ შემთხვევებისათვის, როდესაც 2000 წლის 1 იანვრამდე გამოცემული აქტი შეესაბამება გამოცემის მომენტისათვის არსებულ ნორმატიულ მოთხოვნებს, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით განსაზღვრულ როგორც მატერიალურ, ისე ფორმალურ (პროცედურულ) მაღალ სტანდარტებს და სწორედ, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებლის – სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პრინციპის შენარჩუნების მიზნით აღნიშნულ ნორმას აქვს ერთგვარი შემაკავებელი დატვირთვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი გარკვეულწილად უფრთხილდება აღმჭურველი აქტის ადრესატის უფლებრივ მდგომარეობას და პრიორიტეტს ანიჭებს მისი სამართლებრივი ინტერესების დაცვას, რამდენადაც ამგვარი აქტის საფუძველზე განხორციელებული იურიდიული მნიშვნელობის ქმედების ფაქტის არსებობის

საზგასმა, გულისხმობს სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის – კანონიერი ნდობის უფლების პატივისცემას, ამდენად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის კანონიერების შემოწმებისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების მოქმედების პერიოდში (2000 წლის 1 იანვრიდან) დაუშვებელია ამ კოდექსით გარანტირებული პირის კანონიერი ნდობის უფლების შელახვა სხვათა სამართლებრივი ინტერესებისა და უფლებების დაცვის სანაცვლოდ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც უპირობოდ ყველა სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერად მიჩნევის წინაპირობა, რომელიც მომზადდა და გამოიცა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე – 2000 წლის 1 იანვრამდე. ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 9.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მითითებული ნორმის უპირობოდ გავრცელებამდე სადავო აქტების მიმართ, უნდა გამოეკვლია და შეეფასებინა შეესაბამებოდა თუ არა სადავო აქტები მათი გამოცემის დროისათვის მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საქმის მასალების თანახმად, ქ. თბილისის მერიის საქალაქო მმართველობის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 1999 წლის 29 იანვრის №2.11.7 გადაწყვეტილებით ქ. თბილისის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის 1998 წლის 30 დეკემბრის №15/1029 თანხმობის საფუძველზე ნება დაერთოთ ვ. შ-სა და დ. ვ-ს დამხმარე სათავსოს მიშენებაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული რა ფართის მიშენების განხორციელების უფლებით აღიჭურვენ განმცხადებლები. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველად მითითებული ქ. თბილისის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის 1998 წლის 30 დეკემბრის №15/1029 წერილის თანახმად, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის დეპარტამენტმა დააფიქსირა, რომ წინააღმდეგი არ იყო ვ. შ-სა და დ. ვ-ს განხორციელებინათ 8 კვ.მ ფართის დამხმარე სათავსოს მიშენება. ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1995 წლის 22 ოქტომბრის №612 ბრძანებით შეთანხმდა რა დამხმარე სათავსოს მიშენების პროექტი, მიშენების ფართი განისაზღვრა 11 კვ.მ. ასევე ფართი არ იყო მითითებული მშენებლობის დანყების შესახებ 1999 წლის 31 დეკემბრის №402 ნებართვაში, ხოლო პროექტის გენგეგმაში მიშენების ფართი მიეთითა 12 კვ.მ. ამდენად, სადავო აქტები სრულიად განსხვავებულ მონაცემებს შეიცავს, რაზეც არ უმსჯელია სააპელაციო სასამართლოს და არ

მოუხდენია აღნიშნულის სამართლებრივი შეფასება მათი კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო, ასევე, ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას განხორციელებული მიწენების კანონიერებასთან დაკავშირებით ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2008 წლის 31 იანვრის №ლეგ-67 ბრძანებაზე მითითების შესახებ, რამდენადაც აღნიშნული ბრძანება სადავოდ გახადა რა ლ. ც-ქმ 2009 წლის 14 მაისს აღძრული სარჩელით, აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა საქალაქო სასამართლოს მიერ 2010 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით და ბათილად გამოცხადდა ლეგალიზაციის ბრძანება, რაც გააუქმა სააპელაციო სასამართლომ და 2010 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და სასარჩელო მოთხოვნა ლეგალიზაციის ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა. დღეის მდგომარეობით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გასაჩივრებულია ლ. ც-ძის მიერ, შესაბამისად, ლეგალიზაციის ბრძანებაზე მითითება, იმ პირობებში, როდესაც მისი კანონიერება სადავოა და არ არის მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, საკასაციო სასამართლო არასწორად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ მასზე აპელირებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხების გამოკვლევისა და დადგენის შედეგად უნდა იმსჯელოს სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე და საქმეზე დაადგინოს ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ლ. ც-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**აღმჭურაველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი  
აქტის ბათილად ცნობა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმთა**

№ბს-177-175(კ-11)

9 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე  
პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-  
რივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

2007 წლის 1 მაისს პ. გ-მა, ნ. ხ-ემ, მ. ლ-ემ, ჯ. ხ-მა, ი. ჭ-ემ, ჯ. ს-მა და ი. ჭი-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის მთავრობის მიმართ.

მოსარჩელებმა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის საოქმო განჩინებით გარდაცვლილი მოსარჩელის – ი. ჭი-ის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ვ. ჭ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის განჩინებით მოსარჩელებს – ჯ. ხ-ს, ი. ჭ-ეს, ვ. ჭ-სა და მოპასუხე – ქ. თბილისის მთავრობას შორის დამტკიცდა 2008 წლის 3 ივნისის მიღწეული მორიგება; ჯ. ხ-ის, ი. ჭ-ისა და ვ. ჭ-ის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში შეწყდა მოცემული საქმის წარმოება.

2007 წლის 1 მაისს ნ. ჭ-ემ, რ. ი-მა, მ. ა-მა, ე. ჭ-ემ, ნ. ს-ემ, ზ. კ-მა, ბ. ი-მა, ჯ. მ-მა, ბ. გ-ემ, რ. შ-ემ, ნ. გ-ემ და გ. კ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის მთავრობის მიმართ.

მოსარჩელებმა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და

ქ. თბილისის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 მაისის განჩინებით მოსარჩელეებს – ზ. კ-ს, ჯ. მ-ს, ნ. გ-ესა და მოპასუხე – ქ. თბილისის მთავრობას შორის დამტკიცდა 2008 წლის 20 მაისის მიღწეული მორიგება; ზ. კ-ის, ჯ. მ-ის და ნ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში შეწყდა მოცემული საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 მაისის განჩინებით ბ. (ხ.) ი-ს, ბ. გ-ეს, რ. ი-სა და მოპასუხე – ქ. თბილისის მთავრობას შორის დამტკიცდა 2008 წლის 20 მაისის მიღწეული მორიგება; ბ. (ხ.) ი-ის, ბ. გ-ის და რ. ი-ის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში შეწყდა მოცემული საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის განჩინებით რ. შ-ეს, გ. კ-სა და მოპასუხე – ქ. თბილისის მთავრობას შორის დამტკიცდა 2008 წლის 3 ივნისის მიღწეული მორიგება; რ. შ-ისა და გ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში შეწყდა მოცემული საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 17 მარტის განჩინებით მოსარჩელეების – პ. გ-ის, ნ. ხ-ის, მ. ლ-ისა და ჯ. ს-ის მიერ, მოპასუხის – ქ. თბილისის მთავრობის მიმართ აღძრულ საქმეს გაუერთიანდა ამავე კოლეგიის წარმოებაში არსებული მეორე ადმინისტრაციული საქმე მოსარჩელეების – ნ. ქ-ის, მ. ა-ის, ე. ქ-ისა და ნ. ს-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – თბილისის მთავრობის მიმართ, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელეთა განმარტებით, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის მიერ 1999-2003 წლებში გამოცემული დადგენილებები, რომელთა საფუძველზეც მოსარჩელეებს ქ. თბილისში მშენებარე მრავალბინიან სახლებში საცხოვრებელი ბინები გამოეყოთ. მოსარჩელეებზე ბინების გამოყოფა ხორციელდებოდა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი წარმოადგენდნენ მძიმე საბინაო პირობებში მყოფ პირებს, რის გამოც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ექვემდებარებოდნენ ბინებით უზრუნველყოფას.

მოსარჩელეთა მითითებით, ქ. თბილისის მთავრობის გასაჩივრებული დადგენილება, როგორც ფორმალური, ისე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ეწინააღმდეგება კანონს და გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა

და გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებითი დარღვევით.

მოსარჩევეები მიუთითებენ, რომ გასაჩივრებული დადგენილების უმთავრეს საფუძველს თბილისის ყოფილი პრემიერის გ. შ-ის მიმართ გამოტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის განაჩენი წარმოადგენს, რომლის ხელმძღვანელობითაც თბილისის მთავრობა გამოსცემდა დადგენილებებს ბინების განაწილების თაობაზე. მოსარჩელეთა მოსაზრებით, აღნიშნული განაჩენი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სადავო დადგენილების გამოცემის სავალდებულო საფუძველად, ვინაიდან, აღნიშნული განაჩენი მათთან მიმართებაში ვერ იძენს პრეიუდიციულ მნიშვნელობას და ვერ ქმნის მათ სასარგებლოდ გამოცემული აქტების ბათილად ცნობის უპირობო საფუძველს, იმ მოტივით, რომ მოხელის დამნაშავედ ცნობა არ შეიძლება ინვესტის იმ კერძო პირთა ქონებრივ პასუხისმგებლობას, რომლებსაც არადფერი აქვთ საერთო დანაშაულებრივ ქმედებასთან. მოსარჩელეთა მითითებით, მთავრობის გადაწყვეტილებები (დადგენილებები) მიიღებოდა სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო მათ ხელს აწერდა პრემიერი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. ამდენად, მთავრობის დადგენილება წარმოადგენდა არა ერთპიროვნულად მიღებულ გადაწყვეტილებას, არამედ, კოლეგიური ნესით, მთავრობის წევრთა უმრავლესობის ნების საფუძველზე გამოცემულ აქტს, ხოლო პრემიერი დადგენილებაზე ხელმოწერით ასრულებდა ადმინისტრაციულ ფუნქციას, რომელიც მას კანონმდებლობით ჰქონდა დაკისრებული.

მოსარჩელეთა მოსაზრებით, გასაჩივრებული აქტის უკანონობაზე მიუთითებს ასევე ის გარემოება, რომ ქ. თბილისის მთავრობას ინდივიდუალურად არ გამოუკვლევია თითოეულ მოსარჩელეთა მიმართებაში გამოცემული დადგენილების მართლზომიერება.

მოსარჩელეთა მითითებით, საგულისხმოა ასევე ის გარემოება, რომ გასაჩივრებული დადგენილება დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს, რადგან იდენტურ შემთხვევებში კონკრეტულ პირთა მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილებები იქნა მიღებული.

მოსარჩელეთა განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში ქ. თბილისის მთავრობამ უდავოდ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მოთხოვნები, ბათილად ცნო აღმწერველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და სადავო აქტით დაუსაბუთებლად შელახა მოსარჩელეთა კანონიერი უფლება და ინტერესი. მოცემულ შემთხვევაში, ქ. თბილისის მთავრობის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული საჯარო ინტერესების უპირატესობა მოსარჩელეთა კერძო ინტერესების მიმართ. ვერ იქნა დასაბუთებული თუ რა საჯარო ინტერესები იკვეთება მოსარჩელეთა სასარგებ-

ლოდ გამოცემული აქტების ბათილად ცნობასთან მიმართებაში.

მოსარჩელეთა განმარტებით, მთავრობის ის დადგენილებები, რომლებიც გასაჩივრებული დადგენილებით ბათილად იქნა ცნობილი, რომც წარმოადგენდნენ კანონსაწინააღმდეგო აქტებს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, მათი ბათილად ცნობა დაუშვებელია, ვინაიდან, აღნიშნული ნორმის მიხედვით, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ.

მოსარჩელეთა მითითებით, ასევე საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის № 15-5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისში საცხოვრებელი ფონდის შექმნისა და განკარგვის წესის“ მიხედვით, რომელიც ადგენს საცხოვრებელი ფონდის განკარგვის სამართლებრივ მექანიზმებს, ბინით დაკმაყოფილების ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრავს მძიმე საბინაო პირობებს, რაც შეფასებითი კატეგორიის ცნებაა და მასზე მსჯელობა ადმინისტრაციული ორგანოსათვის ფართო დისკრეციის საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, მოსარჩელეთა მოსაზრებით, ქ. თბილისის მთავრობა იყენებდა რა დისკრეციულ უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებათა შეფასების შედეგად ადგენდა იმყოფებოდა თუ არა კონკრეტული პირი (ოჯახი) მძიმე საბინაო პირობებში და დადებით შემთხვევაში გამოსცემდა დადგენილებას ბინის გადაცემის თაობაზე. ამდენად, პარადოქსია, როდესაც ქ. თბილისის მთავრობა, ანუ ორგანო, რომელიც რამდენიმე წლის წინ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიზანშეწონილად მიიჩნევდა ბინის გაცემას, დღეს ახორციელებს თავისივე გადაწყვეტილების რევიზიას და ახლებურად აფასებს წარსულში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას.

მოსარჩელეთა მითითებით, გასაჩივრებული დადგენილების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს ასევე ის გარემოება, რომ იგი გამოცემულ იქნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებითი დარღვევით. კერძოდ, სადავო აქტის გამოცემისას დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლების მოთხოვნები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 24 მარტის საოქმო განჩინებით საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო მოსარჩელე – ე. ჭ-ის სასარჩელო მოთხოვნა და მოსარჩელის – ე. ჭ-ის გარდაცვალების გამო უფლებამონაცვლის დადგენამდე შეჩერდა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიის 2010 წლის 17 მაისის განჩინებით მოსარჩელე – ნ. ს-ესა და მოპასუხე – ქ. თბილისის მთავრობას შორის დამტკიცდა 2010 წლის 23 აპრილს მიღწეული მორიგება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით პ. გ-ის, ნ. ხ-ის, მ. ლ-ის, ჯ. ს-ის, ნ. ჭ-ისა და მ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მთავრობამ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ“ 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილებით ბათილად ცნო: ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები; ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 10 ივლისის №09.34.218 დადგენილება; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №19.25.450 დადგენილების პირველი პუნქტი; ქ. თბილისის მთავრობის 1999 წლის 20 აპრილის №02.31.51 დადგენილება.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით, ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში ასაშენებელ „ბ“ კორპუსში მოსარჩელე მ. ა-ს დაუმაგრდა 67.2 კვ.მ. ფართის სამოთახიანი ბინა №1, I სადარბაზოს I სართულზე; აგრეთვე მოსარჩელე ჯ. ს-ს დაუმაგრდა 67.2 კვ.მ. ფართის სამოთახიანი ბინა №23, მე-2 სადარბაზოს I სართულზე; აგრეთვე მოსარჩელე ნ. ჭ-ეს დაუმაგრდა 66.3 კვ.მ. ფართის ორმოთახიანი ბინა №28, მე-2 სადარბაზოს მე-2 სართულზე. ამასთან, ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 10 ივლისის №09.34.218 დადგენილებით დაკმაყოფილდა რა მოსარჩელე მ. ლ-ის თხოვნა, ამ უკანასკნელს გამოეყო ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მშენებარე „ბ“ კორპუსში I სადარბაზოს II სართულზე 69.5 კვ.მ. ფართის ორმოთახიანი ბინა №6. ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №19.25.450 დადგენილების პირველი პუნქტით მოსარჩელე პ. გ-ს და მის ოჯახს დაუმტკიცდა (გამოეყო) ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მშენებარე „ბ“ კორპუსში მე-2 სადარბაზოს პირველ სართულზე 31.7 კვ.მ. ფართის ერთოთახიანი ბინა №17. ხოლო, ქ. თბილისის მთავრობის 1999 წლის 20 აპრილის №02.31.51 დადგენილებით ნ. ხ-ეს და მის ოჯახს დაუმტკიცდა (გამოეყო) ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მშენებარე „ბ“ კორპუსში მე-2 სადარბაზოს მე-4 სართულზე 31.7 კვ.მ. ფართის ერთოთახიანი ბინა №23.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილების გამოცემამდე

მოპასუხემ განახორციელა შემდეგი სახის და შინაარსის ღონისძიებები:

ქ. თბილისის მთავრობამ 2007 წლის 14 თებერვლის №04.06.125 დადგენილებით გადაწყვიტა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების, ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 10 ივლისის №09.34.218 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №19.25.450 დადგენილების, ქ. თბილისის მთავრობის 1999 წლის 20 აპრილის №02.31.51 დადგენილების კანონიერების შესწავლის მიზნით.

ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის №04.06.125 დადგენილება გამოქვეყნდა გაზეთ „...“ 2007 წლის 21 თებერვლის 37-ნომერში.

ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 7 მარტის №06.23.190 დადგენილებით მოპასუხემ გადაწყვიტა, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების, ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 10 ივლისის №09.34.218 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №19.25.450 დადგენილების, ქ. თბილისის მთავრობის 1999 წლის 20 აპრილის №02.31.51 დადგენილების კანონიერების შესახებ საკითხის განხილვის მიზნით ზეპირი მოსმენა ჩატარებინა 2007 წლის 16 მარტს, 11:00 საათზე, ქ. თბილისის მერიის სხდომათა დარბაზში.

2007 წლის 16 მარტის ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმით დგინდება, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების, ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 10 ივლისის №09.34.218 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №19.25.450 დადგენილების, ქ. თბილისის მთავრობის 1999 წლის 20 აპრილის №02.31.51 დადგენილების კანონიერების შესახებ საკითხის განხილვის მიზნით, ნამდვილად ჩატარდა სხდომა 2007 წლის 16 მარტს 11:00 საათზე, ქ. თბილისის მერიის სხდომათა დარბაზში; სხდომას ესწრებოდნენ ქ. თბილისის მერიის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) – მ. ა-ი, ქ. თბილისის მერიის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის, ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის, აგრეთვე ქ. თბილისის მერიის სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები; სხდომას ესწრებოდნენ ასევე დაინტერესებული პირები, მათ შორის – მოსარჩელები – პ. გ-ი, ნ. ხ-ე, ჯ. ს-ი, აგრეთვე მოსარჩელეთა წარმომადგენელი – პ. კ-ე; სხდომის ოქმით დგინდება, რომ თავად მოსარჩელე მხარის უშუალო მონაწილეობით მიმოხილულ იქნა ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების, ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 10 ივლისის №09.34.218 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიცი-

პალიტეტი კაბინეტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №19.25.450 დადგენილების, ქ. თბილისის მთავრობის 1999 წლის 20 აპრილის №02.31.51 დადგენილების გამოცემის ფაქტობრივი საფუძვლები.

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში განცხადებათა დაფაზე საჯაროდ გამოცხადდა ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის სხდომის დღის წესრიგი.

ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების, ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 10 ივლისის №09.34.218 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №19.25.450. დადგენილების, ქ. თბილისის მთავრობის 1999 წლის 20 აპრილის №02.31.51 დადგენილების კანონიერების შესახებ საკითხის განხილვის მიზნით, 2007 წლის 30 მარტს გაიმართა ქ. თბილისის მთავრობის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ქ. თბილისის მერი, აგრეთვე ქ. თბილისის მთავრობის წევრები, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების წარმომადგენლები; მოცემულ სხდომაზე შედგა №7 სხდომის ოქმი, სხდომაზე მიღებულ იქნა სადავო ადმინისტრაციული აქტის – დადგენილების პროექტი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის №1/7126 განაჩენით ქ. თბილისის ყოფილი პრემიერი – გ. შ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის (მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი არაერთგზის) ჩადენისთვის.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია: ა) დაინტერესებული პირის განცხადება; ბ) ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება – გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლოს შეფასებით, სადავო შემთხვევაში, მოპასუხე უფლებამოსილი იყო ეხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით სწორედ იმ მოტივით, რომ არსებობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის №1/7126 განაჩენი ქ. თბილისის ყოფილი პრემიერის – გ. შ-ის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის დამნაშავედ

ცნობის თაობაზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის №1/7126 განაჩენი საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი იყო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად.

საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა მოპასუხის მსჯელობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №19.25.450 დადგენილებასთან, აგრეთვე ქ. თბილისის მთავრობის 1999 წლის 20 აპრილის №02.31.51 დადგენილებასთან მიმართებაში და განმარტა, რომ „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 12.1 მუხლის „ს“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკითხის დეტალური მოწესრიგების მიზნით, პირველი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ქ. თბილისის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა 2000 წლის 20 დეკემბერს, კერძოდ, ეს არის ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის №15-5 გადაწყვეტილება „ქ. თბილისში, საცხოვრებელი ფონდის შექმნისა და განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“, რაც იმას ნიშნავს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №19.25.450 დადგენილება და ქ. თბილისის მთავრობის 1999 წლის 20 აპრილის №02.31.51 დადგენილება გამოცემულია კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „ნორმატიული აქტების შესახებ“ 1996 წლის 29 ოქტომბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მიიღება (გამოიცემა) მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში. სასამართლოს შეფასებით, უდავოა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №19.25.450 დადგენილება და ქ. თბილისის მთავრობის 1999 წლის 20 აპრილის №02.31.51 დადგენილება გამოიცა ქალაქის საბინაო ფონდის შექმნისა და განკარგვის შესახებ კონკრეტული წესების არარსებობის პირობებში, რაც დაუშვებელია; შესაბამისად, აღნიშნული ადმინისტრაციული აქტები ეწინააღმდეგება მათი გამოცემის დროს მოქმედი „ნორმატიული აქტების შესახებ“ 1996 წლის 29 ოქტომბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, აგრეთვე „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 12.1 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის დებულებებს, რაც მათი ბათილად ცნობის საფუძველია.

ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 და ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 10 ივლისის №09.34.218 დადგენილებებთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ აღ-

ნიშნა, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობამ მათზე სწორად გაავრცელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, რადგან უდავოა, რომ ამ დადგენილებების გამოცემის მომენტში აღნიშნული საკანონმდებლო აქტი უკვე მოქმედებდა და მისი მოთხოვნები სავალდებულოდ გასათვალისწინებელი იყო ქ. თბილისის მთავრობისთვისაც.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან, ლიცენზირებასთან, გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემასთან, სტანდარტიზაციასთან და სატელეკომუნიკაციო სიხშირის განაწილებასთან დაკავშირებით ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოიყენება ამ თავით დადგენილი წესები, ანუ საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისთვის ამ კოდექსით დადგენილი წესები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლი მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობას ავალდებულებდა საკითხის გადაწყვეტამდე, ანუ მუნიციპალური საკუთრების განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ჩატარებინა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ისე, როგორც ეს დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე–121-ე მუხლებით. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, საქმის მასალით დადასტურებულია, რომ მოპასუხე – ქ. თბილისის მთავრობა ისე გამოსცემდა ადმინისტრაციულ აქტებს, ანუ ისე ახდენდა კონკრეტულ ფიზიკურ პირებზე მუნიციპალური საკუთრების განაწილება–გადაცემას, რომ იგი გადაწყვეტილებების მიღებამდე არ იცავდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე–121-ე მუხლების მოთხოვნებს, ანუ არ ახორციელებდა ამ ნორმებით დადგენილ პროცედურულ ღონისძიებებს.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სასამართლოს შეფასებით, ის ფაქტი, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 და 2003 წლის 10 ივლისის №09.34.218 დადგენილებები გამოცემულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გარეშე, ანუ წარმოების სახის დარღვევით, წარმოადგენს საკმარის საფუძველს აღნიშნული აქტების ბათილად ცნობისთვის; თუმცა მოპასუხემ დასახელებული აქტების კანონიერება შეამოწმა როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პროცედურული ნორმების (115-ე–121-ე მუხლების), ისე – მატერიალური სამართლის ნორმათა, კერძოდ „ქ. თბილისში, საცხოვრებელი ფონდის შექმნისა და განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის №15-5 გადაწყვეტილების საფუძველზე, მოპასუხე უფლებამოსილი იყო, მარტოოდენ პროცედურული ნორმების მოთხოვნათა დარღვევის მოტივით ეცნო ბათილად ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 და 2003 წლის 10 ივლისის №09.34.218 დადგენილებები თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილისა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სადავო შემთხვევაში საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულება ნამდვილად არ ატარებდა ფორმალურ ხასიათს გამომდინარე ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის №15-5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისში, საცხოვრებელი ფონდის შექმნისა და განკარგვის წესის“ მოთხოვნებიდან. კერძოდ, აღნიშნული წესის მე-7 მუხლი ადგენდა, რომ დადგენილებას საცხოვრებელი ფონდისა და საცხოვრებელი სადგომების განაწილების, გასხვისების, დროებითი სარგებლობით ან სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებისა და რაიონულ გამგეობებზე მიზნობრივად გადაცემის შესახებ იღებს ქ. თბილისის მთავრობა საქალაქო კომისიის წინადადებების საფუძველზე. ამავე წესის მე-13 მუხლი ადგენდა, რომ ცალკეულ შემთხვევებში, მოქალაქეებზე საცხოვრებელი სადგომის გამოყოფის საკითხს იხილავდა ქ. თბილისის მთავრობა (საბინაო მეურნეობის სამმართველოს ან რაიონული გამგეობის წინადადების საფუძველზე). ამავე წესის მე-14 მუხლი ადგენდა, რომ საცხოვრებელი სადგომების მიღებას ექვემდებარებიან მძიმე საბინაო პირობებში მცხოვრები ოჯახები, რომელთაც გააჩნიათ ქ. თბილისში რეგისტრაციის არანაკლებ 5 წლის სტაჟი. ამავე წესის მე-15 მუხლი ადგენდა, რომ საცხოვრებელი სადგომების განაწილებისას უპირატესობა ეძლეოდათ განსაკუთრებით მძიმე საბინაო პირობებში მცხოვრებ: ა) ოჯახებს, რომელთა ბინა საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდა სტიქიური უბედურების გამო; ბ) ომის ვეტერანებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და დაინვალიდებულთა ოჯახებს; გ)

მრავალშვილიან (3 და მეტი შვილი) ოჯახებს.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, უდავოა, რომ როდესაც ქალაქის კუთვნილი მშენებარე ბინების განკარგვა ხდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო მოკლებულია შესაძლებლობას, სწორად, კანონიერად და დასაბუთებულად განახორციელოს მისთვის ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის №15-5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისში, საცხოვრებელი ფონდის შექმნისა და განკარგვის წესის“ მე-14 და მე-15 მუხლებით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება, ანუ მოკლებულია შესაძლებლობას გააკეთოს სწორი და სამართლიანი არჩევანი რამოდენიმე შესაძლო გადაწყვეტილებათა შორის ერთ-ერთის სასარგებლოდ.

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 და 2003 წლის 10 ივლისის №09.34.218 დადგენილებები, აგრეთვე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №19.25.450 და ქ. თბილისის მთავრობის 1999 წლის 20 აპრილის №02.31.51 დადგენილებები წარმოადგენენ აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, თუმცა, აღნიშნული გარემოება მოპასუხე მხარეს არ ზღუდავდა, თვითონვე ეცნო ისინი ბათილად.

საქალაქო სასამართლოს შეფასებით, სადავო შემთხვევაში ბათილად ცნობილი დადგენილებების მიმართ მოსარჩელებს არ გააჩნიათ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული კანონიერი ნდობა – მოსარჩელებს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე არ შეუსრულებით რაიმე სახის ისეთი იურიდიული მოქმედებები, რომელთა გამოც აქტების ბათილობა მოსარჩელებს მიაყენებდათ რაიმე სახის ზიანს. მოპასუხე მხარეს ნამდვილად გააჩნია ინტერესი იმისა, რომ ბათილად ცნოს ზემოხსენებული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რადგან ამ აქტებით არსებითად ირღვევა სახელმწიფოს და საზოგადოების კანონიერი ინტერესი, სწორად, სამართლიანად და კანონიერად იქნეს განკარგული საზოგადოების ცალკეულ წევრებზე სახელმწიფოს კუთვნილი ქონება.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი საკითხების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონიერია, სრულად შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველს, რაც სარჩელის დაკმაყოფილე-

ბაზე უარის თქმის საფუძველია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პ. გ-მა, ნ. ხ-ემ, მ. ლ-ემ, ჯ. ს-მა, ნ. ჭ-ემ და მ. ა-მა. აპელანტებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 7 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება რ. მ-ე, რომელმაც ნ. ხ-ისგან შეიძინა უფლება სადავო ბინაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 დეკემბრის განჩინებით პ. გ-ის, ნ. ხ-ის, მ. ლ-ის, ჯ. ს-ის, ნ. ჭ-ისა და მ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები, აგრეთვე დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტების მიერ ვერ იქნა გაბათილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები, რისი გათვალისწინებითაც სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებული მოსაზრებები არ ქმნიდნენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა პ. გ-ის, ნ. ხ-ის, მ. ლ-ის, ჯ. ს-ის, ნ. ჭ-ის, მ. ა-ისა და რ. მ-ის წარმომადგენელმა პ. კ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 დეკემბრის განჩინება მათ ნაწილში საკასაციო წესით ცალკე გაასაჩივრეს ნ. ჭ-ემ, მ. ა-მა და ჯ. ს-მა. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების მათ ნაწილში გაუქმება და ახალი

გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 7 მარტის განჩინებით განუხილველი დარჩა ნ. ჭ-ის, მ. ა-ისა და ჯ. ს-ის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 7 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული პ. გ-ის, ნ. ხ-ის, მ. ლ-ის, ჯ. ს-ის, ნ. ჭ-ის, მ. ა-ისა და რ. მ-ის საკასაციო საჩივარი.

კასატორების მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინება ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით უკანონოა და იგი ხელყოფს კასატორთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს მცდარი სამართლებრივი შეფასება მისცა.

კასატორები მიუთითებენ, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის სხდომაზე, რომელზეც სადავო დადგენილების საკითხი კოლეგიური წესით იხილებოდა, მათი მოწვევა არ განხორციელებულა. მათ არ მიეცათ სხდომაზე მონაწილეობის შესაძლებლობა, რითაც დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე-34-ე მუხლების მოთხოვნები. ამდენად, კასატორთა მითითებით, უხერხულია როდესაც მათ სასარგებლოდ გამოცემული აქტების არაკანონიერების მოტივად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საჯაროობის პრინციპის დარღვევა სახელდება, მაშინ, როდესაც თავად გასაჩივრებული დადგენილებაა გამოცემული ამ წესების დარღვევით.

კასატორების მითითებით, სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული დებულებები, რომლებიც არ ახდენენ იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებათა დიფერენციაციას ხარისხობრივი ნიშნით. კასატორების მოსაზრებით, მათ მიერ ორდერების მიღება და ბინებში რეგისტრაცია წარმოადგენს აღმჭურველი აქტების ბათილად ცნობის დამაბრკოლებელ გარემოებას, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით.

კასატორები მიიჩნევენ, რომ გასაჩივრებული დადგენილება დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს, რადგან იდენტურ შემთხვევებში კონკრეტულ პირთა მიმართ განსხვავებული გადანყვეტილებები იქნა მიღებული. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საქმის გარემოებათა

იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 5 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა ცნობილი პ. გ-ის, ნ. ხ-ის, მ. ლ-ის, ჯ. ს-ის, ნ. ჭ-ის, მ. ა-ისა და რ. მ-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2011 წლის 23 ივნისს 11:30 საათზე.

2011 წლის 31 მაისს ქ. თბილისის მერიის იურიდიულმა საქალაქო სამსახურმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა 2011 წლის მაისის თვეში პ. გ-ს, ნ. ხ-ეს, რ. მ-ეს, მ. ლ-ესა და ქ. თბილისის მთავრობას შორის გაფორმებული მორიგების აქტები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ოქტომბრის საოქმო განჩინებით მოცემული საქმის განხილვას გამოეყო პ. გ-ს, მ. ლ-ეს, ნ. ხ-ეს, რ. მ-ესა და ქ. თბილისის მთავრობას შორის გაფორმებული მორიგების აქტების დამტკიცების საკითხის განხილვა და იგი ჩაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ოქტომბრის განჩინებებით მ. ლ-ეს, ნ. ხ-ეს, რ. მ-ეს, პ. გ-სა და ქ. თბილისის მთავრობას შორის დამტკიცდა მორიგების აქტები და მათ ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 9 თებერვლის საოქმო განჩინებით ნ. ჭ-ის, ჯ. ს-ისა და მ. ა-ის საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ჭ-ის, ჯ. ს-ისა და მ. ა-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თავდაპირველად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან, განსახილველ საქმეზე კასატორების – პ. გ-ის, ნ. ხ-ის, მ. ლ-ისა და რ. მ-ის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება სასამართლოს მიერ მხარეთა შორის მორიგების აქტების დამტკიცების გამო, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს მხოლოდ კასატორების – ნ. ჭ-ის, ჯ. ს-ისა და მ. ა-ის ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის დადგენა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის მთავრობამ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ“ 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილებით ბათილად ცნო ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით, ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში ასაშენებელ „ბ“ კორპუსში მწერალ მ. ა-ის ოჯახს დაუმაგრდა 67.2 კვ.მ. ფართობის სამოთახიანი ბინა №1, პირველი სადარბაზოს პირველ სართულზე; კომპოზიტორ ჯ. ს-ის ოჯახს დაუმაგრდა 67.2 კვ.მ. ფართობის სამოთახიანი ბინა №23, მე-2 სადარბაზოს პირველ სართულზე; მსახიობ ნ. ჭ-ის ოჯახს დაუმაგრდა 66.3 კვ.მ. ფართობის სამოთახიანი ბინა №28, მე-2 სადარბაზოს მე-2 სართულზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ქ. თბილისის მთავრობამ 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით იკისრა ვალდებულება მოსარჩელების – ნ. ჭ-ის, ჯ. ს-ისა და მ. ა-ის ოჯახებისათვის საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინები, რომელთა აშენებასაც ქ. თბილისის მთავრობა უზრუნველყოფდა. აღნიშნული დადგენილება წარმოადგენდა აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მოსარჩელებს საკუთრების უფლებას ანიჭებდა ქ. თბილისის მთავრობის მიერ გამოყოფილ ბინებზე. ხოლო დღეის მდგომარეობით მოსარჩელებს სადავო დადგენილებით („ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ“ 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილებით) სრულად აქვთ გაუქმებული მათთვის ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით მინიჭებული უფლებები, კერძოდ, უფლება ბინაზე, უფლება მშენებლობაზე და უფლება ქ. თბილისის მთავრობის მიერ აშენებული ბინის ჩაბარებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ საქმეზე, გარდა კასატორებისა, დანარჩენი მოსარჩელების ნაწილში სასამართლოს მიერ დამტკიცებულია მორიგების აქტები, რომელთა მიხედვით, ქ. თბილისის მთავრობამ იკისრა ვალდებულება ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოეცხადებინა ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილება (თითოეული მოსარჩელის ნაწილში), ამასთან, მორიგების აქტის საფუძველზე ქ. თბილისის მთავრობა გაათავისუფლდა მშენებლობის დასრულების ვალდე-

ბულებისაგან და ქ. თბილისის მთავრობამ იკისრა ვალდებულება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესამაბისად, მოსარჩელეებისათვის საკუთრების უფლებით გადაეცა მორიგების აქტებში მითითებული საცხოვრებელი ბინები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომებზე ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მთავრობა თანახმა იყო კასატორებისათვის აშენების ვალდებულების გარეშე გადაეცა საცხოვრებელი ბინები და მათთან მორიგებულებით მოცემულ საქმეზე დამტკიცებული მორიგების აქტებით გათვალისწინებული პირობებით. თუმცა, საბოლოოდ, მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა. აღნიშნულის მიუხედავად (კასატორებსა და ქ. თბილისის მთავრობას შორის შეთანხმების მიუღწევლობის მიუხედავად), ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაფიქსირებული პოზიციის გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც განსახილველ შემთხვევაში ქ. თბილისის მთავრობამ მორიგების აქტების თანახმად, დანარჩენ მოსარჩელებს ნაწილობრივ აღუდგინა გაუქმებული უფლებები, საკასაციო სასამართლოს დაუშვებლად მიაჩნია კასატორებისათვის სადავო საცხოვრებელ ბინებზე ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით მინიჭებული ყველა უფლების გაუქმება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში საგულისხმოა კასატორების მიმართ თანაზომიერებისა და თანასწორობის პრინციპების დაცვა, ვინაიდან, ადგილი არ ჰქონდეს გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადანყვეტილებების გამოტანას და კასატორების უთანასწორო პირობებში ჩაყენებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადანყვეტილებების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს დიფერენციაციის საფუძველი და უზრუნველყოფილი უნდა იყოს კასატორების მიმართ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილით დაცული კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ქ. თბილისის მთავრობას მიუთითებს, რომ კასატორების მიმართ მიღებულ უნდა იქნეს იმგვარი გადანყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფს განსახილველ შემთხვევაში თანაზომიერებისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. თბილისის მთავრობამ საკუთარი ინიციატივით ცნო ბათილად 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა თუ სხვა გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა თვით მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოსთვისაც, თუმცა ეს კანონიერი ძალა არ არის აბსოლუტური ხასიათის და ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს მისივე გადაწყვეტილებების საკუთარი ინიციატივით გაუქმების შესაძლებლობა. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილი ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას ბათილად ცნოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებისას და ახალი გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდულია ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ფუნდამენტური პრინციპით – კანონიერი ნდობის პრინციპით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილება წარმოადგენს აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელებს ანიჭებს საკუთრების უფლებას ასაშენებელ საცხოვრებელ ბინებზე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილზე და განმარტავს, რომ დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ და განმარტავს, რომ კანონიერი ნდობის პრინციპი უშუალოდ უკავშირდება ადმინისტრაციული ორგანოს წერილობით დაპირებას – აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მოცემულ შემთხვევაში, ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილებას. საკასაციო სასამართლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, უდავოდ მიიჩნევს აღნიშნული აქტის მიმართ მოსარჩელეთა კანონიერი ნდობის არსებობას. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელებს ბათილად ცნობილი დადგენილების მიმართ არ

გააჩნდათ კანონიერი ნდობა, ვინაიდან, მათ არ განუხორციელებიათ რაიმე სახის იურიდიული მოქმედებები. საკასაციო სასამართლოს მითითებით, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელებს საკუთრებაში გადაეცათ ასაშენებელი ბინები (რაც გამორიცხავს გამოყოფილ ბინებში მათი ცხოვრების შესაძლებლობას), საგულისხმოა რა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებების განხორციელება წარმოუშობდა მათ კანონიერ ნდობას; ის ფაქტი, რომ მოსარჩელებმა არ გაასხვისეს აღნიშნული დადგენილებით მათთვის მინიჭებული სამომავლო უფლებები, არ გამორიცხავს მათი კანონიერი ნდობის არსებობას გაუქმებული დადგენილების მიმართ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორებს უნდა აღუდგეთ ის უფლებები, რაც მორიგების აქტების საფუძველზე სხვა ფიზიკურ პირებს შეუნარჩუნდათ, რადგან მონინალმდევე მხარემ ამ ნაწილში ვერ შეძლო დაესაბუთებინა საჯარო ინტერესების უპირატესობა ნ. ქ-ის, ჯ. ს-ისა და მ. ა-ის კერძო ინტერესების მიმართ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილზე მითითებით განმარტავს, რომ კანონმდებლობა იმ შემთხვევაში ითვალისწინებს კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს.

საკასაციო სასამართლო საცხოვრებელი ბინების მშენებლობასთან დაკავშირებით იზიარებს ქ. თბილისის მთავრობის მოსაზრებას და მიუთითებს, რომ აღნიშნულ ნაწილში უსაფუძვლოა კასატორების მოთხოვნა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თბილისის პრემიერი, რომელიც ხელს აწერს გაუქმებულ დადგენილებას, არ იყო უფლებამოსილი ეკისრა საცხოვრებელი ბინების აშენებისა და მოსარჩელეთათვის ჩაბარების ვალდებულება. ქ. თბილისის მთავრობას არც დღეის მდგომარეობით ენიჭება მსგავსი უფლებამოსილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საცხოვრებელი ბინების აშენების ვალდებულების ნაწილში იკვეთება საჯარო ინტერესების უპირატესობა, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ინტერესების არსებითი დარღვევა, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებას ანიჭებდა ამ ნაწილში ბათილად ეცნო შესაბამისი დადგენილება.

სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, მიუთითებს, რომ განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ქ. თბილისის მთავრობის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს მიუთითებს, რომ დისკრეციული უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, მიზნის ლეგიტიმურობის, თანასწორობის, თა-

ნაზომიერების, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობამ აღნიშნული სამართლებრივი პრინციპებისა და საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით კასატორების – ნ. ჭ-ის, ჯ. ს-ისა და მ. ა-ის მიმართ უნდა მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილება ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების ბათილად ცნობის ნაწილში და ქ. თბილისის მთავრობას უნდა დაევალოს განსახილველ საკითხთან მიმართებაში, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, ნ. ჭ-ის, ჯ. ს-ისა და მ. ა-ის ნაწილში გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, პ. კ-ის მიერ ნ. ჭ-ის, ჯ. ს-ის, მ. ა-ისა და სხვათა საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა უნდა დაეკისროს მოპასუხეს – ქ. თბილისის მთავრობას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ნ. ჭ-ის, ჯ. ს-ისა და მ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 დეკემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება ნ. ჭ-ის, ჯ. ს-ისა და მ. ა-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ნ. ჭ-ის, ჯ. ს-ისა და მ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწი-

ლობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნეს ცნობილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილება ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების ბათილად ცნობის ნაწილში და ქ. თბილისის მთავრობას დაევალოს განსახილველ საკითხთან მიმართებაში, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, ნ. ჭ-ის, ჯ. ს-ისა და მ. ა-ის ნაწილში გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

4. მოპასუხეს – ქ. თბილისის მთავრობას პ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ ნ. ჭ-ის, ჯ. ს-ის, მ. ა-ისა და სხვათა საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 300 ლარის ანაზღაურება;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა**

### **გადანყვიბილება სამართველოს სახელით**

№ბს-1546-1525(კ-11)

1 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
პ. სილაგაძე**

**სარჩელის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 1 მაისს პ. გ-მა, ნ. ხ-ემ, მ. ლ-ემ, ჯ. ხ-მა, ი. ჭ-ემ, ჯ. ს-მა და ი. ჭ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის მთავრობის მიმართ.

მოსარჩევეებმა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის № 07.01.205 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის საოქმო განჩინებით გარდაცვლილი მოსარჩელის – ი. ჭ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ვ. ჭ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის განჩინებით მოსარჩევეებს – ჯ. ხ-ს, ი. ჭ-ეს, ვ. ჭ-სა და მოპასუხე – ქ. თბილისის მთავრობას შორის დამტკიცდა 2008 წლის 3 ივნისის მიღწეული მორიგება; ჯ. ხ-ის, ი. ჭ-ისა და ვ. ჭ-ის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში შეწყდა მოცემული საქმის წარმოება.

2007 წლის 1 მაისს ნ. ჭ-ემ, რ. ი-მა, მ. ა-მა, ე. ჭ-ემ, ნ. ს-ემ, ზ. კ-მა, ბ. ი-მა, ჯ. მ-მა, ბ. გ-ემ, რ. შ-ემ, ნ. გ-ემ და გ. კ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის მთავრობის მიმართ.

მოსარჩევეებმა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის № 07.01.205 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 მაისის განჩინებით მოსარჩევეებს – ზ. კ-ს, ჯ. მ-ს, ნ. გ-ესა და მოპასუხე – ქ. თბილისის მთავრობას შორის დამტკიცდა 2008 წლის 20 მაისის მიღწეული მორიგება; ზ. კ-ის, ჯ. მ-ის და ნ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში შეწყდა მოცემული საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 მაისის განჩინებით ბ. (ხ.) ი-ს, ბ. გ-ეს, რ. ი-სა და მოპასუხე – ქ. თბილისის მთავრობას შორის დამტკიცდა 2008 წლის 20 მაისის მიღწეული მორიგება; ბ. (ხ.) ი-ის, ბ. გ-ისა და რ. ი-ნის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში შეწყდა მოცემული საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის განჩინებით რ. შ-ეს, გ. კ-სა და მოპასუხე – ქ. თბილისის მთავრობას შორის დამტკიცდა 2008 წლის 3 ივნისის მიღწეული მორიგება; რ. შ-ისა და გ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში შეწყდა მოცემული საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 17 მარტის განჩინებით მოსარჩევეების – პ. გ-

ის, ნ. ხ-ის, მ. ლ-ისა და ჯ. ს-ის მიერ, მოპასუხის – ქ. თბილისის მთავრობის მიმართ აღძრულ საქმეს გაუერთიანდა ამავე კოლეგიის წარმობაში არსებული მეორე ადმინისტრაციული საქმე მოსარჩელეების – ნ. ჭ-ის, მ. ა-ის, ე. ჭ-ისა და ნ. ს-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – თბილისის მთავრობის მიმართ, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელეთა განმარტებით, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის მიერ 1999-2003 წლებში გამოცემული დადგენილებები, რომელთა საფუძველზეც მოსარჩელებს ქ. თბილისში მშენებარე მრავალბინიან სახლებში საცხოვრებელი ბინები გამოეყოთ. მოსარჩელებზე ბინების გამოყოფა ხორციელდებოდა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი წარმოადგენდნენ მძიმე საბინაო პირობებში მყოფ პირებს, რის გამოც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ექვემდებარებოდნენ ბინებით უზრუნველყოფას.

მოსარჩელეთა მითითებით, ქ. თბილისის მთავრობის გასაჩივრებული დადგენილება, როგორც ფორმალური, ისე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ეწინააღმდეგება კანონს და გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებითი დარღვევით.

მოსარჩელები მიუთითებენ, რომ გასაჩივრებული დადგენილების უმთავრეს საფუძველს თბილისის ყოფილი პრემიერის გ. მ-ის მიმართ გამოტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის განაჩენი წარმოადგენს, რომლის ხელმძღვანელობითაც თბილისის მთავრობა გამოსცემდა დადგენილებებს ბინების განაწილების თაობაზე. მოსარჩელეთა მოსაზრებით, აღნიშნული განაჩენი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სადავო დადგენილების გამოცემის სავალდებულო საფუძველად, ვინაიდან, აღნიშნული განაჩენი მათთან მიმართებაში ვერ იძენს პრეიუდიციულ მნიშვნელობას და ვერ ქმნის მათ სასარგებლოდ გამოცემული აქტების ბათილად ცნობის უპირობო საფუძველს, იმ მოტივით, რომ მოხელის დამნაშავედ ცნობა არ შეიძლება ინვესტირდეს იმ კერძო პირთა ქონებრივ პასუხისმგებლობას, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო დანაშაულებრივ ქმედებასთან. მოსარჩელეთა მითითებით, მთავრობის გადაწყვეტილებები (დადგენილებები) მიიღებოდა სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო მათ ხელს აწერდა პრემიერი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. ამდენად, მთავრობის დადგენილება წარმოადგენდა არა ერთპიროვნულად მიღებულ გადაწყვეტილებას, არამედ, კოლექტიური ნების, მთავრობის წევრთა უმრავლესობის ნების საფუძველ-

ზე გამოცემულ აქტს, ხოლო პრემიერი დადგენილებაზე ხელმოწერით ასრულებდა ადმინისტრაციულ ფუნქციას, რომელიც მას კანონმდებლობით ჰქონდა დაკისრებული.

მოსარჩელეთა მოსაზრებით, გასაჩივრებული აქტის უკანონობაზე მიუთითებს ასევე ის გარემოება, რომ ქ. თბილისის მთავრობას ინდივიდუალურად არ გამოუკვლევია თითოეულ მოსარჩელეთა მმართველებაში გამოცემული დადგენილების მართლზომიერება.

მოსარჩელეთა მითითებით, ასევე საგულისხმოა ის გარემოება, რომ გასაჩივრებული დადგენილება დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს, რადგან იდენტურ შემთხვევებში კონკრეტულ პირთა მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილებები იქნა მიღებული.

მოსარჩელეთა განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში ქ. თბილისის მთავრობამ უდავოდ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მოთხოვნები, ბათილად ცნო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და სადავო აქტით დაუსაბუთებლად შელახა მოსარჩელეთა კანონიერი უფლება და ინტერესი. მოცემულ შემთხვევაში, ქ. თბილისის მთავრობის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული საჯარო ინტერესების უპირატესობა მოსარჩელეთა კერძო ინტერესების მიმართ. ვერ იქნა დასაბუთებული თუ რა საჯარო ინტერესები იკვეთება მოსარჩელეთა სასარგებლოდ გამოცემული აქტების ბათილად ცნობასთან მიმართებაში.

მოსარჩელეთა განმარტებით, მთავრობის ის დადგენილებები, რომლებიც გასაჩივრებული დადგენილებით ბათილად იქნა ცნობილი, რომც წარმოადგენდნენ კანონსაწინააღმდეგო აქტებს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, მათი ბათილად ცნობა დაუშვებელია, ვინაიდან, აღნიშნული ნორმის მიხედვით, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ.

მოსარჩელეთა მითითებით, ასევე საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის №15-5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისში საცხოვრებელი ფონდის შექმნისა და განკარგვის წესის“ მიხედვით, რომელიც ადგენს საცხოვრებელი ფონდის განკარგვის სამართლებრივ მექანიზმებს, ბინით დაკმაყოფილების ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრავს მძიმე საბინაო პირობებს, რაც შეფასებითი კატეგორიის ცნებაა და მასზე მსჯელობა ადმინისტრაციული ორგანოსათვის ფართო დისკრეციის საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, მოსარჩელეთა მოსაზრებით, ქ. თბილისის მთავრობა იყენებდა რა დისკრეციულ უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებათა შეფასების შედეგად ადგენდა იმყოფებოდა თუ არა კონკრეტული პირი

(ოჯახი) მძიმე საბინაო პირობებში და დადებით შემთხვევაში გამოს-  
ცემდა დადგენილებას ბინის გადაცემის თაობაზე. ამდენად, პარა-  
დოქსია, როდესაც ქ. თბილისის მთავრობა, ანუ ორგანო, რომელიც  
რამდენიმე წლის წინ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებ-  
ში მიზანშეწონილად მიიჩნევდა ბინის გაცემას, დღეს ახორციელებს  
თავისივე გადაწყვეტილების რევიზიას და ახლებურად აფასებს წარ-  
სულში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას.

მოსარჩელეთა მითითებით, გასაჩივრებული დადგენილების ბა-  
თილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს ასევე ის გარემოება, რომ  
იგი გამოცემულ იქნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გა-  
მოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსე-  
ბითი დარღვევით. კერძოდ, სადავო აქტის გამოცემისას დარღვეუ-  
ლია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლების  
მოთხოვნები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიის 2010 წლის 24 მარტის საოქმო განჩინებით საქმეს ცალკე  
წარმოებად გამოეყო მოსარჩელე – ე. ქ-ის სასარჩელო მოთხოვნა და  
მოსარჩელის – ე. ქ-ის გარდაცვალების გამო უფლებამონაცვლის  
დადგენამდე შეჩერდა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიის 2011 წლის 24 თებერვლის საოქმო განჩინებით განახლდა  
საქმის წარმოება და გარდაცვლილი მოსარჩელის – ე. ქ-ის უფლება-  
მონაცვლედ საქმეზე მოწვეულ იქნა მისი პირველი რიგის მემკვიდრე  
– ზ.ლ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიის 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით ზ.ლ-ის სარჩე-  
ლი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს უარი ეთქვა „ქ. თბილისის მუ-  
ნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მთავრობის ზოგიერთი  
დადგენილების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესა-  
ხებ“ მოპასუხის – ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის  
№07.01.205 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ ბათილად  
ცნობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიის 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წე-  
სით გაასაჩივრა ზ. ლ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტი-  
ლების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყო-  
ფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინებით ზ. ლ-ის სააპელა-  
ციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სა-  
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011  
წლის 30 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში ასაშენებელი „ბ“ კორპუსში მოსარჩელე ზ. ლ-ის მამას – მ. ლ-ეს (მის ოჯახს) დაუმაგრდა 67.2 კვ.მ. ფართის სამოთახიანი ბინა №26, მე-2 სადარბაზოს მე-2 სართულზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის №04.06.125 დადგენილების საფუძველზე დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების, ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 10 ივლისის №09.34.218 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №19.25.450 დადგენილების, ქ. თბილისის მთავრობის 1999 წლის 20 აპრილის №02.31.51 დადგენილების კანონიერების შესწავლის მიზნით. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის №04.06.125 დადგენილება გამოქვეყნდა გაზეთ „...“ 2007 წლის 21 თებერვლის 37-ენომერში. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 7 მარტის №06.23.190 დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების კანონიერების შესახებ საკითხის განხილვის მიზნით ზეპირი მოსმენა დაინიშნა 2007 წლის 16 მარტს, 11:00 საათზე, ქ. თბილისის მერიის სხდომათა დარბაზში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 2007 წლის 16 მარტის ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმის თანახმად, ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების კანონიერების შესახებ საკითხის განხილვის მიზნით ნამდვილად ჩატარდა სხდომა 2007 წლის 16 მარტს 11:00 საათზე, ქ. თბილისის მერიის სხდომათა დარბაზში; სხდომას ესწრებოდნენ ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) – მ. ა-იანი, ქ. თბილისის მერიის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის, ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის, აგრეთვე ქ. თბილისის მერიის სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები; სხდომას ესწრებოდნენ ასევე დაინტერესებული პირები, მათ შორის – მოსარჩელები – ჰ. გ-ი, ნ. ხ-ე, ჯ. ს-ი, აგრეთვე მოსარჩელეთა წარმომადგენელი – ჰ. კ-ე; სხდომის ოქმით დგინდება, რომ თავად მოსარჩელე მხარის უშუალო მონაწილეობით მიმოხილულ იქნა ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების გამოცემის ფაქტობრივი საფუძველები.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში განცხადებათა დაფაზე საჯაროდ გამოცხადდა ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის სხდომის დღის წესრიგი. ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4

აპრილის №06.27.121 დადგენილების კანონიერების შესახებ საკითხის განხილვის მიზნით, 2007 წლის 30 მარტს, გაიმართა ქ. თბილისის მთავრობის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ქ. თბილისის მერი, აგრეთვე ქ. თბილისის მთავრობის წევრები, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების წარმომადგენლები; მოცემულ სხდომაზე შედგა №7 სხდომის ოქმი, სხდომაზე მიღებულ იქნა სადავო ადმინისტრაციული აქტის – დადგენილების პროექტი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121. დადგენილების პირველი პუნქტის „დ“ ქვე-პუნქტი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის №1/7126 განაჩენით ქ. თბილისის ყოფილი პრემიერი – გ. შ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის, კერძოდ, მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, არაერთგზის ჩადენისთვის.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინ-

ტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძველად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნას და მიუთითა, რომ მოპასუხე მხარე უფლებამოსილი იყო დაენიშნა ადმინისტრაციული წარმოება ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების კანონიერების შესწავლის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ვინაიდან, არსებობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის №1/7126 განაჩენი ქ. თბილისის ყოფილი პრემიერის – გ. შ-ძის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის დამნაშავედ ცნობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დადგენილია, რომ გ. შ-ძისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდა ქ. თბილისის ყოფილი პრემიერის მიერ წლების განმავლობაში ქ. თბილისის კუთვნილი ქონების უკანონო განკარგვა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, სხვა პირებისთვის დროებით სარგებლობაში თუ საკუთრებაში გადაცემა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის №1/7126 განაჩენი საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი იყო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან, ლიცენზირებასთან, გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემასთან, სტანდარტიზაციასთან და სატელეკომუნიკაციო სიხშირის განაწილებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოიყენება ამ თავით დადგენილი წესები, ანუ საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისთვის ამ კოდექსით დადგენილი წესები.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე მხარის მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი ნორმები და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ქ. თბილისის მთავრობის მიერ სრულად იქნა დაცული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე-121-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის №04.06.125 დადგენილება ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებების კანონიერების შესწავლის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „...“, აღნიშნულთან დაკავშირებით გაიმართა ზეპირი მოსმენა და ყველა დაინტერესებულ პირს მიეცა საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების შესაძლებლობა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 120-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას უნდა გაიმართოს ზეპირი მოსმენა, რომლის დროსაც გამოიყენება ამ კოდექსის 110-ე-112-ე მუხლების დებულებები. ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის გადადების შესაძლებლობა, ადმინისტრაციული ორგანო წინასწარ აცხადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის გადადების შესახებ.

რაც შეეხება აპელანტის მითითებას ზეპირი მოსმენის გამართვიდან ადმინისტრაციული აქტის გამოცემის 10-დღიანი ვადის დარღვევასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული არ წარმოადგენს არსებითი ხასიათის დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნებს, რომ გასაჩივრებული ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილების გამოცემისას, ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების კანონიერების დადგენის მიზნით, ყოველმხრივ შესწავლილ და გამოკვლეულ იქნა საქმის გარემოებები. მოპასუხემ დასახელებული აქტების კანონიერება შეამოწმა როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პროცედურული ნორმების (115-ე-121-ე მუხლების), ისე – მატერიალური სამართლის ნორმათა, კერძოდ, ქ. თბი-

ლისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის №15-5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისში, საცხოვრებელი ფონდის შექმნისა და განკარგვის წესის“ შესაბამისად. კერძოდ, ქალაქის კუთვნილი მშენებარე ბინების განკარგვა განხორციელდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო მოკლებული იყო შესაძლებლობას, სწორად, კანონიერად და დასაბუთებულად განეხორციელებინა ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის №15-5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისში, საცხოვრებელი ფონდის შექმნისა და განკარგვის წესის“ მე-14 და მე-15 მუხლებით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება და გაეკეთებინა სწორი და სამართლიანი არჩევანი რამოდენიმე შესაძლო გადაწყვეტილებათა შორის ერთ-ერთის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო დაეყრდნო და იხელმძღვანელა ისეთი დოკუმენტით, რომელიც საქმეში წარმოდგენილი არ არის. კერძოდ, აპელანტი მიუთითებს ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის №15-5 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „ქ. თბილისში, საცხოვრებელი ფონდის შექმნისა და განკარგვის შესახებ“ დებულებაზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის №15-5 გადაწყვეტილება წარმოადგენს ზემოთ მითითებული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ნორმატიულ აქტს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტებით, თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის №15-5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისში, საცხოვრებელი ფონდის შექმნისა და განკარგვის წესის“ მე-15 მუხლის თანახმად, საცხოვრებელი სადგომების განაწილებისას უპირატესობა ეძლევათ განსაკუთრებით მძიმე საბინაო პირობებში მცხოვრებ: ა) ოჯახებს რომელთა ბინა საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდა სტიქიური უბედურების გამო; ბ) ომის ვეტერანებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძო-

ლებში დალუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და დაინვალიდე-ბულთა ოჯახებს; გ) მრავალშვილიან (3 და მეტი შვილი) ოჯახებს.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ სადავო შემთხვევაში, ბათილად ცნობილი დადგენილების მიმართ მოსარჩელეს არ გააჩნია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული კანონიერი ნდობა – მოსარჩელეს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე არ შეუსრულებია რაიმე სახის ისეთი იურიდიული მოქმედებები, რომელთა გამოც აქტის ბათილობა მოსარჩელეს მიაყენებდა რაიმე სახის ზიანს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილებით არსებითად ირღვეოდა სახელმწიფოს და საზოგადოების კანონიერი ინტერესი, სწორად, სამართლიანად და კანონიერად იქნეს განკარგული საზოგადოების ცალკეულ წევრებზე სახელმწიფოს კუთვნილი ქონება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

დადგენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს და მიიჩნია, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ“ მოპასუხის – ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილება გასაჩივრებულ ნაწილში კანონმდებლობის სრული დაცვით არის მიღებული და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმ გარემოებაზე, რომ 2010 წლის 13 ოქტომბრიდან ზ. ლ-ე ცნობილი იყო კანონიერ მემკვიდრედ და სასამართლოს მიერ არ მოხდა მისი მიწვევა 2011 წლის 24 თებერვლის სასამართლო სხდომაზე. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალების თანახმად, 2011 წლის 24 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინის-

ტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანცელარიაში წარდგენილი იქნა ე.ჭ-ის წარმომადგენლის პ. კ-ის განცხადება, რომელსაც ერთვის ნოტარიუს თ. ბ-ის მიერ გაცემული სამკვიდრო მონუმობა. სამკვიდრო მონუმობის თანახმად, ან გარდაცვლილი ე.ჭ-ის კანონისმიერ მემკვიდრეს წარმოადგენს ზ. ლ-ე. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის მოსარჩელე ე.ჭ-ის კანონიერი მემკვიდრის არსებობის შესახებ ცნობილი გახდა 2011 წლის 24 თებერვალს. 2011 წლის 24 თებერვლის საოქმო განჩინებით კი ან გარდაცვლილი მოსარჩელის ე.ჭ-ის უფლებამონაცვლედ მონვეულ იქნა მისი პირველი რიგის მემკვიდრე ზ. ლ-ე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მითითება იმ გარემოებაზე, რომ სასამართლომ არაუფლებამოსილი პირისაგან მიიღო შესაგებელი. საქმეში წარმოდგენილ ქ. თბილისის მთავრობის შესაგებელს თან ერთვის ქ. თბილისის მერის გ.უუ-აგას მიერ გაცემული მინდობილობა, რომლის თანახმადაც ქ. თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვ. ბ-ი უფლებამოსილი იქნა მიიღოს მონაწილეობა ე.ჭ-ის სარჩელთან დაკავშირებულ საქმის წარმოებაში.

რაც შეეხება სასამართლო სხდომაზე არაუფლებამოსილი პირის მონაწილეობის შესახებ მითითებას, სააპელაციო სასამართლომ აპელანტის ყურადღება მიაქცია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 4 მაისის განჩინებაზე უსწორობის გასწორების შესახებ, რომლითაც გასწორდა 2011 წლის 15 მარტს გამართული მოსამზადებელი სასამართლო სხდომის ოქმის პირველ გვერდზე დაშვებული უსწორობა იმგვარად, რომ მოპასუხის ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენლად მიეთითა ვ. ბ-ი, ნაცვლად ნ. ს-ისა. აღნიშნული განჩინება აპელანტ ზ. გლ-ეს 2011 წლის 7 მაისს ჩაბარდა.

ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრით ვერ იქნა გაბათილებული საქალაქო სასამართლოს დასკვნები სარჩელის უსაფუძვლობის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი, რის გამოც არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უცვლელად უნდა დარჩენილიყო გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინება საკასაციო წესით

გასაჩივრა ზ. ლ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, მ. ლ-ის ოჯახს ბინა მიეკუთვნა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების სრული დაცვით, რის გამოც მას კანონიერი ნდობა წარმოეშვა ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 აღმჭურველი აქტის მიმართ. კასატორი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა კერძო საკუთრების ხელყოფა, რაც უდავოდ ზიანს აყენებს მოსარჩელეს.

კასატორის მითითებით, სასამართლო აპელირებს, რომ 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილება არსებითად არღვევდა სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. კასატორის მოსაზრებით, უსაფუძვლოა როდესაც სასამართლო მიუთითებს, რომ მოპასუხეს არ ევალებოდა ასეთი დაპირისპირება და მათი შეფასება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ნოემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ზ. ლ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 1 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა ცნობილი ზ. ლ-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2012 წლის 9 თებერვალს 12:30 საათზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 1 მარტის საოქმო განჩინებით ზ. ლ-ის საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ლ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის მთავრობამ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ“ 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილებით ბათილად ცნო ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121

დადგენილების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში ასაშენებელი „ბ“ კორპუსში მოსარჩელე ზ. ლ-ის მამას – პოეტ მ. ლ-ეს (მის ოჯახს) დაუმაგრდა 67.2 კვ.მ. ფართის სამოთახიანი ბინა №26, მე-2 სადარბაზოს მე-2 სართულზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ქ. თბილისის მთავრობამ 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით აიღო ვალდებულება კასატორის – ზ. ლ-ის მამის – პოეტ მ. ლ-ის ოჯახისათვის საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინა, რომლის აშენებასაც ქ. თბილისის მთავრობა უზრუნველყოფდა. აღნიშნული დადგენილება წარმოადგენდა აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მოსარჩელის მამას – მ. ლ-ეს საკუთრების უფლებას ანიჭებდა ქ. თბილისის მთავრობის მიერ გამოყოფილ ბინაზე. ხოლო დღეის მდგომარეობით მოსარჩელეს სადავო დადგენილებით („ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ“ 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილებით) სრულად აქვს გაუქმებული ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით მისი ოჯახისათვის მინიჭებული უფლებები, კერძოდ, უფლება ბინაზე, უფლება მშენებლობაზე და უფლება ქ. თბილისის მთავრობის მიერ აშენებული ბინის ჩაბარებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ანალოგიურ საქმეზე სასამართლოს მიერ მხარეთა შორის დამტკიცებულია მორიგების აქტები, რომელთა მიხედვით, ქ. თბილისის მთავრობამ იკისრა ვალდებულება ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოეცხადებინა ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილება (თითოეული მოსარჩელის ნაწილში), ამასთან, მორიგების აქტის საფუძველზე ქ. თბილისის მთავრობა გათავისუფლდა მშენებლობის დასრულების ვალდებულებისაგან და ქ. თბილისის მთავრობამ იკისრა ვალდებულება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესამაბისად, მოსარჩელებისათვის საკუთრების უფლებით გადაეცა მორიგების აქტებში მითითებული საცხოვრებელი ბინები (ადმინისტრაციული საქმე №ბს-177-175(კ-11)).

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მთავრობა თანახმა იყო კასატორისათვის აშენების ვალდებულების გარეშე გადაეცა საცხოვრებელი ბინა და მასთან მორიგე-

ბულიყო სხვა ფიზიკურ პირებთან დამტკიცებული მორიგების აქტებით გათვალისწინებული პირობებით. თუმცა, საბოლოოდ, მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა. აღნიშნულის მიუხედავად (კასატორსა და ქ. თბილისის მთავრობას შორის შეთანხმების მიუღწევლობის მიუხედავად), ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაფიქსირებული პოზიციის გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც ქ. თბილისის მთავრობამ მორიგების აქტების თანახმად, დანარჩენ ფიზიკურ პირებს ნაწილობრივ აღუდგინა გაუქმებული უფლებები, საკასაციო სასამართლოს დაუშვებლად მიაჩნია კასატორის ოჯახისათვის სადავო საცხოვრებელ ბინაზე ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით მინიჭებული ყველა უფლების გაუქმება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში საგულისხმოა კასატორის მიმართ თანაზომიერებისა და თანასწორობის პრინციპის დაცვა, ვინაიდან, ადგილი არ ჰქონდეს გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილებების გამოტანას და კასატორის უთანასწორო პირობებში ჩაყენებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს დიფერენციაციის საფუძველი და უზრუნველყოფილი უნდა იყოს კასატორის მიმართ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილით დაცული კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ქ. თბილისის მთავრობას მიუთითებს, რომ კასატორის მიმართ მიღებულ უნდა იქნეს იმგვარი გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფს განსახილველ შემთხვევაში თანაზომიერებისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. თბილისის მთავრობამ საკუთარი ინიციატივით ცნო ბათილად 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა თუ სხვა გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა თვით მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოსთვისაც, თუმცა ეს კანონიერი ძალა არ არის აბსოლუტური ხასიათის და ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს მისივე გადაწყვეტილებების საკუთარი ინიციატივით გაუქმების შესაძლებლობა. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-3

ნაწილი ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას ბათილად ცნოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებისას და ახალი გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდულია ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ფუნდამენტური პრინციპით – კანონიერი ნდობის პრინციპით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილება წარმოადგენს აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორს ანიჭებს საკუთრების უფლებას ასაშენებელ საცხოვრებელ ბინაზე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილზე და განმარტავს, რომ დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ და განმარტავს, რომ კანონიერი ნდობის პრინციპი უშუალოდ უკავშირდება ადმინისტრაციული ორგანოს წერილობით დაპირებას – აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მოცემულ შემთხვევაში, ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილებას. საკასაციო სასამართლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, უდავოდ მიიჩნევს აღნიშნული აქტის მიმართ მოსარჩელის კანონიერი ნდობის არსებობას. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს ბათილად ცნობილი დადგენილების მიმართ არ გააჩნია კანონიერი ნდობა, ვინაიდან, მას არ განუხორციელებია რაიმე სახის იურიდიული მოქმედებები. საკასაციო სასამართლოს მითითებით, იმ პირობებში, როდესაც მ. ლ-ის ოჯახს საკუთრებაში გადაეცა ასაშენებელი ბინა (რაც გამორიცხავს გამოყოფილ ბინაში ცხოვრების შესაძლებლობას), საგულისხმოა რა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებების განხორციელება წარმოშობდა კანონიერ ნდობას; ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ არ გაასხვისა აღნიშნული დადგენილებით მინიჭებული სამომავლო უფლებები, არ გამორიცხავს მისი კანონიერი ნდობის არსებობას გაუქმებული დადგენილების მიმართ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა აღუდგეს ის უფლებები, რაც ანალოგიურ საქმეზე მორიგების აქტების საფუძველზე სხვა ფიზიკურ პირებს შეუნარჩუნდათ, რადგან მონინა-აღმდეგე მხარემ ამ ნაწილში ვერ შეძლო დაესაბუთებინა საჯარო

ინტერესების უპირატესობა ზ. ლ-ის კერძო ინტერესების მიმართ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილზე მითითებით განმარტავს, რომ კანონმდებლობა იმ შემთხვევაში ითვალისწინებს კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს.

საკასაციო სასამართლო საცხოვრებელი ბინის მშენებლობასთან დაკავშირებით იზიარებს ქ. თბილისის მთავრობის მოსაზრებას და მიუთითებს, რომ აღნიშნულ ნაწილში უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თბილისის პრემიერი, რომელიც ხელს აწერს გაუქმებულ დადგენილებას, არ იყო უფლებამოსილი ეკისრა საცხოვრებელი ბინის აშენებისადამ. ლ-ის ოჯახისათვის ჩაბარების ვალდებულება. ქ. თბილისის მთავრობას არც დღეის მდგომარეობით ენიჭება მსგავსი უფლებამოსილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საცხოვრებელი ბინის აშენების ვალდებულების ნაწილში იკვეთება საჯარო ინტერესების უპირატესობა, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ინტერესების არსებითი დარღვევა, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებას ანიჭებდა ამ ნაწილში ბათილად ეცნო შესაბამისი დადგენილება.

სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის საფეროს, მიუთითებს, რომ განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ქ. თბილისის მთავრობის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს მიუთითებს, რომ დისკრეციული უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, მიზნის ლეგიტიმურობის, თანასწორობის, თანაზომიერების, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობამ აღნიშნული სამართლებრივი პრინციპებისა და საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით კასატორის – ზ. ლ-ის მიმართ უნდა მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილება ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის ბათილად ცნობის ნაწილში და ქ. თბილისის მთავრობას უნდა დაევალოს განსახილველ საკითხთან მიმართებაში, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათ-

ვალისწინებით, მ. ლ-ისა და ე. ჭ-ის უფლებამონაცვლის – ზ. ლ-ის ნაწილში გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ზ. ლ-ის მიერ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა უნდა დაეკისროს მოპასუხეს – ქ. თბილისის მთავრობას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **ბ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ზ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება ე. ჭ-ის უფლებამონაცვლის – ზ. ლ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. ჭ-ის უფლებამონაცვლის – ზ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნეს ცნობილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის №07.01.205 დადგენილება ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის №06.27.121 დადგენილების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის ბათილად ცნობის ნაწილში და ქ. თბილისის მთავრობას დაევალოს განსახილველ საკითხთან მიმართებაში, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, მ. ლ-ისა და ე. ჭ-ის უფლებამონაცვლის – ზ. ლ-ის ნაწილში გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
4. მოპასუხეს – ქ. თბილისის მთავრობას ზ. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 300 ლარის ანაზღაურება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# აქტის ბათილად ცნობის თაობაზე შეცვლიებითი სარჩელის დასაშვებობა

## ბანჩინება

№ბს-1757-1725(კ-11)

3 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
პ. სილაგაძე

**სარჩელის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების  
ბათილად ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 23 აპრილს ნ. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიმართ.

მოსარჩელემ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობის შესახებ ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2002 წლის 22 აპრილის №03/871 განცხადების, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 1 აპრილის №021-967 შეტყობინებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2010 წლის 17 მარტის №04/5543 წერილის ბათილად ცნობა მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის გადანყევტილებით ნ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის გადანყევტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინებით ნ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა პალატის 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ივნისის განჩინებით ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით ნ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 26 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ შესაბამისად, დასაშვებად იქნა ცნობილი ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2012 წლის 5 აპრილს 13:30 საათზე.

2012 წლის 3 მაისის სასამართლო სხდომაზე ნ. მ-ი არ გამოცხადდა, ხოლო სსიპ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა სასამართლოს წარმოუდგინა ქონებაზე ყადაღის გაუქმების შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 23 თებერვლის №021-146 ბრძანება (აღნიშნული ბრძანების თანახმად, გაუქმდა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 19 ივლისის №021-4397 ბრძანება და ნ. მ-ის ქონების მიმართ ყადაღა ჩაითვალა მოხსნილად), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 4 აპრილის შედარების აქტი და შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2012 წლის 15 თებერვლის დასკვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2012 წლის 3 მაისის საოქმო განჩინებით ნ. მ-ის საკა-  
საციო საჩივრის განხილვა გადაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გა-  
საჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდ-  
გენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ სა-  
კასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს  
გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად და-  
უბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ მო-  
ცემულ საქმეზე დავის საგანს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის  
წარმოშობის შესახებ ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციის  
2002 წლის 22 აპრილის №03/871 განცხადების, საგადასახადო გი-  
რავნობა/იპოთეკის წარმოშობის შესახებ საქართველოს ფინანსთა  
სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური  
ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 1 აპრილის №021-  
967 შეტყობინებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემო-  
სავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადა-  
სახადო ინსპექციის) 2010 წლის 17 მარტის №04/5543 წერილის ბათი-  
ლად ცნობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოე-  
ბაზე, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2012 წლის 3 მაისს  
წარმოდგენილი ქონებაზე ყადაღის გაუქმების შესახებ სსიპ შემო-  
სავლების სამსახურის 2012 წლის 23 თებერვლის №021-146 ბრძანე-  
ბის თანახმად, გაუქმდა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის  
19 ივლისის №021-4397 ბრძანება და ნ. მ-ის ქონების მიმართ ყადაღა  
ჩაითვალა მოხსნილად. ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინის-  
ტროს შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 4 აპრილის შედარების  
აქტის თანახმად, 2012 წლის 31 მარტის მდგომარეობით ნ. მ-ს საგა-  
დასახადო დავალიანება არ ერიცხება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თა-  
ნახმად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ  
ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადან-  
ყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ  
არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გა-  
რემოებები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები, ამდენად, საკა-  
საციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქ-  
მის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი ახალი მტკი-  
ცებულებების (სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 23 თე-  
ბერვლის №021-146 ბრძანების, შემოსავლების სამსახურის მომსა-

ხურების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2012 წლის 15 თებერვლის დასკვნისა და 2012 წლის 4 აპრილის შედარების აქტის) საფუძველზე ხელახლა უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup>-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლების საფუძველზე წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველების გამოვლენისას სასამართლო იღებს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურება არის ის, რომ სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე-179-ე მუხლების მოთხოვნებს, ისე სარჩელის დასაშვებობის მოთხოვნას, რაც სასამართლოს აძლევს უფლებამოსილებას იმსჯელოს სარჩელის დასაბუთებულობაზე (მატერიალური დასაშვებობა).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის დასაშვებობის საკითხს სასამართლო ამოწმებს სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე, თუმცა საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე არ არის შეზღუდული განმწესრიგებელ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით და იმ შემთხვევაში, თუ საქმის (სააპელაციო წესით) განხილვის ეტაპზე გამოვლინდა სარჩელის დაუშვებლობის საფუძველები, სასამართლო იღებს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებას. სარჩელის დასაშვებობის შემოწმება ხდება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნას საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობის შესახებ ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2002 წლის 22 აპრილის №03/871 განცხადების, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 1 აპრილის №021-967 შეტყობინებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2010 წლის 17 მარტის №04/5543 წერილის ბათილად ცნობა წარმოადგენს. ამდენად, სახეზე გვაქვს შეცილებითი სარჩელი, რის გამოც, სარჩელის დასაშვებობის შემოწმება უნდა განხორციელდეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის

საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შეცვლებითი სარჩელის შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის დასაშვებად ცნობის სავალდებულო პირობა არის მხარის კანონიერი ინტერესის არსებობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქონებაზე ყადაღის გაუქმების შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 23 თებერვლის №021-146 ბრძანების თანახმად, გაუქმდა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 19 ივლისის №021-4397 ბრძანება და ნ. მ-ის ქონების მიმართ ყადაღა ჩაითვალა მოხსნილად. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 4 აპრილის შედარების აქტის თანახმად კი 2012 წლის 31 მარტის მდგომარეობით ნ. მ-ს საგადასახადო დავალიანება არ ერიცხება. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს აქვს თუ არა მოსარჩელეს გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის მიმართ კანონიერი ინტერესი და ხომ არ გვაქვს სახეზე სწორედ ის სამართლებრივი მდგომარეობა, რაც სადავო აქტების ბათილად ცნობას მოჰყვებოდა და რაც ნ. მ-ის სარჩელის მიზანს წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup>-ე მუხლით განსაზღვრულ სარჩელის მატერიალური დასაშვებობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იგი თავად ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო განწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სადავო საკითხის გადაწყვეტილად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-535-526(კ-12)

31 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება.

#### აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 28 ნოემბერს მ. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის მიმართ.

მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 28 ოქტომბრის №2479 განკარგულების ბათილად ცნობა და ქ. თბილისის მერიისათვის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების ობიექტურად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალ-

დებულება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 13 ივნისს მან განცხადებით მიმართა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს, რომლითაც ქ. თბილისში, ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელზე (სავაჭრო პავილიონი) ორანჟერეის მონუმობის პროექტის განხილვა მოითხოვა. 2011 წლის 27 ივნისის №2421 ბრძანებით სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა მოსარჩელეს უარი უთხრა ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელზე (სავაჭრო პავილიონი) ორანჟერეის მონუმობის პროექტის წარდგენილი ვარიანტის შეთანხმებაზე. აღნიშნული ბრძანება მოსარჩელემ ქ. თბილისის მერიაში გაასაჩივრა, რომლის 2011 წლის 28 ოქტომბრის №2479 განკარგულებით მას უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

მოსარჩელის განმარტებით, არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალებისათვის წარდგენილ იქნა ქ. თბილისში, ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელზე (სავაჭრო პავილიონი) ორანჟერეის მონუმობის პროექტი და აღნიშნულის მიღებას საფუძვლად დაედო სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დადებითი შეფასება. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ პროექტის შეთანხმებაზე წარდგენილმა დოკუმენტაციამ სამჯერ გაიარა ძეგლთა დაცვის საბჭოს სხდომა. ყველა პროცედურის წარმატებით გავლის შემდეგ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არქიტექტურის სამსახურმა უარი თქვა წარდგენილი პროექტის შეთანხმებაზე. თავის მხრივ არქიტექტურის სამსახური დაეყრდნო გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დასკვნას, რომლითაც ასევე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოსარჩელეს უარი ეთქვა ორანჟერეის მონუმობის პროექტის შეთანხმებაზე.

მოსარჩელის განმარტებით, მისი მხრიდან ზედმინევნით გათვალისწინებულ იქნა და შესრულდა საბჭოს მიერ გამოთქმული ყველა მოთხოვნა და რეკომენდაცია. 2009 წლის 16 აპრილის საბჭოს სხდომაზე დადებითი შეფასება მიეცა ორანჟერეის მონუმობის მიწის ნაკვეთის გამოყენების პროობებს და ამის შემდეგ კი მოსარჩელემ უარყოფითი დასკვნა მიიღო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო

წესით გაასაჩივრა მ. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინებით მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 13 ივნისს მ. მ-მა №12/71708-13 განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და ქ. თბილისში, ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელზე (სავაჭრო პავილიონი) ორანჟერეის მოწყობის პროექტის განხილვა მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს 2011 წლის 14 ივნისის №24 სხდომის დღის წესრიგის 39-ე საკითხს წარმოადგენდა ქ. თბილისში, ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელზე (სავაჭრო პავილიონი) ორანჟერეის მოწყობის პროექტის განხილვა. განხილვის შედეგით მ. მ-ს უარი ეთქვა (უარი ეთქვა – 5, დადებითი შეფასება – 2) ორანჟერეის პროექტის შეთანხმებას. ხოლო სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 27 ივნისის №2421 ბრძანებით მ. მ-ს უარი ეთქვა ქ. თბილისში, ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელზე, (სავაჭრო პავილიონი) ორანჟერეის მოწყობის პროექტის წარდგენილი ვარიანტის შეთანხმების თაობაზე.

2011 წლის 1 აგვისტოს მ. მ-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მერს, რომლითაც სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 27 ივნისის №2421 ბრძანების ბათილად ცნობა და არქიტექტურის სამსახურისათვის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების ობიექტურად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა იმ მოტივით, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს 2009 წლის 16 აპრილის №14 სხდომის ოქმით დადებითი შეფასება მიეცა ქ. თბილისში, ... მოედანზე ორანჟერეის მოწყობას. ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 28 ოქტომბრის №2479 განკარგულებით მოსარჩელე მ. მ-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე და ძალაში დარჩა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 27 ივნისის №2421 ბრძანება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელზე ორანჟერეის მოწყობის პროექტი ხელახლა განხილულ იქნა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებულ სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოზე, რომლის 2011 წლის 14 ივნისის №24 სხდომის ოქმით უარყოფითი შეფასება მიეცა წარდგენილი პროექტის შეთანხმებას. აღნიშნულ ოქმზე დაყრდნობით, ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 27 ივნისის №2421 ბრძანებით განმცხადებელს უარი ეთქვა მიწისქვეშა გადასასვლელზე ორანჟერეის მოწყობის პროექტის წარდგენილი ვარიანტის შეთანხმებაზე, რაც ძალაში დარჩა ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 28 ოქტომბრის №2479 განკარგულებით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა მასზედ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულ აქტებში არ იყო დასაბუთებული უარის მიზეზი და საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, საქართველოს კანონის 21<sup>3</sup>-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციას ამტკიცებს და მშენებლობის ნებართვას (გარდა არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვისა, საკულტო ნაგებობებზე სამუშაოების ნებართვისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის ნებართვისა) გასცემს ქალაქ თბილისის მერია ქალაქ თბილისის მერიისა და სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს დასკვნის საფუძველზე. ხოლო „საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვისა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების“ პირველი მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანო – გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭო (შემდგომში: „საბჭო“) წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის სათათბირო ორგანოს. ამავე დებულების მე-3 მუხლი განსაზღვრავს საბჭოს კომპეტენციას. ვერძოდ, „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება: დედაქალაქის ტერიტორიაზე, ისტორიულ ნაწილში, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ორგანიზებულად წარმართვისათვის მოსაზრებების მომზადება, ისტორიული მემკვიდრეობის დაცვისა და ახალმშენებლობის პროექტების, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა; დეტალური დაგეგმარების პროექტები; განაშენიანების პროექტები; უფლებრივი ზონირების რუკები; ისტორიულ-კულტურულ საყრდენი გეგმა და სხვა ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია) განხილვა და

ქალაქის ისტორიული ნაწილის დაცვის ზონების საზღვრებში ცალკეული შენობების რესტავრაციის, რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციის, ადაპტაციისა და ახალი შენობა-ნაგებობების საპროექტო წინადადებებისა და პროექტების განხილვა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანო – გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭო მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფს ახალი შენობა-ნაგებობების საპროექტო წინადადებებისა და პროექტების განხილვას, ხოლო ვინაიდან სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოზე უარყოფითი შეფასება მიეცა წარდგენილ პროექტის შეთანხმებას, ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას საბჭოს დასკვნის გარეშე მიეღო დადებითი გადაწყვეტილება, რადგან იგი ვალდებული იყო გადაწყვეტილების მიღებისას ეხელმძღვანელა სწორედ აღნიშნული დასკვნის საფუძველზე შემოაღნიშნული ნორმის იმპერატიული მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ არქიტექტურის სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას მიეღო სხვაგვარი გადაწყვეტილება, ვინაიდან იგი ვალდებული იყო გადაწყვეტილება მიეღო საბჭოს დასკვნის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლზე, რომელშიც რეგლამენტირებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველები. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას ქ. თბილისის მერიის მიერ დაცულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები. კერძოდ, ჩატარებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქმისათვის

მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას ქ. თბილისის მერიისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება აღნიშნული მოთხოვნის უსაფუძვლობის შესახებ და მიუთითა, რომ ვინაიდან, ქ. თბილისის მერიის მხრიდან კანონშესაბამისად იქნა მიღებული განკარგულება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შესაბამისად, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა ქ. თბილისის მერიისათვის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების ობიექტურად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების თაობაზე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და გამოთქმულ სამართლებრივ შეფასებებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ უსაფუძვლოა და შესაბამისად, არ არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. მოსარჩელის მიერ ვერც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე იქნა წარდგენილი რაიმე მტკიცებულება (სსსკ 102-ე მუხლი), იმ გარემოებების დასადგენად, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იქნა კანონის მოთხოვნათა ისეთი დარღვევით, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, შეიძლებოდა გამხდარიყო მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრით ვერ იქნა გაბათილებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის დასკვნები სარჩელის უსაფუძვლობის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი, რის გამოც არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული. სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ არ გამოუკვლევიდა და არ უმსჯელია საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებზე, მათ შორის არ უმსჯელია და არ შეუფასებია საქმეში არსებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს ურთიერთსაინააღმდეგო ოქმები – 2009 წლის 16 აპრილის №14 სხდომის ოქმი (დადებითი შეფასება) და 2011 წლის 14 ივნისის №24 სხდომის ოქმი (უარყოფითი შეფასება).

კასატორი მიუთითებს, რომ არ დასახელებულა არც ერთი გარემოება, რომელიც გამოიკვლია და შეაფასა საბჭომ და ქ. თბილისის მერიამ და არ მიუთითებიათ რომელიმე კონკრეტულ გარემოებაზე, რის გამოც უარი ეთქვა მას პროექტის შეთანხმებაზე.

კასატორის მითითებით, სასამართლო განამტკიცებს მოსაზრებას თათოს საბჭოს გადაწყვეტილება რევიზიას არ ექვემდებარება და იგი სავალდებულოა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსთვის, რაც კანონის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება. კასატორის მოსაზრებით, ასეთ შემთხვევაში აზრს დაკარგავდა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა, რადგან წინასწარ ცნობილი იქნებოდა, რომ საჩივარი არ დაკმაყოფილდებოდა. ამასთან, კასატორი მიუთითებს, რომ იგი არ ითხოვს საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილების გაუქმებას. იგი ითხოვს პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმის დასაბუთებას და იმ კონკრეტულ მიზეზებზე მითითებას, რის გამოც ეთქვა მას უარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რაც მისცემდა მას დაშვებული უსწორობების გამოსწორების შესაძლებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 18 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. მ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინებით მ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2012 წლის 13 დეკემბერს 13:30 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ის საკასა-

ციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2011 წლის 13 ივნისს მ. მ-მა №12/71708-13 განცხადებით მიმართა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და ქ. თბილისში, ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელზე (სავაჭრო პავილიონი) ორანჟერეის მოწყობის პროექტის განხილვა მოითხოვა. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს 2011 წლის 14 ივნისის №24 სხდომის დღის წესრიგის 39-ე საკითხს წარმოადგენდა ქ. თბილისში, ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელზე (სავაჭრო პავილიონი) ორანჟერეის მოწყობის პროექტის განხილვა. განხილვის შედეგით მ. მ-ს უარი ეთქვა (უარი ეთქვა – 5, დადებითი შეფასება – 2) ორანჟერეის პროექტის შეთანხმებას. ხოლო სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 27 ივნისის №2421 ბრძანებით მ. მ-ს უარი ეთქვა ქ. თბილისში, ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელზე, (სავაჭრო პავილიონი) ორანჟერეის მოწყობის პროექტის წარდგენილი ვარიანტის შეთანხმებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2011 წლის 1 აგვისტოს მ. მ-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მერიას, რომლითაც სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 27 ივნისის №2421 ბრძანების ბათილად ცნობა და არქიტექტურის სამსახურისათვის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების ობიექტურად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა იმ მოტივით, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს 2009 წლის 16 აპრილის №14 სხდომის ოქმით დადებითი შეფასება მიეცა ქ. თბილისში, ... მოედანზე ორანჟერეის მოწყობას. ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 28 ოქტომბრის №2479 განკარგულებით კი მოსარჩელე მ. მ-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე და ძალაში დარჩა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 27 ივნისის №2421 ბრძანება, ისე, რომ მას არ მისცემია განმარტება, თუ რა ხარვეზები იყო დაშვებული პროექტში და როგორ უნდა გამოესწორებინა იგი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული

განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული არც პროცესუალური და არც მატერიალური თვალსაზრისით. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ისე მიიღეს გადაწყვეტილება განსახილველ საქმეზე, რომ არ იმსჯელებს მოსარჩელის არგუმენტებზე და ვერ დაასაბუთეს მ. მ-ის მოთხოვნის უსაფუძვლობა.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნას გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება წარმოადგენდა; ხოლო საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა დააზუსტა საკასაციო მოთხოვნა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს მ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 28 ოქტომბრის №2479 განკარგულების ბათილად ცნობა და ქ. თბილისის მერიისათვის სათანადო გარემოებების გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება წარმოადგენს. მოსარჩელე სადავოდ ხდის ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას და როგორც საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომებზე, ასევე, საქმის განხილვის ყველა ეტაპზე მიუთითებს, რომ მან ადმინისტრაციული ორგანოსგან მიიღო სრულიად დაუსაბუთებელი უარი მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე, სადაც არ იყო აღნიშნული კონკრეტული მიზეზი და გარემოება, რის გამოც ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი განაცხადა წარდგენილი პროექტის შეთანხმებაზე. შესაბამისად, მოსარჩელეს არ მიეცა შესაძლებლობა გამოესწორებინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მითითებული უსწორობები, ის შენიშვნები, რაც წარდგენილი პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე არც საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილების გაუქმებასა და არც ქ. თბილისის მერიისათვის მის სასარგებლოდ კონკრეტული აქტის მიღების დავალდებულებას ითხოვს. მოსარჩელის მოთხოვნას ქ. თბილისის მერიის მხრიდან დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს, მოსარჩელე პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმის დასაბუთებას და იმ კონკრეტულ მიზეზებზე მითითებას ითხოვს, რის გამოც უარი ეთქვა მას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. კასატორის მითითებით, აღნიშნუ-

ლი მისცემდა მას წარდგენილ პროექტში დაშვებული უსწორობების გამოსწორების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს 2011 წლის 14 ივნისის უარყოფითი დასკვნის საფუძველზე სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 27 ივნისის №2421 ბრძანებით მ. მ-ს უარი ეთქვა ქ. თბილისში, ... მოედნის მიწის-ქვეშა გადასასვლელზე, (სავაჭრო პავილიონი) ორანჟერეის მონუმენტის პროექტის წარდგენილი ვარიანტის შეთანხმებაზე. აღნიშნული ბრძანების გაუქმების მოთხოვნით მ. მ-მა ქ. თბილისის მერიაში წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, სადაც მიუთითებდა, რომ მან არქიტექტურის სამსახურიდან მიიღო სრულიად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, სადაც არ იყო აღნიშნული მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მიზეზი და საფუძველი. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე სწორედ დაუსაბუთებლობის მოტივით მოითხოვდა ქ. თბილისის მერიისგან არქიტექტურის სამსახურის გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობას. აღნიშნულის მიუხედავად ქ. თბილისის მერიამ სადავოდ ქცეული 2011 წლის 28 ოქტომბრის №2479 განკარგულებით ისე უთხრა უარი მოსარჩელეს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რომ არ უმსჯელია ადმინისტრაციული საჩივრის მოტივებზე. ქ. თბილისის მერიას მოსარჩელისათვის არ განუმარტავს, რა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა მის მიერ წარდგენილი პროექტი (იმ პირობებში, როდესაც დადებითი შეფასება მიეცა ... მოედანზე სავაჭრო პავილიონი-ორანჟერეის დასაპროექტებლად მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების მომზადებას).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გასაჩივრებული ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 28 ოქტომბრის №2479 განკარგულება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის საფუძველზე წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მის დასაბუთებას, ვინაიდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. მასში უნდა იყოს მოცემული ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება აად-

ვილებს ადრესატის მხრიდან მისი კანონიერებისა და გასაჩივრების შესაძლო შედეგების შეფასებას და ამასთან, ზემდგომ ორგანოს უადვილებს აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, თითქოს ქ. თბილისის მერიამ საქმის გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღო დასაბუთებული გადაწყვეტილება. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის არგუმენტებს და განმარტავს, რომ ქ. თბილისის მერიას, როგორც სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს, კანონით მინიჭებული აქვს ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში კანონით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების გზით იმსჯელოს და შეფასება მისცეს გასაჩივრებული აქტის როგორც ფორმალურ, ისე მატერიალურ კანონიერებას და წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილება მიიღოს დამოუკიდებლად, მხოლოდ კანონის საფუძველზე. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართალია ქ. თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანო – გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭო მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფს ახალი შენობა-ნაგებობების საპროექტო წინადადებებისა და პროექტების განხილვას, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს, რომ საბჭოს გადაწყვეტილებას წინასწარ დადგენილი სავალდებულო ხასიათი აქვს ქ. თბილისის მერიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. თბილისის მერიის კომპეტენცია არ შეიძლება შეიზღუდოს საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც თავისი ბუნებით შუალედურ აქტს წარმოადგენს და რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, მაგრამ იგი არ უნდა იქცეს გადაწყვეტილების მიუღებო და სავალდებულო საფუძველად. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული დასკვნა აბსოლუტურად დაუსაბუთებელია და არ იძლევა პასუხს კითხვაზე „რატომ“.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მ. მის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთადერთ საფუძველს სწორედ საბჭოს მიერ გაცემული დაუსაბუთებელი უარყოფითი დასკვნა წარმოადგენს, სადაც ასევე არ არის მითითებული რა გახდა უარყოფითი დასკვნის გაცემის საფუძველი, რისი გამოსწორების შესაძლებლობაც შეიძლება მისცემოდა მოსარჩელეს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მხარეს უნდა სცოდნობა რა მოტივით, რა მიზეზით ეთქვა უარი მას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საბჭოს დაუსაბუთებელი უარყოფითი დასკვნა განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შეფასების საგანი შეიძლება ყოფილიყო და არა გადაწყვეტილების მიღების ერთადერთი საფუძველი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში აზრი დაკარგა მ. მ-ის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენამ, ისევე როგორც ფორმალური ხასიათი შეიძინა ქ. თბილისის მერიის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვამ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. თბილისის მერია და ქვედა ინსტანციის სასამართლოები განსახილველ საკითხს ფორმალურად მიუდგნენ და შემოიფარგლნენ მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ არქიტექტურის სამსახური ვალდებული იყო გადაწყვეტილება მიეღო საბჭოს დასკვნის საფუძველზე. სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ქ. თბილისის მერიის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცედურა, გასაჩივრებული აქტის კანონიერება და ის, რომ სრულიად დაუსაბუთებელი იყო ქ. თბილისის მერიის გასაჩივრებული განკარგულება და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის დანაწესს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ქ. თბილისის მერიამ ვერ დაასაბუთა სადავო აქტის კანონიერება, ხოლო კასატორმა – მ. მ-მა შეძლო წარმოედგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. აღნიშნულ მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სავალდებულო წინაპირობები, რომლებიც მათი რეალიზების თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ, ალტერნატიული სახით არის წარმოდგენილი. ამასთან, არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა, სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინა-

რე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა დაავალოს.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს ქ. თბილისის მერიის გასაჩივრებული განკარგულების ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მატერიალურ-საპროცესო სამართლებრივი საფუძველები. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 28 ოქტომბრის №2479 განკარგულება და ქ. თბილისის მერიას უნდა დაევალოს მ. მ-ის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს დაუსაბუთებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო საკითხის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სრულფასოვნად გამოიყენოს მისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და გადაწყვეტილება მიიღოს დაინტერესებულ მხარეთა მოსმენისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის ჩატარების მეშვეობით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიამ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული საჩივარი უნდა შეამოწმოს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. განსახილველ შემთხვევაში ქ. თბი-

ლისის მერიამ ხელახლა, კანონის მოთხოვნათა დაცვით უნდა ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება მ. მ-ის მიერ წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე და საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რის ფარგლებშიც იგი უფლებამოსილია გამოითხოვოს საბჭოს განმეორებითი დასაბუთებული დასკვნა.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე არსებობს გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინების გაუქმებისა და მ. მ-ის საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, თ. რ-ის მიერ მ. მ-ის საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა უნდა დაეკისროს მონინალმდეგე მხარეს – ქ. თბილისის მერიას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **ბ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. მ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუნყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 28 ოქტომბრის №2479 განკარგულება და ქ. თბილისის მერიას დაევალოს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. ქ. თბილისის მერიას თ. რ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ მ. მ-ის საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარი.
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**აქტის არარად აღიარება  
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტის არარად აღიარება. სარჩელის  
ტრანსფორმირება**

**ბანჩინება**

№ბს-1332-1274(კ-09)

9 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ნკუპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის არარად აღიარება

**საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად  
გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

2008 წლის 25 დეკემბერს ფ. ჯ-ქემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხის – ქ. ბათუმის ზედამხედველობის ადგილობრივი სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევისათვის დაჯარიმებისა და დემონტაჟის შესახებ 2008 წლის 6 ივნისის №81/08 დადგენილების არარად აქტად აღიარება.

საქმის გარემოებები:

ქ. ბათუმში, ... ქ. №137/139 ბინის მესაკუთრებთან ამხანაგობა „...ის“ 2008 წლის 26 თებერვლის №5 ოქმით ამხანაგაობის წევრებმა მოსარჩელე ფ. ჯ-ქეს მისცეს ბინაზე აივნის მიშენების უფლება. მშენებლობის დასრულების შემდეგ შედგა აზომებითი ნახაზი, რის საფუძველზეც აივანი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში დარეგისტრირდა ფ. ჯ-ქის საკუთრებად. მიმდინარე წლის მაისში მოსარჩელეს ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურისაგან მიუვიდა წერილი, რომლის მიხედვით, მოცემული აივანი ჩაითვალა უკანონოდ და ფ. ჯ-ქეს მიეცა ვადა ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მისაყვანად, ხოლო ამავე წლის 2 ივნისს მას უწყებით ეცნობა არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვის შესახებ. ქ. ბათუმის მერიის 2008 წლის 6 ივნისის №81/08 დადგენილებით „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევისათვის დაჯარიმებისა და დემონტაჟის შესახებ“ მოსარჩელე დაჯარიმდა 4000 ლარით, ამასთან, იმავე დად-

გენილებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აივნის დემონტაჟის შეესახებ.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხემ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ აივანი, რომლის მოშლაზეც ზედამხედველობის სამსახურმა მიიღო დადგენილება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მონაცემებით წარმოდგენდა მოსარჩელის საკუთრებას, შესაბამისად, ზედამხედველობის სამსახურს ადმინისტრაციული აქტის გამოცემით არ შეეძლო, დაედგინა რეესტრის მონაცემებით მის საკუთრებაში არსებული აივნის მოშლა. მოცემული აივანი 2008 წლის 5 ივნისისათვის, ანუ დადგენილების მიღებამდე, რეგისტრირებული იყო მოსარჩელის საკუთრებად.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

სადავო დადგენილებაში მითითებული ქონების დემონტაჟი ან რაიმე სახის სხვაგვარი ქმედება შესაძლებელია, განხორციელებულიყო საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისას, სასამართლოს გადაწყვეტილებითა და სათანადო ანაზღაურებით, ხოლო ყველა სხვა სახის ადმინისტრაციული აქტი საკუთრების ჩამორთმევისა თუ დემონტაჟის შესახებ, უნდა ჩათვლილიყო არაუფლებამოსილი ორგანოსა და არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოცემულ აქტად, რომელიც გამოცემისთანავე მიიჩნევა არარა აქტად. უფრო მეტიც დადგენილების შესრულება გამოიწვევდა სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე და 333-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულს.

ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ შ. ჯ-ძის წერილი – საცხოვრებელ სახლზე აივნის მშენებლობასთან დაკავშირებით საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ, გაეგზავნა 2008 წლის 21 მაისს. ამის მიუხედავად მოსარჩელემ არც სათანადო დოკუმენტაცია წარადგინა და არც უკანონო მინაშენი მოშალა, რის გამოც კანონის მოთხოვნათა დაცვით 2008 წლის 10 ივნისს მიღებულ იქნა დადგენილება, რომლითაც შ. ჯ-ძე დაჯარიმდა 4000 ლარით, ამასთან დაევალა სახლზე უკანონო მინაშენის მოშლა. მოპასუხის მითითებით, რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ უკანონო მინაშენი საჯარო რეესტრში შ. ჯ-ძის საკუთრებაში იყო რეგისტრირებული, მის დემონტაჟს ხელს ვერ შეუშლიდა, რადგან „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ამხანაგობის კრებას არ გააჩნდა არავითარი სამართლებრივი საფუძველი, მიეღო ამგვარი გადაწყვეტილება,

ვინაიდან მშენებლობის უფლების მოპოვება წარმოებდა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს № 140 დადგენილებით.

ამასთან, ყ. ჯ-ძეს უკანონოდ მიშენებული აივნის საკუთრების უფლებით დარეგისტრირების მოთხოვნის თაობაზე განცხადება საჯარო რეესტრში შეტანილი ჰქონდა 2008 წლის 30 სექტემბერს, ე.ი. იმ დროს, როცა მის მიმართ დაწყებული იყო ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურში არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება, კერძოდ, 2008 წლის 28 მაისს მოსარჩელეს ჩაჰბარდა წერილი, რომ წარედგინა აივნის მშენებლობისათვის შესაბამისი დოკუმენტაცია. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებდა იმაზე, რომ ყ. ჯ-ძე შეგნებულად მოქმედებდა, რათა თავიდან აეცილებინა მინაშენის დემონტაჟი. მოსარჩელეს საკუთრების უფლების მოპოვებისათვის არ გააჩნდა უფლების დამდგენი დოკუმენტი და მხოლოდ აზომვითი ნახაზის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია მინაშენზე კანონის მოთხოვნას არ შეესაბამებოდა, რის გამოც რეგისტრაცია უკანონო იყო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის განწყვეტილებით ყ. ჯ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; არარა აქტად იქნა აღიარებული ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2008 წლის 10 ივნისის № 81/08 დადგენილება ყ. ჯ-ძისათვის ქ. ბათუმში, ... ქ. № 137/139-ში მდებარე № 33 ბინაზე უნებართვოდ მიშენებული აივნის მოშლის დავალდებულების ნაწილში; მოპასუხეს დაევალა მოსარჩელე ყ. ჯ-ძის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 ლარის ნაწილის – 50 ლარის გადახდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები: 2008 წლის 21 მაისს ქ. ბათუმის ზედამხედველობის ადგილობრივი სამსახურის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილების მუშაკების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად, რომელიც ეხებოდა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესების დაცვას, გამოირკვა, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. № 137/139-ში მდებარე სახლის № 33 ბინაზე ყ. ჯ-ძე უკანონოდ ეწეოდა მინაშენის მშენებლობას. იმავე დღეს ზედამხედველობის სამსახურის მიერ ყ. ჯ-ძეს გაეგზავნა № 121 წერილი, რომლითაც მას განემარტა, რომ ერთი კვირის ვადაში მოეშალა მინაშენი და ბინა მოეყვანა პირვანდელ მდგომარეობაში. აღნიშნული წერილი მოსარჩელეს ჩაჰბარდა, რაც დადასტურდა სასამართლოში წარდგენილი შეტყობინებით საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ. სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია და მოპასუხე მხარემაც დაადასტურა, რომ ყ. ჯ-ძეს საპროექტო დოკუმენტაცია ბინაზე მიშენებასთან დაკავშირებით არ გააჩნდა, ხოლო მოსარჩელის მიერ მიცემული ერთი კვირის ვადაში მან მინაშენი არ მოშალა.

მოსარჩელეს ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაეგზავნა უწყება არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვის თაობაზე, მაგრამ მას მონაწილეობა არ მიუღია ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ასევე დადგენილია, რომ ფ. ჯ-ქმ 2008 წლის 30 მაისს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ... ქ. № 137/139-ში მდებარე №33 ბინის მინაშენის საკუთრებაში დარეგისტრირება, ამასთან, წარადგინა შპს „...ის“ და შპს „...ს“ მიერ შედგენილი აზომვითი ნახაზი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2008 წლის 5 ივნისს ფ. ჯ-ძის მიერ ბინაზე მინაშენი დარეგისტრირდა მის საკუთრებად, რაც დადასტურდა საჯარო რეესტრის ამონაწერით, ხოლო ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2008 წლის 6 ივნისს მიღებულ იქნა დადგენილება არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევისათვის ფ. ჯ-ძის დაჯარიმებისა და მინაშენის დემონტაჟის დავალდებულების თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის 4<sup>1</sup>.8 მუხლის თანახმად, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც დასაბუთებული უნდა ყოფილიყო. კონკრეტულ შემთხვევაში, ფ. ჯ-ძისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ საფუძვლად ზედამხედველობის სამსახურის სადავო აქტში მითითებული იყო სწორედ აღნიშნული კანონის 5<sup>2</sup>.„გ“ მუხლი, რომლითაც უკანონო მშენებლობისათვის ფ. ჯ-ქე დაჯარიმდა 3000 ლარით, ხოლო 5<sup>8</sup>. „გ“ მუხლის საფუძველზე წერილის შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა 1000 ლარით. ამავე კანონის 4<sup>1</sup>.4. „გ“ მუხლით მასვე დაევალა უკანონო აივნის დემონტაჟი.

საქალაქო სასამართლომ ასევე გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი, რომლის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებდა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლებოდა სწორად, ვიდრე არ დამტკიცდებოდა მათი უზუსტობა. სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ამ დროისათვის ის მინაშენი, რომლის უკანონო მშენებლობისათვის ფ. ჯ-ძეს დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, საჯარო რეესტრში უკვე მოსარჩელის საკუთრებაში ირიცხებოდა და კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ფ. ჯ-ქე წარმოადგენდა ფართის მესაკუთრეს.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრე-

ბის უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებისა და „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულების შედეგად გამოხატულ იქნა სახელმწიფოს ნება, რომ მოეხდინა უნებართვოდ და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ლეგალიზება უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, საკუთრების უფლება აღიარებული და დაცული იყო საქართველოს კონსტიტუციით და საკუთრების დემონტაჟი სახელმწიფოს მიერ შესაძლებელია, განხორციელებულიყო მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისას სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე და სათანადო ანაზღაურებით, რაც რეგულირდებოდა 1999 წლის 23 ივლისის საქართველოს კანონით „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“. აღნიშნული სამართლებრივი ფაქტორები მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ უნებართვოდ და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტი, რომელიც უკვე აღრიცხული იყო პირის საკუთრებაში, დემონტაჟს აღარ შეიძლება დაქვემდებარებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამო, ქ. ბათუმის ზედამხედველობის სამსახურის 2008 წლის 10 ივნისის №81/08 დადგენილება ფ. ჯ-ძისათვის ქ. ბათუმში, ... ქ. № 137/139-ში მდებარე №33 ბინაზე უნებართვოდ მიშენებული აივნის მოშლის დავალდებულებისა და მისი 4000 ლარით დაჯარიმების შესახებ, უნებართვოდ მიშენებული ლოჯიის დემონტაჟის ნაწილში შეუძლებელია აღსრულებულიყო, რაც აქტის ამ ნაწილის არარად აღიარების საფუძველს წარმოადგენდა.

რაც შეეხება სასარჩევლო მოთხოვნას აქტის არარად აღიარების შესახებ ფ. ჯ-ძის 4000 ლარით დაჯარიმების ნაწილში, სასამართლომ აღნიშნა, რომ „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.6 მუხლის თანახმად, უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას აღარ იყო გათვალისწინებული დაინტერესებული პირის მიერ ჯარიმის გადახდა, მაგრამ ამ ნორმას „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47.1 მუხლის შესაბამისად, ვერ მიენიჭებოდა უკუძალა, რამდენადაც ამის შესახებ მოცემულ კანონში პირდაპირ იყო მითითებული. ამდენად, ფ. ჯ-ძისათ-

ვის გასაჩივრებული დადგენილებით დაკისრებული ჯარიმის აღსრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობა რაიმე დამაბრკოლებელ გარემოებას და სამართლებრივ მექანიზმს არ ითვალისწინებდა. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ეს ზომა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს აქტით კანონის შესაბამისად იყო გამოყენებული, შესაბამისად, არ არსებობდა სადავო აქტის ამ ნაწილის არარად აღიარების საფუძველი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება ქ. ბათუმში, ... ქ. № 137/139-ში მდებარე №33 ბინაზე უნებართვოდ მიშენებული ფართის მოშლაზე ჟ. ჯ-ძის დავალდებულების ნაწილში ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2008 წლის 10 ივნისის №81/08 დადგენილების არარა აქტად აღიარება შემდეგი მოტივით:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო და იურიდიულად დაუსაბუთებული იყო. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი.

აპელანტის მითითებით, ჟ. ჯ-ძის მიერ ქ. ბათუმში, ... ქ. № 137/139-ში მდებარე სახლის №33 ბინაზე უნებართვოდ მიშენებული აივნის საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრაცია არ მოუხდენია „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულების საფუძველზე. საამისოდ ჟ. ჯ-ძე ვალდებული იყო სადავო ფართის ლეგალიზების მოთხოვნით მიემართა ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურისადმი და არა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისადმი, ვინაიდან ქ. ბათუმში ზოგადად პროექტის შემთანხმებელ და მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს წარმოადგენს სწორედ ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური. აპელანტის მითითებით, აზომვითი ნახაზი არ წარმოადგენდა უფლების დამდგენ დოკუმენტს. შესაბამისად, ასეთის საფუძველზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერი არ წარმოადგენდა უფლების დამდგენი დოკუმენტის საფუძველზე განხორციელებულ ჩანაწერს.

აპელანტის მოსაზრებით, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების უფლე-

ბა, მათ შორის, აზომვითი ნახაზის საფუძველზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უნებართვო მშენებლობა ჩვეულებრივად ექვემდებარებოდა დემონტაჟს და აღნიშნულისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენდა ამ ფართის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. ამდენად, მსგავს შემთხვევებში არასწორად ხდებოდა სახელმწიფოს მიერ გამოვლენილი ნების სასამართლო პრაქტიკაში გამოყენება. ასევე „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო კრების უფლებამოსილებები შემოიფარგლებოდა მხოლოდ საერთო ქონების მოვლა-პატრონობა-განკარგვით და არა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის რომელიმე წევრის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვით. აღნიშნულმა დაადასტურა, რომ საჯარო რეესტრის საქმიანობა უნებართვო მშენებლობების აზომვითი ნახაზის საფუძველზე რეგისტრაციის საკითხში იყო სრულიად უკანონო და მას კანონიერად ვერ აქცევდა ვერავითარი დოკუმენტის წარდგენა, გარდა შესაბამისი სამსახურების მიერ უნებართვო მშენებლობის „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულების შესაბამისად ლეგალიზების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტისა.

აპელანტის მითითებით, მისთვის ცნობილი იყო აგრეთვე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების მიმართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დამოკიდებულება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, ასევე, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა 2008 წლის 2 თებერვლის შეხვედრაზე ჩამოყალიბებულ ზემოხსენებულ რეკომენდაციებს იმ შემთხვევაშიც იყენებდნენ, როცა პირს შესაბამისი სამსახურისადმი საერთოდ არ ჰქონდა მიმართული უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის ლეგალიზების მოთხოვნით და აღნიშნული ფართი საერთოდ არ ჰქონდა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, მათ შორის, არც მხოლოდ აზომვითი ნახაზის საფუძველზე, მაგრამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო დემონტაჟის ნაწილში ადმინისტრაციულ აქტს მაინც აცხადებდა ბათილად. განსახილველ შემთხვევაში დადგინდა, რომ ე. წ. -ქს საერთოდ არ ჰქონდა მიმართული ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურისადმი მის მიერ ქ. ბათუმში, ... ქ. № 137/139-ში მდებარე სახლის №33 ბინაზე უნებართვოდ მიშენებული ფართის ლეგალიზაციის მოთხოვნით. სასამართლოს საერთოდ არ ჰქონდა უფლება, ემსჯელა ე. წ. -ძის მიერ უნებართვოდ აშენებული ფართი ექვემდებარებოდა თუ არა „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის

ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულების შესაბამისად ლეგალიზაციას, რადგან აღნიშნულზე არ არსებობდა უფლებამოსილი ორგანოს – ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის აქტი მოთხოვნის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო თუ საკითხი არ განიხილა მის განხილვაზე უფლებამოსილმა ორგანომ და არ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, ითვლებოდა, რომ გასაჩივრებას დაქვემდებარებული ადმინისტრაციული აქტი არ იყო მიღებული და შესაბამისად, სადავოც არაფერი იყო.

აპელანტის მითითებით, ჟ. ჯ-ძის მიერ განხორციელებული ქმედება არ ექვემდებარებოდა ლეგალიზაციას, რამდენადაც მის მიერ აღნიშნული მშენებლობა განხორციელდა 2008 წლის მაისში, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ 1.2 მუხლის თანახმად, წესის მოქმედება ვრცელდებოდა და ლეგალიზაციას ექვემდებარებოდა მხოლოდ 2007 წლის 1 იანვრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტები ან/და მათი ნაწილები.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე ჟ. ჯ-ძემ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

საქალაქო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, ასევე არასწორად შეაფასა მტკიცებულებები.

აპელანტის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312.1 მუხლის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედება და უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ანუ რეესტრის ჩანაწერები ითვლებოდა სწორად, ვიდრე არ დამტკიცდებოდა მათი უტყუარობა. აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც ჟ. ჯ-ძის ქონება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მის საკუთრებად, არცერთ უფლებამოსილ ორგანოს, გარდა სასამართლოსი, არ გააჩნდა უფლება ემსჯელა მის კანონიერებაზე და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებზე. თუკი უძრავი ქონება სათანადო წესით იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, არ შეიძლებოდა მის მესაკუთრეს შეზღუდვოდა მისი მფლობელობა, სარგებლობა თუ

განკარგვა. ასევე შეუძლებელი იყო ამ ქონების საკუთრებაში ქონის გამო, დაჯარიმებულიყო მისი მესაკუთრე, რამდენადაც ასეთი წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით რეგლამენტირებული საკუთრების უფლების ხელყოფას.

აპელანტის მითითებით, სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249.4 მუხლი, რომლის თანახმად, სამოტივაციო ნაწილში უნდა აღნიშნულიყო სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო ვალდებული იყო, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიეთითებინა ნორმებზე, რომელზე დაყრდნობითაც მოხდა აქტის არარად აღიარება, თუმცა სასამართლო სამართლის ასეთ ნორმაზე მითითებას ვერ გააკეთებდა იმ მიზეზის გამო, რომ ასეთი ნორმა ბუნებაში არ არსებობდა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებდა აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობას და აქტის ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებას, თუმცა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ იცნობდა აქტის ნაწილობრივ არარად ცნობის ინსტიტუტს.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი და არ გამოიყენა ამავე კოდექსის 25-ე მუხლი. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სასამართლო იხილავდა აღიარებით სარჩელს, რომელსაც დამოუკიდებელი საკანონმდებლო საფუძველი გააჩნია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის სახით, მას გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ეხელმძღვანელა სწორედ აღნიშნული ნორმით და არა 22-ე მუხლით, რომელიც აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელს ეხებოდა და არა აღიარებით სარჩელს. საქალაქო სასამართლომ ასევე არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ ამონაწერს საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებდა სადავო ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების ფაქტს.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; შ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა საქალაქო სასამართლოს ცასაჩივრებელი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და მისი შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შ. ჯ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; არარა აქტად იქნა აღიარებული ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2008 წლის 10 ივნისის №81/08 დადგენილება შ. ჯ-ძის 4000 ლარით დაჯარიმების ნაწილში, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდგენარად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

ჟ. ჯ-ქემ ბინაზე სადავო ფართის მშენებლობა აწარმოა სათანადო ნებართვისა და პროექტის გარეშე. მან სადავო ფართი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღრიცხა არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შემდეგ მხოლოდ გეგმა-ნახაზის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „პროექტის შემთანხმებული და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულებით, მართალია, სახელმწიფომ გამოხატა ნება უნებართვოდ და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების შესახებ, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობდა ყველა ასეთი ობიექტის უპირობო ლეგალიზაციას და სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარებას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული წესის მოქმედება ვრცელდებოდა უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით 1997 წლის 1 იანვრამდე აშენებულ ობიექტებზე, ამავე წესის მე-2 მუხლის თანახმად, ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა მშენებლობის ნებართვის გამცემი შესაბამისი ორგანო, რომელსაც განცხადებით მიმართავდა უნებართვოდ აშენებული ობიექტის მესაკუთრე და წარუდგინდა აღნიშნული წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას. თუ დადგინდებოდა, რომ მოთხოვნა არ ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს, შესაბამისი ორგანო იღებდა გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ გაიზიარა ქ. ბათუმის ზედამხედველობის სამსახურის მსჯელობა, რომ ჟ. ჯ-ქეს ჯერ უნდა მიემართა მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურისათვის, რომელიც გასცემდა მშენებლობის ნებართვებს, მინამენის ლეგალიზაციის შესახებ და მხოლოდ მისი დადებითი გადაწყვეტილება წარმოადგენდა საფუძველს სადავო ფართი საკუთრების უფლებით აღრიცხათ საჯარო რეესტრში. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული წესების დაუცველობის მიუხედავად, სადავო ფართი მაინც აღრიცხა ჟ. ჯ-ქის საკუთრებად, რომლის მიმართ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, მოქმედებდა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლებოდა სწორად, ვიდრე არ დადგინდებოდა მათი უზუსტობა, ანუ სანამ დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე არ გაუქმდებოდა საჯარო რეესტრის ჩანაწერი, ჟ. ჯ-ქე ითვლებოდა ამ ფართის კანონიერ მესაკუთრედ. საკუთრების უფლება კი აღიარებული და დაცული იყო საქართველოს კონსტიტუციით და სახელმწიფოს მიერ საკუთრების ჩამორთმევა (დემონტაჟი) შესაძ-

ლოა, განხორციელებულიყო მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე და სათანადო ანაზღაურებით, რასაც მკაცრად არეგულირებდა საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევაში ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახური წარმოადგენდა არაუფლებამოსილ ორგანოს, ემსჯელა საკუთრების ჩამორთმევა-დემონტაჟზე, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა სადავო აქტის არარად აღირების მოთხოვნით, საფუძვლიანი იყო.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა ფ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივრის არგუმენტები დაჯარიმების ნაწილში სადავო აქტის არარად აღირებასთან დაკავშირებით, რადგან საჯარო რეესტრში ქონების რეგისტრაცია გულისხმობდა ამ ქონების ლეგალიზაციას, ანუ მის დაკანონებას და ექსპლოატაციაში მიღებას, შესაბამისად, დაუშვებელი იყო ასეთი ქონების მესაკუთრის დაჯარიმება უნებართვოდ და პროექტის დარღვევით მისი მშენებლობისათვის.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა (საკასაციო საჩივარს ხელს აწერდა ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის უფროსი გ. მ-ძე), რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

კასაციის მოტივი:

კასატორის მითითებით, ფ. ჯ-ძეს ქ. ბათუმში, ... ქ. № 137/139-ში მდებარე სახლის №33 ბინაზე უნებართვოდ მიშენებული აივნის საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრაცია არ მოუხდენია „პროექტის შემთანხმებული და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულების საფუძველზე, რადგან საამისოდ ფ. ჯ-ძე ვალდებული იყო სადავო ფართის ლეგალიზების მოთხოვნით მიემართა ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურისადმი და არა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისადმი, ვინაიდან ქ. ბათუმში ზოგადად პროექტის შემთანხმებელ და მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს წარმოადგენს სწორედ ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური. კასატორის აზრით, შპს „...ს“ მიერ შედგენილი აზომვითი ნახაზი არ წარმოადგენდა უფლების დამდგენ დოკუმენტს. შესაბამისად, ასეთის საფუძველზე განხორციელებული საჯარო რე-

ესტრის ჩანაწერი არ წარმოადგენდა უფლების დამდგენი დოკუმენტის საფუძველზე განხორციელებულ ჩანაწერს.

კასატორის მოსაზრებით, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების უფლება, მათ შორის, აზომვითი ნახაზის საფუძველზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უნებართვო მშენებლობა ჩვეულებრივად ექვემდებარება დემონტაჟს და აღნიშნულისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს ამ ფართის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. აღნიშნულზე არაერთხელ ჰქონდა მითითებული და გაცხადებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. ამდენად, მსგავს შემთხვევებში არასწორად ხდებოდა სახელმწიფოს მიერ გამოვლენილი ნების სასამართლო პრაქტიკაში გამოყენება.

კასატორის მითითებით, უნებართვოდ აშენებული ფართის საჯარო რეესტრში მხოლოდ აზომვითი ნახაზის საფუძველზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევაში მესაკუთრის დაჯარიმება და უნებართვოდ აშენებული ფართის დემონტაჟის დადგენა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მესაკუთრის უფლების შეზღუდვას, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170.1 მუხლის შესაბამისად, მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელმეურულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუ კი ამით არ ილახება მეზობლის ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესების უპირატესობა და მისი მოქმედების აუცილებლობა გამართლებელია. საკუთრების უფლებით არსებული ფართის იმ სახით სარგებლობაზე, როგორც არის მასზე მშენებლობის განხორციელება, შეზღუდვები დადგენილია კანონმდებლობით და მესაკუთრეც ვალდებულია მის საკუთრებაში არსებულ ფართზე მშენებლობა აწარმოოს მხოლოდ იმ შეზღუდვების დაცვით, რაც დაწესებულია კანონმდებლობით. აღნიშნულის შესაბამისად, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, ჟ. ფ.-ძის ვალდებულება, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. №137/139-ში მდებარე №33 ბინაზე ფართის მშენებლობა ეწარმოებინა მხოლოდ ნებართვის საფუძველზე, გამომდინარეობდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების 2008 წლის 1 ნოემბრამდე მოქმედი რედაქციის მოთხოვნებიდან.

კასატორის მითითებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ

სადავო საკითხის განხილვისას არ გამოიყენა „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რისი გამოყენებაც მას ევალებოდა და არასწორი განმარტება მისცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 312-ე მუხლებს. აღნიშნულმა კი, საბოლოოდ, გამოიწვია სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების უკანონობა.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინებით ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საკასაციო საჩივარი მოსარჩელისათვის ჯარიმის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია/.

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის სასამართლო სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის უ. ჯ-ძის წარმომადგენლებმა შეამდგომლობით მომართეს საკასაციო სასამართლოს და მოითხოვეს საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება იმ საფუძველით, რომ საკასაციო საჩივარს გ. მ-ძე ხელს აწერდა, როგორც ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის უფროსი, მაშინ როცა საქმეში მოპასუხეს წარმოადგენდა ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახური.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით მიმართა ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურს და მოითხოვა წერილობითი დასაბუთება იმის თაობაზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება (უ. ჯ-ძის საქმესთან დაკავშირებით) ქ. ბათუმის მერიის მიერ გასაჩივრდა, როგორც ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის შემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, თუ საკასაციო საჩივარი წარმოდგენილი იყო ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სახელით ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის უფროსის გ. მ-ძის მიერ.

საკასაციო სასამართლოს ზემომითითებული ხარვეზის გამოსწორების მიზნით განცხადებით მომართა ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა გ. მ-ძემ და განმარტა, რომ ქ. ბათუმის მერიის 2009 წლის 27 მარტის ბრძანებაში დაშვებული იყო შეცდომა, კერძოდ, აღნიშნული ბრძანებით ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ნაცვლად ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელად დანიშნისა, დაინიშნა ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენელად, მაშინ როცა საქმეში მხარეს ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახური წარმოადგენს. შესაბამისად, მხარემ წარმოადგინა ქ. ბათუმის მერიის 2010 წლის 18 თებერვლის ბრძანება №67, რომლის თანახმად ქალაქ ბათუმის მერიის ადმინისტრაციის უფროსი გ. მ-ძე დაინიშნა ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელად საქართველოს ყველა ინსტანცი-

ის სასამართლოში ყ. ჯ-ძის სარჩელის განხილვასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მონიშნულმდეგე მხარის ყ. ჯ-ძის წარმომადგენლებმა არ ცნეს საკასაციო საჩივარი, მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაანალიზების, მხართა წარმომადგენლების განმარტებების მოსმენისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება ყ. ჯ-ძის 4000 ლარით დაჯარიმების შესახებ აქტის არარად აღიარების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2, 394 „ე“ მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, გადაწყვეტილება ამ ნაწილში იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლოს მიზანია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ და გადაწყვეტილ იქნას საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფით, სასამართლო აქტი არ შეიცავს დასაბუთებულ მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქარწყლებული აპელანტის – ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მოსაზრებები, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონშეუსაბამოდ.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის მოტივაციას სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის შესახებ, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ შეუფასებია დავის საგანი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ ქ. ბათუმის მერიის აქტიტექტურის სამსახურის ბრძანება ყ. ჯ-ძის 4000 ლარის დაჯარიმების ნაწილში აღიარა არარა აქტად და შეფასება არ მისცა იმ ფაქტს, რომ მართალია, მოსარჩელე პროცესუალურად (ფორმალურად) სადავო აქტის არარად აღიარებას მოითხოვდა, თუმცა სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ (მატერიალურ) საფუძვლად ინდივიდუალურ-

რი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობას უთითებდა, რომ სადავო აქტი იყო კანონსაწინააღმდეგო, კანონის დარღვევით მიღებული ანუ ბათილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებაში /გ.ჭ-ს სარჩელისა გამო, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს მიმართ/, ჩამოყალიბებულ განმარტებას: „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების ერთ-ერთი სამართლებრივი ფორმა – არარად აღიარებაა. არაბა ადმინისტრაციული აქტი იმთავითვე ბათილია და არ არის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე, შესაბამისად, ამგვარი აქტის საფუძველზე განხორციელებული სამართალურითიერობანი ან მოქმედებანი ვერ შეიძენს ლეგიტიმურ ხასიათს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აქტის არარად აღიარების საფუძველების დადგენისას კანონმდებელი მიზნად ისახავს ადმინისტრირების კანონიერებისა და პირის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას. ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლო წესით აქტის არარად აღიარება, ანუ აქტის არარად აღიარების ერთ-ერთი საფუძველის დადგენა – დადასტურება იწვევს მძიმე იურიდიულ შედეგს, რადგან მის საფუძველზე განხორციელებული მოქმედებები ასევე მიიჩნევა არალეგიტიმურად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60, მე-60<sup>1</sup> და 61-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ერთმანეთისგან გამიჯნა არარა, უკანონო და კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რათა დადგინდეს თითოეულის სამართლებრივი შედეგების გაუქმების საკითხი, კერძოდ, არარა აქტს მიღებისთანავე არა აქვს იურიდიული ძალა და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, ხოლო კანონიერ (მე-60<sup>1</sup>) და უკანონო (61-ე) ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს შეუძლიათ შეიძინონ შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი მათი ადრესატისათვის“.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ მითითებული ნორმით განსაზღვრულია 4 შემთხვევა, რომლებიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების საფუძველს, კერძოდ: ა) შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა; ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ; გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზე-

ზების გამო და დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

საკასაციო სასამართლოს მიერ გამოკვლეული არ არის აქტის არარად აღიარების რომელ საფუძველს უთითებს მოსარჩელე, რაც საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით საქმის განხილვისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელი /დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება/ შედგება, როგორც სამართლებრივი, აგრეთვე ფაქტობრივი საფუძვლისაგან, ამასთან სარჩელის საფუძველი არის ის ფაქტები, რომელთა არსებობა განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და რომლებსაც მატერიალური სამართლის ნორმა უკავშირებს სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტების უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დიფერენცირებულია ადმინისტრაციული სარჩელების სახეები. აქტის არარად აღიარების მოთხოვნას პროცესულურად შეესაბამება ადმინისტრაციული სარჩელის სპეციალური სახე – აღიარებითი სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ასევე ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 28 აპრილის განჩინებაში /საქმეზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელისა გამო, მოპასუხის ქუთაისის რეგიონალური ცენტრის მიმართ/ ჩამოყალიბებულ განმარტებას: „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სარჩელის მოთხოვნის ტრანსფორმირების პროცესულური შესაძლებლობა გაგებულ უნდა იქნას ამგვარად, რომ კანონმდებელმა სიტყვა „ტრანსფორმაცია“ მიანიჭა სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც განმარტებულ უნდა იქნას თავად მისი შინაარსიდან გამომდინარე. ტრანსფორმაცია გულისხმობს გარდაქმნას, სახეცვლილებას, შეცვლას, შესაბამისად, ტერმინის სამართლებრივი კონტექსტი ნიშნავს სასარჩელო მოთხოვნის გარდაქმნას, სახეცვლილებას, შეცვლას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლი ემსახურება პროცესის ეკონომიის პრინციპის რეალიზაციას, რაც ადმინისტრაციულ სარჩელთან მიმართებაში გულისხმობს ადმინისტრაცი-

ული სარჩელის სახის – რაც განისაზღვრება სწორედ სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით, გარდაქმნის, სახეცვლილების, შეცვლის შესაძლებლობას. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup>-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო ამონმებს განმწესრიგებელ სხდომაზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებთან ადმინისტრაციული სარჩელის შესაბამისობის საფუძვლებს. სარჩელის სახის შეუსაბამობის პირობებში მოსამართლეს ენიჭება პროცესუალური უფლებამოსილება ოფიციალობის პრინციპიდან გამომდინარე, მიუთითოს მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის ანუ სარჩელის ერთი სახის სხვა სახის სარჩელად გარდაქმნისაკენ. ვინაიდან სარჩელის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში მოსარჩელე ინარჩუნებს საპროცესო უფლებას აღძრას სხვა სახის სარჩელი და სწორედ პროცესის ეკონომიის პრინციპს ემსახურება სარჩელის სახის გარდაქმნის, სახეცვლილების შესაძლებლობა; აგრეთვე, დაბალი სამართლებრივი კულტურის პირობებში შესაძლებელია მოსარჩელემ კვალიფიციურად ვერ ჩამოაყალიბოს მოთხოვნა, ანუ მაგ. მოსარჩელე ითხოვს სადგო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას, რაც ზოგადი მოთხოვნაა და საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით საჭიროებს მოთხოვნის ფორმულირებას, დაზუსტებას, ვინაიდან აქტის გაუქმება მოიცავს როგორც მის ბათილად, ასევე ძალადაკარგულად გამოცხადებასაც და ა.შ. სწორედ სარჩელის მოთხოვნის ზუსტი პროცესუალური ფორმულირება განსაზღვრავს დავის გადანყვეტის მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს.

საკაცაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სარჩელის ტრანსფორმაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა გაიგივდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სარჩელის საგნის შეცვლის, გადიდების საპროცესო უფლებასთან, ვინაიდან აღნიშნული საპროცესო უფლება თვისობრივად განსხვავდება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილ დავების სპეციფიკურ ნორმათა ერთობლიობაში გათვალისწინებული საგამონაკლისო პროცესუალური ინსტიტუტებისაგან. სწორედ ამ პროცესუალურ თავისებურებათა გამო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან მიმართებაში ნეგატიური დათქმის პრინციპზე აგებულ საკანონმდებლო აქტს.

დასკვნის სახით: მოთხოვნის ტრანსფორმირება გულისხმობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით განსაზღვრული ადმინისტრაციული სარჩელის სახეების ფარგლებში ერთი სახის სარჩელის შეცვლას სხვა სახის სარჩელით“.

კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს, რომ მოსარჩელე ით-

ხოვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, როგორც არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემულის არა-რად აღიარებას, მაშინ, როცა, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის /1997 წლის რედაქცია/ პრეამბულის მიხედვით, ეს კანონი ანესრიგებს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის, ზედამხედველობის ორგანოების ფუნქციებსა და უფლებებს, ამ სფეროში მენარმე-სუბიექტების პასუხისმგებლობას. კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია საპროექტო-საძიებო და სამშენებლო – სამონტაჟო სამუშაოების, სამშენებლო ნაკეთობებისა და კონსტრუქციების ხარისხის ამაღლებისათვის ხელის შეწყობა და ამის საფუძველზე ყველა სახის შენობა-ნაგებობის საიმედო და უსაფრთხო ექსპლუატაციისა და არქიტექტურული გადანეწყვის განხორციელების უზრუნველყოფა, ხოლო ამავე კანონის 2(ბ) მუხლის მიხედვით ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახური წარმოადგენს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, ანუ სწორედ მითითებული ორგანოს იურისდიქციას – კომპეტენციას განეკუთვნება არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობებში იმგვარი დარღვევის გამოვლენა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება, როგორცაა სახელმწიფო სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, პროექტების უგულებელყოფა, წარმოებული სამშენებლო ნაკეთობებისა და კონსტრუქციების სიმტკიცის, მდგრადობისა და საიმედოობის დაქვეითება – დაკარგვა, აგრეთვე ქმედება, რომლის შედეგადაც ირღვევა დადგენილი საორგანიზაციო წესები ობიექტის მშენებლობისას და საქსპლუატაციოდ მიღებისას, დადგენილი საორგანიზაციო წესების დარღვევის გამოვლენა და ა.შ.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტის ნორმების ანალიზის საფუძველზე ნათელია, რომ სახეზეა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი /რაც საკასაციო სასამართლოს სხდომაზე ფაქტობრივად დაადასტურეს მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლებმა/, კერძოდ გასაჩივრებულია ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დადგენილება არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალ-დარღვევისათვის მოსარჩელის დაჯარიმების თაობაზე, რისი იურიდიული უფლებამოსილება, მეტიც, ვალდებულებაც ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურს მინიჭებული აქვს 1997 წლის 14 ნოემბრის „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის საფუძველზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, რის გამოც

დარღვეულია სსსკ-ის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის წარმომადგენლების მითითებას, რომ სახეზეა არარა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რამდენადაც სარჩელი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის დარღვევითაა მიღებული ანუ კანონსაწინააღმდეგო /სარჩელის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დარღვევა/, ვინაიდან აღძრულია პროცესუალურად არასწორი ფორმით (აქტის არარად აღიარების მოთხოვნით), რასაც შესაბამისი სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას და განახორციელოს შესაბამისი საპროცესო მოქმედებები მოცემული საქმის წარმოების ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

აგრეთვე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მონინალ-მდგვე მხარის წარმომადგენლების მოსაზრებას, რომ სადავო აქტი არარად უნდა იქნეს აღიარებული, რამდენადაც ხელყოფს მოსარჩელის, როგორც მესაკუთრის კანონიერ ინტერესებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო აქტი გამოიცა მაშინ, როცა მოსარჩელის მიერ დღევანდელი მდგომარეობით საკუთრებაში აღრიცხული მინაშენი წარმოადგენდა უკანონო ნაგებობას, ხოლო ამგვარ ნაგებობაზე ზედამხედველობის კონტროლი „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანოს – ქ. ბათუმის არქიტექტურის სამსახურის პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს.

ზემოთითებულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მითითებულ გარემოებებზე, სათანადო სამართლებრივი შეფასება მისცეს და მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის და სარჩელის სწორი სახის განსაზღვრის შემდეგ იმსჯელოს სარჩელის დასაშვებობაზე და საფუძველიანობაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას ასევე შეფასება უნდა მისცეს იმ ფაქტს, რომ სადავო დადგენილება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია 2008 წლის 10 ივნისს; მოსარჩელემ უკანონოდ წარმოები მშენებლობა საჯარო რეესტრში საკუთრებაში დაირეგისტრირა 2008 წლის 30 მაისს, თუმცა სადავო აქტის მიღებამდე, ადმინისტრაციულმა ორგანომ 2008 წლის 28 მაისს მოსარჩელეს გაუგზავნა მინერილობა „არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის საფუძველზე გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ, ანუ კანონით

დადგენილი წესით მოხდა მოსარჩელის ინფორმირება გამოვლენილი სამართალდარღვევის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა შეაფასოს ზემომითითებული გარემოება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების, კერძოდ, დასკვნა იმის თაობაზე, ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია თუ არა კანონისმიერი ვალდებულება არქიტექტურული სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენისა და „არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის საფუძველზე შესაბამისი მინერელობის გამოცემის შემდეგ გადაამოწმოს, მოხდა თუ არა უკანონო მინაშენის საკუთრების უფლების რეგისტრაციაში გატარება დამრღვევის მიერ, როგორც განსახილველ შემთხვევაში, მით უფრო იმ პირობებში, რომ მოსარჩელემ არ აცნობა ადმინისტრაციულ ორგანოს უკანონო მინაშენის სამართლებრივ რეგისტრაციაში აღრიცხვის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება, მოახდინოს საკუთრების რეგისტრაცია წარმოადგენს საჯარო, მმართველობით სფეროში მინიჭებულ იურისდიქციას, რომლის განხორციელების პირობებში კერძოსამართლებრივი აქტები იძენენ საჯარო აქტების ხასიათს, რაც სწორედ სახელმწიფო კომპეტენციით აღჭურვილი საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებულ რეალაქტს განეკუთვნება.

სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს უნებართვო ნაგებობის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი ანუ საკუთრების უფლების შექმნა უძრავ ნივთზე მოქმედი კანონმდებლობით გამოვლიცხავს თუ არა უკანონო სამშენებლო საქმიანობის წარმოებაზე სამართლებრივ პასუხისმგებლობას საერთოდ, რამდენადაც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულება „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის ან მათი ნაწილის ლეგალიზების თაობაზე“, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს უკანონო ნაგებობის დაკანონებისათვის, არ შეიცავს დათქმას ამგვარი ნაგებობების სამართლებრივი რეგისტრაციის შემთხვევაში ყველა სახის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საზოგადოდ, ყოველი ნორმატიული აქტის მიზანია სამართალურთიერთობების ამ თუ იმ ფორმით მონესრიგება, კონკრეტულ სამართალურთიერთობების ქაოსში წესრიგის შეტანა. საქართველოს სახელმწიფოში, განსაკუთრებით დედაქალაქში, მმართველობის ორგანოების ათწლეულების მანძილზე არაჯეროვანი ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი უნებართვო ნაგებობების ბუმის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა,

ერთის მხრივ, წარმოადგენს სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირის – პრეზიდენტის პოლიტიკურ ნებას, უნებართვო ნაგებობები მოექცეს სამართლებრივ სივრცეში და გახდეს სამოქალაქო ბრუნვის სრულფასოვანი ობიექტი, რაც ამავდროულად უდავოდ ემსახურება კერძო ინტერესების რეალიზაციას, მეორეს მხრივ, პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებას უახლეს წარსულში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მმართველობითი ფუნქციების არაკვალიფიციურად (უკანონო და არაეფექტიანი) შესრულების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი ნების გამოვლენა – უკანონო ნაგებობის დაკანონების შესაძლებლობა, არ გულისხმობს პირთათვის სრულ ამნისტიას განხორციელებული სამართალდარღვევების მიმართ. 1997 წლის 14 ნოემბრის საქართველოს კანონით „არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ უკანონო ნაგებობებთან დაკავშირებით დამრღვევის მიმართ გათვალისწინებულია შემდეგი სანქციები:

1. მუხლი 6. არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევის და დარღვევით მიყენებული ზიანის აღმოჩენისას არქმშენის სპექცია დამრღვევს სთავაზობს დარღვევის და დარღვევით მიყენებული ზიანის ნებაყოფლობით გამოსწორებას 10 დღის ვადაში.

2. მუხლი 6. თუ დამრღვევი უარს აცხადებს დარღვევის და დარღვევით მიყენებული ზიანის გამოსწორებაზე, არქმშენის სპექცია იღებს დადგენილებას დამრღვევისათვის საჯარიმო სანქციის დაკისრების შესახებ და აჯარიმებს მას.

3. მუხლი 4 ვ) პუნქტი: იღებს დადგენილებას კანონმდებლობის დარღვევით აშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვრა რა უკანონო ნაგებობების და კანონების შესაძლებლობა – გულისხმობს, რომ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გამოირიცხება ამგვარი ნაგებობების მხოლოდ დემონტაჟის მოთხოვნის და აღსრულების ფაქტი და არა პასუხისმგებლობის სხვა სახეებისაგან გათავისუფლება. ასეთის დაშვება საკასაციო სასამართლოს აზრით ნაახალისებდა მოქალაქეთა თვითნებობას, სისტემატურ კანონდარღვევებს, რისი თეორიული დაშვებაც უგულვებელყოფს ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს კანონიერების და კანონის წინაშე თანასწორობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მონინაალმდევე მხარის წარმომადგენლების მოსაზრებას, რომ დაუშვებელია ინდივი-

დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ არარად აღიარება, ვინაიდან კანონმდებლობით არ არის დადგენილი აქტის ნაწილობრივ არარად აღიარების შესაძლებლობა, შემდეგ გარემოებათა გამო:

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მონესრიგებული არ არის აქტის ნაწილობრივ არარად აღიარების პროცედურა, როგორც ეს გათვალისწინებულია ბათილი და ძალადაკარგული აქტების შემთხვევაში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლით, თუმცა აღნიშნული არ გამოორიცხავს, რომ დაუშვებელია ნაწილობრივ არარად იქნეს აღიარებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ერთი აქტის გამოცემით ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია უფლებამოსილება მოაწესრიგოს ერთმანეთთან დაუკავშირებელი (ან დაკავშირებული) რამდენიმე საკითხი. მთელი რიგი საკითხების მონესრიგებისას ორგანო სადავო აქტის მიმართ შესაძლებელია წარმოადგენდეს უფლებამოსილს, თუმცა დასაშვებია რომელიმე საკითხის მიმართ ის წარმოადგენდეს არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, რაც არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს აქტის ნაწილობრივ არარად აღიარების შესაძლებლობას, აქტი სრულად უნდა გამოცხადდეს არარად, მათ შორის აქტის ის ნაწილებიც, რომლებიც კანონშესაბამისია. ამგვარ ვითარებაში სასამართლოს, კანონის ანალოგიის გამოყენების საფუძველზე გააჩნია უფლებამოსილება – არარად აღიაროს აქტი ნაწილობრივ, ისე რომ არ შეეხოს მის სხვა, კომპეტენციის ფარგლებში გამოცემულ ნაწილებს. ამდენად, მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლების მოსაზრება, მისი იურიდიული დაუსაბუთებლობის და არალოგიკურობის გამო ვერ იქნება გაზიარებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ შეუძლებელია საქმეზე ახალი გადაწყვეტილების დადგენა, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა უზრუნველყოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად საქმის წარმოება, კერძოდ, განახორციელოს ადეკვატური საპროცესო მოქმედებები ადმინისტრაციული სარჩელის სწორი სახის განსაზღვრისათვის, მისი დასაშვებობისა და დასაბუთებულობის კვალიფიციური განსაზღვრით საქმეზე ობიექტური და კანონშესაბამისი გადაწყვეტილების დადგენის მიზნით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციუ-

ლი საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება ე. ჯ. ძის 4000 ლარით დაჯარიმების შესახებ აქტის არარად აღიარების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **აქტის არარად აღიარება**

### **განჩინება**

№ბს-1344-1329(კ-11)

20 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**მოსარჩელე:** ს. ჩ-ი, ლ. დ-ე

**მოპასუხე:** ქ. ბათუმის მერია

**მოპასუხე:** მ. დ-ე

**სარჩელის სახე:** საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის საფუძველზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის არარად აღიარება.

### **სარჩელის საგანი:**

1. ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივლისის დადგენილება (ოქმი №6) – არარად აღიარება.

### **სარჩელის საფუძველი:**

**ფაქტობრივი:** მოსარჩელე – ს. ჩ-ი წარმოადგენს ან გარდაცვლილი ნ. დ-ის კანონიერ მემკვიდრეს. ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივლისის დადგენილებით მას და მის ქალიშვილს – ლ. დ-ეს, (მეორე მოსარჩელეს), მიადგათ ზიანი, რადგან აღნიშნული აქტით, განიკარგა სამკვიდრო ქონება, რომელსაც ისინი მიიღებდნენ ნ. დ-ის გარდაცვალების შემდეგ.

**სამართლებრივი:** მოსარჩელე თვლის, რომ არარა აქტად უნდა იქნეს აღიარებული ქ. ბათუმის 2000 წლის 20 ივლისის დადგენილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის საფუძველზე.

### **მოპასუხის შესაგებელი:**

**ფაქტობრივი:** მოპასუხე მხარის მ. დ-ის წარმომადგენელმა გ. ა-ის წერილობითი შესაგებელის მიხედვით, ლ. ჩ-მა არ გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლება დარეგისტრირებულიყო თანამესაკუთრედ. ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება, მხოლოდ მაშინ წარმოადგენს თანასაკუთრებას, თუ ის დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

**სამართლებრივი:** მოსარჩელეების მხრიდან არ იკვეთება დაინტერესება, როგორც ამას ითხოვს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილი.

### **საქმის გარემოებები:**

ს. ჩ-სა და ნ. დ-ეს 1986 წლის 5 თებერვალს შეეძინათ ქალიშვილი – ლ. დ-ე (მეორე მოსარჩელე).

ს. ჩ-მა და ნ. დ-ემ იქორწინეს 1987 წლის 14 აგვისტოს. მათი ქორწინების აქტი რეგისტრირებულ იქნა ქ. ბათუმის მმარის ბიუროში (ქორწინების მოწმობის ასლი).

1992 წელს ნ. დ-ემ შეიძინა ქ. ბათუმში ... ქ. №4 – ში მდებარე საცხოვრებელი ბინა №16.

2000 წელს ნ. დ-ემ განცხადებით მიმართა ქ. ბათუმის მერიას და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული ბინის გაცვლა მისი შვილის მ. დ-ის (მოპასუხე მხარე) საცხოვრებელ სახლში – მდებარე, ხულოს რაიონი, სოფ. ....

ბათუმის მერიამ 2000 წლის 20 ივლისის №6 საოქმო დადგენილებით, ნ. დ-ეს ნება დართო მის საკუთრებაში არსებული ბინის გაცვლაზე. საოქმო დადგენილება რეგისტრაციის განხორციელების მიზნით 2000 წლის 22 ივლისს გაეგზავნა ქ. ბათუმის მერიის ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურის უფროსს.

ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივლისის №6 საოქმო დადგენილე-

ბის საფუძველზე ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში მ. დ-ე და-რეგისტრირდა ქ. ბათუმში ... ქ. №4 ბ. 16 – ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრედ.

**რაიონული/საქალაქო/სასამართლოს გადაწყვეტილება/სარე-ზოლუციო/**

ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ, არარა ად-მინისტრაციულ აქტად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივლისის №6 საოქმო დადგენილება ქ. ბათუმში, ... ქ. №4 ბ. 16–ში მდებარე ბინის 1/3 ნაწილში. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმა-ყოფილდა.

**სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:**

სასამართლომ უდავოდ მიიჩნია შემდეგი გარემოება: მ. დ-ის უძ-რავი ქონების საკუთრება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

**სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:**

მოპასუხე მხარეებმა სადავო გახადეს მოსარჩეეების იურიდი-ული ინტერესი არარა აქტთან დაკავშირებით.

მოპასუხე მ. დ-ემ სადავო გახადა მემკვიდრეობის მიღების ხან-დაზმულობის ვადა.

მოსარჩეე მხარის წარმომადგენელმა სადავო გახადა ბათუმის 2000 წლის 20 ივლისის №6 საოქმო დადგენილება, რომლის გამოც ვერ მოხერხდა სამკვიდროს მიღება.

**მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება –** სასა-მართლოს მსჯელობით ადმინისტრაციული აქტის არარად აღიარე-ბის მოთხოვნის უფლება აქვს იმ პირს, ვისი კანონიერი ინტერესიც დაირღვა ასეთი აქტის გამოცემით.

ტექნიკურ ბიუროში მესაკუთრედ რეგისტრირებული იყო ნ. დ-ე. ს. ჩ-ს კი მისი საკუთრების უფლება სადავო არ გაუხდია ნ. დ-ის სი-ცოცხლეში. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივლისის დადგენილება სარ-ჩელში მითითებული საფუძველით ს. ჩ-შივლს ზიანს არ აყენებს. რაც შეეხება მეორე მოსარჩეეს, სასამართლოს დასკვნით ვინაიდან იგი ნ. დ-ის შვილი და კანონით მისი პირველი რიგის მემკვიდრეა, აღნიშ-ნული დადგენილებით მას ადგება ზიანი და ამ ნაწილში მისი სასარ-ჩელო მოთხოვნა არის დასაშვები.

სასამართლომ არ გაიზიარა მ. დ-ის არგუმენტი ლ. დ-ის სამკვიდ-რო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. ნ. დ-ის გარ-დაცვალებისას სამკვიდრო ქონებაში რაიმე აქტივი არ არსებობდა, შესაბამისად მოსარჩეეს არ ჰქონდა ინტერესი მიემართა ნოტარი-უსისათვის სამკვიდროს მისაღებად. გარდა ამისა, მოთხოვნა ხან-

დაზმულია თუ არა უნდა გადაწყდეს სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებით აღძრული სარჩელის განხილვისას.

**სასამართლოს დასკვნები** – ბათუმის მერიის საოქმო დადგენილება არარად უნდა იქნეს აღიარებული ქ. ბათუმში ... ქ. №4 ბ. 16 – ში მდებარე ბინის 1/3 ნაწილში, რადგან ნ. დ-ეს ჰყავს სამი მემკვიდრე და თითოეულ მემკვიდრეს უფლება აქვს პრეტენზია განაცხადოს ქონების მხოლოდ 1/3 ნაწილზე.

#### **სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/**

სასამართლოს შეფასებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის თანახმად, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებები რეგისტრირდება საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრის ჩამოყალიბებამდე ამ სამსახურზე დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებდა ქ. ბათუმის მერიის ტექნიკური აღრიცხვის ბიურო. ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში რეგისტრირებული საკუთრების უფლება ითვლება სწორად და მასზე მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმცია.

სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდეგ ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. 2000 წლის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, გარდა, გარიგების წერილობითი ფორმისა, სავალდებულო იყო სანოტარო წესით დამონმება. იმისათვის, რომ საკუთრების უფლება მოეპოვებინა მ. დ-ეს, ტექნიკურში უნდა წარედგინა საკუთრების შექმნის დამადასტურებელი წერილობითი ხელშეკრულება, რაც დამონმებული უნდა ყოფილიყო სანოტარო წესით. მიუხედავად კანონის იმპერატიული მოთხოვნისა, მ. დ-ემ წარადგინა ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივლისის №6 საოქმო დადგენილება გაცვლის თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის I ნაწილით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ. სასამართლოს მსჯელობით, ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივლისის №6 საოქმო დადგენილება გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ. ქ. ბათუმის მერიას არ აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება – ფიზიკურ პირებს შორის ქონების გაცვლასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილება არარა ადმინისტრაციული აქტია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს

ამის კანონიერი ინტერესი. სასამართლო თვლის, რომ ს. ჩ-ს მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა უფლება ქ. ბათუმში, ... ქ. №4 ბ. 16-ში მდებარე ბინის თანამესაკუთრე გამხდარიყო, მას ამ უფლებით არ უსარგებლია და მის თანამესაკუთრედ არ დარეგისტრირებულა. საკუთრების უფლება არ ნიშნავს, რომ ჩ-ი რეგისტრაციის გარეშე უძრავი ნივთის თანამესაკუთრე იქნებოდა. სასამართლო თვლის, რომ ნ. დ-ემ გაასხვისა თავისი ქონება, ამიტომ საოქმო დადგენილებით სარჩელში მითითებული საფუძვლით ს. ჩ-ს ზიანი არ ადგება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის I ნაწილით კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან: I რიგში – გარდაცვლილის შვილები, მეუღლე და მშობლები. დადგენილია, რომ არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული დადგენილებით განიკარგა ნ. დ-ეს ქონება. ლ. დ-ე ნ. დ-ის სრის მემკვიდრეა, შესაბამისად, ზემოაღნიშნული დადგენილებით მას ადგება ზიანი და ამ ნაწილში მისი სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია.

**აპელანტი:** ს. ჩ-ი, ლ. დ-ე

**მოპასუხე:** ქ. ბათუმის მერია,

**მოპასუხე:** მ. დ-ე

**აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება რა ნაწილშიც არ დაკმაყოფილდა ს. ჩ-ის მოთხოვნა და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

**აპელაციის მოტივები.**

**ფაქტობრივი:** აპელანტის მითითებით, სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ თანამესაკუთრეობის საკითხზე და საერთოდ არ იმსჯელა ს. ჩ-ის, როგორც მემკვიდრის უფლების დარღვევაზე. სასამართლოს ამ მსჯელობიდან გამომდინარე უნდა დაეკმაყოფილებინა ს. ჩ-ის მოთხოვნა 1/3 ნაწილში და არარად ეცნო აქტი საბოლოო ჯამში 2/3-ის ნაწილში.

**სამართლებრივი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის შესაბამისად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამ შემთხვევაში კი ნ. დ-ის უძრავი ქონება სხვა პირის საკუთრებაში გადავიდა ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, რასაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ იგი გამოსცა არაუფლებამოსილმა ორგანომ. ბათუმის მერიის საოქ-

მო დადგენილება პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩე-  
ლეებს.

### **მონინალმდეგე მხარის შეპასუხება**

#### **მოტივები:**

მონინალმდეგე მხარის წარმომადგენელმა დ. მ-ემ წარმოადგი-  
ნა წერილობითი შეპასუხება. მისი მოსაზრებით, სასამართლომ არ  
გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლი,  
რომლის თანახმადაც, სამკვიდრო მიღებული უნდა იქნეს ექვსი თვის  
განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ასევე, 1426-ე მუხლის I  
ნაწილის თანახმად სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძ-  
ლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზე-  
ბი სპატიოდ იქნება მიჩნეული. მოსარჩელებს არ მოუმართავთ სა-  
სამართლოსთვის სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით ექვსთვი-  
ანი ვადის აღდგენასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მათი  
სამკვიდრო ქონების მიღების უფლება არ შელახულა და, შესაბამი-  
სად, ადმინისტრაციული აქტი მათ ზიანს არ აყენებს. ის გარემოება,  
რომ ნ. დ-ის არ გააჩნდა საკუთრება და აქედან გამომდინარე ვერ  
გამოიყენეს სამკვიდროს მიღება საფუძველს მოკლებულია, რადგან  
არარა ადმინისტრაციული აქტით მოხდა უძრავი ქონების გაცვლა  
და, შესაბამისად, ნ. დ-ის სახელზე ირიცხება უძრავი ქონება მდებარე  
ხულოს რაიონში.

მოსარჩელების მხრიდან არ იკვეთება დაინტერესება, როგორც  
ამას ითხოვს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის  
მე-60 მუხლის II ნაწილი.

**აპელანტი:** მ. დ-ე

**მოპასუხე:** ს. ჩ-ი, ლ. დ-ე

#### **აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/**

ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიის 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და  
ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელებისათვის სარჩელის დაკმა-  
ყოფილებაზე უარის თქმა.

#### **აპელაციის მოტივები.**

**ფაქტობრივი:** სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში მიუთი-  
თებს, რომ არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული დადგენი-  
ლებით განიკარგა ნ. დ-ის ქონება. მისი არარად აღიარების შემდეგ  
ქონება შევა ნ. დ-ის სამკვიდრო მასაში და მას მიიღებენ მისი მემ-  
კვიდრები. აღნიშნული მსჯელობა არასწორია, რადგან მემკვიდრის  
უფლება სამკვიდრო ქონების მიღებასთან დაკავშირებით არ დარ-  
ღვეულა. მემკვიდრეს – ლ. დ-ეს არ მოუმართავს სანოტარო ორგა-  
ნოსათვის კანონით დადგენილ წ თვიან ვადაში და არც ამ ვადის გაშ-  
ვების შემდეგ არ მიუღია სამკვიდრო. შესაბამისად, მისი უფლება არ  
დარღვეულა.

**სამართლებრივი:** სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სა-  
მოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლი, რომლის თანახმადაც სამკვიდ-  
რო მიღებული უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს  
გახსნის დღიდან. ასევე, 1426-ე მუხლის ნაწილის თანახმად, სამკვიდ-  
როს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამარ-  
თლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეუ-  
ლი. მოსარჩელებს არ მიუმართავთ სასამართლოსთვის სამკვიდ-  
როს მიღებასთან დაკავშირებით ექვს თვიანი ვადის აღდგენასთან  
დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მათი სამკვიდრო ქონების მი-  
ღების უფლება არ შელახულა და შესაბამისად, ადმინისტრაციული  
აქტი მათ ზიანს არ აყენებს.

### **მონინალმდეგე მხარის შეპასუხება**

**მოტივები:** მონინალმდეგე მხარის წარმომადგენელმა ჯ. ს-ემ  
წარმოადგინა ნერილობითი შეპასუხება. მისი მითითებით, სასამარ-  
თლომ სწორად გამოიყენა ნორმები, რასაც სადავოდ ხდის აპელან-  
ტი მხარე. ლ. დ-ე და ს. ჩ-ი წარმოადგენენ რიგის მემკვიდრეებს და  
ისინი არ მოუწვევიათ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის და სამ-  
კვიდრო ქონებაც არ არსებობდა მამკვიდრებლის გარდაცვალების  
მომენტში გასაჩივრებული არარა ადმინისტრაციული აქტის გამო.

### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:**

ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გა-  
უქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 10 დეკემბრის  
გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილ-  
ში და მისი შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება სარჩე-  
ლის სრულად დაკმაყოფილების შესახებ. არარა ადმინისტრაციულ  
აქტად იქნა აღიარებული ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივნისის  
№6 საოქმო დადგენილება ქ. ბათუმში, ... ქ. №4/16 ში მდებარე ბინის  
2/3 ნაწილში.

მ. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

### **აპელაციის მოტივების გაზიარების თაობაზე სააპელაციო სა- სამართლოს მსჯელობა:**

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ს. ჩ-ის სააპელაციო სა-  
ჩივრის არგუმენტები. კერძოდ, დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო  
არარა აქტივით ქონების გასხვისებით, როგორც მემკვიდრემ ვერ მიი-  
ღო კუთვნილი წილი, რითაც ზიანი მიადგა მის კანონიერ ინტერესს.

უსაფუძვლოა აპელანტ მ. დ-ის არგუმენტები სარჩელის უარყო-  
ფასთან დაკავშირებით იმ მოტივით, რომ მოსარჩელებს დაკარგუ-  
ლი აქვთ სამკვიდროს მიღების უფლება, რადგან კანონით დადგე-  
ნილ ვადაში არ მიუმართავთ სამკვიდროს მისაღებად. სააპელაციო  
პალატამ აღნიშნა, რომ ნ. დ-ის გარდაცვალებისას სადავო ბინა გას-  
ხვისებული იყო და მასზე არ ირიცხებოდა, შესაბამისად არ არსე-  
ბობდა სამკვიდროს მისაღებად განაცხადის წარდგენის საფუძველი.

გასაჩივრებელი გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობისა და დაუსაბუთებლობის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა.

ზემოაღნიშნულ არგუმენტაციასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სამკვიდრო ქონების გასხვისებით, შვილისა და მეუღლის ინტერესები, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეების, ერთნაირად შეილახა და მათ მიადგა ზიანი. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ს. ჩ-ის მოთხოვნის უარყოფის ნაწილში არ არის დასაბუთებული, რაც ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

ამასთანავე, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ხანდაზმულია თუ არა სამკვიდროს მიღებაზე განცხადების წარდგენა, უნდა გადაწყდეს სამკვიდრო ქონების მიღებასთან დაკავშირებით აღძრული დავის განხილვის დროს, მით უფრო, როდესაც კანონი ითვალისწინებს ვადის აღდგენას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მ. დ-ის არგუმენტები, რომ სადავო აქტით მოსარჩელეთა ინტერესებს არ ადგებათ ზიანი. სააპელაციო პალატამ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არ დააკმაყოფილა მ. დ-ის სააპელაციო საჩივარი.

#### **სააპელაციო სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:**

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები.

#### **მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება:**

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არარა აქტით ს. ჩ-ს, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, მიადგა ზიანი და, შესაბამისად, მისი სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

მ. დ-ის სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოა, ვინაიდან დადასტურებულ ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მრიგის მემკვიდრეებს სადავო აქტით ადგებათ ზიანი.

#### **სააპელაციო სასამართლოს დასკვნები:**

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის გარემოებათა არასრული შეფასების შედეგად, დაუსაბუთებლად უარყო ს. ჩ-ის მოთხოვნა და ამ ნაწილში სასამართლო გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული. სახზევა საქართველოს საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, რის გამოც ის უნდა გაუქმდეს სარჩელის უარყოფის ნაწილში და მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შესაფება /კვალი-

ფიკაცია/

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სამართლებრივი შეფასება ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

**კასატორი:** მ. დ-ე

**მონინალმდეგე მხარე:** ს. ჩ-ი, ლ. დ-ე

**კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

**კასაციის მოტივები: სამართლებრივი:**

**პროცესუალური:** კასატორის მითითებით, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას მოსარჩელე პირის გარკვეული უფლების განმტკიცების და სამომავლოდ ამ უფლების მოსალოდნელი დარღვევისაგან დაცვის ან აღკვეთის მიზნით. სარჩელი უნდა აღიძრას მანამ, სანამ ეს უფლება დაირღვევა. სასამართლოს კანონიერი და სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის უნდა შეემონებინა: 1. მოსარჩელეს სამომავლოდ რომელი უფლება შეიძლებოდა დარღვეოდა; 2. სარჩელი აღძრული იყო სამომავლოდ რომელიმე უფლების დარღვევის აღკვეთისათვის თუ უკვე დარღვეული უფლების აღდგენისათვის და 3. ჰქონდა თუ არა მოსარჩელეს კანონიერი ინტერესი და შეეძლო თუ არა მას აღეძრა სარჩელი საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ ამ ფაქტების შეფასება არ მოახდინა.

**მატერიალური:** სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არა-რა ადმინისტრაციული აქტით ქონება გასხვისდა, ამით სამკვიდრო ქონებად მიიჩნია არა ის ქონება, რომელიც ნ. დ-ეს სიკვდილის მომენტისათვის ჰქონდა ხულოს მუნუციპალიტეტის სოფ. ... მდებარე სახლის სახით, არამედ ის ქონება, რომელიც სიკვდილის მომენტისათვის აღარ ჰქონდა გაცვლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება იმაზე, რომ მან დადასტურებულად მიიჩნია სადავო აქტით ქონების განკარგვის ფაქტი, ნიშნავს იმას, რომ მან არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი.

ანდერძის არარსებობის შემთხვევაში სამკვიდრო მასიდან კუთვნილი წილის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ კანონისმიერ მემ-

კვიდრებს, მაგრამ ამ უფლების გარდა აუცილებელია კანონიერი ინტერესის არსებობაც, რაც აღიარებითი სარჩელის აუცილებელი წინაპირობაა. იმისათვის, რომ სასამართლოს ჩაეთვალა კანონიერი ინტერესის და არა უფლების არსებობა, მას უნდა გადაემონებინა მიმართა თუ არა მოსარჩელემ სანოტარო ორგანოს განცხადებით ან დაუფულა თუ არა ფიზიკურად სამემკვიდრეო ქონებას. მოსარჩელეს ამგვარი ქმედებები არ განუხორციელებიათ.

იმის გამო, რომ ჯერ არ შემდგარა ის სასამართლო პროცესი, რომელიც მათ მისცემდა სამკვიდროს მიღებისათვის გაშვებული ვადის აღდგენის საშუალებას, სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება თავდაპირველი მოსარჩელები ეცნო სამკვიდრო მასიდან კანონისმიერი მემკვიდრეობის გზით 2/3 მიღების უფლების მქონე პირებად.

### **მონინალმდეგის შეპასუხება: სამართლებრივი**

მონინალმდეგე მხარეებმა მოსაზრებით მოითხოვეს მ. დ-ის სააკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა, იმ მოტივით, რომ სააკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის მოთხოვნებს და დამატებით მიუთითეს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება სხვა პირის საკუთრებაში შესაძლებელია გადავიდეს მხოლოდ ნოტარიულად დამონებული გარიგების საფუძველზე, დღეს მოქმედი კანონმდებლობით კი, საჭიროა წერილობითი ფორმა და მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. კონკრეტულ შემთხვევაში კი, ნ. დ-ის უძრავი ქონება სხვა პირის საკუთრებაში გადავიდა ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, რასაც არც იმდროინდელი და არც დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოსცა აქტები, რაც არ შედიოდა მის უფლებამოსილებაში და რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად, არარა აქტებია.

სადავო აქტები პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მათ, ვინაიდან ს. ჩ-ს წაერთვა მეუღლის საკუთრებაში არსებული ქონების შესაბამისი წილით მემკვიდრეობით მიღების შესაძლებლობა, ხოლო ლ. დ-ეს – მამის საკუთრებაში არსებული ქონების შესაბამისი წილით მემკვიდრეობის გზით მიღების შესაძლებლობა.

მონინალმდეგე მხარეების განმარტებით, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა სწორად განმარტეს, იურიდიულ ინტერესთან დაკავშირებული საკითხებიც, ვინაიდან, რომ არა ადმინისტრაციული აქტი, უძრავი ქონება იქნებოდა სამკვიდრო ქონება, რაც წარმოშობს 2 დამატებით გარემოებას, პირველ – მათ ექნებოდათ სხვა ინტერესი სამკვიდროს მისაღებად და მეორე – მოქმედი კანონმდებლობა აღიარებს სამკვიდროს მისაღებად გათვალისწინებული ვადის

აღდგენას, შესაბამისად მათ შეუძლიათ ქონების მამკვიდრებლის საკუთრებაში დაბრუნების შემთხვევაში მიმართონ ნოტარიუსს ან/და სასამართლოს და მოითხოვონ სამკვიდროს მიღება. მონინალმდგე მხარეების განმარტებით, თუნდაც ის ფაქტი, რომ არსებობს შესაძლებლობა დღესაც მოხდეს სამკვიდროს მიღება და სავსებით რეალური, საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ არსებობდა იურიდიული ინტერესი ადმინისტრაციული აქტების არარად ცნობის მოთხოვნისათვის.

**საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები:** (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის მ. დ-ის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე. საკასაციო სასამართლოს დასკვნით, კასატორმა სადავოდ გახადა მოსარჩელის მიერ უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალების – ადმინისტრაციული სარჩელის სახის (აღიარებითი სარჩელი) გამოყენების მართებულობა, რაც მნიშვნელოვანია საპროცესო ინსტიტუტების არსის სწორი გაგება-გამოყენებისათვის. შესაბამისად, მოცემული საქმის განხილვა და საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული სარჩელების გამოყენების შესახებ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

**სამოტივაციო ნაწილი:**

**სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი:** საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით მ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება.

**კასაციის დასაშვების წინამძღვრების განმარტება კონკრეტულ საქმეზე:**

წინამდებარე საკასაციო საჩივარი განსახილველად, როგორც აბსოლუტური კასაცია. საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დასამკვიდრებლად, კერძოდ: კასატორი მოითხოვს განიმარტოს ადმინისტრაციული სარჩელის ერთ-ერთი სახის – აღიარებითი სარჩელის აღქმის წინაპირობები და გაიმიჯნოს უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალებების, ადმინისტრაციული სარჩელების სახეთა გამოყენება და ფარგლები, რამაც საკასაციო სასამართლოს მიჩნევით, საქმეს შესძინა განსაკუთრებული სტატუსი ადმინისტრაციული საპროცესო ინსტიტუტების თაობაზე დეტალური სასამართლო განმარტებებისა და დასკვნების სისწორიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე საკა-

საციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული საპროცესო ნორმების სწორ, კვალიფიციურ გააზრებასა და მართებულ გამოყენებას სასამართლო პრაქტიკაში. ადმინისტრაციული სარჩელების სახეების მეშვეობით უფლების დაცვის სპეციფიკა მოითხოვს მათ მკაფიოდ გამოიჯვანას და გარდა დავის ობიექტისა, უნდა განისაზღვროს ის წინაპირობები რა შემთხვევაშია შესაძლებელი ამა თუ იმ სარჩელის სახის გამოყენება. საკასაციო სასამართლო იმედოვნებს, რომ მოცემული განმარტება ასევე სასარგებლოდ იქნება ადვოკატთა კორპუსისათვის და სახელმძღვანელო მათი პრაქტიკული საქმიანობისთვის.

საქმის მასალების მიხედვით სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია ადმინისტრაციული ორგანოს – ბათუმის მერიასა და ფიზიკურ პირს შორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის დადგენისა და სადავო აქტის იურიდიული ძალის არმქონედ მიჩნევისთანა დაკავშირებით.

მოსარჩელები სარჩელის აღძვრის იურიდიულ ინტერესს უკავშირებდნენ მემკვიდრეობის უფლებას, კერძოდ, სადავო აქტით განიკარგა ის ქონება, რაც ნ. დ-ის გარდაცვალების შემდეგ შევიდოდა სამკვიდრო მასაში და მას კანონისმიერი მემკვიდრეები მიიღებდნენ.

აღნიშნული დასაბუთება გაიზიარეს როგორც პირველი, ისე სააპელაციო (ს. ჩ-ის მიმართაც) ინსტანციის სასამართლოებმა. კასატორის პრეტენზია შესაძლებელია დაეყოს რამდენიმე ჯგუფად:

1. სადავო აქტით განკარგული ქონება არ შეიძლება წარმოადგენდეს სამკვიდრო ქონებას, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის მიხედვით, ასეთად მიიჩნევა მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებები, ისე მოვალეობების ერთობლიობა, რომელიც მას სიკვდილის მომენტისათვის აქვს. სადავო აქტი გამოცემულია 2000 წელს, ხოლო ნ. დ-ე გარდაიცვალა 2001 წელს. ამდენად, იგი ვერ განისაზღვრება როგორც სამკვიდრო ქონება.

2. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მიხედვით აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას მოსარჩელის გარკვეული უფლებების განმტკიცებისა და სამომავლოდ ამ უფლების მოსალოდნელი დარღვევისაგან დაცვის ან/და აღკვეთის მიზნით. სასამართლოს უნდა შეემოწმებინა:

ა) სარჩელი აღძრულია სამომავლოდ რომელიმე უფლების დარღვევის აღკვეთისათვის თუ უკვე დარღვეული უფლების აღდგენისათვის;

ბ) ჰქონდა თუ არა მოსარჩელეს კანონიერი ინტერესი და შეეძლო თუ არა მას აღედრა სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-24-ე მუხლების საფუძველზე.

სასამართლომ არ შეამოწმა მიმართა თუ არა მოსარჩელემ სანო-

ტარო ორგანოს განცხადებით ან დაეუფლა თუ არა ფაქტობრივად სამკვიდრო ქონებას. მოსარჩელებს სამკვიდროს მიღების 6 თვიანი ვადის გაგრძელების გამო ჯერ უნდა მიემართათ სასამართლოსთვის ვადის აღდგენის მოთხოვნით და დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეეძლოთ აღძვრათ აღიარებითი სარჩელი, რომელიც მოითხოვს კანონიერი ინტერესის ქონას სარჩელის აღძვრისთანავე.

საკასაციო სასამართლოში მოსარჩელეთა წარმომადგენლის მოსაზრებით კასაციის მოტივების უარყოფა შემდეგია:

1. ქვემდგომმა სასამართლოებმა მართებულად განმარტეს, რომ ნ. დ-ის გარდაცვალების მომენტისათვის სადავო აქტის გამოცემისას მის საკუთრებაში არ იმყოფებოდა რაიმე ქონება ანუ არ არსებობდა სამკვიდრო ქონება, რის გამოც მოსარჩელეს არ ჰქონდა ინტერესი მიემართა ნოტარიუსისათვის სამკვიდროს მიღებაზე.

2. რომ არა სადავო აქტი, უძრავი ქონება იქნებოდა სამკვიდრო ქონება, შესაბამისად:

1. მოსარჩელებს ექნებოდათ სხვა ინტერესი სამკვიდროს მისაღებად;

2. მოქმედი კანონმდებლობა აღიარებს სამკვიდროს მიღების გავრცელებული ვადის აღდგენის შესაძლებლობას, რაც ადასტურებს მის იურიდიულ ინტერესს სადავო აქტის არარად ცნობის მოთხოვნისათვის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას სადავო აქტის მიმართ აღიარებითი სარჩელის აღძვრის დაუშვებლობასთან დაკავშირებით, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სარჩელების სახეები, კონკრეტულად, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების მიმართ უფლების დაცვის საპროცესო საშუალებათა სახეები. იმის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა, რომლის სამართლებრივი ფორმაა სარჩელის ობიექტი, მათ შორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების დადგენის მოთხოვნით გათვალისწინებულია ორი სახის სარჩელის: ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების და აღიარებითი სარჩელების წარდგენა. საკასაციო სასამართლო განმარტავს: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60, მე-60<sup>1</sup> და 61-ე მუხლები ითვალისწინებს ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გაუქმების საფუძვლებს და მის სამართლებრივ შედეგებს. აღნიშნული ნორმებით გამიჯნულია გამოცემისთანავე იურიდიული ძალის არ მქონე, გამოცემისთანავე კანონსაწინააღმდეგო და გამოცემისას კანონიერი, მაგრამ იურიდიულ ან ფაქტობრივ გარემოებათა საფუძველზე კანონთან წინააღმდეგობაში მოსული აქტები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის სახე – ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე აღიძვრება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას (ან ასეთის ვარაუდისას).

ადმინისტრაციული სამართალწარმოება ადმინისტრაციული სარჩელების განხილვის წინაპირობად დასაშვებობის სტადიას ითვალისწინებს, რა დროსაც სასამართლო ამონმებს სადავო აქტების მიმართებას მოსარჩელის სუბიექტურ უფლებასთან. კერძოდ, მოსარჩელის სათანადოობის გარკვევა აუცილებელია იმისათვის, რომ განისაზღვროს-სარჩელი აღძრულია თუ არა იმ პირის მიერ, ვის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ზიანს აყენებს ან უკანონოდ უზღუდავს უფლებას აქტი (22-ე მუხლით), ხოლო აქტის არაზღვრად აღიარებისადმი პირს უნდა გააჩნდეს კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო აღიარებით სარჩელთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მისი აღძვრა შესაძლებელია სამ ობიექტთან მიმართებაში:

1. აქტის არაზღვრად აღიარების მოთხოვნით;
  2. უფლების არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ მოთხოვნით;
  3. სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ მოთხოვნით.
- სამივე შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს მოთხოვნისადმი მისი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროცესუალური ტერმინი – კანონიერი ინტერესი გამოხატული უნდა იყოს პირის მატერიალურ-სამართლებრივ უფლებრივ სივრცეში. პირის ესა თუ ის ინტერესი კანონიერ ინტერესად გარდაიქმნება მაშინ, როცა ეს სივრცე სამართლით (კანონით) აღიარებულ სტატუსს აღწევს, შესაბამისად, ექცევა კანონით მონესრიგებული და დაცულ სივრცეთა ნუსხაში.

ინტერესის კანონისმიერი ხასიათი განაპირობებს პირის მიერ მის მოპოვების და დაცვის მოთხოვნილებას, ამასთან, განსაზღვრავს მისი რეალიზაციის სამართლებრივ მექანიზმებს.

დავის ობიექტთან მოსარჩელის კავშირის (სამართლებრივი ბმის) დასაბუთება და დადგენა გამორიცხავს პროცესუალური მექანიზმებით, უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას საგანზე, რომლის მიმართ არ არსებობს სუბიექტის მატერიალურ-სამართლებრივი დამოკიდებულება. ანუ სწორედ მატერიალურ-სამართლებრივ სივრცეში წარმოშობილი უფლებების თუ ინტერესების განხორციე-

ლებს დასაშვები საპროცესო უფლებების რეალიზაციის მეშვეობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის აღძვრის კანონიერი ინტერესის მტკიცება აღიარებითი სარჩელის ერთი შემთხვევის – აქტის არარად აღიარების მიმართ მდგომარეობს შემდეგში: სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში იცვლება მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა მატერიალურ-სამართლებრივ სივრცეში არსებულ ამა თუ იმ უფლებასთან მიმართებით. აქტის არარად აღიარება სპობს უფლების რეალიზაციის დამაბრკოლებელ ფაქტორს და პერსპექტიულს ხდის მისი რომელიმე კანონით აღიარებული და დაცული ინტერესის განხორციელების შესაძლებლობას.

ამავდროულად, მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დასაბუთება გამოიწვევს ობიექტთან დაკავშირებით დავის წამოწყებას სხვათა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რამდენადაც სარჩელი /დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება/ შედგება, როგორც სამართლებრივი, აგრეთვე ფაქტობრივი საფუძვლისაგან, ამასთან სარჩელის საფუძველი არის ის ფაქტები, რომელთა არსებობა განაპირობებს მოთხოვნის საფუძველიანობას და რომლებსაც მატერიალური სამართლის ნორმა უკავშირებს სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტების უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას და რასაც ემსახურება საპროცესო სამართლის – სათანადო მოსარჩელის ინსტიტუტის დადგენა, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების, როგორც სახელმწიფოს განსაკუთრებული ფუნქციით სარგებლობასა და ხელმისაწვდომობას.

კასატორის წარმომადგენლის მოსაზრება, რომ აღიარებითი სარჩელი პრევენციულ ხასიათს ატარებს, მართებულია, ოღონდაც მხოლოდ უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ მოთხოვნის ნაწილში. სწორედ აღნიშნული მოთხოვნები აღძვრის (უნდა აღიძრას), როცა მოსალოდნელია უფლების დარღვევა ან არსებობს სამომავლოდ უფლების დარღვევის საფრთხე, რომლის თავიდან აცილება სწორედ სასამართლო წესით საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მეშვეობით შეიძლება, რომლის კანონიერ ძალაში შესვლა გამოიწვევს მმართველობითი ორგანოს /ზოგადად, მესამე პირის/ მხრიდან ამ თემის (უფლება ან სამართალურთიერთობა) რევიზიას.

განსხვავებით ზემოაღნიშნულიდან აქტის არარად აღიარების შესახებ სარჩელის წარდგენა მიზნად ისახავს აქტის – მისი, როგორც იურიდიული ძალმოსილების არმქონე დოკუმენტად აღიარებას, რომლით დადგენილი სამართლებრივი შედეგი ვერ იქნის აღსასრულებლად სავალდებულო ძალას და ვერ განსაზღვრავს აქტის ადრესატის სამართლებრივ მდგომარეობას.

ამდენად, აქტის არარად აღიარების იურიდიული შედეგიდან გა-

მომდინარე, ამგვარ სარჩელს არ შეიძლება გააჩნდეს პრევენციული ხასიათი, უფლების პერსპექტივაში დაცვის ან უფლების შელახვის თავიდან აცილების მიზანი. აქტის არარად აღიარება სამართლებრივ შედეგს აღწევს მისი აღიარებისთანავე, რადგან აქტით განსაზღვრული, დადგენილი მონესრიგება არ ექვემდებარება განხორციელებას აღსრულების სახით, მეტიც, ითვლება რომ მონესრიგება არც ყოფილა.

ის გარემოება, რომ კანონმდებელმა აღიარებითი სარჩელის სახეში მოაქცია აქტის არარად ცნობა – ორ, ჭეშმარიტად პრევენციული სახის მოთხოვნებთან – უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენასთან, არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ აქტის არარად ცნობაც სამომავლო უფლების დაცვას ისახავს მიზნად, რადგან აქტის არარად აღიარების შედეგი უშუალოდ, მყისიერად იცავს და არა სამომავლოდ, პირის რომელიმე უფლებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია თავად არარა აქტის ბუნებით. ვინაიდან ამგვარი აქტი აღსრულების ძალმოსილების ანუ იურიდიული ძალის არმქონეა, მისი მოქმედების შეწყვეტა ვერ მოხდება. კერძოდ, სამართლებრივი აქტის იურიდიული ძალა სწორედ მისი მოქმედების ანუ აღსრულების ფუნქციაშია. აქტის გაუქმება ნიშნავს მისი მოქმედების შეწყვეტას, ასე, მაგალითად: აქტის ბათილად ცნობა ნიშნავს, რომ აქტის მოქმედების შეწყვეტა ამა თუ იმ მომენტიდან: ა) გამოცემის მომენტიდან; ბ) გამოცხადების მომენტიდან; გ) მომავალში კონკრეტული თარიღის დათქმით, ან ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს, რომ აქტის მოქმედება შეწყდება მისი ძალადაკარგულად გამოცხადების მომენტიდან. ვინაიდან, გამოცემისას უკანონო და გამოცემისას კანონიერი აქტები იურიდიული ძალის მქონე აქტებია და მათი მოქმედება დამოკიდებულია ადმინისტრაციული საჩივრის ან ადმინისტრაციული სარჩელის აღძვრაზე ან გამომცემი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. მაშინ, როცა არარა აქტი ვერ იქნეს შესასრულებლად სავალდებულო ძალას და მისით განსაზღვრული მონესრიგება არ შეიძლება ძალაში შევიდეს, როგორც საჯარო ნესრიგის საწინააღმდეგო მოვლენა. ამდენად, აქტის არარად აღიარება მიზნად ისახავს მისი იურიდიული ძალმოსილების არმქონე დოკუმენტად სასამართლო წესით დადასტურებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამგვარი აქტის აღსასრულებლად გადაცემა, ხოლო აღსრულების შემთხვევაში – მისი შედეგების გაქარწყლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი – მმართველობის განხორციელება კანონიერების პრინციპის საფუძველზე, ბოჭავს ადმინისტრაციულ ორგანოებს – მიიღონ კანონსაწინააღმდეგო გადან-

ყვეტილებები, მათ შორის, კომპეტენციის აღრევით, სხვა მმართველობითი ორგანოს უფლებამოსილების სფეროში შემავალ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება საფრთხეს წარმოადგენს საჯარო წესრიგისათვის და სამართლებრივი სახელმწიფოს სტაბილური მმართველობის განხორციელებისათვის. ვინაიდან არც ერთი საზოგადოება დაზღვეული არ არის ამგვარ გადაწყვეტილებათა მიღების შიშითვისაგან, კანონმდებელმა მმართველობით ორგანოებში ქაოსის თავიდან ასაცილებლად ასეთი აქტებისათვის ნულოვანი სამართლებრივი შედეგი განსაზღვრა. ამავდროულად ეს იცავს მოქალაქეებს, რადგან მათ გააჩნიათ კანონიერი მოლოდინი ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ სწორედ კანონიერების პრინციპის საფუძველზე მმართველობის განხორციელებისა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის წარმომადგენლის საინტერესო, თუმცა იურიდიულად მცდარ მსჯელობას, რომ აქტის არარად აღიარების თაობაზე აღძრული სარჩელი სამომავლოდ რაიმე უფლების დაცვის ან დარღვევის აღკვეთაზე უნდა იყოს მიმართული და რაკი კონკრეტულ შემთხვევაში უკვე დარღვეული უფლებაა სადავო, მხარეს უნდა აღეძრა აქტის ბათილად ცნობის თაობაზე ასკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სადავო აქტთან დაკავშირებული სარჩელის მოთხოვნის ფორმულირება დამოკიდებულია არა იმაზე, თუ დროში როგორ ზემოქმედებს აქტით განსაზღვრული შედეგები ადრესატის უფლებებზე, არამედ აქტის სამართლებრივ ბუნებაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის (ან ასეთის ვარაუდის) პირობებში უფლების დაცვა უზრუნველყოფილია სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის სახით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული აქტების კანონიერების შემოწმებისას სასამართლოს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება მისი მოქმედების შეწყვეტის თარიღის განსაზღვრისას, მაშინ, როცა არარა აქტთან მიმართებაში ამგვარი უფლებამოსილება ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული. აღიარებითი სარჩელის განხილვისას სასამართლო ადასტურებს ან არ ადასტურებს სადავო აქტს, როგორც გამოცემისთანავე იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტს და სწორედ ეს მართლმსაჯულებითი ფუნქცია – სასამართლო წესით ადასტურება არის წინაპირობა ამ მოთხოვნის აღიარებითი სარჩელის სახისათვის მიკუთვნებისა.

საკასაციო სასამართლო დასკვნის სახით დასძენს, რომ სასამართლოებმა აღიარებითი სარჩელის განხილვისას უნდა გამოიწონონ აქტის არარად ცნობის თაობაზე წარდგენილი მოთხოვნა, სამომავლო

უფლების დაცვის მიზნით აღძრული – უფლების ან სამართალურ-თიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის თაობაზე აღძრული მოთხოვნებისაგან, რაკი მათ ეს საერთო ნიშანი არ ახასიათებთ, ეს უკანასკნელი მოთხოვნები აღიარებითი სარჩელის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციულ, ისე სამოქალაქო საპროცესო სამართალში, ასე მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის მიხედვით აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლო გადანყვეტილებით მოხდეს.

აქტის არარად აღიარების თაობაზე სარჩელის აღძვრისას მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ მას გააჩნია კანონიერი ინტერესი სასამართლო წესით დადასტურდეს სადავო აქტის არასამართლებრივი ანუ იურიდიული ძალის არმქონე ხასიათი.

განსახილველ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს მოსარჩელეთა კანონიერი ინტერესის მიმართება სადავო აქტთან.

**საქმის მასალებით ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილია:**

ნ. დ-ე გარდაიცვალა 2001 წლის 31 ოქტომბერს.

ბათუმის მერიის სადავო 2000 წლის 20 ივლისის დადგენილებით ნება დაერთო ნ. დ-ეს ბინა გაეცვალა შვილისათვის – მ. დ-ისათვის – ეს აქტი არ ინახება სარეგისტრაციო სამსახურში.

1987 წელს ნ. დ-ე და ს. ჩ-ი (მოსარჩელე) დაქორწინდნენ.

1986 წელს შეეძინათ შვილი – ლ. დ-ე.

1992-93 წ.წ. ნ. დ-ემ შეიძინა ბინა, მდებარე, ქ. ბათუმში, ... ქ. №4, ბ.16

მეუღლეთა ქორწინება შეწყდა ნ. დ-ის გარდაცვალებით. ნ. დ-ეს ქონება არ დარჩენია.

ტეპ.ბიუროში ბინა დარეგისტრირდა ბათუმის მერიის საბინაო სამმართველოს 2000 წლის 22 ივლისის №7 მიმართვის საფუძველზე, მ. დ-ის სახელზე.

საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის პასუხით ირკვევა, რომ ბინა 2010 წლის 3 აგვისტოს მდგომარეობით საკუთრების უფლებით რეგისტრირებული არ არის.

2010 წლის 10 მაისის მდგომარეობით ბინა რეგისტრირებულია მ. დ-ის სახელზე.

ჩ-ი ღებულობდა სარჩოს მარჩენალის გარდაცვალების გამო – 2001 წლიდან 2003 წლამდე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორი შეფასება მისცა იმ გარემოებას, რომ 2000 წელს ბათუმის მერია არ იყო უფლებამოსილი ადმინისტრაციული აქტით მოენესრიგებინა ფიზიკურ პირებს შორის გამოხატული ნების

ნამდვილობა უძრავი ქონების გაცვლის თაობაზე და მით უმეტეს, არ იყო უფლებამოსილი ნება დაერთო ამგვარი ნების გამოვლენაზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მმართველობითი ფუნქციიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ დადგენილი მონესრიგების შედეგი საჯარო სამართლებრივ სივრცეში აისახება საჯარო სამართლებრივი აქტების მეშვეობით, ხოლო პირთა შორის კერძო სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრა, დადგენა სახელმწიფოს მიერ კანონით უზრუნველყოფილი შესაბამისი ინსტიტუტების მიერ ხორციელდება.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა – 2000 წლის სამოქალაქო კოდექსის რედაქციის მიხედვით გაცვლის ხელშეკრულების დადასტურება რთულ გარიგებათა რიგს განეკუთვნება, იგი მხოლოდ წერილობითი ფორმით და მხოლოდ სანოტარო წესით შეიძლება და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ექვემდებარებოდა საკუთრების უფლების რეგისტრაცია როგორც ტექნალრიცხვის, შემდგომში კი საჯარო რეესტრის მიერ, მართებულია და ექვემდებარება გაზიარებას.

შესაბამისად, სადავო აქტის გამოცემისას ბათუმის მერია გასცდა არა მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებულ კომპეტენციას, არამედ, საზოგადოდ მმართველობითი ღონისძიებათა მონესრიგების მკაცრად რეგლამენტირებულ სფეროს და სანოტარო ფუნქცია განახორციელა. შესაბამისად, ამგვარი აქტი მართებულად იქნა სასამართლო წესით დადასტურებული, როგორც იურიდიული ძალის არმქონე ანუ არარა აქტი.

საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს, რატომ დასჭირდათ გაცვლის ხელშეკრულების მხარეებს სანოტარო ბიუროსათვის თავის არიდება და შეთანხმების მმართველობითი ორგანოს მხრიდან თანხმობა და დადასტურება, რა მოტივი ამოძრავებდათ მათ კანონით დადგენილი ფორმისა და წესის აბსოლუტური იგნორირებით მიემართათ ან თავად ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების ნამდვილი მიზანი რაში მდგომარეობდა.

აქ არსებითი არის ის, ითვლება თუ არა გაცვლის ხელშეკრულების კონტრაჰენტების მიერ გამოვლენილი ნება ნამდვილად. სამოქალაქო კოდექსის 2000 წლის რედაქციის მიხედვით გაცვლის ხელშეკრულების სუბიექტების მხოლოდ სანოტარო ორგანოების მიერ დადასტურებული ნების გამოვლენა ითვლება ნამდვილად, ხოლო არაკომპეტენტური ორგანოს მიერ ნების გამოვლენის დადასტურება ვერ ჩაითვლება ლეგიტიმურად.

არარა აქტის საფუძველზე განხორციელებული სამართლებრივ მოქმედებების და შედეგების თაობაზე საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას საქმეზე (ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-130-876(კ-05), გ.ჭ-ას საკასაციო საჩივრის გამო, ქუთაისის საოლქო სასამართლოს

ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 5 აგვისტოს განჩინებაზე, მონინალ-მდეგე მხარე ზუგდიდის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიმართ) ჩამოყალიბებულ განმარტებებსა და სასამართლო დასკვნებს, კერძოდ: „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აქტის არარად აღიარების საფუძვლების დადგენისას კანონმდებელი მიზნად ისახავს ადმინისტრირების კანონიერებისა და პირის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას. ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლო წესით აქტის არარად აღიარება, ანუ აქტის არარად აღიარების ერთ-ერთი საფუძვლის დადგენა – დადასტურება ინვეს მძიმე იურიდიულ შედეგს, რადგან მის საფუძველზე განხორციელებული მოქმედებები ასევე მიიჩნევა არალეგიტიმურად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60, მე-60<sup>1</sup> და 61-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ერთმანეთისგან გამოიჯნა არარა, უკანონო და კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რათა დადგინდეს თითოეულის სამართლებრივი შედეგების გაუქმების საკითხი, კერძოდ, არარა აქტს მიღებისთანავე არა აქვს იურიდიული ძალა და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, ხოლო კანონიერ (მე-60<sup>1</sup>) და უკანონო (მე-61-ე) ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს შეუძლიათ შეიძინონ შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი მათი ადრესატისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი – კანონიერი ნდობის ინსტიტუტი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არარა აქტების მიმართ, რამდენადაც: 1. ამგვარი აქტი არ არის იურიდიული ძალის მქონე; 2. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მითითებული ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას უშვებს კანონიერი და უკანონო აქტების და არა მათ საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების მიმართ, შესაბამისი სავალდებულო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში; 3. კანონიერი ნდობის ინსტიტუტის არსებობა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ შედეგთან, სწორედ სამართლებრივი შედეგის სტაბილურობის შენარჩუნების მიზანს ემსახურება კანონიერი ნდობის დაცვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ მოიცავს ორ ასპექტს. კერძოდ, თუ რა შემთხვევაშია აქტი კანონიერი ან უკანონო და მეორეს მხრივ, თუ რა სამართლებრივ შედეგებს ინვეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლწინააღმდეგობა. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი, ანუ არ არსებობს კანონიერი ნდობა, თუ ა) მას საფუძველად უდევს

დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება და ბ) ან, როდესაც მისთვის ამ აქტის უკანონობა ცნობილი იყო ან უნდა ცოდნოდა.

ამ პირობებში აქტის არარად აღიარება, რომელიც უკანონობის იმგვარ საფუძვლებს შეიცავს, რომელთა გამოც კანონმდებელი მას იმთავითვე, მიღების მომენტიდანვე აცლის იურიდიულ ძალას, რის გარეშეც იგი ვერ იძენს ისეთი სამართლებრივი აქტის შინაარსს, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება ანუ არ გააჩნია აღსრულების ძალმოსილება, განსხვავებით უკანონო (ბათილი) აქტებისგან, რომლის არამართლზომიერების მიუხედავად დაშვებულია მისგან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების დროის გარკვეული მონაკვეთით შენარჩუნება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტი), რამდენადაც კანონმდებელი ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს ანიჭებს ამგვარი აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღის განსაზღვრის უფლებამოსილებას“.

სადავო საკითხის გადაწყვეტისას უმნიშვნელოვანესია გაირკვეს რამდენად ჰქონდათ მოსარჩელებს სადავო აქტის არარად აღიარების იურიდიული ინტერესი?! აღნიშნულის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია იმ სტატუს-კვოს გასიგრძეგანება რა ვითარება იქნებოდა, რომ არა არარა აქტი და მის საფუძველზე განხორციელებული მოქმედებები.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელეთა მსჯელობას, რასაც დაეთანხმა სააპელაციო სასამართლო თავისი შეფასებებით, რომ არარა აქტით გაცვლილი უძრავი ქონება – ბინა, ვინაიდან 2000 წლის 20 ივლისიდან 2001 წლის 31 ოქტომბრამდე (გარდაცვალების მომენტი) ნ. დ-ეს არ განუკარგავს ლეგალური წესითა და ფორმით, რაც ნიშნავს, რომ მის მიერ ამგვარი ნება არ გამოვლენილა, შევიდოდა მის სამკვიდრო მასაში, რა დროსაც კანონისმიერ მემკვიდრეებს წარმოეშობოდათ სამკვიდროს შესაბამისი წილის მიღების იურიდიული უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო აქტის სასამართლო წესით არარად აღიარება, განაპირობებს არარა აქტით განკარგული უძრავი ქონების ნ. დ-ის სამკვიდროში მოქცევას და იმის მტკიცება, რომ ნ. დ-ის კანონისმიერ მემკვიდრეებს (I რიგის) არა აქვთ სადავო აქტის სასამართლო წესით არარად აღიარებისადმი კანონიერი ინტერესი, საფუძველს მოკლებულია. რადგან სწორედ არარა აქტით გამოირიცხა მათი, როგორც მემკვიდრის უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა, რაკი ნ. დ-ეს სხვა სამკვიდრო ქონება არ გააჩნდა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის წარმომადგენლის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლომ სამკვიდრო ქონებად მიიჩნია ის ქონება, რომელი ქონებაც ნ. დ-ეს სიკვდილის მომენტისათვის არ ჰქონდა, ასევე, რომ სასამართლომ არასწორად გაათანაბრა უფლება და ინტერესი ერთმანეთთან და არ შეამოწმა რამ-

დენად დასტურდებოდა ინტერესის გამოხატულება აღიარებითი სარჩელის აღძვრის დროისათვის, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აქტის სასამართლო წესით არარად აღიარება ნიშნავს, რომ ამ აქტს არ გააჩნდა იურიდიული ძალა ანუ აღდგება ის ფაქტობრივი და სამართლებრივი ვითარება, რაც მის გამოცემამდე იყო. განსახილველ შემთხვევაში ამგვარი დადასტურების შედეგი არის ნ. დ-ის საკუთრების უფლება ბინაზე, რაკი ითვლება, რომ მას იგი არ განუკარგავს, ამდენად ბინა იყო მისი სამკვიდრო ქონება. ამგვარი დადასტურება ნიშნავს, რომ ნ. დ-ეს გარდაცვალების მომენტისათვის გააჩნდა სამკვიდრო ქონება ბინის სახით. მოსარჩელეებს უდავოდ გააჩნიათ სადავო აქტის არარად აღიარების კანონიერი ინტერესი აღიარებითი სარჩელის აღძვრის მომენტისათვის, რამდენადაც სასამართლო წესით ასეთის დადასტურების შემთხვევაში ისინი აღიდგენენ სამკვიდროს მიღების უფლებას. ანუ სარჩელის აღძვრისას სადავო აქტის მიმართ კანონიერი ინტერესი არსებობს მაშინ, როცა აქტის იურიდიული ძალა ან პირიქით, უშუალოდ ახდენს გავლენას მხარის რომელიმე მატერიალურ-სამართლებრივი უფლების ქონის ან მისი რეალიზაციის პერსპექტივაზე.

საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს საპელაციო სასამართლოს მსჯელობას სამოქალაქო კოდექსის 1424-ე და 1426-ე მუხლების საფუძველზე მოსარჩელეთა უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობაზე და არ იზიარებს კასატორის წარმომადგენლის მოსაზრებას, რომ მოსარჩელეებს ჯერ სამოქალაქო წესით სამკვიდროს მიღების გაშვებული ვადის აღდგენასთან დაკავშირებული სამართალწარმოება უნდა დაენციოთ და მხოლოდ მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში შეეძლოთ აქტის არარად აღიარების მოთხოვნა, ვინაიდან ყოველი უფლების რეალიზაცია მოტივირებულია შესაძლო შედეგების მიღების განზრახვით. სამოქალაქო სამართალწარმოების შედეგი ყველა შემთხვევაში დამოკიდებული იქნებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების შედეგზე, რამდენადაც სასამართლოს მიერ მოცემული სარჩელის არ დაკმაყოფილების შემთხვევა საერთოდ აზრს გამოაცლიდა სამკვიდროს გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ სამოქალაქო სარჩელს, სამკვიდრო ქონების არარსებობის გამო, მაშინ, როცა პირიქით შემთხვევაში, აქტის არარად აღიარება თავისი სამართლებრივი შედეგით საფუძველი და რაციონალური ხდება სამოქალაქო სარჩელით კონკრეტული უფლების რეალიზაციისათვის.<sup>2</sup>

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული არგუმენტები სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტების არასწორ დადგენასთან და კანონის არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებით არ არის იურიდიულად დასაბუთებული

და არ გამომდინარეობს განხილული ნორმების ნამდვილი Dშინაარსიდან და მოსაწესრიგებელი ურთიერთობის ნამდვილი მიზნიდან; შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობას ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორად შეუფარდეს და განმარტეს სამართლის ნორმა, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით არ არსებობს კასაციის დაკმაყოფილების და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.2-ე და 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **აქტის არარაღალიარება**

### **განჩინება**

№ბს-1477-1459(2კ-11)

24 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**მოსარჩელე:** თ. ს-ი

**მოპასუხე:** ქ. თბილისის მერია

**მესამე პირი:** ლ. ვ-ი

**სარჩელის სახე:** საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

**სარჩელის საგანი:**

თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა.

**სარჩელის საფუძველი:**

**ფაქტობრივი:** მოსარჩელის განმარტებით, 1978-1997 წლების მდგომარეობით ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე სახლთმფლობელობა ირიცხებოდა თ. ს-ის სახელზე, რომლის საერთო სასარგებლო ფართი იყო 121,28 კვ.მ, მათ შორის, საცხოვრებელი ფართი – 72,68 კვ.მ, ასევე უკანონო ნაგებობა – საერთო სასარგებლო ფართი – 82,88 კვ.მ, მათ შორის, საცხოვრებელი ფართი – 60,25 კვ.მ. მესამე პირის – ლ. ვ-ის მეუღლის თხოვნით, მოსარჩელემ დროებით საცხოვრებლად დაუთმო მის მიერ აშენებული ერთ-ერთი ნაგებობა. მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ მის სახელზე რიცხული სახლთმფლობელობის ნაწილი, რომელსაც მინიჭებული აქვს მისამართი – ქ. თბილისი, ... ქ. №2ა, თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილების საფუძველზე, საჯარო რეესტრში აღირიცხა ლ. ვ-ის სახელზე, რითაც შეილახა მოსარჩელის კანონიერი ინტერესი.

**სამართლებრივი:** სარჩელის სამართლებრივი საფუძველი მითითებული არ არის.

**მოპასუხის შესაგებელი:**

**ფაქტობრივი:** თ. ს-ის სარჩელი არ ცნო მესამე პირის – ლ. ვ-ის წარმომადგენელმა მ. ს-ემ და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. მესამე პირის წარმომადგენელმა ხანდაზმულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა, რამდენადაც 1997 წლის შემდეგ 2006 წლამდე თ. ს-ს პრეტენზია არ განუცხადებია სადავო ქონებასთან დაკავშირებით, ლ. ვ-ის ოჯახის მიერ განხორციელდა სადავო მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის პრაქტიკულად ახლით ჩანაცვლება და მხარეები წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ მეზობელ მიწის ნაკვეთებზე.

**სამართლებრივი:** მესამე პირის წარმომადგენელმა მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლით განსაზღვრული შემთხვევა, რის გამოც დაუშვებელია სადავო აქტის ბათილად ცნობა.

**საქმის გარემოებები:**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილების 25-ე პუნქტის საფუძველზე ლ. ვ-ს

დაუმავრდა თ. ს-ის სახელზე რიცხული ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე 2033 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 400 კვ.მ ნაკვეთი ... ქუჩის მხრიდან და დაუკანონდა ტექტიუროს მონაცემებით ლიტ „ა“ და ლიტ „ბ“ სახლთმფლობელობის ნაწილი.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ლ. ვ-ის საკუთრებას წარმოადგენს ქ. თბილისში, ... ქ. №2ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები, ხოლო უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილება, ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1997 წლის 17 დეკემბერს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა.

მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილების 25-ე პუნქტის ბათილად ცნობა შემდეგი საფუძვლით:

მოსარჩელის მითითებით, 2033 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების მფლობელი, ანუ შესაკუთრე იყო თ. ს-ი, ხოლო ლ. ვ-ი – არაპირდაპირი მფლობელი, რომელსაც ეს უფლება მინიჭებული ჰქონდა თ. ს-ისაგან. შესაბამისად, ქ. თბილისის მერიამ უკანონოდ გადასცა არაპირდაპირ მფლობელს 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ლიტ „ა“ და ლიტ „ი“ სახლთმფლობელობის ნაწილი, რითაც ზიანი მიაღწა მოსარჩელის კანონიერ ინტერესს.

სადავო დადგენილების გამოცემისას დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის მომზადებისა და გამოცემის წესი, ქ. თბილისის მერია ვალდებული იყო მოსარჩელისათვის ეცნობებინა ლ. ვ-ის მიერ შეტანილი განცხადების თაობაზე და ჩაება იგი ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ, ამასთან, უნდა გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

#### **საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით თ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

#### **სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:**

საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული საკადასტრო რუკის თანახმად, ქონების საერთო ფართობი 533 კვ.მ, ხოლო ქონების მოსარგებლედ მითითებულია ლ. ვ-ი. ტექტიუროს არქივიდან მოპოვებული მიწის ნაკვეთისა და მასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობების საინვენტარიზაციო გეგმის თანახმად, ლ. ვ-ი ფლობდა მიწის ნაკვეთს უფლების დამადასტურებელი საბუთით, კერძოდ, ასეთად მითითებულია ქ. თბი-

ლისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილება და თანდართული პროექტები. ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1997 წლის 17 დეკემბერს გაიცა ლ. ვ-ის მიწის ნაკვეთის გეგმა.

### **სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:**

მოსარჩელემ სადავოდ გახადა გასაჩივრებული აქტით მისი მფლობელობის უფლების შელახვა

**მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება** – სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მტკიცება იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს გასაჩივრებული აქტის მიღებისას არ გამოუყენებია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის არცერთი ნორმა, დარღვეული იყო მისი მიღებისა და გამოცემის წესი, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს იძლეოდა. ადმინისტრაციული ორგანოსათვის 1997 წელს გამოცემული აქტის მიმართ 1999 წელს მიღებული და 2000 წელს ამოქმედებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კონკრეტული ნორმების გამოუყენლობაზე მითითება უსაფუძვლოა, რადგან სადავო აქტის გამოცემისას არ არსებობდა კონკრეტული ნორმები, რომელთა დარღვევაზე შეძლებდა მოსარჩელე მითითებას.

**სასამართლოს დასკვნები** – სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი და მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

### **სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:**

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლით და განმარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებით კანონმდებელმა მისი ძალაში შესვლამდე მიღებული და გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის საკითხი სხვაგვარად განსაზღვრა და მისი ბათილად ცნობის წინაპირობები შეკვეცა. აღნიშნული განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღებამდე არ არსებობდა ერთიანი ნორმა, რომელიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესსა და პირობებს შეეხებოდა, რის გამოც შეუძლებელი იყო 2000 წლის 1 იანვრის შემდეგ და მანამდე მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტებზე ერთიანი მოთხოვნები გავრცელებულიყო. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლი ეხება ისეთი შინაარსის აქტებს, რომლითაც პირს რაიმე უფლება ან სარგებელი მიენიჭა და რომლის საფუძველზეც უფლებამოპოვებულია პირმა მიიღო კიდევ იგი. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული დადგენილების საფუძველზე მესამე პირს გადაეცა მიწის ნაკ-

ვეთი, რომლის საკუთრების უფლებით აღრიცხვა მან საჯარო რეესტრში მოახდინა – რეალიზაცია გაუკეთა მისთვის აქტით მინიჭებულ უფლებას.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 და 218.3 მუხლებით განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევას.

**აპელანტი:** თ. ს-ი

**მონინალმდეგე მხარე:** ქ. თბილისის მერია

**მესამე პირი:** ლ. ვ-ი

**აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება

**აპელაციის მოტივები.**

**ფაქტობრივი:** აპელანტმა მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რის გამოც შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

**სამართლებრივი:** აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლით, რამდენადაც აქტის კანონიერება დაკავშირებულია მის შინაარსთან, აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება უნდა შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს მოქმედ სამართლებრივ აქტებთან. კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე კი, იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოს არსს და ქვეყნის ძირითად კანონს – კონსტიტუციას. სადავო აქტით კი მოხდა საკუთრების ხელყოფა, რის შესახებაც თავიდანვე ცნობილი იყო როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, ასევე მესამე პირისათვის. ამდენად, აპელანტმა მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს ცალსახად არ უნდა გადაეწყვიტა დავა.

**მონინალმდეგე მხარის შეპასუხება:**

თ. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ ცნო მონინალმდეგე მხარემ – ქ. თბილისის მერია და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

მონინალმდეგე მხარემ ხანდაზმულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა. საქმის მასალებით არ დგინდება როდის წარმოეშვა მას უფლება მოეთხოვა გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობა, მაგრამ შეუძლებელია მას არ სცოდნოდა აღნიშნული აქტის შესახებ, მით უფრო 2006 წლამდე. ამასთან, აპელანტი ვერ ადასტურებს, რა პირ-

დაპირი და უშუალო ზიანი მიადგა მას, ვინაიდან არც ერთი მტკიცე-  
ბულებით არ დასტურდება, რომ მოსარჩელეს საკუთრებაში ჰქონდა  
აღრიცხული სადავო მიწის ნაკვეთი.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინებით თ. ს-ის სააპე-  
ლაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილი-  
სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის  
2007 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასა-  
ჩივრა თ. ს-მა, რომელმაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასა-  
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექ-  
ტემბრის განჩინების გაუქმება.

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის განჩინებით  
თ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა  
განსახილველად გადაეცა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2010 წლის 11 მაისის განჩინებით თ. ს-ის სააპელაციო  
საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქა-  
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007  
წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილვე-  
ლად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, რაც სააპელაციო სასამარ-  
თლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამარ-  
თლოს დასკვნა, რომ სადავო აქტის ბათილად ცნობის შესაძლებლო-  
ბას გამორიცხავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხ-  
ლის დანაწესი და განმარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კო-  
დექსის 218-ე მუხლის მოქმედი რედაქცია აღარ შეიცავს სასამარ-  
თლოს მიერ მითითებულ საგამონაკლისო შემთხვევებს, ვინაიდან აღ-  
ნიშნული ნორმა არ ითვალისწინებს კოდექსში შეტანილ ცვლილე-  
ბებს, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლი  
უთითებს ამავე კოდექსის მე-60 მუხლის „ბ“ პუნქტზე, როგორც აქ-  
ტის ბათილობის გამომრიცხავ გარემოებას, მაშინ როდესაც ზოგა-  
დი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის „ბ“ პუნქტი ეხება  
აქტის არა ბათილად ცნობას, არამედ არარად გამოცხადების სა-  
ფუძველს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით არ არ-  
სებობდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის გა-  
მოყენების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მითითებული ნორმა  
არ ვრცელდება ისეთი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრა-

ციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ, რომლებიც ზღუდავენ მე-სამე პირების უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, ანუ როდესაც სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა შეუძლებელია მოცემული აღმჭურველი აქტის გაუქმების გარეშე, რასაც მოცემულ შემთხვევაში აქვს ადგილი. სადავო დადგენილება მოსარჩელისათვის არის შემზღუდავი, ამკრძალავი, ვინაიდან ხსენებული აქტით თ. ს-ს ჩამოერთვა უფლება მიწის ნაკვეთსა და სახლთმფლობელობაზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო აღმჭურველი აქტის ბათილად გამოცხადების თაობაზე სარჩელის განხილვისას უნდა გაირკვეს აქტის მართლზომიერება, ასევე მისი გამოცემისას კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა, კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის არსებობის შემთხვევაში დარღვევის ხარისხი, და ინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპის, აქტის ბათილად ცნობით ადრესატისადმი მიყენებული ზიანისა და ამ აქტის ბათილად გამოცხადებით მიყენებული ზიანის სიმძიმე, რაც სასამართლოს არ გამოუკვლევია.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 385.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 385.2, 377-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ ვინაიდან საქალაქო სასამართლოს არ დაუდგენია სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობა და არ უმსჯელია რამდენად არსებობდა სადავო დადგენილების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, საქმე ექვემდებარებოდა საქალაქო სასამართლოს მიერ ხელახლა განხილვას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ და ლ. ვ-მა.

ქ. თბილისის მერიამ მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მაისის განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

კასატორის მოსაზრებით, არ არსებობდა არც ერთი საფუძველი, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმე ხელახლა განსახილველად დაებრუნებინა საქალაქო სასამართლოსათვის, რამდენადაც მოცემულ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები დადგინდა როგორც საქალაქო, ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ, საქმეში წარმოდგენილი იყო ყველა მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა გადაწყვეტილების მიღება.

ამდენად, კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო თავად განეხილა და გადაეწყვიტა სადავო საკითხი, მას უნდა გამოეყენებინა კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და თავად ემსჯელა სადავო აქტის კანონიერებასა და ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებით.

სადავო აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1513-ე, 1514-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ სადავო აქტი გამოცემული იყო კანონის შესაბამისად და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები. ამასთან, იმ დროისათვის მოქმედი „საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის – ქ. თბილისის მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 19 დეკემბრის №9 ბრძანებულების მე-7 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისში რადიკალური ეკონომიკური რეფორმების მიზანმიმართულად და დაჩქარებულად ჩატარების მიზნით ქ. თბილისის მერს მიეცა უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განეხორციელებინა მინის ფონდისა და მუნიციპალური ქონების მართვა, ენარმოებინა საქალაქო მიწების სახელმწიფო კადასტრი, გადაენყვიტა იურიდიული პირებისა და მოქალაქეების მინათსარგებლობის საკითხები. ამავე ბრძანებულების მე-5 პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის მერიის აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციები დაეკისრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტს, რომელიც ჩაითვალა ყოფილი მერიის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამონაცვლედ. აღნიშნული ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის – ქ. თბილისის მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილებათა შესახებ დებულების მე-3 პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის კაბინეტი არის აღმასრულებელი ორგანოს კოლეგიური ორგანო, რომელსაც ქმნის ქ. თბილისის მერი. მუნიციპალიტეტის კაბინეტს ხელმძღვანელობს ქ. თბილისის ვიცე-მერი მუნიციპალიტეტის პრემიერი, რომელსაც სახელმწიფო მეთაურთან და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით ნიშნავს ქ. თბილისის მერი. ამავე მუხლით განისაზღვრა მუნიციპალიტეტის კაბინეტის უფლებამოსილების ფარგლები, რომლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტი უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის სადავო მინის ნაკვეთის დამაგრების თაობაზე, რადგან აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა უშუალოდ მის კომპეტენციაში შედიოდა.

ლ. ვ-მა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მაისის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოსათვის შემდეგი მოტივით:

კასატორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დაუშვებელი იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლის გამოყენება, ასევე არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მითითებული ნორმა არ გამოიყენება იმ აღმჭურველი აქტების მიმართ, რომლებიც ზღუ-

დავენ სხვა პირთა უფლებებს. კასატორის მითითებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლი ვრცელდება დაუკონკრეტებლად და განუსაზღვრელად ნებისმიერი აღმჭურველი აქტის მიმართ, მით უფრო, რომ ნებისმიერი აღმჭურველი აქტი მოდის წინააღმდეგობაში სხვა პირის უფლებასთან ან ინტერესთან. ამგვარი განმარტების პირობებში ვერასდროს იქნებოდა გამოყენებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლი, რადგან აქტის გასაჩივრება დასაშვებია მხოლოდ პირდაპირი და უშუალო ზიანის არსებობის პირობით.

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 1 თებერვლის განჩინებით, ქ. თბილისის მერიისა და ლ. ვ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით, უნდა განიმარტოს და განისაზღვროს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლის ფუნქცია, რაც ხელს შეუწყობს მის სწორად და ლოგიკურად გამოყენებასა და სადავო სამართალურთიერთობასთან მისადაგებას.

საკასაციო სასამართლოს მსჯელობით, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და იმსჯელოს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო თუ არა იმ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც შექმნიდა შემდეგი სამართლებრივი დასკვნის შესაძლებლობას: 1. დასაშვებია თუ არა საერთოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218.2 მუხლის გამოყენება და ასეთის შემთხვევაში, 2. ნორმის ადეკვატურ გამოყენებას სსსკ-ის 393-ე მუხლის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს ასევე მიეთითა საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის განჩინებაში, რომ სადავო აქტის კანონიერების შემოწმებისას სადავო საკითხი უნდა გადაწყდეს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით ადრესატისადმი მიყენებული ზიანისა და ამ აქტის ბათილად გამოუცხადებლობით მიყენებული ზიანის შეფასებით თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე.

#### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:**

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით, თ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება და თ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის

№22.17.1128 დადგენილების 25-ე პუნქტი, რომლითაც ლ. ვ-ს დაუ-  
მაგრდა თ. ს-ის სახელზე რიცხული, ... ქ.. №2-ში მდებარე 2033 კვ.მ.  
მიწის ნაკვეთიდან დაახლოებით 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ... ქუჩის მხრი-  
დან და დაუკანონდა ტექ. ბიუროს მონაცემებით ლიტ „ა“ და ლიტ „ი“  
სახლთმფლობელობის ნაწილი.

**აპელაციის მოტივების გაზიარების თაობაზე სააპელაციო სა-  
სამართლოს მსჯელობა:**

სააპელაციო პალატის მსჯელობით, სააპელაციო საჩივარში მი-  
თითებული გარემოებები ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექ-  
სის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას  
და შესაბამისად, გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქ-  
მების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობისა და და-  
უსაბუთებლობის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით,

**სააპელაციო სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები**

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის  
მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228  
დადგენილების 25-ე პუნქტის თანახმად, ლ. ვ-ს დაუმაგრდა თ. ს-ის  
სახელზე რიცხული, ... ქ.. №2-ში მდებარე 2033 კვ.მ. მიწის ნაკვეთი-  
დან დაახლოებით 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ... ქუჩის მხრიდან და დაუ-  
კანონდა ტექ. ბიუროს მონაცემებით ლიტ „ა“ და ლიტ „ი“ სახ-  
ლთმფლობელობის ნაწილი.

**მხარეთა მიერ სადავოდ გამხდარი ფაქტების შეფასება:**

სასამართლოს მხარეთა მიერ სადავოდ გამხდარი ფაქტების შე-  
ფასება არ მოუხდენია.

**სააპელაციო სასამართლოს დასკვნები:**

საჩივრის პრეტენზია დასაბუთებულია და სახეზეა გასაჩივრე-  
ბულ ნაწილში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის  
13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილების ზოგადი ადმინისტრაციუ-  
ლი კოდექსით გათვალისწინებული ბათილად ცნობის საფუძვლები.

**სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება /კვა-  
ლიფიკაცია/:**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემ-  
ბრის №22.17.1228 დადგენილების გამოცემის დროს ადგილობრივი  
მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილებები და კომპეტენ-  
ციები განისაზღვრებოდა საქართველოს რესპუბლიკის დედაქალა-  
ქის – ქ. თბილისის მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილე-  
ბათა შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის – სახელ-  
მწიფო მეთაურის 1992 წლის 19 დეკემბრის №9 ბრძანებულებით. აღ-  
ნიშნული ბრძანებულების მე-7 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, ქ.  
თბილისის მერის კომპეტენცია ქ. თბილისში რადიკალური რეფორ-

მების მიზანმიმართული და დაჩქარებული ჩაბარების მიზნით, სხვა სფეროსთან ერთად, გავრცელდა მიწის ფონდისა და მუნიციპალური ქონების მართვაზე, კერძოდ, ხსენებული დანაწესით ქ. თბილისის მერი აღიჭურვა უფლებით „მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს მიწის ფონდისა და მუნიციპალური ქონების მართვა, აწარმოოს საქალაქო მიწების სახელმწიფო კადასტრი, გადაწყვიტოს იურიდიული პირებისა და მოქალაქეების მიწათსარგებლობის საკითხები...“

ამავე ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის – ქ. თბილისის მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილებათა შესახებ დებულების მე-3 მუხლით ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის კაბინეტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების კოლეგიალური ორგანო, რომელსაც ქმნის თბილისის მერი. მუნიციპალიტეტის კაბინეტს ხელმძღვანელობს ქალაქ თბილისის ვიცე-მერი – მუნიციპალიტეტის ვიცე პრემიერი, რომელსაც სახელმწიფო მეთაურთან და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით ნიშნავს ქალაქის მერი... მუნიციპალიტეტის ქ. თბილისის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა უფლებამონაცვლე, ხელმძღვანელობს ქალაქის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას, განკარგავს და მართავს მუნიციპალური საკუთრების ქონებას“.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული ნორმატიული დანაწესებიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრა ქ. თბილისის მერისა და მის დაქვემდებარებაში არსებული კოლეგიური ორგანოს მუნიციპალიტეტის კაბინეტის კომპეტენცია სახელმწიფო მიწის ფონდისა და მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ქ. თბილისის მერს მიენიჭა უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განეხორციელებინა მიწის ფონდის მართვა და გადაეწყვიტა იურიდიული პირებისა და მოქალაქეების მიწათსარგებლობის საკითხები.

სააპელაციო პალატის მსჯელობით, მოცემულ შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილების 25-ე პუნქტით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტმა განკარგა არა მუნიციპალური საკუთრება, არამედ ქ. თბილისის მერის განკარგვით კომპეტენციაში მოქცეული სახელმწიფო მიწის ფონდის ნაწილი, რაც იმას ნიშნავს, რომ 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილების გასაჩივრებული ნაწილის მიღებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტმა შესაბამისი ნორმატიული აქტით მინიჭებულ უფლებამოსილებას გადაამეტა. ამდენად სახეზეა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა და აქტი არის ბათილი.

**კასატორი:** ქ თბილისის მერია

**მონინალმდევე მხარე:** თ. ს-ი

**კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და თ. ს-ისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

**კასაციის მოტივები: სამართლებრივი:**

**პროცესუალური:** კასატორის მითითებით, კანონი არასწორად იქნა გამოყენებული და განმარტებული. გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

**მატერიალური:**

კასატორის მითითებით, კასატორმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის დადგენილების 25-ე პუნქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიმართა 2006 წლის 1 ნოემბერს, თუმცა არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ მისთვის სადავო აქტის შესახებ ცნობილი იყო ჯერ კიდევ 1999 წლისთვის. აღნიშნული დასტურდება მინის ნაკვეთისა და მასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობების საინვენტარიზაციო გეგმით, რომლის ასლის დამზადების თარიღად მითითებულია 1999 წლის 21 ივლისი. ამ გეგმაზე მინის ნაკვეთი მდგომარეობს იმ კონფიგურაციითა და საზღვრებში რაც დღეის მდგომარეობითაა.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადასა და ზოგადოდ სარჩელის დასაშვებობის ინსტიტუტს ითვალისწინებდა, როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირვანდელი და დღეის მოქმედი რედაქცია (თ. ს-ს კი, 1997 წლის 14 ნოემბერს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 357-ე-362-ე მუხლებითა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველადი რედაქციის 22-ე მუხლებით დადგენილი ყველა ვადა აქვს გაშვებული, რაც სასამართლოს არ გაუთვალისწინებია.

**კასატორი:** ლ. ვ-ი

**მონინალმდევე მხარე:** თ. ს-ი

**კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და თ. ს-ისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

**კასაციის მოტივები: სამართლებრივი:**

**პროცესუალური:** კასატორის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილე-

ბის დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

### **მატერიალური:**

კასატორის მსჯელობით, საკასაციო სასამართლოსაგან სააპელაციო სასამართლოს დაევალა არა უბრალოდ მართლწინააღმდეგობის საკითხის გამოკვლევა, არამედ სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა თ. ს-ის უფლებებისა და ინტერესების დარღვევაზე და მის არსზე. სასამართლომ მხოლოდ კომპეტენციის არარსებობის საფუძვლით ბათილად ცნო სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ისე რომ არ უმსჯელია იმ უფლებების დარღვევის შესახებ, რომელიც ანიჭებდა მოსარჩელეს მოცემული მოთხოვნის ნამოყენებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე გამოიცა სავადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შესაბამისად, იმ მომენტისათვის თ. ს-ს შეუძლებელია ჰქონდა ის უფლებამოსილებები, რომელთა გარკვევის აუცილებლობაც მიუთითა საკასაციო სასამართლომ, მაგრამ სააპელაციო პალატამ იგი არ გამოიკვლია.

კასატორის მოსაზრებით, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ქ. თბილისის მერია წარმოადგენს მმართველობის ორგანოთა სისტემას, რომელიც თავის თავში მოიაზრებს ქ. თბილისის მთავრობასაც. ამდენად, ქ. თბილისის მერიაზე დაკისრებული ფუნქციის ერთ-ერთი სტრუქტურის მიერ განხორციელება არ გულისხმობს მართლწინააღმდეგობასა და კომპეტენციის გადაჭარბებას. გასაჩივრებული აქტი მოიცავს ორ ნაწილს, რომელთან მიმართებაშიც სასამართლოს არგუმენტაცია თანაბრად ვერ იქნება გამოყენებული.

### **მონინააღმდეგის შეპასუხება: სამართლებრივი**

მონინააღმდეგე მხარეს შეპასუხება არ წარმოუდგენია, თუმცა წარმოდგენილ მოსაზრებებში საკასაციო საჩივრები არ ცნვო და აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი არ უნდა დამაყოფილდეს, ვინაიდან, არცერთმა სასამართლომ საეჭვოდ არ გახადა სარჩელის დასაშვებობის საკითხი, ამასთან საინვენტარიზაციო გეგმა არ იქნა მიჩნეული იმ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად, რომ მოსარჩელეს დარღვეული აქვს სადავო აქტის გასაჩივრების ვადა, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლითა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლით დადგენილი დანაწესების გათვალისწინებით, ხსენებული დოკუმენტით მსგავსი ფაქტის მტკიცება შეუძლებელია და ამ მხრივ არაადეკვატურ მტკიცებულებას წარმოადგენს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესახებ ინფორმირება მხოლოდ რეკვიზიტის დონეზე, სამართლებრივი თვალსაზრისით, არ არის საკმარისი აქტის ოფიციალური გაცნობის ფაქტის დადასტურებისათვის, რადგან აქტის გაცნობა გულისხმობს მისი მთლიანი ოფიციალური ვერსიის გაცნობას და არა მხოლოდ რეკვიზიტებისა. შესაბამისად, იმისათვის, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მხარისათვის გაცნობილად ჩაითვალოს, აუცილებელია, რომ მხარეს გადაცემული ჰქონდეს საკუთრივ აქტი და არა მისი რეკვიზიტების ამსახველი სხვა რომელიმე დოკუმენტი.

მონინაალმდევე მხარემ, ლ. ვ-ის საკასაციო საჩივართან მიმართებით აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით დადგენილი დანაწესებით საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო არ არის შეზღუდული მხოლოდ იმ მითითებებით, რომლებსაც შეიცავს საკასაციო სასამართლოს განჩინება. სარჩელის სამართლებრივი საფუძვლების დაკონკრეტების ნიადაგზე ნათელი გახდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლის არსებობა, რადგან იგი არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ იყო გამოცემული.

კასატორის მსჯელობა, იმის თაობაზე, რომ, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.3 მუხლი, სამართლებრივად დაუსაბუთებელია, ვინაიდან, ეს ნორმა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ერთ-ერთ საფუძველს განსაზღვრავს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის ამოქმედებისთანავე, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები იყო განთავსებული, საცხოვრებელი სახლების მფლობელთა საკუთრებად გამოცხადდა, შესაბამისად კასატორის მოსაზრება, იმ უფლებრივი საკითხის ჩრჩილში, რომლებიც განსაზღვრავდა თ. ს-ის სამართლებრივ მდგომარეობას სადავო უძრავ ქონებასთან მიმართებით, ასევე უსაფუძვლოა. სახლთმფლობელობა, რომელიც განლაგებული იყო სადავო მიწის ნაკვეთზე, აღრიცხული იყო ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურის ჩანაწერებში კონკრეტული უფლებადამდგენი დოკუმენტების საფუძველზე და წარმოადგენდა საკუთრების უფლების ობიექტს, რომელზედაც დამაგრებული იყო შესაბამისი მიწის ნაკვეთი.

მოსაზრების გაზიარება, რომ სადავო აქტით თ. ს-ის უფლება და ინტერესი არ შეილახა უსაფუძვლოა, რადგან, სადავო აქტის საფუძველზე მას მართლზომიერი სარგებლობის უფლება ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ჩამოერთვა, ხოლო სახლთმფლობელობის იმ ნაწილზე, რომელიც განთავსებული იყო სადავო მიწის ნაკვეთზე, მოესპო საკუთრების უფლება. კასატორის მსჯელობა, რომ

სადავო აქტის გამოცემის ეტაპზე მიწის ნაკვეთზე არ არსებობდა საკუთრების უფლების მოპოვების სამართლებრივი წყარო და ამის გამო თ. ს-ის უფლება ვერ იქნებოდა შელახული, დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს.

კასატორი არასწორად მოიხმობს „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონს, რადგან იგი მიღებულ იქნა 1998 წელს – სადავო აქტის გამოცემის შემდგომ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფო მეთაურის 1992 წლის 19 დეკემბრის №9 ბრძანებულების მე-7 მუხლი ცალსახად განსაზღვრავდა, რომ სახელმწიფო მიწის ფონდის განკარგვა უშუალოდ ქალაქის მერის პრეროგატივას წარმოადგენდა და არა მუნიციპალიტეტის კაბინეტისა.

**საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები: (სასკ 34.3 მ.)**

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორების ქ. თბილისის მერიისა და ლ. ვ-ის საკასაციო საჩივრები შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

**სამოტივაციო ნაწილი:**

**სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი:** ქ. თბილისის მერიისა და ლ. ვ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცა იმავე სასამართლოს.

**კასაციის დაშვების წინამძღვარის განმარტება კონკრეტულ საქმეზე:**

წინამდებარე კასაციის მოტივი – საქმის არასრულყოფილად გამოკვლევა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არის საგულისხმო და ექვემდებარება საკასაციო სასამართლოს შეფასებას, როგორც საპროცესო სამართლის ძირითადი პრინციპის – სასამართლოს მხრიდან საქმის ყოველმხრივი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, დაცვის ვალდებულების თაობაზე.

**კასაციის მოტივების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:**

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების მიღებისას სასამართლოს მიერ დარღვეულია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი. გადაწყვეტილება არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული.

**გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონმდებლობისა და დაუსაბუთებლობის თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:**

საქმის მასალების თანახმად, საკასაციო სასამართლომ ორჯერ დაუბრუნა საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს. 2010 წლის 3 თებერვლის განჩინებით თ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცა იმავე სასამართლოს შემდეგი მოტივით: სააპელაციო სასამართლოს დაევალა, ემსჯელა სადავო აქტის კანონიერებაზე და დაედგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, გამოერკვია რა საფუძვლით გადაეცა თ. ს-ის მფლობელობაში არსებული სახლთმფლობელობა ლ. ვ-ს, ვის და რა საფუძველზე ეკუთვნოდა აქტის გამოცემამდე სადავო სახლთმფლობელობა.

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 1 თებერვალს საქმე კვლავ დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად, ვინაიდან, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია და ემსჯელა სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო თუ არა იმ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამასთან, არ გაუთვალისწინებია საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის განჩინებით მოცემული მითითებები და არც გაუქარწყლებია ისინი.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით კი, თ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ისე, რომ ზემოაღნიშნული განჩინებების მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოს არც ამჯერად უმსჯელია, არ გაუქარწყლებია საკასაციო სასამართლოს მითითებები მოცემულ საქმესთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა „საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის – ქ. თბილისის მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილებათა შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფო მეთაურის 1992 წლის 19 დეკემბრის №9 ბრძანებულებას“ და სადავო აქტის გამომცემი ორგანოს უფლებამოსილების არქონის გამო ბათილად ცნო სადავო აქტი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.

თ. ს-ის წარმომადგენელმა – პ. კ-ემ სააპელაციო სასამართლოს

სხდომაზე განმარტა: „სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 18 დეკემბრის №9 ბრძანებულების თანახმად, შესაძლებელი იყო განკარგულიყო მხოლოდ თავისუფალი ტერიტორია, ანუ რომელიც იყო მუნიციპალიტეტის საკუთრება. ამ ბრძანებულებაში ჩამოთვლილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნუსხა და ეს ტერიტორია არ არის ამ ნუსხაში. ეს არ იყო თავისუფალი მიწის ნაკვეთი, რასაც ადასტურებს, სადავო დადგენილების თუნდაც ის ჩანაწერი, რომ თ. ს-ზე რიცხული მიწის ნაკვეთი გადაეცა ლ. ვ-ს. ერთ-ერთი მთავარი საკითხი არის ეს და არ შეიძლება ჩაითვალოს სარჩელის შეცვლად, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში კვალიფიკაცია უნდა მიეცეს სადავო აქტს. №9 ბრძანებულება მიუთითებს, რომ ქალაქის მერი იყო იმ კომპეტენციის მქონე, რომ განეკარგა მიწა და არა მუნიციპალიტეტის კაბინეტი, როგორც მერს დაქვემდებარებული აღმასრულებელი კოლეგიური ორგანო. შესაბამისად, ეს არაუფლებამოსილება არის, არა აქტის არარად ცნობის, არამედ, აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან აქ არის არა ტერიტორიული უფლებამოსილება დარღვეული, არამედ საგნობრივი. მუნიციპალიტეტის კაბინეტის თავმჯდომარე იყო პრემიერი, ანუ სხვა პირი. ამიტომ, ეს არის აქტის ბათილად ცნობის უპირობო საფუძველი, რომელსაც განმარტავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აპელანტის წარმომადგენლის ზემომოყვანილი მსჯელობა, რომელიც გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ და თავის დასკვნაში ასახა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.3 მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობის დადგენით, იურიდიული თვალსაზრისით სრულიად დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების შინაარსის ერთობლივი ნაკითხვიდან, კერძოდ: 2005 წლის 24 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებით საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში დაკონკრეტდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართლებრივი ხასიათი და მისი გაუქმების სამართლებრივი შედეგები. შედეგად, მივიღეთ მე-60 მუხლი – აქტის არარად აღიარების, მე-60<sup>1</sup> მუხლი – გამოცემისთანავე უკანონო აქტის ბათილად ცნობის და 61-ე მუხლი – გამოცემისას კანონიერი, თუმცა შემდგომში ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარემოების გამო უკანონო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60, მე-60<sup>1</sup> და 61-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ერთმანეთისგან გამიჯნა არარა, უკანონო და კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რათა დადგინდეს თითოეულის სამართლებრივი შედეგების გაუქმების

საკითხი, კერძოდ, არარა აქტის მიღებისთანავე არა აქვს იურიდიული ძალა და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, ხოლო კანონიერ (მე-60<sup>1</sup>) და უკანონო (61-ე) ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს შეუძლიათ შეიძინონ შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი მათი ადრესატისათვის.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ მითითებული ნორმით განსაზღვრულია 4 შემთხვევა, რომლებიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების საფუძველს, კერძოდ: ა) შეუძლებელია მისი გამოცემა ორგანოს დადგენა; ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ; გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო და დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართლდარღვევას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს უკავშირდება აქტის არარად აღიარების სამართლებრივი შედეგები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 60.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აქტის არარად აღიარების ერთ-ერთი საფუძველი – აქტის გამოცემა არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ, ამ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე მოქმედ რედაქციაში ფორმულირებული იყო აქტის ბათილად ცნობის ერთ-ერთ საფუძველად, შესაბამისად, 5.3 მუხლის დანაწესი ადეკვატური იყო 2005 წლის 24 ივნისამდე მოქმედ მე-60 მუხლის ტექსტთან. მას შემდეგ, რაც ეს საფუძველი განეკუთვნა აქტის არარად აღიარების შემთხვევას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.3 მუხლი შესაბამისობაში უნდა მოსულიყო მოქმედ 60.1 მუხლთან, რაც არ განხორციელდა. ეს ფაქტი საკანონმდებლო ხარვეზით უნდა აიხსნას და არცერთ შემთხვევაში არ არის გამართლებული 5.3 მუხლის ტექსტისთვის რაიმე სხვა გამოყენების თვალსაზრისის შემუშავება, რადგან ასეთ პირობებში, მთლიანად ინგრევა ის ლოგიკური სქემა, რომელიც კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართლის თეორიის და მისი ინსტიტუტების კვალიფიციური გააზრებით ჩამოაყალიბა 2005 წელს. ამდენად, 5.3 მუხლისათვის რაიმე განსხვავებული, ახალი შინაარსის მინიჭება სრულიად წინააღმდეგობრივი და არასწორია. ადმინისტრაციული სამართლის დოქტრინა აქტის არარად აღიარების საფუძველს – არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემა, არ ჰყოფს ტერიტორიულ და საგნობრივად არაუფლებამოსილების კუთხით, ნებისმიერი გადაცდომა კომპეტენციის ფარგლებიდან იწვევს აქტისათვის იურიდიული ძალმოსილების გამოცლას და მისი

აღსრულება დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებაში / ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სარჩელისა გამოქ. ბათუმის მერიასა და მ. დ-ის მიმართ/, ჩამოყალიბებულ განმარტებას: „საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია თავად არარა აქტის ბუნებით. ვინაიდან ამგვარი აქტი აღსრულების ძალმოსილების ანუ იურიდიული ძალის არმქონეა, მისი მოქმედების შეწყვეტა ვერ მოხდება. კერძოდ, სამართლებრივი აქტის იურიდიული ძალა სწორედ მისი მოქმედების ანუ აღსრულების ფუნქციაშია. აქტის გაუქმება ნიშნავს მისი მოქმედების შეწყვეტას, ასე, მაგალითად: აქტის ბათილად ცნობა ნიშნავს, რომ აქტის მოქმედების შეწყვეტას ამა თუ იმ მომენტიდან: ა) გამოცემის მომენტიდან; ბ) გამოცხადების მომენტიდან; გ) მომავალში კონკრეტული თარიღის დათქმით, ან ძალდაკარგულად გამოცხადება ნიშნავს, რომ აქტის მოქმედება შეწყდება მისი ძალდაკარგულად გამოცხადების მომენტიდან, ვინაიდან, გამოცემისას უკანონო და გამოცემისას კანონიერი აქტები იურიდიული ძალის მქონე აქტებია და მათი მოქმედება დამოკიდებულია ადმინისტრაციული საჩივრის ან ადმინისტრაციული სარჩელის აღძვრაზე ან გამომცემი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. მაშინ, როცა არარა აქტი ვერ იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას და მისით განსაზღვრული მონესრიგება არ შეიძლება ძალაში შევიდეს, როგორც საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო მოვლენა. ამდენად, აქტის არარად აღიარება მიზნად ისახავს მისი იურიდიული ძალმოსილების არმქონე დოკუმენტად სასამართლო წესით დადასტურებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამგვარი აქტის აღსასრულებლად გადაცემა, ხოლო აღსრულების შემთხვევაში – მისი შედეგების გაქარწყლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი – მმართველობის განხორციელება კანონიერების პრინციპის საფუძველზე, ბოჭავს ადმინისტრაციულ ორგანოებს – მიიღონ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, მათ შორის, კომპეტენციის აღრევით, სხვა მმართველობითი ორგანოს უფლებამოსილების სფეროში შემავალ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება საფრთხეს წარმოადგენს საჯარო წესრიგისათვის და სამართლებრივი სახელმწიფოს სტაბილური მმართველობის განხორციელებისათვის. ვინაიდან არც ერთი საზოგადოება დაზღვეული არ არის ამგვარ გადაწყვეტილებათა მიღების ჰიპოთეზისაგან, კანონმდებელმა მმართველობით ორგანოებში ქაოსის თავიდან ასაცილებლად ასეთი აქტებისათვის ნულოვანი სამართლებრივი შედეგი განსაზღვრა. ამავდროულად ეს იცავს მოქა-

ლაქებს, რადგან მათ გააჩნიათ კანონიერი მოლოდინი ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ სწორედ კანონიერების პრინციპის საფუძველზე მმართველობის განხორციელებისა.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სადავო აქტთან დაკავშირებული სარჩელის მოთხოვნის ფორმულირება დამოკიდებულია არა იმაზე, თუ დროში როგორ ზემოქმედებს აქტით განსაზღვრული შედეგები ადრესატის უფლებებზე, არამედ აქტის სამართლებრივ ბუნებაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით გათვალისწინებული საფუძველების არსებობის (ან ასეთის ვარაუდის) პირობებში უფლების დაცვა უზრუნველყოფილია სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის სახით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული აქტების კანონიერების შემოწმებისას სასამართლოს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება მისი მოქმედების შეწყვეტის თარიღის განსაზღვრისას, მაშინ, როცა არარა აქტთან მიმართებაში ამგვარი უფლებამოსილება ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული. აღიარებითი სარჩელის განხილვისას სასამართლო ადასტურებს ან არ ადასტურებს სადავო აქტს, როგორც გამოცემისთანავე იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტს და სწორედ ეს მართლმსაჯულებითი ფუნქცია – სასამართლო წესით დადასტურება არის წინაპირობა ამ მოთხოვნის აღიარებითი სარჩელის სახისათვის მიკუთვნებისა“.

არარა აქტის საფუძველზე განხორციელებული სამართლებრივ მოქმედებების და შედეგების თაობაზე საკასაციო სასამართლო ასევე ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას საქმეზე (ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-130-876(კ-05), გ. ჭ-ას საკასაციო საჩივრის გამო, ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 5 აგვისტოს განჩინებაზე, მონინა-ალმდეგე მხარე ზუგდიდის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიმართ) ჩამოყალიბებულ განმარტებებსა და სასამართლო დასკვნებს, კერძოდ: „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აქტის არარად აღიარების საფუძველების დადგენისას კანონმდებელი მიზნად ისახავს ადმინისტრირების კანონიერებისა და პირის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას. ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლო წესით აქტის არარად აღიარება, ანუ აქტის არარად აღიარების ერთ-ერთი საფუძველის დადგენა – დადასტურება ინვესტ მძიმე იურიდიულ შედეგს, რადგან მის საფუძველზე განხორციელებული მოქმედებები ასევე მიიჩნევა არალეგიტიმურად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული

სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი – კანონიერი ნდობის ინსტიტუტი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არარა აქტების მიმართ, რამდენადაც: 1. ამგვარი აქტი არ არის იურიდიული ძალის მქონე; 2. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მითითებული ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას უშვებს კანონიერი და უკანონო აქტების და არა მათ საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების მიმართ, შესაბამისი სავალდებულო ნინაპირობების არსებობის შემთხვევაში; 3. კანონიერი ნდობის ინსტიტუტის არსებობა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ შედეგთან, სწორედ სამართლებრივი შედეგის სტაბილურობის შენარჩუნების მიზანს ემსახურება კანონიერი ნდობის დაცვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ მოიცავს ორ ასპექტს. კერძოდ, თუ რა შემთხვევაშია აქტი კანონიერი ან უკანონო და მეორეს მხრივ, თუ რა სამართლებრივ შედეგებს იწვევს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლწინააღმდეგობა. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი, ანუ არ არსებობს კანონიერი ნდობა, თუ ა) მას საფუძველად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება და ბ) ან, როდესაც მისთვის ამ აქტის უკანონობა ცნობილი იყო ან უნდა სცოდნოდა.

ამ პირობებში აქტის არარად აღიარება, რომელიც უკანონობის იმგვარ საფუძველზე შეიცავს, რომელთა გამოც კანონმდებელი მას იმთავითვე, მიღების მომენტიდანვე აცლის იურიდიულ ძალას, რის გარეშეც იგი ვერ იქნის ისეთი სამართლებრივი აქტის შინაარსს, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება ანუ არ გააჩნია აღსრულების ძალმოსილება, განსხვავებით უკანონო (ბათილი) აქტებისგან, რომლის არამართლობიერების მიუხედავად დაშვებულია მისგან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების დროის გარკვეული მონაკვეთით შენარჩუნება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტი), რამდენადაც კანონმდებელი ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს ანიჭებს ამგვარი აქტის მოქმედების შეწყვეტის თარიღის განსაზღვრის უფლებამოსილებას<sup>2</sup>.

ადმინისტრაციული სარჩელების სახეების საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობის სწორ გამოყენებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინებაში /საქმეზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელისა გამო, მოპასუხე ქუთაისის რეგიონალური ცენტრის მიმართ/ ჩამოყალიბებულ განმარტებას:

„ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო

მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სარჩელის მოთხოვნის ტრანსფორმირების პროცესუალური შესაძლებლობა გაგებულ უნდა იქნას ამგვარად, რომ კანონმდებელმა სიტყვა „ტრანსფორმაცია“ მიანიჭა სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც განმარტებულ უნდა იქნას თავად მისი შინაარსიდან გამომდინარე. ტრანსფორმაცია გულისხმობს გარდაქმნას, სახეცვლილებას, შეცვლას, შესაბამისად, ტერმინის სამართლებრივი კონტექსტი ნიშნავს სასარჩელო მოთხოვნის გარდაქმნას, სახეცვლილებას, შეცვლას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლი ემსახურება პროცესის ეკონომიის პრინციპის რეალიზაციას, რაც ადმინისტრაციულ სარჩელთან მიმართებაში გულისხმობს ადმინისტრაციული სარჩელის სახის – რაც განისაზღვრება სწორედ სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით, გარდაქმნის, სახეცვლილების, შეცვლის შესაძლებლობას. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup>-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო ამონმებს განმწესრიგებელ სხდომაზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებთან ადმინისტრაციული სარჩელის შესაბამისობის საფუძვლებს. სარჩელის სახის შეუსაბამობის პირობებში მოსამართლეს ენიჭება პროცესუალური უფლებამოსილება ოფიციალობის პრინციპიდან გამომდინარე, მიუთითოს მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის ანუ სარჩელის ერთი სახის სხვა სახის სარჩელად გარდაქმნისაკენ. ვინაიდან სარჩელის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში მოსარჩელე ინარჩუნებს საპროცესო უფლებას აღძრას სხვა სახის სარჩელი და სწორედ პროცესის ეკონომიის პრინციპს ემსახურება სარჩელის სახის გარდაქმნის, სახეცვლილების შესაძლებლობა; აგრეთვე, დაბალი სამართლებრივი კულტურის პირობებში შესაძლებელია მოსარჩელემ კვალიფიციურად ვერ ჩამოაყალიბოს მოთხოვნა“.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო უნდა დახმარებოდა აპელანტს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში, ვინაიდან, სასამართლოს სხდომაზე ზემოაღნიშნული განცხადების საფუძველზე ნათელია, რომ აპელანტი ითხოვს უფლებამოსილების გადამეტების საფუძველზე აქტის გაუქმებას რაც აქტის არარად აღიარების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის მოტივაციას სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის შესახებ, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ შეუფასებია დავის საგანი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ ქ. თბილისის მუნიციპა-

ლიტეცის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის დადგენილება ცნობათილ აქტად და შეფასება არ მისცა იმ ფაქტს, რომ მართალია, მოსარჩელე პროცესუალურად (ფორმალურად) სადავო აქტის ბათილად ცნობას მოითხოვდა, თუმცა სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ (მატერიალურ) საფუძველად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას უფლებამოსილების გადამეტებას უთითებდა, რომ სადავო აქტი გამოცემული იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელი /დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება/ შედგება, როგორც სამართლებრივი, აგრეთვე ფაქტობრივი საფუძვლისაგან, ამასთან სარჩელის საფუძველი არის ის ფაქტები, რომელთა არსებობა განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და რომლებსაც მატერიალური სამართლის ნორმა უკავშირებს სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტების უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დიფერენცირებულია ადმინისტრაციული სარჩელების სახეები. აქტის არარად აღიარების მოთხოვნას პროცესუალურად შეესაბამება ადმინისტრაციული სარჩელის სპეციალური სახე – აღიარებითი სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ასკ-ის 25-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ აღიარებითი სარჩელის აღძვრა პირს შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსარჩელეს გააჩნია კანონიერი ინტერესი მოცემულ სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა მოსარჩელის კანონიერი ინტერესი, რამდენად ლახავდა მოცემული აქტი მის უფლებებს და რა სამართლებრივ საფუძველზე ფლობდა იგი მოცემულ მიწის ნაკვეთს. სასამართლოს არ უმსჯელია თ. ს-ი საკუთრების თუ სარგებლობის უფლებით ფლობდა მიწის ნაკვეთს, შესაბამისად, განხილული და შეფასებული არ არის ქ. თბილისის მერის და ლ. ვ-ის სამართლებრივი მოსაზრებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის – ქ. თბილისის მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილებათა შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფო მეთაურის 1992 წლის 19 დეკემბრის №9 ბრძანებულების“ მე-7 დებულების მესამე აბზაცი მიუთითებს ქ. თბილისის მერიის კომპეტენციის ფარგლებს: „მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს მიწის ფონდისა და მუნიციპალური ქონების მართვა, აწარმოოს საქალაქო მიწების კადასტრი, გადწყვიტოს იურიდიული პირებისა და მოქალაქეების მიწათსარგებ-

ლობის საკითხები“. ამავე ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის – ქ. თბილისის მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილებათა შესახებ დებულების“ მე-3 აბზაცის თანახმად: ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის კაბინეტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების კოლეგიალური ორგანო, რომელსაც ქმნის თბილისის მერი. მუნიციპალიტეტის კაბინეტს ხელმძღვანელობს ქალაქ თბილისის ვიცე-მერი – მუნიციპალიტეტის ვიცე-პრემიერი, რომელსაც სახელმწიფო მეთაურთან და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით ნიშნავს ქალაქის მერი... მუნიციპალიტეტის ქ. თბილისის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა უფლებამონაცვლე, ხელმძღვანელობს ქალაქის სოციალურ ეკონომიურ განვითარებას, განკარგავს და მართავს მუნიციპალური საკუთრების ქონებას.“

სააპელაციო პალატის მსჯელობით, მოცემულ შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილების 25-ე პუნქტით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტმა განკარგა არა მუნიციპალური საკუთრება, არამედ ქ. თბილისის მერის განკარგვით კომპეტენციაში მოქცეული სახელმწიფო მიწის ფონდის ნაწილი, რაც იმას ნიშნავს, რომ 1997 წლის 13 ნოემბრის №22.17.1228 დადგენილების გასაჩივრებული ნაწილის მიღებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტმა შესაბამისი ნორმატიული აქტით მინიჭებულ უფლებამოსილებას გადაამეტა, რის გამოც, მიიჩნია, რომ აქტი ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია სადავო აქტი არაკომპეტენტური ორგანოს მიერ გამოცემულად, რომ არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია თუ რა ნორმატიულ საფუძველზე ახორციელებდა მუნიციპალიტეტის კაბინეტი ამ უფლებამოსილებას, მით უფრო იმ პირობებში, როცა არამხოლოდ მოცემული სადავო შემთხვევა, არამედ, იმ პერიოდში მასიურად მუნიციპალიტეტი იღებდა აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს, იყო თუ არა თბილისის მერიისგან რაიმე სამართლებრივი აქტი უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე. სასამართლო ვალდებულია საფუძვლიანად გამოარკვიოს აღნიშნული გარემოება. ასევე, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელობია თბილისის მერის უფლებამოსილება – სახელმწიფო მიწის ფონდის მართვის თაობაზე გულისხმობს თუ არა მიწის განკარგვის კომპეტენციასაც.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული დებულებების თანახმად, ქ. თბილისის მერს მინიჭებული ჰქონდა მუნიციპალური საკუთრებისა და სახელმწიფო მიწის ფონდის მართვის უფლებამოსილება.

სააპელაციო სასამართლოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით დაევალა შეემონმებინა სადავო აქტის კანონიერება მისი გამოცემის მომენტისათვის მოქმედ კანონმდებლობასთან, რაც სრულიად დაუსაბუთებლად და არაკვალიფიციურად განახორციელა. მითუმეტეს იმ ვითარებაში, როცა სადავო აქტი არ შეიცავს არანაირ დასაბუთებას, თუ რომელ სამართლებრივ ნორმაზე დაყრდნობით დაუმაგრა ლ. ვ-ს მინის ნაკვეთი. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ემსჯელა იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქტი გამოცემული იყო თუ არა სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. სასამართლო დასკვნა აღნიშნულზე სამართლებრივი თვალსაზრისით სრულიად დაუსაბუთებელი, ხოლო პროცესუალური თვალსაზრისით ადმინისტრაციული სარჩელის სახეების და აქტის არარა და ბათილობის საფუძვლების აღრევით განახორციელა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია, არ გაუქარწყლებია ქ. თბილისის მერიის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევის თაობაზე. არანაირი სამართლებრივი შეფასება არ მიუცია ამ საკითხისათვის, არ გაუქარწყლებია მოპასუხის სამართლებრივი მოტივები.

საკასაციო სასამართლოს მითითებები სააპელაციო სასამართლოსათვის:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არის დაუსაბუთებელი, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავის მართებულად გადანყვეტის მიზნით არსებითი მნიშვნელობა აქვს ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს უკანონო და არარა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

შესაბამისად დაეხმაროს მოსარჩელეს ადმინისტრაციული სარჩელის სახის განსაზღვრაში. სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ზემომითითებული საკასაციო სასამართლოს მსჯელობები, ხოლო, ასეთის არგაზიარების პირობებში შესაბამისი დასაბუთებული სასამართლო მოსაზრებები ასახოს თავის გადაწყვეტილებაში. გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, მოახდინოს შეფასება სადავო აქტის გამოცემის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობის, სწორად განსაზღვროს სარჩელის სახე და საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების დაცვით გადანყვეტოს დავა.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესაბამისად, საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ქ. თბილისის მერიისა და ლ. ვ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების გადანაწილების საკითხი გადაწყდეს საქმის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გათილად ცნობა სააქტო ჩანაწერის არარად აღიარება**

### **განჩინება**

№ბს-116-115(კ-12)

22 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სააქტო ჩანაწერის არარად აღიარება თანმდევი შედეგებით.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. შ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ხონის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხონის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, მესა-

მე პირის – ო. ნ-ის მონაწილეობით, რომლითაც მოითხოვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და სააქტო ჩანაწერის არარად აღიარება თანმდევი შედეგებით.

მოსარჩელე ნ. შ-მა აღნიშნა, რომ იგი 1994 წლიდან ო. ნ-ის ძე ნ-თან იმყოფებოდა რელიგიურ ქორწინებაში. ეს უკანასკნელი გარდაიცვალა 2007 წლის 13 იანვარს, ხოლო მისმა დედამთილმა – ჯ. კ-მ 2007 წლის 5 თებერვალს მოსარჩელეს უანდერძა მისი უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის, მისი მეუღლის – ო. ნ-ის სახელზე რიცხული ქ. თბილისში, ...ის ქ. №4-ში და №16-ში მდებარე საცხოვრებელი ბინები. სამკვიდრო ქონების მიღების პროცესში აღმოჩნდა, რომ მითითებულ ბინებზე სამკვიდრო მონაწილეები გაცემული იყო 1983 წელს დაბადებულ ვინმე ო. ო-ის ძე ნ-ის სახელზე, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეზე. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მამობის დადგენის სააქტო ჩანაწერი, ო. ნ-ზე გაცემულია მამობის დადგენის მონაწილეობა და მისი დაბადების სააქტო ჩანაწერსა და დაბადების მონაწილეობაში მამად მითითებულია ო. ნ-ი, მაშინ, როცა ო. ნ-ის (პატარა) დედა – მ. თ-ე ბავშვის დაბადების მომენტში რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა დ. ქ-ან, რომელთაგანაც განქორწინდა 1985 წელს. ამასთან, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის 2009 წლის 7 მაისის დადგენილებით, სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც აღიძრა მისი განცხადების საფუძველზე, დადასტურდა ო. ნ-ის მამობის დადგენის სიყალბე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მოსარჩელემ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხონის სარეგისტრაციო სამსახურს მიმართა განცხადებით და მოითხოვა მამობის დადგენის სააქტო ჩანაწერის არარად აღიარება თანმდევი სამართლებრივი შედეგებით. ხონის სამსახურის 2011 წლის 13 მაისის №22/119595 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველზე, რომ ვინაიდან ო. ნ-ის მამობის დადგენის აქტი და თანდართული დოკუმენტაცია სრს ხონის სამსახურში და სრს ცენტრალურ არქივში არ იძებნებოდა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა აქტის ბათილობაზე ან არარად აღიარებაზე. მოსარჩელის განმარტებით, სრს ხონის სამსახურმა არასწორად განმარტა ზემოაღნიშნული კოდექსის 97-ე მუხლი, არ გამოიყენა ამავე კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები, თუმცა განცხადების დაკმაყოფილების ყველა პირობა არსებობდა. ასევე, არასწორად მიუთითა „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 103-ე-104-ე მუხლებზე, ვინაიდან მას სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შესწორება ან შეცვლა არ მოუთხოვია. ასევე, არ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება დაბადების აქტის ჩანაწერიდან ბავშვის მამის ან დედის მონაცემების ამოღების შესახებ. სრს ხონის სამსახურ-

რის მითითებული გადაწყვეტილება ნ. შ-მა გაასაჩივრა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ 2001 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით, არ დააკმაყოფილა მისი საჩივარი იმ საფუძველით, რომ ადმინისტრაციული აქტის არსებობა არ შეიძლება გახდეს მისი არარად აღიარების საფუძველი. მოსარჩელის მითითებით, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება არ იყო დასაბუთებული, რითაც დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნა.

ხონის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ნ. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. შ-მა, რომელმაც მოითხოვა ხონის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინებით ნ. შ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ხონის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით აღნიშნა, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხონის სამსახურის 2001 წლის 13 მაისის №22/119595 აქტი გამოცემულია საგნობრივად და ტერიტორიულად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. სრს ხონის სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72.1 „ა“ მუხლის შესაბამისად, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, განიხილა ნ. შ-ის №55954 განცხადება და №56170 დამატებითი განცხადება. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ სწორად განსაზღვრა ნ. შ-ის მოთხოვნა, გამოკვეთა უდავო გარემოება, რომ ო. ნ-ის მამობის დადგენის აქტი თანდართული დოკუმენტაციით სამსახურში, არქივში არ იძებნებოდა და ამის დასტურად მოიყვანა პროკურატურის 2009 წლის 7 მაისის დადგენილება. ამდენად, იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა აქტის ბათილობაზე და არარად ცნობაზე.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ისეთ ვითარებაში, როდესაც ო. ნ-ის მამობის დადგენის აქტი და თანდართული დოკუმენტაცია არ იძებნებოდა, გაურკვეველი იყო, საერთოდ არსებობდა თუ არა ასეთი საბუთები, ან პირიქით, არ მოხდა მისი ფიქსაცია, შენახვა, ხანდაზმულობით განადგურების აქტის შედგენა, არქივში გადაგზავ-

ნა და ა.შ. (განაჩენით ხსენებული დოკუმენტების სიყალბე დადგენილი არ არის). ამდენად, ცხადი იყო, რომ გასაჩივრებული ხონის სამსახურის №22/119595 გადაწყვეტილება შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას და სამართლის პრინციპებს.

სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2011 წლის 21 ივნისის №01/154028/გ გადაწყვეტილების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, მოცემული აქტი შემონმდა როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერების თვალსაზრისით და დადასტურდა ორივე კრიტერიუმის არსებობა. ამასთან დაკავშირებით, მართებული იყო რაიონული სასამართლოს განმარტება იმის შესახებ, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული უნდა იყოს ის სავალდებულო ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი, რამდენადაც, ზაკ-ის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, არგუმენტებზე, რომლებიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდა სრულად კანონის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოების ჯეროვანი, სრულყოფილი გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მიღებულ იქნა შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილება.

რაც შეეხებოდა აპელანტის მოთხოვნას, რომ სასამართლომ დაავალოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხონის სამსახურს, „არარად აღიაროს ო. ო-ის ძე ნ-ის 1983 წლის 30 ივნისის მამობის დადგენის სააქტო №13 ჩანაწერი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით, რაც მოიცავდა ცვლილებების შეტანის გზით მამობის დადგენის მონობის, დაბადების სააქტო ჩანაწერისა და დაბადების მონობის მამის გრაფიდან ო. ნ-ის ძე ნ-ის ამოღებას“, აღნიშნულის საფუძველები გამომდინარეობდა წინა ორი მოთხოვნიდან. ამდენად, რამდენადაც ისინი უსაფუძვლოდ იქნა ცნობილი, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება, იმავე მოტივაციის საფუძველზე, შეუძლებელი იყო, ანუ შეუძლებელი იყო სასამართლოს დაევალებინა ადმინისტრაციული ორგანოსათვის აქტის არარად აღიარება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. შ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მითითებით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ თავისივე №01/154028/გ გადაწყვეტილებით, დაადასტურა, რომ 1983

წლის 30 ივნისის მამობის დადგენის №13 აქტის ჩანაწერი, რომლის არარად აღიარებასაც ითხოვდა მოსარჩელე, საერთოდ არ არსებობდა, არ იძებნებოდა, რაც იმის დადასტურებასაც ნიშნავდა, რომ მისი გამომწვევები ორგანო ვერ იქნა დადგენილი და არსებობდა ასეთი აქტის არარად ცნობის ზაკ-ის მე-60 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი საფუძველი.

კასატორის აღნიშვნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული აქტი უნდა შეიცავდეს დასაბუთებას. მოცემულ შემთხვევაში, სამოქალაქო რეესტრის სააგენტო თავის გადანაცვტილებებში შემოიფარგლა მხოლოდ იმით, რომ ადმინისტრაციული აქტის არარსებობა, არ შეიძლება გახდეს მისი არარად აღიარების საფუძველი, მაგრამ კონკრეტულ კანონზე ან კანონქვემდებარე აქტზე მითითებით ვერ დასაბუთა, თუ რატომ მივიდა აღნიშნული სახის ზოგადი ხასიათის დასკვნამდე. ამდენად, დადგენილია, რომ ზემოაღნიშნულმა ორგანოებმა საერთოდ არ განიხილეს ნ. შ-ის საჩივარში, სარჩელში და სააპელაციო საჩივარში ასახული მოთხოვნები მის მიერ მითითებული კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები-სა და სამართლებრივი საფუძვლების მიხედვით.

კასატორის მითითებით, არც პირველი ინსტანციის სასამართლომ და არც სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა არც ერთი მისი სასარჩელო თუ სააპელაციო მოთხოვნები, სრულიად უსაფუძვლოდ არ გაითვალისწინა მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არგუმენტები, რის გამოც გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს განჩინება ექვემდებარება გაუქმებას.

საქართველოს უზენესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 მარტის განჩინებით ნ. შ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განისაზღვრა მათი განხილვა მხარეთა დასწრებით, ხოლო საკასაციო სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის საოქმო განჩინებით საკასაციო საჩივრის განხილვა გადაიდო ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეული არ არის სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გა-

მოყვებინა, სწორად განმარტა კანონი, საპროცესო ნორმები არ დარღვეულა, სწორი შეფასება მიეცა საქმის მასალებს და დავა გადანყვებილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებსა და სამართლებრივ შეფასებებს, კერძოდ, სსსკ-ის 105.2. მუხლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემული საქმის განხილვისას სასამართლო მიერ სრულყოფილად იქნა გამოკვლეული საქმის მასალები, დადგენილად მიჩნეული გარემოებები დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით, საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები დასაბუთებულია.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2 მუხლის საფუძველზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებს, რომ ნ. შ-მა და ო. ნ-მა ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში დაინერეს ჯვარი /იხ. ჯვრისწერის მოწმობა/. ო. ნ-ი გარდაიცვალა 2007 წლის 13 იანვარს. ო. ნ-ის დედამ – ჯ. კ-მ მის საკუთრებაში არსებული ქონება ნ. შ-ს უანდერძა. ჯ. კ-ე გარდაიცვალა 2009 წლის 8 აპრილს. დ. ქავთარაშვილი და მ. თ-ე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1968-1985 წლებში. ო. ნ-მა, როგორც კანონისმიერი პირველი რიგის მემკვიდრემ, საკუთრებაში მიიღო ქ. თბილისში, ...ის ქ. №4-ში და ...ის ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელ ბინებზე, ო. ნ-ის სამკვიდრო ქონება. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის 2009 წლის 7 მაისის დადგენილებით, ო. ნ-ის სამკვიდრო მოწმობის გაცემისას ყალბი დოკუმენტების გამოყენების ფაქტზე, (საქართველოს სს კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით) ნოტარიუს თამარ ონიანის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. შესაბამისად, არ დაიწყო გამოძიება და სს დევნა დოკუმენტის გაყალბების ფაქტზე სს კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ ო. ნ-ს, რომელიც გარდაიცვალა 2007 წლის 13 იანვარს, სიცოცხლეში სადავოდ არ უხდია 1983 წლის 30 ივნისის ო. ნ-ის მამობის დადგენის აქტი.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლის ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ დავის საგანი – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხონის სამსახურის 2011 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შესაბამისად

მისი კანონიერება სასამართლოს მიერ უნდა შემოწმდეს ფორმალურ-მატერიალური თვალსაზრისით.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი ნაწინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობით დასაბუთებაში მითითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა. სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციულ ორგანოს საერთოდ არ მოუხდენია ფაქტობრივი გარემოებების დადგენა – სახეზეა აქტის გამოცემა ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოექცეს სამართლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის გადაწყვეტამდე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს, უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სადავო აქტი გამოცემულია საგნობრივად და ტერი-

ტორიულად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რამდენადაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ სრის ხონის სარეგისტრაციო სამსახურის საგნობრივ კომპეტენციას განეკუთვნება მამობის დადგენის სააქტო ჩანაწერში, მამობის დადგენის მონმობის გაუქმების, დაბადების სააქტო ჩანაწერში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება ანუ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მონესრიგება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სწორად განსაზღვრა ნ. შ-ის მოთხოვნა, კერძოდ, დაადგინა უდავო ფაქტობრივი გარემოება, რომ ო. ნ-ის მამობის დადგენის აქტი თანდართული დოკუმენტაციით სამსახურში, არქივში არ იძებნებოდა და ამის დასტურად მიუთითა მტკიცებულებაზე – პროკურატურის 07.05.2009წ. დადგენილებაზე. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოიტანა სწორი და დასაბუთებული დასკვნა, რომ სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა აქტის ბათილად და არარად ცნობაზე. მამობის და დაბადების მონმობების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულმა ორგანომ განუმარტა მხარეს და მიუთითა, რომ მონმობები უქმდება მხოლოდ შესაბამისი აქტების ბათილად ცნობის მომენტიდან და შესაბამისი სააქტო ჩანაწერებში ცვლილების შეტანის მომენტიდან. ამასთან, ადმინისტრაციულმა ორგანომ იმსჯელა განცხადების შინაარსზე და დაადგინა, რომ სახეზე იყო ქონებრივი დავა, რაც კავშირშია ო. ნ-ის მამობის და დაბადების სააქტო ჩანაწერთან და „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 103-ე, 104-ე „თ“ მუხლებზე და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლზე მითითებით გასაჩივრების წესი განუმარტა მხარეს.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას სადავო აქტის მატერიალურ კანონიერებასთან დაკავშირებით, რამდენადაც იმ ვითარებაში, როცა ო. ნ-ის მამობის დადგენის აქტი და თანდართული დოკუმენტაცია არ იძებნებოდა, სარეგისტრაციო სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა აქტის ბათილად ცნობაზე ან არარად აღიარებაზე, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ მუხლის თანახმად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები, ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო მოკლებულია შესაძლებლობას საქმის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე გამოსცეს აქტი. იმ ვითარებაში, როცა ადმინისტრაციულ ორგანოში არ იძებნებოდა სადავო ინდივიდუალური აქტების გამოცემის საფუძველი (დოკუმენ-

ტაცია), მტკიცებულების არარსებობის გამო ადმინისტრაციული ორგანო მოკლებული იყო შესაძლებლობას გამოეკვლია, შეესწავლა, შეეფასებინა და ემსჯელა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობაზე ან არარად აღიარებაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ: ა) შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა; ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ; გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო; დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლის-სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამომცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამომცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა, კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. მესამე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში-ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ ვითარებაში, როცა „ო. ნ-ის მამობის დადგენის აქტი და თანდართული დოკუმენტაცია“ არ იძებნება, ანუ გაურკვეველია საერთოდ ამგვარი დოკუმენტაციის არსებობის ფაქტი ან შესაძლებელია ვარაუდი, რომ ამგვარი დოკუმენტაცია არსებობდა, თუმცა გარკვეული ფაქტობრივი მიზეზის გამო აღარ არსებობს (დაიკარგა, განადგურდა, არ იქნა სათანადოდ შენახული, არქივში დაცული ან განადგურებული ხანდაზმულობის გამო) ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 და მე-60<sup>1</sup> მუხლების საფუძველზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, მხოლოდ ვარაუდის დონეზე არსებული ან არარსებული აქტების არარად აქტად აღიარება ან ბათილად ცნობა, განხილვა და სამართლებრივი შეფასების გაკეთება, კანონიერების შემოწმების საფუძველით სამართლებრივად შეუძლებელია. ამდენად, გასაჩივრებული, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხონის სამსახურის 2011 წლის 13 მაისის №22/119595 გადაწყვეტილება, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და სახეზე არ არის ადმინისტრაციული ორგანოს

მიერ აქტის გამოცემისას მატერიალური კანონიერების დარღვევის ფაქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ ვითარებაში, როცა სრს ხონის სამსახურის მიერ 1983 წლის 30 ივნისის სააქტო ჩანაწერის არარად აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ ენი-  
ნააღმდეგება კანონს, არ დარღვეულა მისი მომზადების ან გამოცე-  
მის ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი ადმინისტრაციული კო-  
დექსით დადგენილი მოთხოვნები, მით უმეტეს, იმის გათვალისწინე-  
ბით, რომ დაუშვებელი იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა  
სახის გადაწყვეტილების მიღება, არ არსებობს ხონის სრს სამსახურ-  
ის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამარ-  
თლოს დასკვნებს, აპელანტის მე-2 მოთხოვნასთან, საქართველოს  
იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2011  
წლის 21 ივნისის №01/154028/გ გადაწყვეტილების ბათილად ცნო-  
ბასთან დაკავშირებით, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული  
კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს  
უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემ-  
თხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონი-  
ერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-  
ტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გა-  
მონაკლისს ადგენს კანონი. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ  
პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზ-  
რუნველყოფილ უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. იმავე კო-  
დექსის 98-ე მუხლის მიხედვით კი, ადმინისტრაციულ წარმოებაში  
მონაწილე პირს უფლება აქვს, წარადგინოს მტკიცებულებები, აგ-  
რეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვ-  
ნით. მითითებულ მუხლებში რეგლამენტირებული წესი ადმინისტრა-  
ციული წარმოების უმნიშვნელოვანეს პრინციპს განეკუთვნება, რო-  
მელიც მიზნად ისახავს იმ პირების მაქსიმალურ დაცვას, რომელთა  
უფლებასაც შესაძლოა შეეხოს გამოსაცემი ინდივიდუალური-სამარ-  
თლებრივი აქტი. აღნიშნული პრინციპი ხელს უწყობს არა მხოლოდ  
დაინტერესებული მხარის უფლებების დაცვას, არამედ, ადმინისტრა-  
ციული ორგანოს მიერ არსებითად სწორი, ობიექტური გადაწყვეტი-  
ლების მიღებას.

მოცემულ შემთხვევაში, ირკვევა, რომ ადმინისტრაციულ საჩი-  
ვართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება განხორციელ-  
და კანონმდებლობის სრული დაცვით, ადმინისტრაციული ორგა-  
ნოს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების, საქმისათვის მნიშვნე-  
ლობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოების ჯეროვანი, სრულ-  
ყოფილი გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთმეჯერების საფუძ-  
ველზე, მიღებულ იქნა შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილე-

ბა. ამასთან, აპელანტის მოთხოვნა – სასამართლომ დაავალოს სა-  
მოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხონის სამსახურს არარად აღია-  
როს ო. ო.ის ძე ნ-ის (თ-ის) 1983 წლის 30 ივნისის მამობის დადგენის  
სააქტო №13 ჩანაწერი, თანმდევი სამართლებრივი შედეგებით, რაც  
მოიცავს ცვლილებების შეტანის გზით მამობის დადგენის მონმო-  
ბის, დაბადების სააქტო ჩანაწერის და დაბადების მონმოების მამის  
გრაფიდან ო. ნ-ის ძე ნ-ის ამოღებას – გამომდინარეობს წინა ორი  
მოთხოვნებიდან, ხოლო იმ ვითარებაში, როცა კასატორის წინა ორი  
მოთხოვნა სამართლებრივად უსაფუძვლოა, შეუძლებელია კასატო-  
რის აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება ც ფორმალურ-მატე-  
რიალური თვალსაზრისით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობდა  
სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რამდენადაც ადმინისტრა-  
ციული ორგანოს მხრიდან სადავო ინდივიდუალური ადმინისტრა-  
ციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას ადგილი არ ჰქონია  
მოქმედი კანონმდებლობის დარღვევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასა-  
მართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ  
შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინე-  
ბის კანონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხ-  
ლის თანახმად, არ არსებობს ნ. შ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყო-  
ფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინე-  
ბის გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციუ-  
ლი საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპრო-  
ცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

### **ბ ა ნ ი ნ ე ბ ა :**

1. ნ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ად-  
მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინე-  
ბა;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-  
რდება.

## ინფორმაციის თავისუფლება

### ინფორმაციის კომარცხიული საიდუმლოება აუქციონის ჩატარებაზე მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1435-1393(კ-08)

17 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრი-  
ვი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა.

#### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 20 მარტს საქართველოს .... ასოციაციამ სარჩელი აღ-  
ძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიაში, მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარე-  
ბის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 20 თებერვალს საქართვე-  
ლოს .... ასოციაციამ №გ-04/49-07 განცხადებით მიმართა საქართვე-  
ლოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და საჯარო ინფორ-  
მაციის სახით, მოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი  
პრეტენდენტის მიერ იქნა წარმოდგენილი განაცხადი აუქციონში მო-  
წაწილეობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სა-  
მინისტროს მიერ აუქციონზე გამოტანილ, ქვემოთ ჩამოთვლილ თი-  
თოეულ ქონებაზე: ქ. თბილისში, ..... ქ. №13-სა და სოფელ .... მდებარე  
შენობა-ნაგებობებსა და მიწის ნაკვეთებზე; ქ. თბილისში, ..... „ბ“ ზო-  
ნაში, №.... კოტეჯის მიმდებარედ არსებულ ნაგებობაზე (აუზი) და  
მიწის ნაკვეთი; დაბა ..... ხე-ტყის ბაზაზე და მიწის ნაკვეთზე. საქარ-  
თველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 2 მარ-  
ტის №16/479/9-7 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-  
რივი აქტით საქართველოს .... ასოციაციას უარი ეთქვა საჯარო ინ-  
ფორმაციის გაცემაზე, რის საფუძვლადაც მიეთითა „სახელმწიფო  
ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების  
პირველი მუხლის მე-19 პუნქტზე, რომლის თანახმად, აუქციონის ჩა-

ტარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ (მათ შორის, აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ) კონფიდენციალური იყო.

მოსარჩელის მტკიცებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, საიდუმლო ინფორმაცია იყო საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი, ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავდა სახელმწიფო, კომერციულ, ან პირად საიდუმლოებას. ხსენებული კოდექსი, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, იძლეოდა საიდუმლო ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება ჰქონდა, კანონით დადგენილი წესით გასცნობოდა სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავდა სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას. საქართველოს კონსტიტუცია ადგენდა საიდუმლო ინფორმაციის ზუსტ ჩამონათვალს და შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით, ინფორმაციის საიდუმლოება დასაშვები იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია შეიცავდა სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის №2/3/364 გადაწყვეტილებაში, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, განმარტებული იყო, რომ მნიშვნელოვანი იყო გარკვეულიყო, ნორმაში ჩამოთვლილი ინფორმაცია მიეკუთვნებოდა თუ არა სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას, რომლის გაცემის შეზღუდვის შესაძლებლობასაც ითვალისწინებდა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი.

მოსარჩელის განმარტებით, იმისათვის, რომ ინფორმაციის გაცემის შეზღუდვა ლეგიტიმური ყოფილიყო, სავალდებულო იყო ორი კრიტერიუმის ერთდროულად არსებობა: 1) ინფორმაცია შინაარსით უნდა ყოფილიყო საიდუმლო ინფორმაციის ერთ-ერთი სახის შესაბამისი და 2) დაცული უნდა ყოფილიყო ინფორმაციის საიდუმლოების კანონით დადგენილი პროცედურები. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლოება იყო ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავდა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობების, დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეეძლო ზიანი მიეყენებინა საქართველოს სუვერენიტეტისათვის, კონსტიტუციური წყო-

ბილებისათვის, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებისათვის, რაც ამ კანონით დადგენილი წესით, აღიარებული იყო სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარებოდა სახელმწიფო დაცვას. აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა შესახებ არსებული ინფორმაცია არ მიეკუთვნებოდა სახელმწიფო საიდუმლოებას, რადგან ეს ინფორმაცია არ შეიცავდა თავდაცვასთან, ეკონომიკასთან, საგარეო ურთიერთობებთან, დაზვერვასთან, სახელმწიფო უშიშროებასა და მართლწესრიგთან დაკავშირებულ ინფორმაციას და მისი გამჟღავნება ვერ მიაყენებდა ზიანს ქვეყნის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს. გასაჩივრებული ნორმა არ შეესაბამებოდა სახელმწიფო საიდუმლოებისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კომერციული საიდუმლოება იყო ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენებოდა საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად, ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენდა სიახლეს, ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე, სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც შესაძლო იყო ზიანი მიეყენებინა პირის კონკურენტუნარიანობისათვის. აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა შესახებ არსებული ინფორმაცია, მით უმეტეს, მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, კონფიდენციალური არც კომერციული საიდუმლოების ნიშნით იქნებოდა. ინფორმაცია კომერციული საიდუმლოება იყო, თუ ის იყო კომერციული ფასეულობის მატარებელი, ან მის გამჟღავნებაც შესაძლო იყო ზიანი მიეყენებინა პირის კონკურენტუნარიანობისათვის. „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზანი იყო, საკუთრების უფლება გადასცემოდა მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებდა, ხოლო თუ აუქციონი გამოცხადდებოდა პირობებით – საკუთრების უფლება გადასცემოდა იმ მყიდველს, რომელიც აიღებდა ვალდებულებას, დაეკმაყოფილებინა გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებდა.

მოსარჩელის განმარტებით, აუქციონი იყო სახელმწიფო ქონების გასხვისების ერთ-ერთი ფორმა. სახელმწიფო ქონების გასხვისება (პრივატიზება) იყო გამჭვირვალე პროცესი, რომელშიც მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი საზოგადოების ჩართულობა. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის მე-9 მუხლით დადგენილი იყო საპრივატიზებო ქონების გასხვისების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება, რაც ამ პროცესის გამჭვირვალობის საკანონმდებლო გარანტია იყო. ამდენად, ამ პროცესის ფარგლებში, ინფორმაციის გასაიდუმლოება განსაკუთრებულ დასაბუთებას უნდა დაქვემდებარებოდა და დაეკმაყოფილებინა ინფორმაციის გასაიდუმლოებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ორივე კრიტერიუმი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების მე-3 მუხლი განსაზღვრავდა აუქციონში მონაწილეობის პირობებს, მათ შორის, ადგენდა აუქციონში მონაწილეობის მსურველის მიერ რეგისტრაციისათვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს. ხსენებული ჩამონათვალი იყო ამომწურავი და მარტივად შეიძლებოდა იმის განსაზღვრა, აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეობის მსურველის შესახებ რა ინფორმაციას ფლობდა საჯარო დანესებულება. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მსურველს უნდა წარედგინა: განაცხადი, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას მონაწილეზე, სახელმწიფო საკუთრების დასახელებას, იმ სახელმწიფო ქონების საწყის ფასს, რომლის შექენაც სურდა მონაწილეს; „ბეს“ და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს და ა.შ. შესაბამისად, აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა შესახებ არსებული ინფორმაცია არ იყო კომერციული საიდუმლოება და იგი ამ საფუძვლით, ნორმატიული აქტით, ვერ იქნებოდა ცნობილი კონფიდენციალურ (საიდუმლო) ინფორმაციად.

მოსარჩელის განმარტებით, აუქციონში მონაწილეობის მსურველის მიერ რეგისტრაციისათვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალის მრავალფეროვნება ცხადყოფდა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაციის გასაიდუმლოებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს კანონმდებლობით ინფორმაციის გასაიდუმლოებისათვის დადგენილი პროცედურული წესები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებული იყო მიეთითებინა, რომ ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოება იყო. საჯარო დანესებულება ვალდებული იყო, 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიეჩნია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის საჯაროობა დადგენილი იყო კანონით. თუ ინფორმაციის გაცემისას საჯარო დანესებულება არ ცნობდა ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, ინფორმაციის მიმწოდებელ პირს უფლება ენიჭებოდა, გაესაჩივრებინა საჯარო დანესებულების ეს განწყვეტილება. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნო-

ბისას კანონმდებლისთვის ამოსავალს წარმოადგენდა პირის ინტერესი, დაეცვა საკუთარი კომერციული ფასეულობის მქონე ინფორმაცია, თუმცა ინფორმაციის საბოლოოდ გასაიდუმლოებისათვის მხოლოდ ეს ინტერესი არ იყო საკმარისი. საჯარო დაწესებულებას რჩებოდა დისკრეციული უფლებამოსილება, თუ ინფორმაცია თავისი შინაარსით არ შეესაბამებოდა ამ კოდექსის 27<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს, უარი ეთქვა ინფორმაციის გასაიდუმლოებაზე. ამდენად, კანონმდებლობით ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობისათვის წარმოდგენილი დეტალური რეგულაციების საწინააღმდეგოდ, კანონქვემდებარე აქტით აუქციონში მონაწილეობის მსურველთა შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურად ცნობა დაუშვებელი იყო.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>1</sup>-ე მუხლით დადგენილი იყო პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად ცნობა, კერძოდ, პირის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტდა პირი, რომლის შესახებაც არსებობდა ეს ინფორმაცია. ამ შემთხვევაშიც, ინფორმაციის გასაიდუმლოებას კანონმდებელი უკავშირებდა პირის ნებას, ელიარებინა მის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემები პირად საიდუმლოებად.

მოსარჩელის განმარტებით, ყოველივე ზემოთქმული ადასტურებდა იმას, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტი ეწინააღმდეგებოდა, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლს, ისე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნებს და იგი სასამართლოს მიერ ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის მოპოვების უფლება აღიარებული იყო საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით, საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის თანახმად კი, კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდებოდა, აგრეთვე, იურიდიულ პირებზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მიხედვით, ყველას ჰქონდა უფლება, მოეთხოვა საჯარო ინფორმაცია. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის მოქმედება პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა საქართველოს .... ასოციაციისათვის საქართველოს

კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ინფორმაციის მოპოვების უფლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის №1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს .... ასოციაციის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის №1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის წინადადება: „აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ კონფიდენციალურია“; საქართველოს ..... ასოციაციას უარი ეთქვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის №1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის წინადადების – „აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ კონფიდენციალურია“, ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 20 იანვარს საქართველოს .... ასოციაციამ №გ-04/49-07 განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციის გაცემის შესახებ, თუ რამდენი პრეტენდენტის მიერ იქნა წარდგენილი განაცხადი აუქციონში მონაწილეობის მიზნით, შემდეგ ქონებაზე: ქ. თბილისში, .... ქ. №13-სა და სოფელ ... მდებარე შენობა-ნაგებობასა და მიწის ნაკვეთზე; ქ. თბილისში, .... „ბ“ ზონაში, №.... კოტეჯის მიმდებარედ არსებულ ნაგებობასა (აუზი) და მიწის ნაკვეთზე; დაბა .... ხე-ტყის ბაზასა და მიწის ნაკვეთზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 2 მარტის №16/479/9-7 წერილით საქართველოს .... ასოციაციას ეცნობა, რომ ქ. თბილისში, .... „ბ“ ზონაში, №... კოტეჯის მიმდებარედ არსებული ნაგებობის (აუზი) და მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის მიზნით გამოცხადებული აუქციონი, განცხადების არარსებობის გამო, ჩაითვალა არშემდგარად, ხოლო, რაც შეეხებოდა დანარჩენ ორ ობიექტს, 2007 წლის 9 მარტს, პრივატიზების მიზნით, იმართებოდა აუქციონი, ამასთან, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის №1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესა-

ხებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ (მათ შორის, აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ) კონფიდენციალური იყო.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის №1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის წინადადება: „მათ შორის, აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ კონფიდენციალურია“, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე-37-ე მუხლებით დადგენილ ინფორმაციის გაცემის თავისუფლებას. აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ განეკუთვნებოდა კონფიდენციალურ ინფორმაციას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია იყო ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერი) ან საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულებიდან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილი იყო, კანონით დადგენილი წესით გასცნობოდა სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავდა სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია იყო ღია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. იმავე კოდექსის 27-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, კომერციული საიდუმლოებას განეკუთვნებოდა ინფორმაცია კომერციული ფასეულობების მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც გამოიყენებოდა საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, ან მომსახურების გასაწევად ან/და რომელიც წარმოადგენდა სიახლეს, ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე, ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც შესაძლებელი იყო ზიანი მიეყენებინა სხვა პირის კონკურენტუნარიანობისათვის.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ კომერციულ საიდუმლო-

ებად მიჩნევისათვის, ინფორმაციაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლ ნაწილში ჩამოთვლილი ნიშნები, რომელთაგან ერთ-ერთ არსებით საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ეს ინფორმაცია კომერციული ფასეულობის შემცველი იყო, რომლის გამჟღავნებას შესაძლებელი იყო ზიანი მიეყენებინა სხვა პირის კონკურენტუნარიანობისათვის, ხოლო, თავის მხრივ, კონკურენტუნარიანობისათვის საფრთხის შექმნა ნიშნავდა სუბიექტის შესახებ იმგვარი ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ამ უკანასკნელს საფრთხეს შეუქმნიდა სამომხმარებლო ბაზარზე. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უარი საქართველოს ..... ასოციაციის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც დასაბუთებული იყო იმით, რომ 2007 წლის 9 მარტს პრივატიზების მიზნით იმართებოდა აუქციონი, ამასთან, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის №1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის წინადადება: „ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ კონფიდენციალურია“, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლებს.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის საფუძველზე, უზრუნველყოფილი იყო საქართველოში საჯარო ინფორმაციის ღიაობა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. იმავე კოდექსის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში მოცემული საჯარო ინფორმაციის დეფინიციიდან გამომდინარე, საჯარო დაწესებულებაში დაცული ყველა ოფიციალური დოკუმენტი წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას და ატარებდა საჯარო ინფორმაციის სტატუსს, მაგრამ ამგვარი დოკუმენტი შეიძლებოდა გასაიდუმლოებულიყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი აღარ განეკუთვნებოდა ხელმისაწვდომ საჯარო ინფორმაციას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის ღიაობა ორ შემთხვევაში იყო შეზღუდული: 1) როცა ეს კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული და 2) როცა დადგენილი წესით იგი მიეკუთვნებოდა სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას. მოცემულ შემთხვევაში, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, პრივატიზაციაში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ განეკუთვნებოდა კონფიდენციალურ ინფორმაციას და ამგვარი ინფორმაციის გაცემა არ უკავშირდებოდა კომერციულ საიდუმლოე-

ბას. საჯარო დაწესებულებაში, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში პრივატიზაციაში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ არსებული ინფორმაცია არ შეიძლება განხილულიყო, როგორც კომერციული ან პირადი საიდუმლოება. გასათვალისწინებელი იყო კერძო პირთა ინტერესი, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო საჭირო ამ კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი პირის სანოტარო წესით დამონმებული თანხმობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე-37-ე მუხლებში ამგვარი ინფორმაციის გაცემის თაობაზე არ იყო რაიმე დათქმა, რომელიც სამართლებრივად შეზღუდვად ადმინისტრაციულ ორგანოს – მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციის გაცემის რეალიზაციაში.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ აუქციონი იყო სახელმწიფო ქონების გასხვისების ერთ-ერთი ფორმა. სახელმწიფო ქონების გასხვისება იყო გამჭვირვალე პროცესი, რომელშიც მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო ჩართული საზოგადოება. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით დადგენილი იყო საპრივატიზებო ქონების გასხვისების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება, რაც ამ პროცესის გამჭვირვალეობის საკანონმდებლო გარანტია იყო. ამ პროცესის ფარგლებში, ინფორმაციის, კერძოდ, აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოება განსაკუთრებულ დასაბუთებას უნდა დაქვემდებარებოდა და უნდა დაეკმაყოფილებინა ინფორმაციის გასაიდუმლოებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ორივე კრიტერიუმი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საზოგადოების ინტერესები კერძო პირთა ინტერესებზე მაღლა იდგა, რაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის წინადადებას: „აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ კონფიდენციალურია“ ბათილად ცნობის საფუძველი იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ კონფიდენციალური იყო და განუკუთვნებოდა პირად და კომერციულ საიდუმლოებას. მიუხედავად იმისა, რომ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესა-

ხებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გამოქვეყნებულ ცნობებში შეიტანებოდა საპრივატიზებო ობიექტის მიერ დაკავებული მიწის ფართობი, მასზე განთავსებული ნაგებობის დახასიათება, მისამართი და ობიექტის გაყიდვის პირობები, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ვალდებული იყო, მოთხოვნის შემთხვევაში, მყიდველისთვის მიეწოდებინა ნებისმიერი ინფორმაცია გასაყიდი ქონების შესახებ. საზოგადოებრივი ტელევიზიით გავრცელებულ ცნობებში შეიტანებოდა ქონების დასახელება და განაცხადის მიღების დაწყებისა და დამთავრების ვადები. ამ კანონით დადგინდა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი პირისათვის.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის №1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების 1-ლი მუხლის მე-19 პუნქტის წინადადება: „აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ კონფიდენციალურია“, არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>1</sup>-ე და 27<sup>2</sup>-ე მუხლებს. ხსენებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აუქციონში მონაწილეობის მსურველს აუქციონის რეგისტრატორისთვის უნდა წარედგინა განაცხადი, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას აუქციონის მონაწილეზე, ხოლო პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში, განაცხადში უნდა ასახულიყო მონაწილის თანხმობა პირობების შესრულებაზე, ასევე უნდა წარედგინა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, სადაამფუძნებლო დოკუმენტების ასლი და „ბეს“ გადახდის დამადასტურებელი მოწმობა.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომელთაც სურდათ მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციაში, განეკუთვნებოდა პერსონალურ და კომერციულ საიდუმლოებას და არ წარმოადგენდა ისეთ საჯარო ინფორმაციას, რომელიც გახმაურებას ექვემდებარებოდა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პერსონალურ მონაცემებს განეკუთვნებოდა საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლეოდა, ხოლო ამავე კოდექსის 27<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტდა პირი, რომლის შესახებაც არსებობდა ეს ინფორმაცია. ხსენებული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია იყო ღია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი

წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ყველას ჰქონდა უფლება, მოეთხოვა საჯარო ინფორმაცია, მისი ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აერჩია საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, მაგრამ ამ კოდექსით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსში მოცემული შეზღუდვის გათვალისწინებით. ხსენებული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილით მოწესრიგებული იყო საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების წესი. ამ კოდექსის 27<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, პერსონალური ინფორმაციის გაცემა უკავშირდებოდა შესაბამისი პირის სანოტარო წესით დამონმებული თანხმობის გაცემას.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებული იყო, არ გაეხმაურებინა პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ვალდებული იყო, დაეცვა აუქციონში მონაწილე პირთა პერსონალური მონაცემების საიდუმლოება, რადგან კონკურენტუნარიანი გარემოს შესაქმნელად გასათვალისწინებელი იყო კერძო პირის ინტერესები, გაემარჯვა გამოცხადებულ აუქციონში. თავის მხრივ, კონკურენტუნარიანობისათვის საფრთხის შექმნა ნიშნავდა სუბიექტის შესახებ იმგვარი ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ამ უკანასკნელს საფრთხეს შეუქმნიდა სამომხმარებლო ბაზარზე. მოცემულ შემთხვევაში, კერძო პირის ინტერესები საზოგადოების ინტერესებზე მაღლა იდგა. აუქციონში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია განეკუთვნებოდა პერსონალურ ინფორმაციას და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>1</sup>-ე და 27<sup>2</sup>-ე მუხლების თანახმად, ამ შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებული იყო, აუქციონის ჩატარებამდე არ გაეცა ასეთი ინფორმაცია მესამე პირებზე, თვით იმ პირის თანხმობის გარეშე, რომელიც მონაწილეობას ლეზულობდა აუქციონში, რადგან აუქციონში მონაწილეობა უკავშირდებოდა მასში მონაწილე პირის ფინანსებს და სხვა კერძო საკითხებს და საჯარო დაწესებულება ვალდებული იყო, არ გაეხმაურებინა პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ აუქციონის ჩატარების დროს ამგვარი ინფორმაცია იყო ღია. ამდენად, საქართველოს ... ასოციაციის სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო

ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის წინადადების: „აუქციონის ჩატარებაზე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ კონფიდენციალურია“, ბათილად ცნობის თაობაზე, იყო დაუსაბუთებელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ საფუძვლებს. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილად მიჩნეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში არ იყო მოყვანილი მათი გამაბათილებელი არგუმენტაცია. ასეთად კი ვერ ჩაითვლებოდა აპელანტის მოსაზრება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილების არასწორად დასაბუთების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ ლოგიკურად შეუსაბამოდ მიიჩნია სააპელაციო საჩივარში მოყვანილი, აუქციონის მონაწილეთა თაობაზე ინფორმაციის კონფიდენციალურობის დასაბუთება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის №1-1/1244 ბრძანების მომველიებით, რადგან სწორედ ამ აქტით დადგენილი კონფიდენციალურობის მართლზომიერება წარმოადგენდა სარჩელის საგანს და იგი არ შეიძლებოდა დასაბუთების არგუმენტად ყოფილიყო გამოყენებული.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ, თითქოსდა აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის კონფიდენციალურობა წარმოადგენდა კომერციულ საიდუმლოებას, რადგან მის გამჟღავნებას შესაძლო იყო ზიანი მიყენებინა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კონკურენტუნარიანობისათვის. სააპელაციო სასამარ-

თლომ არარეალურად მიიჩნია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სფეროში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განსაკუთრებული სტატუსის გათვალისწინებით, მისი კონკურენტუნარიანობის შელახვის ობიექტური შესაძლებლობა. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო დასაბუთებული და კანონიერი და არ არსებობდა მისი გაუქმების ან შეცვლის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გასაჩივრებული განჩინება მიღებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით და დაუსაბუთებელია.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

კასატორის განმარტებით, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ღიაობის პრეზუმფციას აწესებს ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლი. მართალია, სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობა ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი პირობაა, მაგრამ აღნიშნული უფლება იზღუდება იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

კასატორი აღნიშნავს, რომ კომერციული საიდუმლოების დეფინიცია მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, რომლის მიხედვითაც, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია: 1. კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე; 2. ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად და ა.შ.; 3. აგრეთვე, სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის №1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორ-

მით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნ-  
ქტით გასაიდუმლოებულ იქნა ინფორმაცია აუქციონის ჩატარებამ-  
დე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ.

კასატორის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ინფორმაცია წარმო-  
ადგენს კომერციულ საიდუმლოებას და კომერციული საიდუმლოე-  
ბის მესამე სახეობას განეკუთვნება, რადგან მისმა გამჟღავნებამ შე-  
საძლოა ზიანი მიაყენოს პირის, კერძოდ, სახელმწიფო ქონების გამ-  
ყიდველის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინის-  
ტროს კონკურენტუნარიანობას, რომელიც პრივატიზების პროცეს-  
ში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას სწორედ აუქციონში მო-  
წაწილეთა რაოდენობის სიუხვითაც ქმნის.

კასატორი საკასაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს იმ  
მოსალოდნელ ნეგატიურ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოიწვიოს  
მსგავსი სახის ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ. თუ ინფორმაცია  
აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ხელმისაწვდომი იქ-  
ნება საპრივატიზაციო ობიექტის შესყიდვით დაინტერესებული პი-  
რისათვის, სრულიად შესაძლებელია, რომ მის მიერ მიღწეულ იქნეს  
აუქციონის ჩაშლა, აღნიშნულით კი საბოლოოდ, არსებითად დაზა-  
რალდება სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და  
სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის განჩი-  
ნებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-  
ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად  
წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ეკონომიკური განვითარ-  
ების სამინისტროს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლე-  
ბა, 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში  
წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილ-  
ველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპ-  
როცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და  
სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩი-  
ნებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სა-  
კასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმი-  
ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“  
ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2009 წლის 3 თებერვალს,  
16.00 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხა-  
რეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კა-  
ნონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის  
საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმა-

ყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს ..... ასოციაციამ 2007 წლის 20 თებერვლის №გ-04/49-07 განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაციის გაცემა იმის შესახებ, თუ რამდენი პრეტენდენტის მიერ იქნა წარდგენილი განაცხადი აუქციონში მონაწილეობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ აუქციონზე გამოტანილ შემდეგ ქონებაზე: ქ. თბილისში, .... ქ. № 13-სა და სოფელ .... მდებარე შენობა-ნაგებობებსა და მიწის ნაკვეთებზე; ქ. თბილისში, ..... „ბ“ ზონაში, №.... კოტეჯის მიმდებარედ არსებულ ნაგებობასა (აუზი) და მიწის ნაკვეთზე; დაბა .... ხე-ტყის ბაზასა და მიწის ნაკვეთზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 2 მარტის № 16/479/9-7 წერილით საქართველოს ..... ასოციაციას ეცნობა, რომ ქ. თბილისში, .... „ბ“ ზონაში, №.... კოტეჯის მიმდებარედ არსებული ნაგებობის (აუზი) და მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის მიზნით გამოცხადებული აუქციონი, განცხადების არარსებობის გამო, ჩაითვალა არშემდგარად, ხოლო, რაც შეეხებოდა დანარჩენ ორ ობიექტს, 2007 წლის 9 მარტს, პრივატიზების მიზნით, იმართებოდა აუქციონი, ამასთან, „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ (მათ შორის, აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ) კონფიდენციალური იყო.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს ..... ასოციაციის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის წინადადება: „აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ კონფიდენციალურია“, ხოლო საქართველოს ..... ასოციაციას უარი ეთქვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის წინადადებას: „აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ კონფიდენციალურია“ ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, საქართველოს

.... ასოციაციას კი (შესაბამის ნაწილში) სააპელაციო წესით არ გაუ-  
საჩივრებია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება, შესაბამი-  
სად, ამ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს  
წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს ეკონომიკური განვითარების  
მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანებით დამტკი-  
ცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების  
შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის წინადადების:  
„აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა რა-  
ოდენობის შესახებ კონფიდენციალურია“ ბათილად ცნობის შესახებ  
საქართველოს .... ასოციაციის სარჩელის საფუძვლიანობა. მიუხე-  
დავად ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის  
17 სექტემბრის განჩინებით მთლიანად უცვლელად დატოვა თბილი-  
სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის  
2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება, მაშინ, როდესაც ხსენებული  
გადაწყვეტილება მოსარჩელეს (შესაბამის ნაწილში) არ გაუსაჩივ-  
რებია და იგი იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა საქარ-  
თველოს .... ასოციაციის ზემოხსენებული სასარჩელო მოთხოვნა, კა-  
ნონიერ ძალაში იყო შესული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუ-  
ციის 41-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, საქართველოს ყოველ მოქა-  
ლას უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელ-  
მწიფო დანესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე,  
იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სა-  
ხელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. საქართვე-  
ლოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნა-  
წილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფი-  
ციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფო-  
ტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწე-  
რები), ანუ საჯარო დანესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო  
დანესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანო-  
ბასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგ-  
ზავნილი ინფორმაცია. ამავე ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სა-  
იდუმლო ინფორმაცია არის საჯარო დანესებულებაში დაცული, აგ-  
რეთვე, საჯარო დანესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებ-  
რივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექ-  
მნილი, ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწი-  
ფო, კომერციულ, ან პირად საიდუმლოებას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ეკო-  
ნომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-  
1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციო-  
ნის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის

პირველ და მე-2 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, ეს დებულება შემუშავებული იყო „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავდა სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესს. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადანყვეტილებას იღებდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო (შემდგომში გამყიდველი). ამავე დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის მიხედვით, აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ (მათ შორის, აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ) კონფიდენციალური იყო. ხსენებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენდა: განაცხადს, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას აუქციონის მონაწილეზე, სახელმწიფო ქონების დასახელებას, იმ სახელმწიფო ქონების სანყის ფასს, რომლის შეძენაც სურდა მონაწილეს, ხოლო პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში, განაცხადში უნდა ასახულიყო მონაწილის თანხმობა პირობების შესრულებაზე; „ბეს“ და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს და ა.შ.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ღიაობის პრეზუმფციას აწესებს ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლი, ხოლო, მართალია, სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობა ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი პირობაა, მაგრამ აღნიშნული უფლება იზღუდება იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კომერციული საიდუმლოების ცნებას განსაზღვრავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვით, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის სანარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად, ან მომსახურების გასანევადად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს, ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე, სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. ამავე კოდექსის 28-ე მუხლის თანახ-

მად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტით კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაცია აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ, მიეკუთვნებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ, კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის იმ სახეს, რომლის გამჟღავნებაც შესაძლო იყო ზიანი მიეყენებინა პირის კონკურენტუნარიანობისათვის.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიყენოს პირის, კერძოდ, სახელმწიფო ქონების გამყიდველის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კონკურენტუნარიანობას, რომელიც პრივატიზების პროცესში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას სწორედ აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის სიუხვითაც ქმნის, ასევე – კასატორის მითითებას მოსალოდნელ ნეგატიურ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოიწვიოს მსგავსი სახის ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ, კერძოდ, თუ ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ხელმისაწვდომი იქნება საპრივატიზაციო ობიექტის შესყიდვით დაინტერესებული პირისათვის, სრულიად შესაძლებელია, რომ მის მიერ მიღწეულ იქნეს აუქციონის ჩაშლა, აღნიშნულით კი საბოლოოდ არსებითად დაზარალებულა სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების 1-ლი მუხლის მე-5 და მე-2 მუხლის პირველ პუნქტებზე, რომელთა თანახმად, აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზებას ახორციელებდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო. აუქციონის ორგანიზებას ახორციელებდა გამყიდველი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სფეროში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კონკურენტუნარიანობა და ამის შედეგად, არარეალურად მიიჩნია

მისი კონკურენტუნარიანობის შელახვის ობიექტური შესაძლებლობა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იყო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების გამყიდველი, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სფეროში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კონკურენტუნარიანობა გამოიხატებოდა არა სტატუსის მიხედვით, თანაბარ სუბიექტებს შორის კონკურენციის კლასიკური გაგებით, არამედ – პრივატიზების პროცესში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნასა და სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესის დაცვაში. მართალია, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნაში იგულისხმება აუქციონში მონაწილე კერძო პირის ინტერესი აუქციონში გამარჯვების თაობაზე, მაგრამ ამავე გარემოში არსებითი და დომინანტურია სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები მაქსიმალური მატერიალური სარგებლის მიღების შესახებ, მით უმეტეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული თანხების ოდენობაზე დიდად არის დამოკიდებული, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კენ მიმართული სხვადასხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების მოცულობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის №1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზანი იყო, საკუთრების უფლება გადასცემოდა მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებდა, ხოლო თუ აუქციონი გამოცხადდებოდა პირობებით – საკუთრების უფლება გადასცემოდა იმ მყიდველს, რომელიც აიღებდა ვალდებულებას, დაეკმაყოფილებინა გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებდა. აუქციონის ფორმით საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების სანყისი ფასი გამყიდველის მიერ დგინდებოდა „საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების სანყისი ფასის განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 ნოემბრის №671 ბრძანებულების შესაბამისად. ამავე დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, აუქციონატორი სთხოვდა აუქციონში მონაწილეებს, გაეგრძელებინათ ვაჭრობა, სანამ რომელიმე არ დაასახელებდა ყველაზე მაღალ ფასს, ხოლო ფასის სამჯერ გამოცხადების შემდეგ, სახელმწიფო ქონება ითვლებოდა გაყიდულად აუქციონის იმ მონაწილეზე, ვინც აუქციონატორს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებდა. ამდენად, აღნიშნულ ნორმებში პირდაპირ იყო მითითებული სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით გამყიდველის

მიზანზე – აუქციონის, რაც შეიძლება მაღალ კონკურენტულ გარემოში ჩატარებასა და სახელმწიფო ქონების, რაც შეიძლება მაღალ ფასად გაყიდვაზე.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა, თუ კონკრეტულად, რაში გამოიხატება პირის ინტერესი, რომ ფლობდეს წინასწარ ინფორმაციას იმის თაობაზე, რაოდენ დიდია კონკურენცია და რა კონკრეტული სარგებელი შეიძლება მიიღოს მან ამ კუთხით საკუთარი ეკონომიკური და კომერციული ინტერესების პროგნოზის შედეგად, მაშინ, როდესაც მოსარჩელე თვითონვე მიუთითებს, რომ არ უნდა დაირღვეს თანაბარი კონკურენციის პირობები, მით უმეტეს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის №1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, აუქციონში გამარჯვებულს შეტანილი „ბე“ ეთვლებოდა ანგარიშსწორების დროს, ხოლო აუქციონში დამარცხებულ აუქციონის მონაწილეს აუქციონის შედეგების (ოქმის) დამტკიცებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, მოთხოვნის საფუძველზე, „ბე“ უბრუნდებოდა „ბეს“ შეტანის ქვითრის ნარდგენის შემდეგ. ამასთან, მხოლოდ ის გარემოება, რომ ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი იხდიდა აუქციონის მონაწილის ბილეთის საფასურს, ანუ იგი აუქციონში მონაწილეობისათვის იხდიდა განსაზღვრულ თანხას, ვერ დააფუძნებდა ხსენებული დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტით აუქციონის ჩატარებად აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის საჯაროობის შესახებ მისი კერძო ინტერესის დაკმაყოფილების მართლზომიერებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტზე, რომლის თანახმად, თუ არ მოხდებოდა აუქციონის ფორმით ორჯერ გამოტანილი სახელმწიფო ქონების პრივატიზება, მისი სანყისი ფასი მცირდებოდა 50%-ით. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2007 წლის 11 ივლისის №5295 კანონით, ამ კანონის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით – „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონი. უფრო მეტიც, „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, თუ არ მოხ-

დება აუქციონის ფორმით გამოტანილი სახელმწიფო ქონების პრივატიზება, მისი სანჯისი ფასი შეიძლება შემცირდეს 50%-მდე, ხოლო თუ ქონება ამ ფასად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, ეს ფასი შეიძლება კიდევ შემცირდეს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა აშკარად შეიცავს პოტენციურ საფრთხეს, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ აუქციონის კანონით დადგენილი წესით, დაუბრკოლებლად ჩატარებას და სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებას, კერძოდ, სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესისათვის პოტენციური, კონკრეტული ზიანი და აუქციონის შესაძლო ჩაშლა შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ აუქციონში მონაწილე პირს არ უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სუბიექტური ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი ქმედებით მატერიალური ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს, რაც პრაქტიკულად, ერთი მხრივ, შეიძლება განხორციელდეს იმ მიმართებით, რომ, თუ აუქციონში მონაწილეობის მსურველს ექნება აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, თუ მისთვის ცნობილი იქნება იმის თაობაზე, რომ არავის არა აქვს შეტანილი განაცხადი კონკრეტულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, შესაძლებელია მან აღარ შეიტანოს განაცხადი და თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი სახელმწიფო ქონების პრივატიზება, მისი სანჯისი ფასის შემცირების შემდეგ, შესაძლებელია მან წარადგინოს განაცხადი და შემცირებულ ფასად შეიძინოს საპრივატიზებო ობიექტი, რაც, ცხადია, დააზარალებს სახელმწიფოსა და საზოგადოების ეკონომიკურ ინტერესებს. მეორე მხრივ, თუ აუქციონში მონაწილეობის მსურველს ექნება აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, თუ მისთვის ცნობილი იქნება იმის თაობაზე, რომ განაცხადი კონკრეტულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შეტანილი აქვს არაერთ სუბიექტს, შესაძლებელია მან თავი შეიკავოს განაცხადის წარდგენისაგან, რაც შეამცირებს აუქციონის პროცესში კონკურენციის ხარისხს და საბოლოო ჯამში, ამ შემთხვევაშიც, შესაძლებელია სახელმწიფოსა და საზოგადოების ეკონომიკური ინტერესებისათვის მატერიალური ზიანის მიყენება. ამის შესახებ საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა განმარტა, რომ, თუ აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება საპრივატიზებო ობიექტის შესყიდვით დაინტერესებულ პირისთვის, სრულიად შესაძლებელი იქნება, მის მიერ მიღწეულ იქნეს აუქციონის ჩაშლა, აღნიშნულით კი დაზარალება სახელმწიფოს ინტე-

რესი, ვინაიდან თუ არ მოხდება აუქციონზე გამოტანილი ქონების პრივატიზება, მისი საწყისი ფასი შეიძლება შემცირდეს 50%-ით.

გარდა ამისა, საქართველოს ..... ასოციაციამ სარჩელში მიუთითა, რომ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, დადგენილი იყო საპრივატიზებო ქონების გასხვისების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება, რაც ამ პროცესის გამჭვირვალობის საკანონმდებლო გარანტია იყო. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა კი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მაისის სხდომაზე განმარტა, რომ პრივატიზაცია უნდა ჩატარებულიყო კონკურენტუნარიან გარემოში და გამოვლენილიყო კონკურენტუნარიანი შემძენი, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მიხედვით კი, ინფორმაციის საჯაროობა დასაშვებია იყო საუქციონო ქონების, მისი აღწერის, კონკურსისა და აუქციონის ჩატარებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლ და მე-3 პუნქტებზე, რომელთა მიხედვით, აუქციონის ფორმით საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდებოდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში, ხოლო გამოქვეყნებულ ცნობებში შეიტანებოდა საპრივატიზებო ობიექტის მიერ დაკავებული მიწის ფართობი, მასზე განთავსებულ ნაგებობათა დახასიათება, მისამართი და ობიექტის გაყიდვის პირობები, საჭიროების შემთხვევაში კი, მყიდველს მიეწოდებოდა დამატებითი ინფორმაცია. „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების თანახმად, აუქციონის ფორმით საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში და განთავსდება სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე, ხოლო თუ პრივატიზებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ინფორმაცია ასევე გადაიცემა საზოგადოებრივი ტელევიზიით. გამოქვეყნებულ ცნობებში შეიტანება ზოგადი ინფორმაცია საპრივატიზებო ქონების შესახებ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო კი სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებით, ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, მყიდველს მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც აქვს გასაყიდი ქონების შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/

1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტითაც გათვალისწინებული იყო ინფორმაციის გამოქვეყნება, რომლის თანახმად, გამყიდველი, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფდა ინფორმაციის გამოქვეყნებას სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში. ამავე მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული იყო მონაცემები, რომლებიც უნდა ყოფილიყო გამოსაქვეყნებელ ინფორმაციაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, მართალია, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით დადგენილი იყო („სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლითაც დადგენილია) საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება, მაგრამ ხსენებულ მუხლს ვერ ექნება შემხებლობა მოცემულ დავასთან და განსახილველ ნაწილში სარჩელის საგანთან. ამ მუხლით დადგენილი იყო (ისევე, როგორც დადგენილია „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით) არა ზოგადად, საპრივატიზებო ქონების გასხვისების შესახებ, არამედ კონკრეტულად, საპრივატიზებო ქონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება. ამდენად, ხსენებული მუხლის (ისევე, როგორც „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის) ნორმა ითვალისწინებდა (ითვალისწინებს) ინფორმაციის გამოქვეყნებას უშუალოდ საპრივატიზებო ქონების – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტის შესახებ, ხოლო ამ ინფორმაციაში ვერ იქნება გათვალისწინებული აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, რადგან გამოქვეყნებას დაქვემდებარებულ ინფორმაციას ჰქონდა საგნობრივი შინაარსობრივი დატვირთვა – მოიცავდა მონაცემებს საგანზე და არა სუბიექტებზე (აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ) მონაცემებს. აღნიშნულს განამტკიცებდა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის ნორმაც, რომელიც გამოსაქვეყნებელი ცნობების შემადგენელ ელემენტებს განსაზღვრავდა სწორედ საპრივატიზებო ობიექტთან და არა აუქციონში მონაწილეთა პირთან მიმართებაში. მართალია, ხსენებულ პუნქტში ასევე მითითებული იყო ობიექტის გაყიდვის პირობებსა და დამატებით ინფორმაციაზე, მაგრამ ამავე მუხლის სა-

თაურიდან („ინფორმაცია საპრივატიზებო ქონების შესახებ“) გამომდინარე, აღნიშნული პირობები და ინფორმაციაც მოქცეული იყო საპრივატიზებო ქონების შესახებ ინფორმაციის ფარგლებში (ისევე, როგორც მოქცეულია „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით რეგლამენტირებული ნებისმიერი ინფორმაცია გასაყიდი ქონების შესახებ).

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 11 სექტემბრის № 1-1/1366 ბრძანებით (რომელიც ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე) ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანება. ამასთან, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 11 სექტემბრის № 1-1/1366 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-7 პუნქტიც ზუსტად იმავე შინაარსით ითვალისწინებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის ნორმას, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 11 სექტემბრის № 1-1/1366 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების 1-ლი მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ (მათ შორის, აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ) კონფიდენციალურია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა არ არღვევს სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და მისი გასხვისების საჯაროობასა და გამჭვირვალობას, ხოლო ხსენებული ინფორმაცია წარმოადგენს არა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაციას ან გასაყიდი სახელმწიფო ქონების თაობაზე ინფორმაციას, არამედ – უშუალოდ აუქციონში მონაწილე სუბიექტთა რაოდენობრივად განმსაზღვრელ, ამავე მუხლის პირველი ნაწილით რეგლამენტირებულ, კომერციული საიდუმლოების

ფარგლებში მოქცეულ ინფორმაციას, რომლის აუქციონის ჩატარებაზე საჯაროობა ზიანს მიაყენებს სახელმწიფოს ინტერესებს და დააბრკოლებს სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას კონკურენტული გარემოს შექმნას, კერძოდ, შეამცირებს კონკურენტული გარემოს ხარისხს და ამ მიმართებით, შეუძლებელი იქნება ობიექტურ პირობებში განვითარებადი, რეალური კონკურენციის უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის № 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების 1-ლი მუხლის მე-19 პუნქტის წინადადება: „მათ შორის, აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ კონფიდენციალურია“, არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 37-ე მუხლებს, რადგან აღნიშნული მუხლებით დადგენილი სახელმწიფო დანესებულებებში არსებული ოფიციალური დოკუმენტების გაცნობისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უფლებების რეალიზება ხსენებული წინადადებით განსაზღვრული ინფორმაციის შესაბამის დრომდე კონფიდენციალურად მიჩნევით, პირის კონკურენტუნარიანობის დაცვის მიზნით, მართლზომიერად იყო შეზღუდული. ამ შემთხვევაში, აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღების თაობაზე, კერძო პირის ინტერესთან შედარებით, მართლზომიერად ენიჭება უპირატესობა აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს. მოსარჩელემ კი ვერ დაასაბუთა აუქციონში მონაწილეობის მსურველი კერძო პირის ლეგიტიმური ინტერესის არსებობა, რაც დააფუძნებდა განსახილველ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებასა და მოთხოვნილი ინფორმაციის საჯაროობის მიზანშეწონილობას. მოსარჩელემ ასევე ვერ დაასაბუთა კონკრეტულ შემთხვევაში, მისი შესაბამისი უფლებისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და მე-3 ნაწილზე, რომელთა თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში, სააპე-

ლაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტი და 27<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით რეგლამენტირებული საკასაციო საჩივრის საფუძველი – კანონის, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის შედეგად მოცემულ საქმეზე არასწორი განჩინება იქნა მიღებული, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია. საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს .... ასოციაციის სარჩელი არის უსაფუძვლო, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული ნორმატიული აქტის განსახილველ ნაწილში ბათილად ცნობის საფუძველი, რის გამოც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს .... ასოციაციის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს .... ასოციაციის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# შენაყალბის თაობაზე ინფორმაციის საიდუმლოება

## ბანჩინება

№ბს-1278-1240(კ-08)

5 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების და-ვალების შესახებ.

### აღწერილობითი ნაწილი:

... სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხის – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიმართ.

მოსარჩელე განმარტავს, რომ მან 2006 წლის 19 ივლისს განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას და მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის №37 №38 №73 №117 №132 №148 №280 №313 №314 და №357 განკარგულებების ას-ლების გადაცემა. აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, ფლობდა თუ არა პრეზიდენტის ადმინისტრაცია ინფორმაციას 2006 წელს საქარ-თველოს ტერიტორიაზე მოხდარი სტიქიური უბედურებებისა და მათ მიერ მიყენებული ზარალის ოდენობის შესახებ. განმცხადებელი ით-ხოვდა აღნიშნული ინფორმაციის თაობაზე სათანადო დოკუმენტე-რების ასლების გადაცემას. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრა-ციის 2006 წლის 2 აგვისტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტით მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნილი ინფორ-მაციის გაცემაზე. აღნიშნული უარის სამართლებრივ საფუძვლად მოპასუხე მხარის მიერ მითითებულ იქნა საქართველოს ზოგადი ად-მინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლი და მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნ-ქტი, ხოლო განცხადების მოთხოვნის მეორე პუნქტთან მიმართებით, მიუთითა, რომ ზარალის შესახებ ანალიტიკური ჯგუფის საქმიანო-ბიდან გამომდინარე, განცხადების ეს მოთხოვნა არ აკმაყოფილებ-და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწი-ლის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. 2006 წლის 18 აგვისტოს ... საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს მიმართა ადმინისტრაციული საჩივრით, რომლითაც საქართველოს

პრეზიდენტის ადმინისტრაციის კორესპონდენციისა და კოორდინაციის, ანალიზისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსის 2006 წლის 2 აგვისტოს № 15/395 მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მოთხოვილი საჯარო ინფორმაციის გაცემა მოითხოვა. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2006 წლის 3 ოქტომბრის № 15/460 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსარჩელეს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2006 წლის 3 ოქტომბრის № 15/460 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის უკანონო. საფუძველს მოკლებულია გადაწყვეტილებაში მოყვანილი არგუმენტაცია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ეს კოდექსი არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან მიმართებით. მოსარჩელე ასევე არ ეთანხმება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/3/364-2006 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე დაყრდნობით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილების მოტივაციას და მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის სავალდებულოობის ხარისხი ამავე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის სავალდებულოობის ხარისხის ტოლფასია. ამდენად, სადავო აქტის დასაბუთება მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი დარჩა ძალაში, არის მცდარი. პრეზიდენტის ადმინისტრაცია ვალდებული იყო, გაეცა მოთხოვნილი ინფორმაცია, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილში ჩამოთვლილი ინფორმაციის საჯაროობის შეზღუდვისას მნიშვნელოვანია გაირკვეს, ნორმაში ჩამოთვლილი ინფორმაცია მიეკუთვნება თუ არა სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას, რომლის გაცემის შეზღუდვის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი. მოსარჩელე თვლის, რომ ვინაიდან პრეზიდენტის 2006 წლის №73 და №280 განკარგულებების მონოდებაზე მათთვის უარის თქმა არ მომხდარა მათი საიდუმლოდ ცნობის თაობაზე შესაბამისი აქტის წარდგენით, საქართველოს კონსტიტუციისა 41-ე მუხლისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის №2/3/364-2006

გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უარი პრეზიდენტის 2006 წლის №73 და №280 განკარგულების მიწოდებაზე, არის უკანონო.

მოსარჩელე ასევე უკანონოდ მიიჩნევს საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიური უბედურებებისა და მათ მიერ მიყენებული ზარალის ოდენობის შესახებ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის მოტივად ანალიტიკური ჯგუფის საქმიანობის სპეციფიკის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობის მითითებას. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო თავისი პასუხით არ უარყოფს ინფორმაციის ფლობას, მაგრამ ეს ინფორმაცია არ არსებობს მატერიალური ფორმით. მოსარჩელე თვლის, რომ გამოთხოვილი ინფორმაცია შეეხება საცხოვრებელი გარემოს შესახებ არსებულ მდგომარეობას, რაც საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს იმ კატეგორიის ინფორმაციას, რომელიც ღიაობის განსაკუთრებულად მაღალი ხარისხის მატარებელია და არც ერთ შემთხვევაში არ დაიშვება მის გაცემაზე უარის თქმა. სახელმწიფო დაწესებულებას გააჩნია ვალდებულება მოიძიოს, დაამუშაოს ინფორმაცია გარემოს შესახებ და უზრუნველყოს კონსტიტუციით აღიარებული უფლებების რეალიზაცია. მოსარჩელე ასევე მიუთითებს კონსტიტუციის 41-ე, 45-ე და სზა-ეის 37-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს ... საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ინფორმაციის მოპოვების უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ... მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2006 წლის 3 ოქტომბრის №15/460 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ასევე მოპასუხისათვის ქმედების განხორციელების დაკისრება, კერძოდ: ... 2006 წლის 19 ივლისის №გ-04/244-06 განცხადებით გამოთხოვილი ინფორმაციის გაცემა.

2006 წლის 22 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გამართულ განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სარჩელის მოთხოვნა და მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2006 წლის 3 ოქტომბრის №15/460 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ასევე მოპასუხისათვის ქმედების განხორციელების დაკისრება, კერძოდ: გასცეს საქართველოს პრეზიდენტის №73 და №280 განკარგულების ასლები, ფლობდა თუ არა პრეზიდენტის ადმინისტრაცია ინფორმაციას 2006 წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოხდარი სტიქიური უბედურებებისა და მათ

მიერ მიყენებული ზარალის ოდენობის შესახებ და გასცეს აღნიშნული ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტების ასლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2006 წლის 3 ოქტომბრის № 15/460 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი საქართველოს პრეზიდენტის №73 და №280 განკარგულების გაცემაზე უარის თქმის ნაწილში; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას დაევალა, გაეცა საჯარო ინფორმაცია – საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 თებერვლის №73 და 2006 წლის 18 მაისის №280 განკარგულებები; მოსარჩელის მოთხოვნა ფლობდა თუ არა პრეზიდენტის ადმინისტრაცია მონაცემებს 2006 წელს საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიური უბედურებებისა და მიყენებული ზარალის ოდენობის შესახებ და აღნიშნული ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტების ასლების გაცემის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას ... სასარგებლოდ დაეკისრა 50 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ, საქმის მასალების მიხედვით მიიჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი ყველა მოქალაქეს ანიჭებს უფლებას, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ინფორმაცია, რომლის გაცემასაც მოითხოვდა მოსარჩელე, არ წარმოადგენდა 41-ე მუხლით გათვალისწინებულ არც ერთს, რომელიც შეიძლება დახურული ყოფილიყო მოპასუხის მიერ, მიუხედავად საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირის წერილობით განცხადებაში მითითებული მოტივისა. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ღიაობის პრეზუმციას აწესებს, ასევე ზაკ-ის 28-ე მუხლი, ხოლო საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემის ვალდებულება დადგენილია ამავე კოდექსის მე-40 მუხლით. საქალაქო სასამართლომ მიუთითა ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლზე, რომელიც იცავს სხვათა იდეების მოპოვებას, დამუშავებასა და შემდგომ გავრცელებას. ამ მუხლის შესაბამისად პიროვნებას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მეტ გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას – ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას – გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუ-

დავს აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების უფლებას, თუ იგი შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტის ისეთ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან, ვინაიდან, საქართველოს პრეზიდენტი აღნიშნული განკარგულებების მიღებისას არ ეწევა მართველობით საქმიანობას, ადმინისტრირებას, რის გამოც იგი არ ექცევა ადმინისტრაციული სამართლის მონესრიგების სფეროში. პირის შეწყალების შესახებ პრეზიდენტის განკარგულების მიღებისას არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, რომლის საბოლოო პროდუქტს წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი.

საქალაქო სასამართლომ არამართებულად მიიჩნია ასევე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უარის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლზე დაყრდნობა, ვინაიდან ამავე კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე მიღებული არ არის გადანყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ და განკარგულებაში მითითებულ პირებს არ მიუმართავთ ადმინისტრაციული ორგანოსათვის შეწყალების შესახებ განკარგულებები ეცნოთ პირად საიდუმლოებად.

რაც შეეხება სარჩელის მოთხოვნას, ფლობს თუ არა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია 2006 წელს საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიური უბედურებებისა და მათ მიერ მიყენებული ზარალის ოდენობის თაობაზე ინფორმაციას, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2006 წლის 2 აგვისტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი ამ ნაწილში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა თანახმად იყო კანონიერი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ინფორმაცია, რომელიც ეხება 2006 წელს საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიური უბედურებებისა და მათ მიერ მიყენებული ზარალის ოდენობას, წარმოადგენდა თუ არა რაიმე ფორმით დაცულ, მიღებულ, დამუშავებულ, შექმნილ ან გაგზავნილ ინფორმაციას, არ დაადასტურა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა. ამასთან, ვერც მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა მიუთითა თუ რომელი ადმინის-

ტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ევალებოდა ანალიტიკურ ჯგუფს აღნიშნული ინფორმაციის წერილობითი ფორმით მიწოდება. სასამართლომ მიუთითა, რა „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 ივნისის №562 ბრძანებულების მე-4 მუხლზე, მიიჩნია, რომ ანალიტიკურ ჯგუფს რაიმე ფორმით ინფორმაციის წერილობითი დამუშავება არ ევალება, ხოლო ზეპირი ინფორმაცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საჯარო ინფორმაციად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ..., რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

სააპელაციო საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ სასამართლოს მოტივაცია სარჩელის უარის თქმის ნაწილში იყო უსაფუძვლო. რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 ივნისის №562 ბრძანებულების მე-4 მუხლზე მითითებას, სააპელაციო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ აღნიშნული ბრძანებულების მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უმთავრესი ამოცანაა საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებაში ხელშეწყობის მიზნით მთელი რიგი ფუნქციების განხორციელება. ცალკე ნორმატიული აქტით არ განისაზღვრებოდა თუ რომელი ფუნქცია უნდა განხორციელებულიყო პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ წერილობითი ფორმით. აღნიშნული პოზიციის დამატებით სამართლებრივ საფუძვლად სააპელაციო საჩივრის ავტორმა მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, 42-ე, მუხლზე, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტზე და „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, ამავე მუხლის მე-8 პუნქტზე და მიიჩნია, რომ საქართველოს, როგორც კონვენციის ხელმომწერ მხარეს აღებული აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს ნებისმიერი ადამიანის უფლება მიიღოს არსებული გარემოს შესახებ სრულყოფილი და დროული ინფორმაცია, რაც სახელმწიფოს ავალდებულებს, ფლობდეს და აახლებდეს კიდეც ამ სახის ინფორმაციას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქარ-

თველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ. მან ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ნოემბრის სარჩელის დასაშვებად ცნობის შესახებ საოქმო განჩინების გაუქმება და საქმის სარჩელის დასაშვებობის შესამოწმებლად დაბრუნება მოითხოვა.

სააპელაციო საჩივრის ავტორი არ დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვილი საქართველოს პრეზიდენტის №73 და №280 განკარგულებების გაცემის თაობაზე, სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებად ცნობას და განმარტა, რომ მსჯავრდებული პირის შეწყალების თაობაზე ინფორმაცია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წარმოადგენს კერძო საკითხს, რომლის მესამე პირისათვის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია თვით შეწყალებული პირის თანხმობაზე, რაც საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა. ასევე სახეზე არ იყო კონსტიტუციისა და მატერიალური კანონმდებლობის საფუძველზე მოპოვებული უფლებისათვის ან ინტერესისათვის სადავო ინფორმაციის მიუღებლობით გამოწვეული პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტი. ადგილი არ ჰქონდა ასევე ამ სახის უფლების უკანონოდ შეზღუდვას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო საჩივრის ავტორი მიიჩნევდა, რომ მოსარჩელე – ... არ წარმოადგენდა იმ სუბიექტს, რომელსაც კანონიერი უფლება ჰქონდა პრეტენზია განეცხადებია სადავო ინფორმაციის მიმართ საკუთარი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვის მოტივით და ედავა დავის საგნით განსაზღვრული ინფორმაციის მიღებისა თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე.

სააპელაციო საჩივრის ავტორი ასევე არ დაეთანხმა 2006 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების მოტივაციას სარჩელის დაკმაყოფილებასთან მიმართებით და განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული პროფესიული საიდუმლოება მოიცავს ასევე პირის პირად საიდუმლოებასაც. აღნიშნულს განმარტავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>3</sup>-ე მუხლი. „შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის №277 ბრძანებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნით, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებაში მითითებული უნდა იყოს შეწყალებული პირის ბიოგრაფიული მონაცემები, შეწყალების საფუძველი, ასევე შესაძლებელია მითითებულ იქნეს შეწყალების ღონისძიების გამოყენების მოტივი. ამდენად, შეწყალების აქტის გაცნობისას, შესაძლებელია ცნობილი გახდეს შეწყალებული პირის ცხოვრების კერძო საკითხები. სააპელაციო საჩივრის ავტორი თვლიდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლე-

ბამოსილების განხორციელებასთან, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მოქმედება არ ვრცელდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით ... სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ... სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ინფორმაცია 2006 წელს საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიური უბედურებებისა და მათ მიერ მიყენებული ზარალის ოდენობის თაობაზე, არ წარმოადგენდა რაიმე ფორმით დაცულ, მიღებულ, დამუშავებულ, შექმნილ ან გაგზავნილ ინფორმაციას, რაც შესაძლოა გაგზავნილი ყოფილიყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. ასევე არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ანალიტიკური ფგუფი ვალდებული იქნებოდა აღნიშნული ინფორმაცია მიენოდებინა წერილობითი ფორმით. ასევე მართებულად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მითითება, „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 ივნისის №562 ბრძანებულების მე-4 მუხლზე. რაც შეეხება მსჯავრდებულთა შეწყალების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის №73 და №280 განკარგულებების გაცემის შესახებ, საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის დანაწესები გააზრებულ უნდა იქნეს მთლიანობაში. აღნიშნული მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მსჯავრდებული პირის შეწყალების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებასთან მიმართებაში გააზრებულ უნდა იქნეს როგორც ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს „სხვა კერძო“ საკითხებს, რომლითაც სარგებლობა და მისანდომობა შეზღუდული უნდა იყოს.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სააპელაციო პრეტენზიას და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ამავე კოდექსის 37<sup>1</sup>-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ „შეწყალების გამოყენების ნების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის №277 ბრძანებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მართებულაა მსჯელობა იმის შესახებ, რომ ასეთი განკარგულების არასათანადო ნესით მესამე პირის გაცნობისას შესაძლებელია გამოაშკა-

რადეს შეწყალებული პირის ცხოვრების „კერძო საკითხები“. ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის მიღების პრეტენდენტმა პირმა უნდა მიიღოს შეწყალებული პირის თანხმობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ..., რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

საკასაციო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ ვინაიდან პრეზიდენტის 2006 წლის №73 და №280 განკარგულებების მიწოდებაზე უარის თქმა არ მომხდარა საიდუმლოდ ცნობის თაობაზე შესაბამისი აქტის წარდგენით, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის №2/3/364 გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უარი პრეზიდენტის 2006 წლის №73 და №280 განკარგულებების მიწოდებაზე საქალაქო სასამართლომ აბსოლუტურად სწორად მიიჩნია უკანონოდ, რაც სრულიად უსაფუძვლოდ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ასევე არასწორად განიმარტა საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების აქტის ავტომატურად საიდუმლო ინფორმაციად ცნობის შესაძლებლობა. აღნიშნული ნორმა საერთოდ არ განმარტავს პერსონალურ მონაცემებს და პირადი საიდუმლოების ცნებებს, ასევე ინფორმაციის პირად საიდუმლოდ ცნობისათვის სავალდებულო პროცედურების დაცვას. სასამართლოს არგუმენტაციაში არ აისახა ის გარემოება, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირის სათანადო წესით თანხმობის წარდგენის თაობაზე ზაკ-ის 37.2 მუხლი ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაზე, როდესაც ინფორმაცია ამავე კოდექსის 27<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, პირის განცხადებით ინფორმაცია მიჩნეულ იქნა საიდუმლოდ. კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობას ასევე ადასტურებს ის გარემოება, რომ სასამართლოს არ უმსჯელია სადავო ინფორმაცია იყო თუ არა რეალურად შეწყალების შესახებ აქტები. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხე მხარეს წარდგენილი არ აქვს.

საკასაციო საჩივრის ავტორი ასევე არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას საქართველოში 2006 წელს მომხდარი სტიქიური უბედურებებისა და მიყენებული ზარალის ამსახველი ინფორმაციისა და სათანადო დოკუმენტაციის გადაცემაზე უარის თქმის ნაწილში. კასატორი მიიჩნევს, რომ ანალიტიკურ ჯგუფს ცალკე ნორმატიული აქტით არ დაევალებოდა ინფორმაციის წერილობით წარდგენის ვალდებულება. ამ სახის დასაბუთებიდან გამომდინარე,

შეუძლებელი აღმოჩნდება საჯარო დაწესებულებიდან საჯარო ინფორმაციის მოპოვება. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოთხოვილი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის დასაბუთება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტსა და საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის №277 ბრძანებულების მე-4 მუხლზე დაყრდნობით უკანონოა, ვინაიდან მოთხოვილი ინფორმაცია არის საჯარო ინფორმაცია და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის თანახმად, ექვემდებარება გაცემას.

საკასაციო საჩივრის ავტორმა სააპელაციო სასამართლოს განწყვეტილების დაუსაბუთებლობის დასადასტურებლად დამატებით მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, 42-ე მუხლზე, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტზე და „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადამწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, ამავე მუხლის მე-8 პუნქტზე და მიიჩნია, რომ საქართველოს, როგორც კონვენციის ხელმომწერ მხარეს ალებული აქვს ვალდებულება უზრუნველყოს ნებისმიერი ადამიანის უფლება მიიღოს არსებული გარემოს შესახებ სრულყოფილი და დროული ინფორმაცია, რაც სახელმწიფოს ავალდებულებს, ფლობდეს და აახლებდეს კიდევ ამ სახის ინფორმაციას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო მოგვიანებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის საფუძველზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ ... საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასა-

მართლოსათვის თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

... საკასაციო პრეტენზია ემყარება იმ მოსაზრებას, რომ სააკაციო სასამართლოს არ უმსჯელია საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის №73 და 280 განკარგულებები რეალურად იყო თუ არა შეწყალების შესახებ აქტები. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კორესპონდენციის, ანალიზისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსის 2006 წლის 2 აგვისტოს №15/395 წერილით დგინდება, რომ აღნიშნული განკარგულებები მიღებული იყო საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, ე.ი. აღნიშნული აქტები წარმოადგენდა შეწყალების თაობაზე მიღებულ აქტებს. ... საქმის საქალაქო სასამართლოში განხილვისას სასამართლო სხდომაზე გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ საქმის მასალებით სათანადოდ არ დასტურდებოდა აღნიშნული განკარგულებები მართლაც ამ სახის აქტები იყო თუ არა. იგი საკასაციო საჩივარში ასევე აღნიშნავს, რომ მათთვის არათუ შეწყალებულ პირთა ვინაობა, არამედ მოთხოვნილი აქტების შინაარსი არ იყო ცნობილი, რის გამოც ვერ შეძლებდნენ შეწყალებულ პირთა ნოტარიულად დამტკიცებული თანხმობის წარდგენას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კორესპონდენციის, ანალიზისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსის 2006 წლის 2 აგვისტოს №15/395 წერილი არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის №73 და 280 განკარგულებები არის საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებისას მიღებული აქტები. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 ივნისის №562 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ“ დებულების მე-11 მუხლის (იმ დროს მოქმედი რედაქციით) თანახმად, სხვა ვალდებულების გარდა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კორესპონდენციის, ანალიზისა და საქმისწარმოების სამსახურის ფუნქციაში შედიოდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებათა და განკარგულებათა რეესტრის წარმოება. შესაბამისად, არ არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი ან რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება იმისა, რომ სადავო განკარგულებები იყო სხვა შინაარსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის გაცემაზე უარის სისწორე სადავო გახადა მოსარჩელემ, მასვე გააჩნდა ვალდებულება, თავისი ვარაუდი ამ კუთხით დაედასტურებინა სხვა სათანადო მტკიცებულებებით. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მა-

სალები არ ქმნიდა სასამართლოს მხრიდან თავისი ინიციატივით ამ გარემოების გამოკვლევისა და მის თაობაზე მტკიცებულებების შეგროვების საფუძველს.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ შეწყალების აქტთან მიმართებით სზაკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის გავრცელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირმა მოახდინა ამავე კოდექსის 27<sup>1</sup> მუხლის თანახმად, პირადი განცხადებით მის პირად საიდუმლოებად აღიარება. საკასაციო პალატა თავდაპირველად აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოახდინა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა იმ სახის ინფორმაციის დიფერენცირება, რომლებიც დაცულია ოფიციალურ წყაროებში და დაყო ისინი რამოდენიმე ჯგუფად. ამ ჯგუფებს შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია მათში შემავალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი. პირველ ჯგუფში შედის ინფორმაცია, რომელიც თავად ინფორმაციის მიღების მსურველ პირს შეეხება. ეს ინფორმაცია, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაუბრკოლებლად, კანონით დადგენილი წესით უნდა მიენოდოს პირს. მეორე ჯგუფს წარმოადგენს ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ ინფორმაციის მიღების მსურველს არ შეეხება, მაგრამ მათი მიღება, ასევე, შესაძლებელია კანონით დადგენილი წესის დაცვით. მესამე ჯგუფში შედის ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია ინფორმაციის მეოთხე ჯგუფი, რომელიც განსხვავებით 41-ე მუხლის პირველი პუნქტისა ინფორმაციის ავტომატურად გასაიდუმლოებას გულისხმობს. ეს არის ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, რომლებიც შეეხება კერძო პირის კერძო საკითხებს, ეს ინფორმაცია ავტომატურად გასაიდუმლოებულია და მისი განსაიდუმლოება შესაძლებელია, თუ არსებობს თავად იმ პირის თანხმობა, ვისაც ინფორმაცია შეეხება. ამდენად, ოფიციალურ წყაროებში არსებული პირის კერძო საკითხებს მიკუთვნებული მონაცემები ხელშეუხებელია და სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს დაცული გამხელისაგან, რაც შეესაბამება როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის პრინციპს, ასევე 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებულ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისაგან დაცვის პრინციპს. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ინფორმაციის პირადი საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისათ-

ვის კონკრეტული კრიტერიუმია კანონის მიერ მისი საიდუმლოების დაცვის მოთხოვნა და ის, რომ ეს ინფორმაცია პირადი ფასეულობის მქონე უნდა იყოს, რომელთა მიმართ პირს უნდა ჰქონდეს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი. ფინანსებთან, ჯანმრთელობასთან, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობასთან და სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია პირადი ფასეულობის მქონეა და მისი საიდუმლოების დაცვას მოითხოვს ქვეყნის უზენაესი კანონი – საქართველოს კონსტიტუცია. ამდენად, პირად საიდუმლოებას მიეკუთვნება კერძო ხასიათის ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია ავტომატურად გასაიდუმლოებული სახე და ასევე საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის გადაწყვეტილებით მიჩნეულ იქნა საიდუმლოდ. ზაკ-ის 27-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემები არის საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. ამავე კოდექსის 27<sup>1</sup>-ე მუხლი ადგენს პირის უფლებას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი გადაწყვიტოს თავად. საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება ემსახურება მხოლოდ დაწესებულების უფლებამოსილების განხორციელებას და ამ მონაცემთა წრე თითოეული დაწესებულებისათვის კანონის მიერ მკაცრად არის რეგლამენტირებული. ამდენად, საჯარო დაწესებულებაში მოქალაქეთა შესახებ დაცული პერსონალური მონაცემების ის ნაწილი, რომელთაც დაცვის აბსოლუტური ხასიათი გააჩნიათ პირად საიდუმლოებას განეკუთვნება და მათი ღიაობა მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებშია დაშვებული. კონსტიტუციურ ნორმათა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამის მუხლებთან ერთობლიობაში ანალიზი ცხადყოფს, რომ საჯარო დაწესებულებაში არსებული პირის შესახებ კერძო ხასიათის ინფორმაციის დაცულობის მიმართ ამ ნორმებს გააჩნიათ განსაზღვრულობის მაღალი მაჩვენებელი, რაც პირს უქმნის სამართლიან შეგრძნებას, რომ მის შესახებ ამა თუ იმ დაწესებულებაში არსებული ინფორმაცია, რომელსაც ავტომატურად საიდუმლო ხასიათი გააჩნია, დაცული იქნება გამხელისაგან, გარდა მისივე თანხმობის ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაკ-ის მესამე მუხლი ადგენს ამავე კოდექსის გავრცელების სფეროს სახელმწიფო ორგანოებზე. აღნიშნული მუხლის ნაწილები აკონკრეტებენ იმ ადმინისტრაციულ ორგანოთა და მათ საქმიანობათა ჩამონათვალს, რომლებზეც ვრცელდება ამა თუ იმ შეზღუდვით ან არ ვრცელდება აღნიშნული კოდექსის ნორმები. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის ზემოაღნიშნულ შეფასებასთან სზაკ-ის მე-3 მუხლის შეპირისპირებით შესაძლებელი ხდება გარკვევა რამდენად პირდაპირია მე-3 მუხ-

ლის სხვადასხვა ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვების გავრცელება ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ორგანოზე ან მისი საქმიანობის პროცესში შექმნილ ინფორმაციაზე. სზაკ-ის 3.2 მუხლის თანახმად, კოდექსის მოქმედება მასში ჩამოთვლილ ადმინისტრაციულ ორგანოებზე ვრცელდება კოდექსის მხოლოდ მე-3 თავის ფარგლებში, 3.3 მუხლის გათვალისწინებით კი მე-3 თავის მოქმედება დამატებით იზღუდება და იგი შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის შესრულებისას შექმნილი ინფორმაციის საჯაროობით. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშნისა და გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“, „ე“, „ზ“, „თ“, „ო“ ქვეპუნქტებით, ასევე მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან. განსახილველ შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია შექმნილია საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებათა განხორციელებისას. ადმინისტრაციული კანონმდებლობა აღიარებს ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალურ გაგებას და ასეთად მიიჩნევს კანონით მინიჭებული მმართველობითი ფუნქციების განხორციელების პროცესში ნებისმიერ პირს და ორგანოს, მიუხედავად ხელისუფლების ამა თუ იმ შტოსადმი მისი ორგანიზაციული კუთვნილებისა. იმის გასარკვევად, თუ რატომ ითვალისწინებს სზაკ-ის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი საქართველოს პრეზიდენტის ამ კონკრეტულ საქმიანობაზე ამავე კოდექსის სრულ გაუფრცხვლებლობას, საჭიროა ამ უფლებამოსილების ფუნქციონალური გაგება და იმის გარკვევა, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს კანონი მოიაზრებს თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციის განმახორციელებლად. როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულთა შეწყალების თაობაზე 2006 წლის №73 და №280 განკარგულებების გამოცემა წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კონსტიტუციურ უფლებამოსილების განხორციელებას. ამ დროს პრეზიდენტი არ ეწევა მმართველობით საქმიანობას, ადმინისტრირებას, რის გამოც იგი არ ექცევა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მონესრიგების სფეროში. განსახილველ შემთხვევაში აქტის გამომცემი სუბიექტი – საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოს ორგანიზაციული გაგებით, ამასთანავე, ვინაიდან საქართვე-

ლოს პრეზიდენტი საქმიანობის ამ პროცესში არ ახორციელებს მმართველობით ფუნქციებს, ფუნქციონალური გაგებით იგი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. მსჯავრდებულთა და პატიმართა შეწყალება წარმოადგენს პრეზიდენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივ საქმიანობას და ამ სახის აქტის მიღება არის პრეზიდენტის განსაკუთრებული უფლებამოსილება, რომელიც ხორციელდება ფართო დისკრეციის პირობებში.

მეორე მხრივ, ამ სახის საქმიანობისას შექმნილი ინფორმაციის არასაჯაროობა განპირობებულია ასევე მასში შესატანი იმ მონაცემების პერსონალური ხასიათით, რომლებიც შეწყალებული პირის პირადი ცხოვრების კერძო საკითხებს განეკუთვნება და შესაძლოა არასათანადო წესით მესამე პირის მიერ შეწყალების თაობაზე განკარგულების გაცნობისას გამოაშკარავდეს. შეწყალების შესახებ გადანაცვლებას საფუძვლად უდევს შეწყალების კომისიის წინადადება მსჯავრდებულის მიმართ შეწყალების გამოყენების თაობაზე, რომელიც მიიღება მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი ორგანოების აზრისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ამ სახის გარემოებებს შეადგენს ასევე შეწყალების გამოყენების მოტივი, რაც შესაძლოა იყოს პირის ჯანმრთელობის, ოჯახური და სხვა კერძო სახის ინფორმაცია. ამდენად, შეწყალებულ პირს გააჩნია იმის სამართლიანი მოლოდინი, რომ შეწყალების შესახებ აქტში ასახული ინფორმაცია დაცული იქნება გარეშე პირთათვის და მას არ ექმნება ვალდებულება შეხედულებისამებრ, წინასწარ მოითხოვოს მისი დაცვა პირადი განცხადების საფუძველზე პირად საიდუმლოებად აღიარებით. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ შეწყალება თავისთავად უკავშირდება პირის ნასამართლობას, რაც ე.წ. სპეციალური, მგრძნობიარე პერსონალურ მონაცემთა რიგსა განეკუთვნება. განსაკუთრებულ მგრძნობიარე კატეგორიის პერსონალური მონაცემები განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმით გამიჯნულია ჩვეულებრივი პერსონალური მონაცემებისაგან. ამ კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება – გაცემა საჭიროებს პირის თანხმობას. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომლის თანახმად პირს არ სურს ამ ინფორმაციის გამჟღავნება და ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაიცვას პირის კერძო სფერო, სანამ თავად ეს პირი არ გამოაველენს ინფორმაციის გაცემის ნებას. „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ სტრასბურგის 1981 წლის 28 იანვრის კონვენციის (მე-6 მუხლი) თანახმად, (საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებით მოახდინა კონვენციის რატიფიცირება) სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ მონაცემებს, სხვა სპეციალური კატეგორიისადმი კუთვნილ მონაცემებთან ერთად (რასობრივი წარმავლობა, პოლიტიკური, რელი-

გიური ან სხვა მრნამსი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სექსუალური (ცხოვრება) არ ექვემდებარება დამუშავებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილობრივი კანონმდებლობა უზრუნველყოფს მათი დაცვის შესაბამის გარანტიებს. ამდენად ამ სახის ინფორმაციის მიმართ არ არსებობს სზაკ-ის 27<sup>1</sup> მუხლის გამოყენების აუცილებლობა, ვინაიდან მას გააჩნია 41-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის ავტომატურად გასაიდუმლოებული ხასიათი.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ „შენცალეების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის №277 ბრძანებულების მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით გარდა სხვა მონაცემებისა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებაში მითითებული უნდა იყოს შენცალეების მიმართ არსებული სასამართლო განაჩენი, რაც ცხადდება საჯაროდ, მაგრამ განაჩენის გამოცხადებას ესწრება პირთა შეზღუდული წრე, ამასთან მიღებული გადაწყვეტილების ასლები ეგზავნებათ მხოლოდ საქმეში მონაწილე პირებს. განაჩენი, როგორც საპროცესო დოკუმენტი საჯაროა სხვადასხვა, მათ შორის, სამეცნიერო მიზნებისათვის, მხოლოდ პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე. ამდენად, მიუხედავად კანონისმიერი დათქმისა, განაჩენის გამოცხადება აბსოლუტური საჯაროობის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთან, როგორც უკვე აღნიშნა, მსჯავრდებული შენცალეების შესახებ პრეზიდენტის განკარგულება, გარდა განაჩენში არსებული ინფორმაციისა შეიცავს სხვა სავალდებულო მონაცემებს (შენცალეების საფუძველს და მოტივს), რომლებიც შესაძლოა ასახული არ იყოს მანამდე მიღებულ ამა თუ იმ საპროცესო დოკუმენტში, მათ შორის, სასამართლოს განაჩენში.

საკასაციო პალატა სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ინფორმაცია 2006 წელს საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიური უბედურებებისა და მათ მიერ მიყენებული ზარალის ოდენობის შესახებ, არ წარმოადგენდა რაიმე ფორმით დაცულ, მიღებულ, დამუშავებულ, შექმნილ ან გაგზავნილ ინფორმაციას, რაც შესაძლოა ანალიტიკური ჯგუფის მიერ გაგზავნილი ყოფილიყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. საკასაციო საჩივრის ავტორი ვერ უთითებს რაიმე სამართლებრივ ნორმაზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შემადგენლობაში შემავალ ანალიტიკურ ჯგუფს დაავალდებულებდა აღნიშნული ინფორმაცია დაემუშავებინა და მიენოდებინა წერილობითი ფორმით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემდგომ, დაქვემდებარებულ და სხვა დანესებულებებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან ოპერატიული კავშირის განხორციელებისას მმართველობის ყველა დონის დანესებულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქმისწარმოების სპეციფიკიდან გამომდინა-

რე, შეუძლია გამოიყენოს ინფორმაციის გაცვლის უდოკუმენტო საშუალება: ზეპირი განმარტებები, მითითებები. საჯარო ინფორმაციაა ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. ამდენად, საჯარო ინფორმაციას უნდა გააჩნდეს მატერიალური ხასიათი და დაცული უნდა იყოს საჯარო დაწესებულებაში, ამასთან, მისი ამ სახით მოძიებისა და შექმნის ვალდებულება უნდა გააჩნდეს კონკრეტულ საჯარო დაწესებულებას. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რომელსაც გარდა სხვა ვალდებულებებისა, ეკისრება საქართველოს პრეზიდენტის ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა და ამ სახის ინფორმაციის წერილობითი ფორმით დამუშავება-შენახვის ვალდებულება რაიმე სამართლებრივი აქტით არ ეკისრება, მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს იგი საჯარო ინფორმაციის სახით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს, როგორც „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანაცვლებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის ხელმომწერ მხარეს აღებული აქვს ვალდებულება უზრუნველყოს ნებისმიერი ადამიანის უფლება მიიღოს არსებული გარემოს შესახებ სრულყოფილი და დროული ინფორმაცია, რაც სახელმწიფოს ავალდებულებს, ფლობდეს და აახლებდეს კიდეც ამ სახის ინფორმაციას. ვინაიდან, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ამ მოვალეობის განმახორციელებელ ორგანოდ, ხელისუფლების დანაწილების პრინციპით, დადგენილია არა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, არამედ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, რომელიც უნდა მოიპოვებდეს, დამუშავებდეს და ფლობდეს კიდეც გარემოს შესახებ ინფორმაციას. ამასთანავე, მოსარჩელე ადმინისტრაციული ორგანოსაგან ითხოვს არა ინფორმაციის შექმნის დავალდებულებას, არამედ უკვე არსებული, შექმნილი ინფორმაციის გაცემის დავალებას, მაშინ როდესაც მოპასუხესთან – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ასეთი ინფორმაცია დაცული არ არის, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გასცეს მასთან დაცული ინფორმაცია. ინფორმაციის მოთხოვნილი ფორმით მიწოდების შეუძლებლობის შემთხვევაში ის წარედგინება იმ სახით, რომელიც არსებობს ადმინისტრაციულ ორგანოში. ინფორმაციის არ არსებობა წარმოადგენს მის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სრულად დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, სამართლებრივ შეფასებებს, დამატებით მიუთითა მათზე და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ... საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საჯარო ინფორმაციის თავისუფლება  
ბარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-1484-1466(2კ-11)

9 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: **ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**პ. სილაგაძე**

**დავის საგანი** – ქმედების განხორციელების დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ასოციაცია „...მ“ (წარმომადგენელი ნ. გ-ე) 2010 წლის 15 ოქტომ-

ბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – ქ. თბილისის მთავრობის მიმართ და მოითხოვა ქმედების განხორციელების დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2010 წლის 26 აგვისტოს განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მთავრობას და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, მოითხოვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მ-ს“ შორის 2008 წლის 14 მაისს დადებული შპს „რ-ის“ „100% წილის, შპს „მც-ის“ 100% წილის, შპს „ს-ის“ 100% წილისა და შპს „თ-ის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საჯარო ინფორმაციის გაცემა, რაზედაც ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 9 სექტემბრის №11/107635-7 წერილით განემარტა, რომ 2010 წლის 26 აგვისტოს №04/03-214 განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გადაეგზავნა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს, რომელსაც მოთხოვნილი ინფორმაცია არ გადაუცია მოსარჩელისათვის.

ამდენად, მოსარჩელემ მოითხოვა, ქ. თბილისის მთავრობის დავალდებულება, გასცეს ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შემდეგი საჯარო ინფორმაცია: შესრულებულია თუ არა მყიდველის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების 11.6.4 მუხლით განსაზღვრული ვალდებულება 6 თვეში ერთხელ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშის „გამყიდველი-2“-ისათვის წარდგენის თაობაზე; მყიდველის მიერ „გამყიდველი-2“-ისათვის წარდგენილი კონკრეტული ანგარიშების ასლები; რა თარიღიდან აიღო მყიდველმა საკუთარ თავზე „კომპანიის“ მართვა; ხელშეკრულების 2.4 მუხლით გათვალისწინებული „პარტნიორთა კრების“ ოქმის ასლი; იმ საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების ამსახველი დოკუმენტი, რომელთა პირობების შესაბამისად, მყიდველმა უნდა მართოს და შეინარჩუნოს აქტივები; ვის მიერ და როდის არის დამუშავებული დამტკიცებული აღნიშნული მეთოდები (კონკრეტული ორგანო, კონკრეტული სამართლებრივი აქტი); უზრუნველყოფილია თუ არა მყიდველის მიერ „კომპანიის“ აქტივების მართვა და შენარჩუნება საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების პირობების შესაბამისად, კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული; შეიცავს თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულება მყიდველის ვალდებულებებს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, თუ შეიცავს, მიეთითოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მყიდველის კონკრეტული ვალდებულებები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში; სრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან

დაკავშირებით მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული; რა ოდენობის ინვესტიციაა განხორციელებული მყიდველის მიერ დღეის მდგომარეობით; საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულება; საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323 განკარგულება; საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის №325 განკარგულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით ასოციაცია „...ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; კერძოდ, მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობას დაევალა ასოციაცია „...ს“ საჯარო ინფორმაციის სახით გადასცეს ინფორმაცია იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მ-ს“ შორის 2008 წლის 14 მაისს დადებული შპს „რ-ის“ „100% წილის, შპს „მც-ის“ 100% წილის, შპს „ს-ის“ 100% წილისა და შპს „თ-ის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება მყიდველის ვალდებულებებს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, თუ შეიცავს, მიეთითოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მყიდველის კონკრეტული ვალდებულებები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში და სრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული, ასევე საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულება; საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323 განკარგულება; საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის №325 განკარგულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასოციაცია „...მ“. გადაწყვეტილება დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე ქ. თბილისის მთავრობამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის განჩინებით აპელანტ „...ს“ შუამდგომლობა სასარჩელო მოთხოვნის ნაწილზე უარის თქმის თაობაზე დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობის დავალდებულების ნაწილში, მოსარჩელისათვის საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულების, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323 განკარგულებისა და საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის №325 განკარგულების გადაცემის დავალ-

დებულების შესახებ და სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით ასოციაცია „...ს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მთავრობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება გაუქმდა ქ. თბილისის მთავრობის დავალდებულების შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემის ნაწილში, კერძოდ – სრულდება თუ არა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მ-ს“ შორის 2008 წლის 14 მაისის დადებული შპს „რ-ის“ „100% წილის, შპს „მც-ის“ 100% წილის, შპს „ს-ის“ 100% წილისა და შპს „თ-ის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალდებულების ნაწილში იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მ-ს“ შორის 2008 წლის 14 მაისის დადებული შპს „რ-ის“ „100% წილის, შპს „მც-ის“ 100% წილის, შპს „ს-ის“ 100% წილისა და შპს „თ-ის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება მყიდველის ვალდებულებებს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და თუ შეიცავს, მიეთითოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მყიდველის კონკრეტული ვალდებულებები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში – დარჩა უცვლელი.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 24.1 მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს. საქართველოს კონსტიტუციის 41.1 მუხლის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით, გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწი-

ფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

სააპელაციო პალატის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგერთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. ამავე კოდექსის 27<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს – ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის სანარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2009 წლის 22 დეკემბერს გაფორმდა შეთანხმება №1 შპს „რ-ის“, შპს „მც-ის“, შპს „ს-ისა“ და შპს „თ-ის“ 100% წილის ზემომითითებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში დამატებითი განმარტებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც წარმოადგენს 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შეთანხმებაში შეტანილ იქნა 12.4 მუხლი, რომლის თანახმად, ინფორმაცია, წინადადებები და შეთანხმებები, რომლებიც მოცემულია ამ დოკუმენტებში, ითვლება კონფიდენციალურად და შესაბამისად, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მხარეებმა არ უნდა შეატყობინონ სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს რაიმე ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება წინამდებარე შეთანხმებას. მოცემულ შემთხვევაში, პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება მასში შესული ცვლილებებით, მოიცავს მენარმე სუბიექტის ფინანსურ ვალდებულებებს, რაც მის კომერციულ ინტერესებს უკავშირდება და შესაბამისად, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემის კანონისმიერი ვალდებულება მოპასუხეს ხელშეკრულების მხარეთა თანხმობის გარეშე არ გააჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს გადწყვეტილება ქ. თბილისის მთავრობის დავალდებულების შესახებ, საჯარო ინფორმაციის გაცემის ნაწილში, კერძოდ, სრულდება თუ არა ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კონ-

კრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული, დაუსაბუთებელია და ექვემდებარება გაუქმებას. აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს ისეთ ინფორმაციას, რომელიც საჭიროებს დამუშავებას, ხოლო ასეთი ინფორმაცია დამუშავებული და მომზადებული ქ. თბილისის მთავრობას არ გააჩნია.

რაც შეეხება ასოციაცია „...ს“ სააპელაციო საჩივარს, პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრით ვერ იქნა გაბათილებული საქალაქო სასამართლოს დასკვნები ამ ნაწილში სარჩელის უსაფუძვლობის შესახებ, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მთავრობამ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება დაუკმაყოფილებელ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და ეწინააღმდეგება კანონს. კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლო გასცდა დავის საგანს. სადავო არ იყო ის გარემოება, რამდენად კანონიერად მოახდინა ქ. თბილისის მთავრობამ ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა. მოცემულ შემთხვევაში კი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია – შეიცავს თუ არა ხელშეკრულება ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს – წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას და შესაბამისად, მისი გასაიდუმლოება დაუშვებელია – ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან გულისხმობს უკვე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების რევიზიას. საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით ასოციაცია „...ს“ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და დადგინდა, რომ მოთხოვნილი დოკუმენტი შეზღუდული იყო კომერციული საიდუმლოების სტატუსით და სასამართლოს არ დაუდგენია ამ კუთხით არანაირი გამოწვევისი. სააპელაციო სასამართლოს სადავო გადაწყვეტილებით დასაშვები ხდება ხელშეკრულების ნაწილის გასაჯაროება, რაც ცალსახად წინააღმდეგობაში მოდის 2010 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებასთან და უფრო მეტიც, განსხვავებულად ანესრიგებს აღნიშნული გადაწყვეტილებით მონესრიგებულ ურთიერთობას.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე ასოციაცია „...მ“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ

უნდა გამოყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობების განსაზღვრისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები, 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რის გამოც, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, მითითებული საპროცესო დარღვევების გამო, ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებითა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენების შედეგად, საქმეზე გამოტანილია არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლომ 2011 წლის 26 დეკემბრის განჩინებით ასოციაცია „...ს“ საკასაციო საჩივარი, სასარჩელო მოთხოვნის – საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მ-ს“ შორის, 2008 წლის 14 მაისს დადებული შპს „რ-ის“ 100% წილისა და შპს „მც-ის“ 100% წილის, შპს „ს-ის“ 100% წილისა და შპს „თ-ის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, „მყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული – მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ხოლო ასოციაცია „...ს“ საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში და ქ. თბილისის მთავრობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად;

2012 წლის 7 მარტს ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელმა წარმოადგინა ახსნა-განმარტება ასოციაცია „...ს“ საკასაციო საჩივართან დაკავშირებით, რომელშიც მიუთითა, რომ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლობის გამო არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, ასოციაცია „...ს“ საკასაციო საჩივარი დაშვებულ სასარჩელო მოთხოვნის – საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მ-ს“ შორის, 2008 წლის 14

მაისს დადებული შპს „რ-ის“ 100% წილისა და შპს „მც-ის“ 100% წილის, შპს „ს-ის“ 100% წილისა და შპს „თ-ის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით „მყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული – უნდა დაკმაყოფილდეს; ამ ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ასოციაცია „...ს“ სარჩელი მოთხოვნის – საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მ-ს“ შორის, 2008 წლის 14 მაისს დადებული შპს „რ-ის“ 100% წილისა და შპს „მც-ის“ 100% წილის, შპს „ს-ის“ 100% წილისა და შპს „თ-ის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით „მყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული – ნაწილში დაკმაყოფილდეს; დაევალოს მოპასუხეს – ქ. თბილისის მთავრობას გასცეს ინფორმაცია – საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მ-ს“ შორის, 2008 წლის 14 მაისს დადებული შპს „რ-ის“ 100% წილისა და შპს „მც-ის“ 100% წილის, შპს „ს-ის“ 100% წილისა და შპს „თ-ის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით „მყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული, შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი და შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის 24.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუციის 41.1 მუხლის მიხედვით, რომ საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე

სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული პრინციპი აგრეთვე რეგლამენტირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლში, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საქართველოს სახელმწიფოში საჯარო ინფორმაციის ღიაობა უზრუნველყოფილია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა, ხოლო ამავე კოდექსის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში მოცემული საჯარო ინფორმაციის დეფინიციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჯარო დაწესებულებაში დაცული ყველა ოფიციალური დოკუმენტი წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, ხოლო საჯარო ინფორმაციის კანონით გათვალისწინებული შემთხვევებით ან დადგენილი წესით გასაიდუმლოება არ ნიშნავს, რომ იგი აღარ ატარებს საჯარო ინფორმაციის სტატუსს, სწორედ პირიქით, მხოლოდ ამგვარი სტატუსის დოკუმენტი შესაძლებელია გასაიდუმლოდეს, რაც გულისხმობს, რომ იგი აღარ განეკუთვნება ხელმისაწვდომ საჯარო ინფორმაციათა კატეგორიას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის ღიაობა ორ შემთხვევაშია შეზღუდული: 1. როცა ეს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული 2. როცა დადგენილი წესით იგი მიეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი იძლევა განსაზღვრებას საჯარო ინფორმაციის შესახებ, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გავზავნილი ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის – ასოციაცია „...ს“ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია – საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მ-ს“ შორის, 2008 წლის 14 მაისს

დადებული შპს „რ-ის“ 100% წილისა და შპს „მც-ის“ 100% წილის, შპს „ს-ის“ 100% წილისა და შპს „თ-ის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით „მყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული – წარმოადგენს ინფორმაციას წყლის მდგომარეობის თაობაზე, რაც თავისთავად თავსდება გარემოს შესახებ ინფორმაციის კატეგორიაში და შესაბამისად განეკუთვნება ინფორმაციის იმ სახეს, რომლის გასაიდუმლოება კანონმდებლობით არის აკრძალული.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ» კონვენციას (საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 11 თებერვლის №135 დადგენილებით), რომლის მიხედვით კონვენციის მხარეებმა აღიარეს, რომ ყოველ ადამიანს აქვს მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესაბამის გარემოში სიცოცხლის უფლება და ამ უფლებებისა და მოვალეობის შესასრულებლად მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია. კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის ა) ქვეპუნქტით „გარემოსდაცვითი ინფორმაცია“ გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორცაა გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მინა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზაციები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება.

კონვენციის ზემოაღნიშნული პრინციპი ასევე ასახულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლში, რომლითაც განისაზღვრა ინფორმაციის კატეგორიები, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია. მითითებული მუხლის ა) პუნქტის მიხედვით, ყველას აქვს უფლება იცოდეს ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ წყლის, როგორც გარემოს შემადგენელი ნაწილის შესახებ ინფორმაცია განეკუთვნება ღია ინფორმაციის სახეს, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, მისი ფიზიკური ფორმისა და მდგომარეობის მიუხედავად. ამდენად, მოსარჩელის – ასოციაცია „...ს“ სასარჩელო მოთხოვნა – საქართვე-

ლოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მ-ს“ შორის, 2008 წლის 14 მაისს დადებული შპს „რ-ის“ 100% წილისა და შპს „მც-ის“ 100% წილის, შპს „ს-ის“ 100% წილისა და შპს „თ-ის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით „მყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული, როგორც საფუძვლიანი უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; მოპასუხეს – ქ. თბილისის მთავრობას დაევალოს გასცეს ინფორმაცია – საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მ-ს“ შორის, 2008 წლის 14 მაისს დადებული შპს „რ-ის“ 100% წილისა და შპს „მც-ის“ 100% წილის, შპს „ს-ის“ 100% წილისა და შპს „თ-ის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით „მყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა ასოციაცია „...ს“ საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც ასოციაცია „...ს“ სარჩელი საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ასოციაცია „...ს“ საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება ასოციაცია „...ს“ საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ასოციაცია „...ს“ სარჩელი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს;

4. მოპასუხეს – ქ. თბილისის მთავრობას დაევალოს გასცეს ინფორმაცია – საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მ-ს“ შორის, 2008 წლის 14 მაისს დადებული შპს „რ-ის“ 100% წილისა და შპს „მც-ის“ 100% წილის, შპს „ს-ის“ 100% წილისა და შპს „თ-ის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით „მყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული;

5. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ინფორმაციის თავისუფლება

### ბანჩინება

№ბს-ბს-857-851(კ-11)

5 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 31 დეკემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის

ქ. თბილისის მერიის მიმართ და მოითხოვა ქმედების განხორციელების დავალება, კერძოდ, ... 2009 წლის 3 სექტემბრისა და 21 სექტემბრის განცხადებებით მოთხოვნილი ინფორმაციის სრულყოფილად გაცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით ... სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაცენოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თავად ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტიზირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით („ინფორმაციის თავისუფლება“). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი იმეორებს კონსტიტუციურ ნორმას, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. ამავე საკანონმდებლო აქტის 37.1 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაცენოს ინფორმაცია დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამონებული ასლი. ამავე კოდექსის 38-ე მუხლი ადგენს, რომ საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა. თავის მხრივ, საჯარო ინფორმაციის ლეგალურ დეფინიციას იძლე-

ვა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, სქემა, ელექტრონული ინფორმაცია...) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. როგორც აღნიშნული მუხლის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული კანონმდებლობა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულების სუბიექტად საჯარო დაწესებულებას მიიჩნევს მხოლოდ საჯარო დაწესებულებაში დაცულ, აგრეთვე, საჯარო დაწესებულებაში ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაციის მიმართ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განხორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ზემოსენებული სამართლის ნორმებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სასამართლომ ვერ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ არ არსებობდა ... სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი საფუძვლები.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ... თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 მარტის განჩინებით ... სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის არ დაკმაყოფილების შესახებ და მიიჩნია, რომ აპელანტის – ... სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდნენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას, შესაბამისად არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პრო-

ცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აპელანტს განუმარტა შემდეგი: საჯარო ინფორმაციის გაცემის სუბიექტს წარმოადგენს ყველა ის საჯარო დაწესებულება, რომელსაც გააჩნია სათანადო საჯარო ინფორმაცია ან ხელი მიუწვდება მასზე. მოთხოვნილი ინფორმაცია მოპასუხის აღიარებით ქ.თბილისის მერიაში არ არის მიღებული, დამუშავებული, შექმნილი, ან დაცული. აქედან გამომდინარე, საჯარო დაწესებულებას ვერ დაევალება იმ ინფორმაციის გაცემა, რომელსაც იგი არ ფლობდა. ამასთან, მოსარჩელის წარმომადგენლის აპელირებას იმ გარემოებაზე, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია კანონმდებლობის თანახმად უნდა გააჩნდეს მოპასუხეს, წარმოადგენს სხვა დავის საგანს და სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მითითებულ საკითხზე.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმის მასალებით დადგენილ იმ გარემოებებზე, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2009 წლის 9 სექტემბრის განცხადებასთან დაკავშირებით განმცხადებელს მიეწოდა ქ.თბილისის მერიაში დაცული ინფორმაცია; კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი ქ.თბილისის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 11.08.2009წ. №11/50852-7 წერილით განმცხადებელს ეცნობა, რომ პრომეთეს ქანდაკების დროებითი დემონტაჟი განხორციელდა ავტორის მიერ, არსებული ხარვეზების საკუთარი ხარვეზებით გამოსწორების მიზნით. რაც შეეხება ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხარვეზები ჰქონდა ქანდაკებას და რამ გამოიწვია მათი წარმოშობა, ასევე რამდენ ხანში დასრულდება მითითებული ხარვეზის აღმოფხვრა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე არ შეიძლება წარმოადგენდეს ქ. თბილისის მერიაში დაცულ და დამუშავებულ ინფორმაციას;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ..., რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით პირველადი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ პრომეთეს ქანდაკების დემონტაჟის სამუშაოებისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი იყო ქ. თბილისის მერია; დემონტაჟი განხორციელდა ქ. თბილისის მერიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით განცხადების წარდგენის მომენტამდე – 2009 წლის 3 სექტემბრამდე. კასატორი ასევე მიიჩნევს, რომ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისას განმცხადებელი, ამ შემთხვევაში ... საკუთარ მოთხოვნას ვერ დააფუძნებს საჯარო დაწესებულების მუშაობის გამართულობასა და მისი განხორციელების გზების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბა-

მისობაზე. საჯარო დაწესებულება ვალდებული იყო დაემუშაებინა მონაცემები იმ პროცესების თაობაზე, რომლის მონაწილეცაა, ასევე ენარმობინა შესაბამისი რეესტრი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, „საჯარო ინფორმაცია ღიაა გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნიებული ინფორმაციისა“, ხოლო მე-10 მუხლში კი მითითებულია, რომ ყველას აქვს უფლება გაცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ნოემბრის განჩინებით ... საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განისაზღვრა მისი განხილვა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა განმარტებების მოსმენისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ... საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 მარტის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეული არ არის სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა კანონი, საპროცესო ნორმები არ დაურღვევია, სწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს და დავა განაწყვიტა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებსა და სამართლებრივ შეფასებებს, კერძოდ, სსსკ-ის 105.2 მუხლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემული საქმის განხილვისას საქმის მასალები სასამართლოს მიერ სრულყოფილად იქნა გამოკვლეული, დადგენილად მიჩნეული გარემოებები შესაბამისი მტკიცებულებებით დადგენილი, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები ობიექტურად შეფასებული, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები დასაბუთებულია.

საკაცაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ... 2009 წლის 3 სექტემბერს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, პრომეთეს ქანდაკების შესახებ მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია: 1. ვინ არის პრომეთეს ქანდაკების ავტორი? 2. სახელმწიფო შესყიდვის რომელი ფორმა იქნა გამოყენებული ძეგლის შესაძენად? მოსარჩელემ ასევე მოითხოვა შესყიდვის სრული დოკუმენტაციის მიწოდება. 3. მიენიჭა თუ არა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი პრომეთეს ქანდაკებას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, მოითხოვა ქანდაკების კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანის, ასევე მისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებისა და მისი დანართის (სააღრიცხვო ბარათი) ასლის მიწოდება. 4. როდის განხორციელდა ქანდაკების დემონტაჟი? რა სამართლებრივი საფუძვლით? 5. რა ხარვეზები ჰქონდა ქანდაკებას და რამ გამოიწვია მათი წარმოშობა? 6. რამდენ ხანში დასრულდება მითითებული ხარვეზის აღმოფხვრა? 7. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული რომელი სახის სამუშაოს განსახორციელებლად განხორციელდა ძეგლის დემონტაჟი? 8. გაიცა თუ არა ქ. თბილისის მერიის მიერ აღნიშნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვა? დადებითი პასუხის შემთხვევაში მოითხოვა ქ. თბილისის მერიის და საქართველოს სპორტის კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს დასკვნისა და ნებართვის ასლის მიწოდება; 9. შესაბამისი პირების მიერ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლით გათვალისწინებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის მისაღებად წარდგენილი განცხადებისა და სტანდარტული დოკუმენტაციის ასლი; 10. ხომ არ განხორციელებულა ცვლილებები სანებართვო პირობებში? დადებითი პასუხის შემთხვევაში, მოითხოვა ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების ცვლილებების მოთხოვნით წარდგენილი განცხადებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების ასლის მიწოდება; 11. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით გათვალისწინებულ სამუშაოთა შუალედური და საბოლოო ანგარიშების, სამუშაოთა შესაბამისი ეტაპის მიღების ოქმებისა და სამუშაოების მიღების თაობაზე ქ. თბილისის მერიის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლები.

ქ. თბილისის მერიის კეთილმონყობის საქალაქო სამსახურის 2009

ნლის 21 სექტემბრის № 11/63250-7 წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ პრომეთეს ქანდაკების ავტორია დ. ხ-ე. ძეგლის შესაძენად გამოყენებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების „ლია ტენდერის“ ფორმა. ძეგლის დემონტაჟი განხორციელდა ზედაპირული ხარვეზების გასწორების მიზნით. აღნიშნულ ქანდაკებას არ მინიჭებია „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის“ სტატუსი, რის გამოც განცხადებაში დასმულ დანარჩენ კითხვებზე პასუხი არ იქნა გაცემული.

... 2009 წლის 30 ოქტომბერს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მერს და მოითხოვა 2009 წლის 3 სექტემბრის განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის სრულყოფილად გაცემა. ქ. თბილისის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 2009 წლის 11 ნოემბრის № 11/63250-7 წერილით მოსარჩელეს დამატებით მიენოდა ქ. თბილისში, თამარ მეფის გამზირზე, პრომეთეს ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობისა და პრომეთეს ძეგლის დამზადება/მონტაჟის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების ტენდერის მასალების ასლები 183 ფურცლად.

... 2009 წლის 21 სექტემბერს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით №გ-04/193-09 განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, კომპანია „ს...“ გადაცემული ქონების შესახებ მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია: 1. რა ქონება გადაეცა „ს...“ სარგებლობის უფლებით? 2. ვინ იყო თბილისის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ინიციატორი? მოსარჩელემ მოითხოვა შესაბამისი განაცხადის ასლის მიწოდება; 3. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული რომელი ფორმით განხორციელდა ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა? მოსარჩელემ ასევე მოითხოვა ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების ასლი; 4. რა თანხა შეადგინა სანყისი წლიური ქირის ოდენობამ? მოსარჩელემ მოითხოვა თბილისის საკრებულოს მიერ აღნიშნულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების ასლის მიწოდება; 5. რა წესით განხორციელდა მითითებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა (პირდაპირი განკარგვა, აუქციონი)? იმ შემთხვევაში თუ „ს...“ ქონების გადაცემა სარგებლობის უფლებით მოხდა აუქციონის წესით, მოსარჩელემ მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაციის მიწოდება: 6. აუქციონის პირობებისა და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმების დამდგენი დოკუმენტების ასლები; 7. მესაკუთრესა და ქონების დროებით სარგებლობაში მიმღებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასლი; 8. აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლები (რომელ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნდა ინფორმა-

ცია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით?) მოითხოვა აღნიშნული გამოცემის შესაბამისი გვერდის ასლის მიწოდება. ასევე მითითება, ხომ არ ყოფილა გამოყენებული აღნიშნული ინფორმაცია სხვა საინფორმაციო საშუალებებში? იყო თუ არა აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნებული ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე? მოითხოვა ასევე ლინკის მითითება; 9. როდის შეიქმნა მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია? მოითხოვა შესაბამისი დოკუმენტის ასლი; 10. აღნიშნული სააუქციონო კომისიის ყველა სხდომის ოქმისა და მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების ასლი; 11. სულ რამდენი განაცხადი იქნა წარმოდგენილი აღნიშნულ აუქციონში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით? მოითხოვა განაცხადისა და წარდგენილი დოკუმენტაციის ასლები; 12. სააუქციონო ვაჭრობის მსვლელობისა და შედეგების ამსახველი ოქმის ასლები; 13. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილება ოქმის დამტკიცების თაობაზე; იმ შემთხვევისათვის, თუ „ს...“ ქონების გადაცემა სარგებლობის უფლებით მოხდა პირდაპირი განკარგვის წესით, მოსარჩელემ მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაციის მიწოდება: 14. ადგილობრივი თვითმმართველი აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირი განკარგვის წესით ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით. 15. პირდაპირი განკარგვის წესით ქონების სარგებლობის უფლებით მიღების მსურველი პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები; 16. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირი განკარგვის წესით გადასაცემი ქონების პირობების დადგენის შესახებ; 17. მხარეთა შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების ასლი; 18. ქონების მიმღების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მიმდინარეობის შესახებ 6 თვეში ერთხელ და/ან მოთხოვნისთანავე ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში წარდგენილი ინფორმაცია; 19. ჰქონია თუ არა ადგილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას და ხომ არ გაფრთხილებულა „ს...“ წერილობით? მოსარჩელემ მოითხოვა არსებობის შემთხვევაში წერილობითი გაფრთხილების ასლის მიწოდება. ქ. თბილისის მერიას მოთხოვნილი ინფორმაცია მოსარჩელისათვის არ მიუწოდებია.

მოსარჩელემ 2009 წლის 21 სექტემბერს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით №გ-04/194-09 განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, მოითხოვა შემდეგი დოკუმენტების ასლების მიწოდება: 1. თბილისის მთავრობის მიერ

მიღებული აქტი, რომლითაც დგინდება პარკირების საფასური ან/და საფასურის ზღვრული ოდენობა; 2. პარკირების ოპერატორის მიერ თბილისის მთავრობასთან შეთანხმებით მიღებული გადაწყვეტილებები (მაგალითად პარკირების საფასურის დიფერენცირების შესახებ და სხვა); 3. თბილისის მთავრობის მიერ პარკირების სფეროს სამართავად გადაცემის პირობების დამდგენი დოკუმენტის ასლი; 4. ინფორმაცია თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელებული კონტროლის შესახებ პარკირების ოპერატორის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებით, შესაბამისი დოკუმენტებითურთ. ქ. თბილისის მერიას მოთხოვნილი ინფორმაცია მოსარჩელისათვის არ მიუწოდებია.

... 2009 წლის 3 ოქტომბერს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მერს და მოითხოვა ... 2009 წლის 21 სექტემბრის განცხადებებით მოთხოვნილი ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა. ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის 2009 წლის 27 ნოემბრის №07/79881-1 წერილით საჩივრის ავტორს ეცნობა, რომ 2009 წლის 3 სექტემბრის განცხადებაზე პასუხი წერილობით იქნა გაცემული. ასევე განემარტა, რომ ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილია იმავე დანესებულებაში, რის გამოც ადმინისტრაციული ორგანო მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხილა საჩივარი;

საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს მოსარჩელეს გადაეცა მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი; აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე – ... წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ საკასაციო სასამართლოს ემსჯელა იმ მოთხოვნების ნაწილზე, რომელიც მოპასუხის მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული; კერძოდ კი პრომეთეს ძეგლთან დაკავშირებით: 1. როდის განხორციელდა ქანდაკების დემონტაჟი? რა სამართლებრივი საფუძვლით? 2. რა ხარვეზები ჰქონდა ქანდაკებას და რამ გამოიწვია მათი წარმოშობა? და 3. რამდენ ხანში დასრულდება მითითებული ხარვეზების აღმოფხვრა? ასევე კომპანია „ს...“ დაკავშირებით: 1. რა ქონება გადაეცა „ს...“ სარგებლობის უფლებით? 2. თბილისის მთავრობის მიერ პარკირების სფეროს სამართავად გადაცემის პირობების დამდგენი დოკუმენტის ასლი და 3. ინფორმაცია თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელებული კონტროლის შესახებ პარკირების ოპერატორის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებით, შესაბამისი დოკუმენტებითურთ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს და ეთანხმება იმ გარემოებას, რომ მოცემულ დავაზე პრომეთეს ძეგლის ნაწილში გადაწყვეტილების მიღებისას ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა იხელმძღვანელეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით, რომლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი,

სქემა, ელექტრონული ინფორმაცია...) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. აღნიშნული მუხლის შინაარსი ცხადყოფს, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულების სუბიექტად საჯარო დაწესებულებას მიიჩნევს მხოლოდ საჯარო დაწესებულებაში დაცულ, აგრეთვე, საჯარო დაწესებულებაში ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაციის მიმართ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ ... 2009 წლის 3 სექტემბრის განცხადებასთან დაკავშირებით, განმცხადებელს მიენოდა ქ. თბილისის მერიის მიერ დაცული ინფორმაცია; ამასთან, ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლის მიერ სასამართლო სხდომაზე განიმარტა, რომ პრომეთეს ქანდაკება, როგორც ეს უკვე ეცნობა მოწინააღმდეგე მხარეს, არ მიეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, შესაბამისად აღნიშნული ქანდაკების დროებითი დემონტაჟი განხორციელდა თავად ავტორის ინიციატივით, ავტორის მიერ, არსებული ხარვეზების საკუთარი ხარვეზებით გამოსწორების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლის განმარტებით მოცემულ შემთხვევაში ქანდაკების დემონტაჟი არ საჭიროებდა რაიმე სახის სამართლებრივი საფუძვლის არსებობას. შესაბამისად, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია (რა სამართლებრივი საფუძვლით მოხდა ძეგლის დემონტაჟი) არ წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში – ქ. თბილისის მერიაში დაცულ და დამუშავებულ ინფორმაციას. ამდენად, ... სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება კომპანია „ს...“ დაკავშირებულ მოთხოვნებს საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 13 ნოემბრის წერილზე, რომლითაც მოსარჩელე – ... გადაეცა მის მიერ 2009 წლის 21 სექტემბერს №გ-04/193-09 და №გ-04/194-09 განცხადებებით მოთხოვნილი ინფორმაცია. აღნიშნული წერილის მე-6 პუნქტში მითითებულია, რომ მოსარჩელეს გადაეცემა ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „ს...“ შორის, ქ. თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ტექსტი, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც წარმოადგენს შპს „ს...“ კომერციულ საიდუმლოებას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუცი-

ის 24.1 მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუციის 41.1 მუხლის მიხედვით საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული პრინციპი აგრეთვე რეგლამენტირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლში, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს გადაეცა მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, და მას ასევე ე. თბილისის მერიის წერილის მე-6 პუნქტით განემარტა, რომ ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც მას არ გადაეცა წარმოადგენს შპს „ს...“ კომერციულ საიდუმლოებას. ამდენად, კასატორის აპელირება იმაზე, თუ რა საფუძველით მოხდა აღნიშნული ინფორმაციის გასაიდუმლოება წარმოადგენს სხვა დავის საგანს და სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მითითებულ საკითხზე.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს ... საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ... საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ინფორმაციის თავისუფლება

## განჩინება

№ბს-527-518(კ-12)

30 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** საჯარო ინფორმაციის გაცემა

### აღწერილობითი ნაწილი:

11.11.2011 წ. ინტერნეტ-გამოცემა ... სარჩელი აღძრა რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე – თვითმმართველი ქალაქ რუსთავის საკრებულოს მიმართ და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის გაცემა, კერძოდ ინფორმაცია 2010 წლის და 2011 წლის სექტემბრის ჩათვლით გაცემული ფულადი პრემიების ოდენობებზე, ადრესატებსა და გაცემის თარიღებზე ინფორმაციის, ასევე 2011 წელს შეძენილი ავტომანქანების მარკის, ოდენობის და ღირებულების შესახებ ინფორმაციის გაცემა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 04.10.2011 წ. ინტერნეტ-გამოცემა „...“ წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა მოპასუხეს ზემოლნიშნული საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, რაც არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ საკრებულოს საჯარო მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების ხარჯები განერილი იყო „თვითმმართველი ქალაქ რუსთავის საკრებულოს 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. რუსთავის საკრებულოს 27.12.2010 წ. №47 დადგენილებაში. რაც შეეხება თვითმმართველობის ავტოპარკის 2011 წელს განახლების საკითხს, მოსარჩელეს განემარტა, რომ აღნიშნული საკითხები მონესრიგებული იყო ქ. რუსთავისა და სს „ლ...“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმით მოპასუხემ დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით გათვალისწინებული მოთხოვნები.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 17.02.2012 წ. გადაწყვეტილებით ინტერნეტ-გამოცემა „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა სზაკ-ის 27-ე, 28-ე, 37-ე, 41-ე და 44-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ ინტერნეტ-გამოცემა „...“ სარჩელი ქ. რუსთავის საკრებულოს თანამშრომლების ხელფასის, პრემიისა და მათი გაცემის თარიღების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე,

უსაფუძვლოა, რადგან აღნიშნული ინფორმაცია დაკავშირებულია პირის ფინანსებთან და წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს, რომლის მისაღებად საჭიროა თვით ამ პირის თანხმობა, რაც წარმოადგენილი არ ყოფილა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ ქ. რუსთავის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების ხარჯები განერილია თვითმმართველი ქალაქ რუსთავის საკრებულოს 27.12.2010 წ. დადგენილებაში, რომლის ელექტრონული ვერსია განთავსებულია თვითმმართველი ქალაქ რუსთავის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.rustavi.ge](http://www.rustavi.ge)). სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ავტოპარკის განახლების თაობაზე ინფორმაციის გაცემისაგან თავის შეკავებით თვითმმართველობის ორგანოს არ დაურღვევია სზაკ-ის მე-3 თავის მოთხოვნები, რადგან ავტოპარკის განახლებასთან დაკავშირებული გარიგების მეორე მხარეს წარმოადგენს სს „ლ...“, რომელიც მოქმედებს „კომერციული ბანკების შესახებ“ კანონის საფუძველზე, შესაბამისად, სზაკ-ის 37-ე მუხლის გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაცია შეიძლება გაიცეს მხოლოდ გარიგების მონაწილეთათვის კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია განეკუთვნება დახურულ, კომერციულ ინფორმაციას და მისმა გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს ბანკის ინტერესებს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 17.02.2012 წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ინტერნეტ-გამოცემა „...“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.04.2012 წ. განჩინებით ინტერნეტ-გამოცემა „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 17.02.2012 წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასებები და დამატებით აღნიშნა, რომ სახელმწიფო დანებებებში და ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეჟიმი განსხვავდება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის წყაროებიდან ინფორმაციის მიღების სამართლებრივი რეჟიმისაგან. ხელფასთან და პრემიასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაცია მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომელთა ფინანსურ და კერძო საკითხებს და შესაბამისად მათ პირად საიდუმლოებას, რომელიც შესაბამისი პირის თანხმობის გარეშე, კანონით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, არ არის ხელმისაწვდომი მესამე პირთათვის და მისი დაცულობა გარანტირებულია კანონით. სააპელაციო პალატამ სზაკ-ის 44-ე მუხლის საფუძველზე დაასკვნა, რომ კანონმდებელმა ხელმისაწვდომი გახადა თა-

ნამდებობის პირთა პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული პერსონალური მონაცემები. სასამართლომ მიუთითა, რომ საკრებულოს საჯარო მოხელთა შრომის ანაზღაურების ხარჯები განერილია „თვითმმართველ ქალაქ რუსთავის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 27.12.106. №47 დადგენილებაში, რომლის ელექტრონული ვერსია განთავსებულია თვითმმართველ ქალაქ რუსთავის ვებ-გვერდზე. ამასთანავე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ განცხადებას არ ახლდა შესაბამის პირთა კანონით გათვალისწინებული თანხმობა, რის გამოც საკრებულოს არ გააჩნდა ინფორმაციის გაცემის უფლებამოსილება, ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოში მომუშავე პირთა მიმართ არსებულ ინფორმაციასთან მიმართებაში მოსარჩელის ლეგიტიმური მიზნის მიღწევა საფასვრით შესაძლებელია საჯარო სამსახურის ბიუროში მათ შესახებ არსებული დეკლარაციების გაცნობით.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება იმის შესახებ, რომ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს ავტოპარკის განახლების თაობაზე ინფორმაციის გაცემისაგან თავის შეკავებით არ დარღვეულა სზაკ-ის მე-3 თავით დადგენილი მოთხოვნები. პალატამ აღნიშნა, რომ საკრებულოს ავტოპარკის განახლებასთან დაკავშირებით გარიგების მეორე მხარეა არასაჯარო დანესებულება – სს „ლ...“, გარიგების შესახებ ინფორმაცია შეიძლება გაიცეს მხოლოდ გარიგების მონაწილეთათვის და კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, ინფორმაცია განეკუთვნება დახურულ, კომერციულ ინფორმაციას და მისმა გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს ბანკის ინტერესებს, ბანკი არ არის თანახმა განმარტდეს გარიგებასთან დაკავშირებული დეტალები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.04.2012 წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ინტერნეტ-გამოცემა „...“, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დამყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ საჯარო ინფორმაცია, რომელიც იძლევა პირის იდენტიფიკაციის საშუალებას, ინოდება პირის პერსონალურ მონაცემებად, პირის პერსონალური მონაცემი არის ღია. კანონი ითვალისწინებს ასეთი სახის ინფორმაციის გასაიდუმლოების 2 შემთხვევას, სზაკ-ის 27<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად პერსონალური მონაცემის პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია. მეორე შემთხვევა გულისხმობს ინფორმაციას, რომელიც კანონის შესაბამისად ავტომატუ-

რად არის გასაიდუმლოებული. პერსონალური მონაცემის პირად სა-  
იდუმლოებად მიჩნევის საკითხს წყვეტს პირი ყოველ კონკრეტულ  
შემთხვევაში. თუ პირი არ მოითხოვს პერსონალური მონაცემების  
გასაიდუმლოებას, აღნიშნული ინფორმაცია ხდება ღია და ხელმი-  
საწვდომი. მოცემულ შემთხვევაში საკრებულოს თანამშრომლების  
მხრიდან პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოების შესახებ არა-  
ნაირი მტკიცებულება არ წარმოდგენილა.

კასატორი აღნიშნავს, რომ წერილობით მიმართა საკრებულოს  
ინფორმაციის გაცემის შესახებ, შესაბამისად პასუხი ინფორმაციის  
გაცემის შესახებ წერილობით უნდა გაცემულიყო, სზაკ-ი არ იცნობს  
საჯარო ინფორმაციის გაცემას ვებ-გვერდზე მითითებით, მან მო-  
ითხოვა ინფორმაციის გაცემა და არა მითითება საიტზე, მით უფრო,  
რომ ფულადი პრემიის გაცემის შესახებ ინფორმაცია არცერთ მი-  
თითებულ ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული. სასამართლომ მი-  
იჩნია, რომ თანამდებობის პირების პერსონალური ინფორმაცია ფუ-  
ლადი პრემიების შესახებ ხელმისაწვდომი იყო, რაც არ შეესაბამება  
სინამდვილეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დეკლარაციაში აღ-  
ნიშნულის შესახებ არაფერი წერია, დავის საგანს შეადგენს ფულადი  
პრემიები და არა თანამდებობრივი სარგოები, რის გამო დარღვეუ-  
ლია სზაკ-ის 37-ე, მე-40 მუხლების მოთხოვნები. მოთხოვნილი ინ-  
ფორმაცია არც სასამართლოს მიერ მითითებული საკრებულოს  
27.12.106. №47 დადგენილებაშია.

უკანონოა აგრეთვე კასატორის აზრით საკრებულოს ავტოპარ-  
კის განახლების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე უარი იმაზე მითი-  
თებით, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია დახურულ კომერციულ ინ-  
ფორმაციას განეკუთვნება და მისმა გაუმჟღავნებულობამ შესაძლოა  
ზიანი მიაყენოს ბანკის ინტერესებს. კასატორი აღნიშნავს, რომ საკ-  
რებულო არის საჯარო დაწესებულება, რომელსაც გააჩნია ბიუჯე-  
ტი, ბიუჯეტში თანხების მობილიზება ხდება ქ. რუსთავის მოსახლე-  
ობის მიერ გადახდილი გადასახდებით, თვითმმართველობის მიერ  
განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაცია არის საჯარო.  
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მიზანია სახელ-  
მწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა. სზაკ-ის 27<sup>2</sup> მუხ-  
ლის თანახმად ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ  
არ არის კომერციული საიდუმლოება. შესაბამისად თვითმმართვე-  
ლობის ავტოპარკის შესახებ ინფორმაცია არ შეიძლება მიჩნეულ იქ-  
ნეს კომერციულ საიდუმლოებად, რადგან საბიუჯეტო სახსრებით  
შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში აღნიშნული ინფორმა-  
ცია საჯაროა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო მხარეთა მოსმენის, საქმის მასალების

შესწავლის, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 24-ე მუხლი ითვალისწინებს მავალდებულებელი სარჩელის განსაკუთრებული ფორმის – მოქმედების განხორციელების თაობაზე მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას, მისი მემკვიდრით შესაძლებელია ნებისმიერი ადმინისტრაციული ზომების (რეალაქტის) განხორციელების მოთხოვნა, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ასეთი სარჩელის მოთხოვნა საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს, მოცემულ შემთხვევაში ქალაქ რუსთავის თვითმმართველი ორგანოს, უფლებამოსილებიდან გამომდინარე ასეთი მოქმედების განხორციელების ვალდებულების დადგენას. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსგან და თანამდებობის პირებისაგან, ამავე კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საქმიანობის საჯაროობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულება არის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პრინციპი, სზაკ-ის 38-ე მუხლის თანახმად, საჯარო დანესებულება ვალდებულაა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.

საქმის მასალების მიხედვით ააიპ კავშირი პრესა – საქართველოს (ინტერნეტ გამოცემა ...) მოთხოვნას შეადგენს 2010 წლის და 2011 წლის სექტემბრის ჩათვლით თვითმმართველ ქ. რუსთავის საკრებულოს თანამშრომლებზე გაცემული ფულადი პრემიების ოდენობის, ადრესატებისა და გაცემის თარიღების შესახებ ინფორმაციის მიღება, ასევე 2011 წელს ქ. რუსთავის საკრებულოს მიერ ავტოპარკის განახლებასთან დაკავშირებით შეძენილი ავტომანქანების რაოდენობის, ღირებულებისა და სახეობის შესახებ ინფორმაციის მიღება. საკრებულომ 13.10.11 წ. №2883/1 და 27.10.11 წ. №1/10493 წერილობით პასუხში მიუთითა, რომ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია შესაბამისი ვებ-გვერდის მეშვეობით.

სზაკ-ის 37-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა. მოსარჩელეს საჯარო ინფორმაციის გაცემა შესაბამის ვებ-გვერდზე მითითებით არ მოუთხოვია, საქმეში არ მოიპოვება მოსარჩელისათვის ინფორმაციის ოფიციალური დოკუმენტის ან ელექტრონული ვერსიის სახით მიღების შეთავაზების, ინფორმაციის ელექტრონული ვერსიის სახით გაცემის არჩევის დამადასტურებელი დოკუმენტი. სზაკ-ის 38-ე მუხლი

უთითებს საჯარო დაწესებულების ვალდებულებაზე უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა, საჯარო დაწესებულების ელექტრონული რესურსის საშუალებით საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის და გაცემის სტანდარტი, სზაკ-ში 25.05.12 ნ. კანონით შეტანილი ცვლილებების თანახმად, ამოქმედდება 2013 წლის 1 სექტემბრიდან. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 04.10.11 ნ. №877, 18.10.11 ნ. №879 წერილებით განმცხადებელი, ინტერნეტ-გამოცემა ...-ის კორესპონდენტი, ითხოვდა ფულადი პრემიების შესახებ ინფორმაციას, ინფორმაციას პრემიების მიმღები კონკრეტული პირების შესახებ, კონკრეტულ პირებზე გაცემული თანხების ოდენობას, გაცემის თარიღების მითითებით, აღნიშნული ინფორმაცია მოპასუხის მიერ მითითებულ საიტებზე (rustavi.ge; matsne.gov.ge; declaration.gov.ge) განთავსებული არ არის. ამასთანავე, პროაქტიული გამოქვეყნება, ანუ შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით საჯარო დაწესებულების მიერ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ რესურსზე განთავსება, სზაკ-ის მე-40.2 მუხლის თანახმად, არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისაგან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკრებულოს წერილში მითითება „თვითმმართველი ქალაქი რუსთავის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 27.12.2010 ნ. №47 დადგენილებაზე არ იძლევა მოთხოვნილი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, ვინაიდან განმცხადებლის მოთხოვნა უკავშირდება არა ნორმატიულ, არამედ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში არსებულ ინფორმაციას, მოპასუხის წერილში მითითებული დადგენილების ელექტრონული ვერსია შეიცავს 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების, მათ შორის შრომის ანაზღაურების, მთლიან თანხებზე მითითებას, მასში არ არის მითითებული პრემიალური თანხების მიმღები პირები, კონკრეტულ პირებზე გაცემული თანხების ოდენობა.

მოთხოვნილი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას არ იძლევა აგრეთვე მოპასუხის წერილში მითითებული თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს ნორმატიული აქტები, კერძოდ საკრებულოს 04.08.2010 ნ. №13 და 08.01.11 ნ. №52 დადგენილებები თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ, ხსენებული დადგენილებები არ შეიცავენ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას 2010 წლის და 2011 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით პრემირებული მოხელეების ვინაობის, პრემიების გაცემის თარიღების და პრემიალური თანხების ოდენობის შესახებ, ასეთ ინფორმაციას არ შეიცავს აგრეთვე თვით-

მმართველი ორგანოს ვებ-გვერდზე განთავსებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომელთა შინაარსი არ ეხება ცალკეული მუშაკების ფულადი წახალისების საკითხს.

ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ ადასტურებს აგრეთვე საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ. 27.10.11 წ. №1/10493 წერილში მითითება იმაზე, რომ საკრებულოს 04.08.10 წ. №13 და 08.01.11 წ. №52 დადგენილებები მიღებულია „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 29.08.05 წ. №726 ბრძანებულებით განსაზღვრულ ფარგლებში. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საკრებულოს 04.08.10 წ. №13 და 08.01.11 წ. №52 დადგენილებებში საქართველოს პრეზიდენტის 29.08.05 წ. №726 ბრძანებულებაში საუბარია თანამდებობრივ სარგოებზე და არა პრემიებზე, ხოლო მოსარჩელე მოითხოვს კონკრეტულ პირებზე გაცემული პრემიების შესახებ ინფორმაციას.

მოთხოვნილი ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობას არ იძლევა აგრეთვე „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენა და შესაბამის საიტზე ([www.declaration.gov.ge](http://www.declaration.gov.ge)) ამ ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობა, ვინაიდან ხსენებული კანონის თანახმად, დეკლარაციაში მიეთითება წინა წლის განმავლობაში ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაოდან მიღებული საერთო თანხა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძველს არის მოკლებული სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა შესახებ მოსარჩელისათვის ხელმისაწვდომი იყო.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. მოსარჩელის მოთხოვნა ეხება კონკრეტულ პირებზე გაცემული პრემიალური თანხების შესახებ ინფორმაციის გაცემის დავალებას, მოთხოვნილი ინფორმაცია იძლევა პირის იდენტიფიკაციის საშუალებას ანუ ეხება პირის პერსონალურ მონაცემებს. საჯარო ინფორმაცია, რომელიც იძლევა იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, არის პირის პერსონალური მონაცემი, შესაბამისად, ასეთ ინფორმაციაზე ვრცელდება პერსონალური მონაცემების დაცვის რეჟიმი. ვინაიდან პერსონალური მონაცემების დაცვა კერძო ცხოვრების ხელ-

შეუხებლობის ნაწილია და ამდენად კონსტიტუციური ბუნება აქვს, მონაცემთა დაცვის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები პრაქტიკულად ყველა დარგში არსებობს. მოცემულ შემთხვევაში საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებულია თანამდებობის პირების პერსონალური მონაცემების ღიაობა. კერძოდ, სზაკ-ის 44-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გააზიაროს პერსონალური მონაცემები – ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დავის განხილვის პერიოდში მიღებულ იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ 28.12.11 წ. კანონი, პერსონალური მონაცემების დაცვის საბაზო კანონის მიღების გამო სზაკ-ში 25.05.12 წ. კანონით შეტანილი ცვლილებებით, კანონსა და კოდექსს შორის კოლიზიის თავიდან აცილების მიზნით, ძალადაკარგულად გამოცხადდა კოდექსის ზოგიერთი ნორმა (39-ე, 43-ე, 45-ე, 46-ე მუხ.), კოდექსის რიგი ნორმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის დებულებებთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი. განხორციელებული საკანონმდებლო ნოვაციების შედეგად პერსონალური მონაცემების დაცვა აგებულია მონაცემის კონფიდენციალობაზე. აღნიშნულის შესაბამისად, შეცვლილია სზაკ-ის 27<sup>1</sup> მუხლის თავდაპირველი რედაქცია, რომელიც პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევისათვის ითვალისწინებდა პირის გადაწყვეტილების საჭიროებას, ნორმის ასეთი რედაქცია ქმნიდა პერსონალური მონაცემების ღიაობის, ხელმისაწვდომობის მტკიცების შესაძლებლობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია მისი აგება იდენტიფიკაციის კრიტერიუმზე, რომლის თანახმად პერსონალური მონაცემები იმთავითვე დახურულია, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ან თუ პირი თავად არ ახდენს მონაცემის გახმაურებას. აღნიშნულის შესაბამისად, სზაკ-ში 25.05.12 წ. კანონით შეტანილი დამატებებით, ცვლილება განიცადა კოდექსის 27<sup>1</sup> მუხლის რედაქციამ. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პერსონალური მონაცემი არის ღია, ხელმისაწვდომი, სანამ პირი კონკრეტულ სიტუაციაში არ განაცხადებს მონაცემს პირად საიდუმლოებად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემი არის პირადი ცხოვრების დაცვის ერთ-ერთი საშუალება, პერსონალური მონაცემის დაცვაში საბოლოოდ პრიორიტეტი ენიჭება არა მგრძნობიარობის, არამედ იდენტიფიკაციის კრიტერიუმს – მონაცემი დაცვას ექვემდებარება უკეთეს შესაძლებე-

ლია პირის იდენტიფიკაცია. გამონაკლისს შეადგენს შემთხვევა, როდესაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია მონაცემის ღიაობა. „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის, აგრეთვე სზაკ-ში 25.05.126. კანონით შეტანილი ცვლილებების (მე-2 მუხ. „ნ“ ქვეპუნქტი, 44-ე მუხ., 99-ე მუხ.) თანახმად, პერსონალური მონაცემი კონფიდენციალურ ინფორმაციას განეკუთვნება, აგრეთვე სზაკ-ის 44-ე მუხლი შეიცავს საგამონაკლისო დებულებას თანამდებობის პირებისათვის (თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატებისათვის). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა იმ შემთხვევაში მოქმედებს, უკეთუ არ არსებობს სპეციალური რეგულირება ცალკეულ, სპეციალურ კანონებში. მონაცემთა დაცვა წარმოადგენს ტიპიურ მაგალითს სხვადასხვა სფეროს მომცველი გამჭოლი საკითხისა, რომელიც არ თავსდება ერთი უნივერსალური საკანონმდებლო აქტის რეგულაციაში, ამასთანავე მხედველობაშია მისაღები, რომ მონაცემთა დაცვის საერთო რეგულაციასთან შედარებით მონაცემთა დაცვის სპეციალურ სფეროთა რეგულაციის ნორმებს უპირატესი, პრიორიტეტული ძალა ენიჭება, მონაცემთა დაცვის ზოგადი კანონი ძირითად მნიშვნელობას იძენს მონაცემთა დაცვის განსაკუთრებული რეგულაციის არარსებობის პირობებში. სზაკ-ი, როგორც მმართველობის სფეროში მონაცემთა დაცვის სპეციალური კანონი, თანამდებობის პირთა მიმართ შეიცავს სპეციალურ რეგულაციას, თანამდებობის პირთა მიმართ პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტი განსხვავებულია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თანამდებობის პირებთან დაკავშირებით პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის საჯაროება ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს – უზრუნველყოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაციის ტრანსფორმაცია, გამჭვირვალობა (კანონმდებლობა (მაგ. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-15 მუხ.) ითვალისწინებს არათუ თანამდებობის პირთა, არამედ მათი ოჯახის წევრთა შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას). ამდენად, მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე თანამდებობის პირის მონაცემები კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად ღიაა, ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ სზაკ-ის 27-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების“ თავის მიზნებისათვის თანამდებობის პირი არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად, თანამდებობის პირს წარმოადგენს თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი) საკრებულოების თავ-

მჯდომარეები და მათი მოადგილეები, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები და საკრებულოს მდივანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი სსენებული თანამდებობის პირების მიმართ. ამასთანავე, ვინაიდან საკრებულოში მომუშავე ყველა პირი არ არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირი, მოსარჩელის მოთხოვნა საკრებულოს ყველა დანარჩენი თანამშრომლის მიმართ გაცემული პრემიების შესახებ ინფორმაციის გაცემის თაობაზე, არ ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს, ასეთი ინფორმაციის გაცემის შესახებ მოთხოვნა უკავშირდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოსამსახურეების პერსონალურ მონაცემებს, სზაკ-ის 44-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური საიდუმლოება თვით ამ პირის თანხმობის გარეშე.

არ არის დასაბუთებული აგრეთვე სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება საკრებულოს ავტოპარკის განახლებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემის დავალებაზე უარის თქმის ნაწილში. სზაკ-ის 27<sup>2</sup> მუხლის თანახმად, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის სანარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსხვავებით პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული რეგულაციისა, ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისათვის აუცილებელია პირის გამოხატული ნება, იმისათვის, რომ სზაკ-ის 27<sup>2</sup>. 1 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას მიენიჭოს კომერციული საიდუმლოების სტატუსი. სზაკ-ი ადგენს პირის მითითების ვალდებულებას აღნიშნულის თაობაზე (მუხ. 27<sup>2</sup>.3), ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს წყვეტს ადმინისტრაციული ორგანო. განსახილველი სარჩელის აღძვრამდე ბანკს სსენებული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა არ მოუთხოვია, სასარჩელო მოთხოვნა საერთოდ არ ეხება საკრებულოსა და ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების შინაარსს, ბანკის მიერ გაწეული საბანკო მომსახურების დეტალებს, მოსარჩელე მოითხოვს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოსაგან, მოთხოვნა ეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესყიდული ავტომანქანების ოდენობის და ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვას, მოთხოვნილი ინფორმაცია არ

ეხება ბანკის კომერციულ ინტერესებს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საბიუჯეტო სახსრებით შესყიდვების განხორციელების შესახებ ინფორმაცია ღიაა. თვითმმართველობის ორგანოს საქმიანობის საჯაროობა, ანგარიშვალდებულება არის თვითმმართველობის განხორციელების ფუძემდებლური პრინციპი, რომლის დაცვაზე უარის პირობას არ ქმნის შესყიდვის განსახორციელებლად ბანკთან ხელშეკრულების დადება. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 48-ე მუხლის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით მომსახურების შესყიდვას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით დადგენილი წესით. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მიხედვით კანონის ერთ-ერთი მიზანი და ფუძემდებლური პრინციპი სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფაა (მუხ. 2, „ა“ ქვეპუნქტი), ამასთანავე კანონის 3.1. მუხლის „ა. ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვებს განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით განხორციელებული შესყიდვა. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად საბიუჯეტო პროცესის ძირითადი პრინციპი – გამჭვირვალობაა, რომელიც გულისხმობს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის გამოქვეყნებას, ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის (4.1. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ანგარიშგება და კონტროლი საბიუჯეტო პროცესის განუყოფელი ნაწილია (მე-5 მუხ.), კოდექსი ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესახებ ანგარიშის ყოველთვიური და ყოველწლიური მომზადების ვალდებულებას (84-87-ე მუხ.), ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის აუდიტორული დასკვნა და შესრულების წლიური ანგარიში, კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციაა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. საბანკო საიდუმლოების რეჟიმისათვის დამახასიათებელია კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების დაკისრება მხოლოდ მომსახურების გამწვანისათვის და არა ინფორმაციის მფლობელობისათვის, საბანკო საიდუმლოების დაცვის ვალდებულება აქვს საკრედიტო ორგანიზაციას და არა კლიენტს, რომელსაც მოცემულ სუბორდინაციულ ურთიერთობაში დომინირებული მდგომარეობა აქვს, შესაბამისად ბანკის პოზიციას არ აქვს მნიშვნელობა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, ამასთანავე მოსარჩელე ითხოვს ინფორმაციას არა ბანკისაგან, არამედ საკრებულოსაგან, საბანკო საიდუმლოება არის კომერციული საიდუმლოების დაცვის ერთ-ერთ-

თი გარანტი, საკრებულოს არ აქვს კომერციული საიდუმლოება, ვინაიდან სზაკ-ის 27<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას. ამდენად, არ დასტურდება მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის კავშირი კერძო საბანკო მომსახურებასთან, ბანკის კომერციულ საიდუმლოებასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ არის სრულყოფილად გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სასამართლომ უდავო ფაქტობრივ გარემოებად ჩათვალა ის, რომ საჯარო მოხელეების ფულადი პრემიების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე, სააპელაციო პალატის მიერ ამ დასკვნის უდავო გარემოებად მიჩნევა არასწორია, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტი სადავოდ ხდიდა ამ გარემოებას, ამასთანავე, სასამართლოს მიერ მითითებულ საიტებზე დაცული დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია არ შეიცავს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ქმნის განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს, რის გამოც არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს საქმეში დაცული მტკიცებულებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

## **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. ინტერნეტ-გამოცემა „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 25.04.12 წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკიბეალო

### აქტის ბათილად ცნობა

ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის წინაპირობები ..... 3; 16

აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის ბათილად ცნობა ..... 27; 46

აქტის ბათილად ცნობის თაობაზე შეცილებითი

სარჩელის დასაშვებობა ..... 64

სადავო საკითხის გადაუწყვეტლად

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ..... 69

### აქტის არარად აღიარება

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის არარად აღიარება. სარჩელის ტრანსფორმირება ..... 83

აქტის არარად აღიარება ..... 105; 127

### ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

სააქტო ჩანაწერის არარად აღიარება ..... 152

### ინფორმაციის თავისუფლება

ინფორმაციის კომერციული საიდუმლოება

აუქციონის ჩატარებამდე მონაწილეთა

რაოდენობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა ..... 163

შენწყალების თაობაზე ინფორმაციის საიდუმლოება ..... 189

### საჯარო ინფორმაციის თავისუფლება

გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობა ..... 206

ინფორმაციის თავისუფლება ..... 217; 228